საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
25-31 მარტი, 2009 №6
# საქართველო & მსოფლიო
www.geworld.net
გამოდის ოთხშაბათობით   ფასი 1 ლარი.   ელ.ფოსტა: info@geworld.net

რატომ ჩამოიშალა სააკაშვილის ხელისუფლება? 2

სოსო შატბერაშვილი:
ადეიშვილმა სკოლის გვერდით სტრიპტიზკლუბი გახსნა 3

სააკაშვილმა ალასანიას დირექტივა შეასრულა 9

გოგა ხაინდრავა:
მელნიკოვი და გირგვლიანის მკვლელები ქვანიას საქმეშიც მონაწილეობდნენ 13

გუდ ბაი, ამერიკა... 20

ცისფერი ფაშიზმი 29

## ყველანი ციხეში!..

ოპოზიციის კიდევ რამდენ აქტივისტს და ლიდერს უკრავენ ციხეში თავს?!

## შიში შეიქმს დაჭერებსა...

6




## რა სცენარით გაანეიტრალებენ ოპოზიციას

19



გსურთ, გაგვიზიარეთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# მელა კი იცინის...

**როგორ მოხდა, რომ სულ რამდენიმე წელიწადში ასეულ ათასობით საქართველოს მოქალაქე ხელისუფლების შეურიგებელ მოწინააღმდეგედ იქცა? სად გაქრა ის ფართო მხარდაჭერა, რომელიც მიხეილ სააკაშვილს რამდენიმე წლის წინ ნამდვილად ჰქონდა? 7 ნოემბერი და აგვისტოს წაგებული ომიც კი მხოლოდ დამამძიმებელი გარემოებებია, ჯერ კიდევ 2007 წლის 2 ნოემბერს კარგად გამოჩნდა, რომ ხელისუფლებას ძალზე სერიოზული პრობლემები აქვს. მიუხედავად იმისა, რომ დღეს საზოგადოების უდიდესი ნაწილი უპირისპირდება ხელისუფლებას, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სწორედ საზოგადოებამ შესაძლებელი გახადა ამ ხელისუფლების ფორმირება. პარადოქსულად კი ჟღერს, მაგრამ ამ რეჟიმში არის რაღაც წილი თითოეული ჩვენგანისაგან. იგი საზოგადოების ერთგვარი სარკეა, თუნდაც მრუდე. ამ ფაქტის გააზრება სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენს.**

### ... რომ კაცად ვერ გამიზრდიხარ

**„შენი შეცდომა, როგორც შვილის, ეს ჩემი წარუმატებლობაა, როგორც მამის“, — ეუბნება მარკუს ავრელიუსი თავის ვაჟიშვილს, კომუდუსს ცნობილ ფილმ „გლადიატორში“, ვიდრე ეს უკანასკნელი სიცოცხლეს გამოასალმებს.** ეს ერთ-ერთი იშვიათი სცენაა იმ ფილმში, რომელიც ასე თუ ისე უახლოვდება ისტორიულ სიმართლეს (არსით, თორემ სინამდვილეში მარკუს ავრელიუსი სხვა გარემოებებში გარდაიცვალა). **ბრძენ მმართველს, კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ნათელი და სევდიანი წიგნის ავტორს და მამაც მხედართმთავარს, ელემენტარულად, შვილი ვერ გაუზრდია. ყველა მისი ოცნება სამართლიან საზოგადოებაზე და სამშობლოს დიად მომავალზე დასრულდა სისხლიანი ორგიით, რომელიც კომოდუსმა ხელისუფლებაში მოსვლისთანავე დაატრიალა.** საკმაოდ ნაცნობი სიტუაციაა. რაზე ვოცნებობდით, რაზე ვკამათობდით და რა მივიღეთ? თუმცა „მათი შეცდომა, როგორც ხელისუფლების — ეს ჩვენი წარუმატებლობაა, როგორც საზოგადოების”.

**ამჟამინდელ ხელისუფლებაში უბრალოდ მოხდა საზოგადოების ქვეცნობიერში დამალული ინსტინქტების და მცდარი წარმოდგენების კონცენტრირება და ლოგიკურ დასასრულამდე (სრულ აბსურდამდე) მიყვანა. ეს მოხდა დროის ძალიან მცირე მონაკვეთში, ვინაიდან ხელისუფლება საერთოდ არ ამუხრუჭებდა და ნდობის დაკარგვის სისწრაფეში მსოფლიოს თუ არა, კონტინენტის რეკორდი მაინც მოხსნა, რაც თვიდან თვემდე სოციოლოგიურ მონაცემებში აისახებოდა.**

თუ აუცილებელი გახდება ერთი სიტყვის პოვნა, რომელიც ამ წლებში გატარებულ პოლიტიკას დაახასიათებდა, ეს, ალბათ, „სიჯიუტე“ იქნება. გავიხსენოთ გირგვლიანის საქმე, რომელშიც ხელისუფლება ჯიუტად ინარჩუნებდა (დღესაც კი ინარჩუნებს) საკუთარი რეიტინგისთვის დამანგრეველ, მეტიც, საყოველთაო აღიარებით, მცდარ და დანაშაულებრივ პოზიციას. იგივე ხდებოდა რობაქიძის და ვაზაგაშვილის საქმეებთან დაკავშირებით, უნივერსიტეტის გარშემო დატრიალებული მოვლენების დროს, იგივე სიჯიუტე გამოვლინდა უამრავ სხვა ინციდენტში, რომლის დროს ხელისუფლება ცდილობდა, საკუთარი შეუპოვრობა წარმოეჩინა, რომელსაც საზოგადოება სიჯიუტედ აღიქვამდა.

**ლეგენდა შეუპოვრობაზე საბოლოოდ დაიმსხვრა აგვისტოში, როდესაც მთელმა საქართველომ (და მსოფლიომ) იხილა, თუ როგორ იქცეოდნენ საქართველოს ხელისუფალნი, როდესაც ესმოდათ თვითმფრინავის, ან თუნდაც, გენერალ ბორისოვის ხმა. ეს ბოლო წვეთი იყო.**

### რევოლუციამდელი ბავშვების სათამაშოები

სახეზეა ორი ფაქტორი: სიჯიუტე და შიში, რომელსაც, გარკვეულ გარემოებებში, საღი აზროვნების გადაფარვა შეუძლია. რატომ გახდა ეს ფაქტორები განმსაზღვრელი ქართველი პოლიტიკოსებისათვის?

მიჩნეულია, რომ ნორმალური ადამიანები პოლიტიკაში ნებაყოფლობით არ მიდიან და მასში მხოლოდ გარემოებების ან აუცილებლობის გამო, გნებავთ, განგების ნებით ხვდებიან. ხოლო ის, ვინც სულმოუთქმელად, შეგნებულად ილტვის პოლიტიკაში ან ჯიუტად ეპოტინება უკვე დაკარგულ ხელისუფლებას, ცოტა სხვა კატეგორიას მიეკუთვნება. ამ სუბიექტების ქცევა აღწერილი აქვს უამრავ ბრძენკაცს (ფროიდიდან ფრომამდე), რომელთა უმრავლესობას თეთრი ხალათი ეცვა და პაციენტის დამამშვიდებელი საუბრის მანერა ჰქონდა. საგულისხმოა ამერიკელი მეცნიერის ტამოცუ (ტომ) შიბუტანის სიტყვები: **„ძალაუფლებაზე ორიენტირებული ადამიანების მისწრაფებები ხშირად იკვებება ლტოლვით შურისმაძიებელი ტრიუმფისადმი. ისინი ოცნებობენ იმაზე, როდის დადგება მათი დრო და როგორი დამწუხრებული იქნებიან ისინი, ვინც წინააღმდეგობას უწევდა ან დასცინოდა მათ. თუ ასეთი ადამიანის მისწრაფებები ვერ პოულობენ მხარდაჭერას, ისინი წარმოსახვას უხმობენ. ისინი კვებავენ თავიანთ პატივმოყვარეობას ფანტაზიებით იმაზე, თუ როგორ დაამცირებენ სხვა ადამიანებს, რომლებიც მათ წინაშე ითრთოლებენ. ეს მათ ადრეულ ასაკში გადატანილი დამცირებისათვის შურისსაძიებლად სჭირდებათ“.**

აუტანელი სიჯიუტე, ყოვლისმომცველი შიშის შემოტევები, საკუთარი უპირატესობის დამტკიცების ჟინი სწორედ ადრეული ასაკის პრობლემებიდან მომდინარეობს. არამდგრად პოლიტიკოსში დაკომპლექსებული მოზარდი იღვიძებს და ხელისუფლების ბერკეტებს ეპოტინება.



**ძველი ბერძნები ამ ფენომენს სპეციალურ ტერმინს უწოდებდნენ — პედოკრატია (ბავშვების, ყმაწვილების ხელისუფლება).**

საუბარი უფრო ფსიქოლოგიურ ასაკზეა, ვიდრე პასპორტში მითითებულზე. საქართველო მოიწონებდა დემოკრატიას, როგორმე აიტანდა დიქტატურასაც, მაგრამ პედოკრატიას ვერ შეეგუა და სწორედ მისი სულისკვეთების წინააღმდეგ აჯანყდა (ალბათ, თვითგადარჩენის ინსტინქტიდან გამომდინარე).

## რატომ „ჩამოიშალა“ სააკაშვილის ხელისუფლება?

**სწორი არ იქნება, ფილმ „მიმინოს“ ერთ-ერთი პერსონაჟის მსგავსად, იმის მტკიცება დავიწყოთ, რომ „ეს ჩემი ბავშვი არ არის“. (აბა ვისია?!) უბრალოდ, ნორმალურ ვითარებაში ასეთი პოლიტიკოსები ვერ მიიღებდნენ განუსაზღვრელ ძალაუფლებას, არამედ — მხოლოდ მკაცრად დოზირებულს. მაგრამ, ბუშის ადმინისტრაციამ მათში დაინახა უნიკალური რესურსი, რომლის გამოყენება საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე შეეძლო.**

### მათი მშობელძაღლები

**„ის, რა თქმა უნდა, მშობელძაღლია, მაგრამ ჩვენი მშობელძაღლი“, — ამ ფრაზას ჰენრი კისინჯერს მიაწერენ. მან კი უბრალოდ გაიმეორა ის, რაც თავის დროზე ფრანკლინ დელანო რუზველტმა თქვა საკმაოდ საინტერესო კონტექსტში.** როდესაც აშშ-ს, ასე ვთქვათ, სტრატეგიულმა პარტნიორმა, ნიკარაგუას დიქტატორმა ანასტასიო სომოსა გარსიამ ჩაიდინა რაღაც მორიგი სიცოფე გენოციდის ზღვარზე, რუზველტი იძულებული გახდა, იგი „არადემოკრატიულობისათვის“ გაეკრიტიკებინა. **ამას „როკფელერის ფონდის“ (კინაღამ „სოროსის“ დავწერე) ყოფილმა თანამშრომელმა სომოსამ შემდეგი რამ უპასუხა: „დემოკრატია ჩემს ქვეყანაში თოთო ბავშვია, რომელსაც არ შეიძლება მისცე ყველაფერი, რასაც მოითხოვს. მე ვაძლევ თავისუფლებას, მაგრამ ზომიერად. თუ ბავშვს ცხელ, ცხარე ხორციან ღვეზელს მისცემთ, ამით მას მოკლავთ”. სწორედ ამ გამონათქვამს მოჰყვა რუზველტის ფრაზა „მშობელძაღლის“ შესახებ. ირონიული და ძალიან ცინიკური ქვეტექსტის მქონე დაუსწრებელი გაბაასების მიღმა კი სავსებით პროზაული ინტერესები იდგა.**

სწორედ გეოპოლიტიკური მიზნების შენიღბვამ დემოკრატიული ფრაზეოლოგიით და ისეთი ქმედებების მხარდაჭერამ, რომელიც სომოსას და ბატისტას (კუბა, 1959-მდე) რეჟიმებს მოუხდებოდა, უკიდურესად გაალიზიანა ქართული საზოგადოების დიდი ნაწილი და ისეთი შეურიგებელი ანტიამერიკანიზმის პოზიციებზე გადაიყვანა, უგო ჩავესსაც შეშურდება. ვისღა ახსოვს ფოლკნერის და უიტმენის, ფრანკლინის და ჯეფერსონის, ედისონის და მილიკენის (ჩამოთვლა უსასრულობამდე შეიძლება) ამერიკა. დღეს აშშ-ს ჩვენში კაქტუსივით უჭკნობი მეთიუ ბრაიზა წარმოადგენს, რომელიც უამრავი ქართველისათვის მხოლოდ სიცრუეს და ორპირობას განასახიერებს.

**მიუხედავად იმისა, თუ რა წერია აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიაში ამ ქვეყნების ურთიერთობა რეალურად ჩიხშია შესული და (ჰილარი კლინტონი რომ იტყვის) „გადატვირთვას“ საჭიროებს. ბოლო წლებში ამ ურთიერთობებში ბევრი სიცრუე დაგროვდა. უპირველეს ყოვლისა, საქართველოს ხელისუფლების ანტიდემოკრატიული ქმედებების გამართლების გამო.**

**ალბათ, ლოგიკური იქნებოდა, ამ ურთიერთობებში ახალი ფურცელი გადაშლილიყო. თუ ვაშინგტონი უარს იტყვის ფრიად მოძველებული „ჩვენი მშობელძაღლების“ პოლიტიკის (მსგავსი პოლიტიკა ყოველთვის სრულდება ანტიამერიკული ჟანყით) გატარებაზე, რომლითაც თავი ბუშის ადმინისტრაციამ დაგვამახსოვრა, საქართველო გაგებით მოეკიდება მის ინტერესებს რეგიონში და პრაგმატულ გადაწყვეტილებებსაც მიიღებს.**

### მელა კი იცინის...

**ყველანი კაცნი ვართ, მასაჟი ყველას გვიყვარს (ეს ისე, უბრალოდ, ბოლო სკანდალის კვალობაზე). არსებობდა თუ არ შანსი, რომ საქართველოს ახალ ხელისუფლებას საზოგადოების ესოდენ დიდი ნაწილი არ გადაემტერებინა, უფრო მშვიდად ემართა ქვეყანა და გარე სპონსორების წინაშე ნაკისრი ვალდებულებებიც ეფექტურად შეესრულებინა, როგორც ამას ახერხებს, მაგალითად, ასევე „ფერადი რევოლუციის“ შედეგად აღზევებული ხელისუფლება სერბეთში?**

ამ ბოლო დროს, ხშირად ისმის ფრაზები (ჩვენი ჭარმაგი ექსპერტების შესრულებით) „ამერიკელებს ჟვანია უნდოდათ“, „ჟვანია

ამას (შეგიძლიათ ჩასვათ ბოლო ხუთწლედში მომხდარი ნებისმიერი ამაზრზენი ფაქტი) არ დაუშვებდა". ჭეშმარიტების მარცვალი ამაში ნამდვილად არის. რატომ განვითარდა მოვლენები სხვაგვარად?

2003 წლის არჩევნების წინ ცხადი გახდა, რომ თეთრი სახლი საქართველოსგან მოითხოვს მკვეთრ ცვლილებებს საშინაო და საგარეო პოლიტიკაში. ეს იყო კომპლექსური გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა არა მხოლოდ საქართველოს ამოგლეჯას ევრაზიული კონტექსტიდან და მის გადაქცევას აშშ-ს „ჩაუძირავ ავიამზიდად" რეგიონში, არამედ ამ პოლიტიკის გრძელვადიან უზრუნველყოფას სათანადო ცვლილებების განხორციელებით, განათლების რეფორმიდან დაწყებული ვიდრე ზოგად ვესტერნიზაციამდე. **ეს არანაირ საიდუმლოებას არ წარმოადგენდა, შესაბამისი იდეები უხვად იყო წარმოდგენილი უცხოელი მრჩევლების რეკომენდაციებში, რომლებიც იმ პერიოდში საქართველოს ხელისუფლებასთან მუშაობდნენ, და აშშ-ს სხვადასხვა რანგის წარმომადგენლების განცხადებებში. ისიც ცხადი იყო, რომ შევარდნაძე ამ მიზნების მისაღწევად არ გამოდგებოდა. ვაშინგტონს სჭირდებოდა ახალი ძალა, რომელიც მასზე 100%-ით იქნებოდა დამოკიდებული.**

**მოდით, ერთი (ოდნავ კონსპიროლოგიური) ვერსიაც განვიხილოთ. ედუარდ შევარდნაძე, მისი გარემოცვის დიდი ნაწილი, ისევე როგორც უბრალოდ საღი გონების და კეთილი ნების ადამიანები, სულაც არ იყვნენ დასავლეთთან დაახლოების წინააღმდეგნი, პირიქით, მაგრამ ცხადად ხედავდნენ, რომ ჩაფიქრებული მკვეთრი ცვლილებები საქართველოსთვის (შესაბამისად, მისი ელიტისათვისაც) კრახით დასრულდებოდა, ისევე როგორც ბუშის ადმინისტრაციის ავანტიურისტული საგარეო პოლიტიკა.** ასეც მოხდა, რადგან საზოგადოების განვითარების (ქართულის, ერაყულის და ა.შ.) და გეოპოლიტიკის აქსიომების უგულებელყოფას კარგი არაფერი მოაქვს. თუმცა მაშინ შევარდნაძეს თეთრი სახლისთვის პირდაპირი წინააღმდეგობის გაწევა არ შეეძლო. მან ხელისუფლების უმტკივნეულო გადაბარება უზრუნველყო. თუმცა რჩებოდა ველი ძალიან საინტერესო მანევრისთვის.

## როგორც ცნობილია, საქმის გაფუჭების საუკეთესო მეთოდია, საზეიმოდ გადააბარო იგი მას, ვინც გარანტირებულად ვერ მიიყვანს ბოლომდე.

**თუ თვალს გადავავლებთ იმ პერიოდის მედიას, ხელისუფლების მხრიდან ორ მთავარ ოპოზიციურ ბლოკთან „ნაციონალური მოძრაობა" და „ბურჯანაძე-დემოკრატები" (სინამდვილეში „ჟვანია-დანარჩენები") განსხვავებულ მიდგომას ნათლად დავინახავთ.** საკაშვილთან დაპირისპირებაში ხელისუფლება უკბილო ანტაგონისტის როლს ასრულებდა და მასთან ერთად ათამაშებდა მედია-დრამებს, რომელიც სააკაშვილს მომგებიანი იმიჯის კონსტრუირების და რეიტინგის ამაღლების შესაძლებლობას აძლევდა. მეორე ბლოკთან მიდგომა განსხვავებული იყო, მას მიზანმიმართულად აყენებდნენ რეიტინგის დაგდებაზე ორიენტირებულ დარტყმებს. შედეგი ცნობილია, ამ ბლოკმა ძლივს გადალახა (გადალახა კი?) 7%-იანი ბარიერი.

## შედეგად შეიქმნა სიტუაცია, როდესაც სააკაშვილი უპირობოდ უნდა გამხდარიყო ქვეყნის პირველი პირი. შედეგი ცნობილია: სააკაშვილმა და მისმა გარემოცვამ „ქაოსის ფაქტორის" როლი შეასრულეს (ამის წინასწარი განჭვრეტა სავსებით შესაძლებელი იყო) და, პრაქტიკულად, ხაზი გადაუსვეს ბუშის ადმინისტრაციის გეოსტრატეგიულ ჩანაფიქრს; დასავლეთთან ფორსირებული ინტეგრაციის იდეამაც გარკვეული დისკრედიტაცია განიცადა.

ეს, რა თქმა უნდა, მხოლოდ ვარაუდია, შესაძლოა, შევარდნაძეს მსგავსი გათვლები არ ჰქონია და ყველაფერი მხოლოდ შემთხვევითი დამთხვევა და სტიქიური პროცესი იყო. მაგრამ თუ განხილული ვერსია სინამდვილეს შეესაბამება, საქმე უახლეს ისტორიაში ყველაზე ნატიფ და თამამ პოლიტიკურ კომბინაციასთან გვაქვს.

**დღეს კი სიტუაცია ჩიხში შევიდა. სააკაშვილის ხელისუფლებას (2013, გნებავთ 2018 წლამდე რომც დარჩეს) არ აქვს საკმარისი რესურსი იმისათვის, რომ გადაწყვიტოს მნიშვნელოვანი პრობლემები, როგორც საგარეო (მაგალითად, ინტეგრაცია დასავლურ სტრუქტურებში, ურთიერთობების დარეგულირება რუსეთთან), ისე საშინაო ფრონტზე (გახლეჩილი საზოგადოების გამთლიანება, აუცილებელი რადიკალური რეფორმები).** ნებისმიერი მკვეთრი მოძრაობა მის მდგომარეობას გაართულებს და შესაბამისად მოერიდება მათ. რა თქმა უნდა, სააკაშვილს შეუძლია ხელისუფლების შენარჩუნებისათვის ბრძოლის გაგრძელება და, თეორიულად, მისი შენარჩუნებაც კი, თუმცა ამ შემთხვევაში მომდევნო წლები საქართველოსთვის, სავარაუდოდ, ისეთივე ცარიელი იქნება, როგორც ხსენებული სომოსას ან ბატისტას მმართველობის ბოლო წლები, როდესაც შესაბამის ქვეყნებში სტაგნაციის, საგარეო ვალის ზრდის და უაზრო სისასტიკის მომრავლების გარდა სხვა არაფერი ხდებოდა. აჩუქებს თუ არა ამ წლებს ხელისუფლებას საზოგადოება? ამის სურვილი ჯერჯერობით არ შეინიშნება.

**დიმიტრი მონიავა**

### სოსო შატბერაშვილი:

# ადეიშვილმა სკოლის გვერდით სტრიპტიზკლუბი გახსნა

**პრეზიდენტის კარზე „რუხ კარდინალად" შერაცხული იუსტიციის მინისტრი სააკაშვილის გარემოცვაში თავისი ხელწერით, მართლაც, გამოირჩევა. იგი პოლიტიკურ დებატებში არასდროს მონაწილეობს და არც ღიად უპირისპირდება ვინმეს, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, რომ პოლიტიკური თუ ბიზნესსაქმიანობით რომელიმე თანაგუნდელს ჩამორჩება. ცოტა ხნის წინათ, სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმა 2007 წლის 4 ნოემბრის საიდუმლო თათბირის მონაწილეებს შორის ადეიშვილი დაასახელა. მისი განცხადებით შს მინისტრის კაბინეტში სწორედ ადეიშვილმა, მერაბიშვილმა, კეზერაშვილმა და ახალაიამ შეიმუშავეს მიტინგის დარბევის გეგმა. თუმცა, დამეთანხმებით, რომ სუბარის ამ განცხადებამდე ცოტას თუ ჰქონდა ეჭვი მის ამ მოვლენებში მონაწილეობაზე.**



ზურაბ ადეიშვილი ზეწოლაში ღიად დაადანაშაულა ბიზნესმენმა ქიბარ ხალვაშმაც: **„2005 წლის იანვარში, საქართველოს გენერალური პროკურორის ზურაბ ადეიშვილისა და ქალაქის მერის გიგი უგულავას მრავალჯერადი შეთავაზების შემდეგ, მათი მოთხოვნის საფუძველზე „რუსთავი 2"-ის 22% მივყიდე დავით ბეჟუაშვილის კომპანიას „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი", სანაცვლოდ მისგან შევიძინე ტელეკომპანია მზის 78%. 2006 წლის გაზაფხულიდან „რუსთავი 2"-ის ადმინისტრაციას და პირადად მე დაგვეძაბა ურთიერთობა მთავრობის სხვადასხვა წევრებთან, უშუალოდ პრეზიდენტ მ. სააკაშვილთან, შს მინისტრ ვანო მერაბიშვილთან, გენერალურ პროკურორ ზურაბ ადეიშვილთან, გიგა ბოკერიასთან, გიგი უგულავასთან. ვითარების დაძაბვა დაკავშირებული იყო სანდრო გირგვლიანის მკვლელობასთან, კერძოდ: გახმაურებული საქმის ირგვლივ „რუსთავი 2"-მა გააკეთა არაერთი რეპორტაჟი"**... — ვკითხულობთ ხალვაშის საჩივარში, როგორ დასრულდა ეს დაპირისპირება, ყველას მოგეხსენებათ.

**ეს რაც შეეხება სახელისუფლებო რეკეტში ადეიშვილის ფარულ მონაწილეობას, მის ბიზნესზე კი „საქართველო და მოფლიოს" ლეიბორისტული პარტიის გენერალური მდივანი, სოსო შატბერაშვილი ესაუბრა. შატბერაშვილის განცხადებით, ზურაბ ადეიშვილის მამა, შალვა ადეიშვილი ყვარელს დაეპატრონა. იგი სასწავლო დაწესებულებებს ერჩის და მათ ნაცვლად ქალაქში სტრიპტიზ და პოკერ კლუბებს ხსნის.**

სოსო შატბერაშვილი: **„სააკაშვილი საქართველოს 2003 წლის ნოემბრიდან თვლის საკუთარ საფაშოდ და ცალკეულ რეგიონებს უბოძებს ხოლმე ამა თუ იმ მაღალჩინოსანს. ასე უბოძა მან ყვარელი ზურაბ ადეიშვილს. ზურაბ ადეიშვილის მამა, შალვა ადეიშვილი გახლავთ თელავის საკრებულოს წევრი, იქ ერთ-ერთი ფრაქციის თავმჯდომარე. იგი იმდენად აღვირახსნილი და გათავხედებულია, რომ მთლიანად ყვარელს მიიჩნევს საკუთარ სამფლობელოდ და ადგილ-მამულად. თავის ჭკუაზე ატრიალებს არამარტო საკრებულოს და გამგეობას, — პოლიციას, პროკურატურასა და ყველა უწყებას. ყვარელს ფაქტობრივად თვითმმართველობა არა აქვს. გავლენიან ადეიშვილებს იქ ყველა ემორჩილება, რასაც უბრძანებენ გუბერნატორს, იმას აკეთებინებენ. ყვარლის გამგებელი ხომ საერთოდ „დაჩმორებული" ჰყავთ.**

**ადეიშვილებმა მთელი ქალაქი გაავსეს სტრიპტიზკლუბით, ღამის ბარებით, პოკერკლუბებით და ა.შ. შესაძლებელია ყვარელში, ისევე როგორც სხვა ქალაქებში, გაკეთდეს გასართობი დაწესებულებები, ჩვენ ამის საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს, მაგრამ ასეთი ბარები იხსნება სწორედ იმ ადგილებში, სადაც არასრულწლოვანები დადიან — სკოლებთან, საბავშვო ბაღებთან, ბავშვთა პოლიკლინიკის მიმდებარე ტერიტორიაზე და ა.შ.**

**ჩვენი პარტიისა და ყვარლის საკრებულოს წევრმა, თინა ნაცარაშვილმა მოგვაწოდა ინფორმაცია, რომ ადეიშვილმა სკოლის გვერდით სტრიპტიზ კლუბი გახსნა. სულაც არ არის გასაკვირი, რომ არასრულწლოვანს ამ კლუბისკენ გაექცეს თვალი. თუ ასე ძალიან სჭირდება ყვარლის მოსახლეობას სტრიპტიზკლუბი, მათ შეუძლიათ იგი ქალაქგარეთ გახსნან, მაგრამ ადეიშვილი, რატომღაც, მაინცდამაინც სასწავლო დაწესებულებებს ებრძვის. გვაქვს ინფორმაცია, რომ ის ახლა მუსიკალურ სკოლას ხურავს, უკვე გაუკეთა პრივატიზება და მალე ამ სამუსიკო სკოლის ადგილზეც, ალბათ, მორიგ სტრიპტიზბარს ან პოკერკლუბს გახსნის, აბა, ადეიშვილის მამა რომ ბიბლიოთეკას არ გახსნის და რაიმე საგანმანათლებლო დაწესებულებას, ხომ ყველას მოგვეხსენება".**

შატბერაშვილის განცხადებით, ადეიშვილი ყვარელში არამარტო გასართობი დაწესებულებების გახსნით არის დაკავებული, არამედ იგი ღვინის წარმოებას, გაზისა და ბენზინგასამართ სადგურებს დაეპატრონა; ასევე ცდილობს, ხელში ჩაიგდოს ელექტროენერგიის ადგილობრივი გამანაწილებელი კომპანია.

**მანანა ჭელიძე**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

## არნო ხიდირბეგიშვილი:

# FINITA LA GEOMEDIA!



**ძვირფასო მკითხველო, მიუხედავად იმისა, რომ გვიახლოვდება პირველი აპრილი, გეტყვით სიმართლეს, მხოლოდ სიმართლეს და არაფერს სიმართლის გარდა, რადგან ოხუნჯობენ ისინი, ვინც თავს კარგად გრძნობს, ხოლო ქართულ საზოგადოებას, რომელსაც უკვე მრავალი წელია, ატყუებენ, ხუმრობისთვის არ სცხელა... რასაც ვერ იტყვი საქართველოს ამჟამინდელ ხელისუფლებაზე, რომელიც არ დაიღალა ჩვენთვის სხვადასხვა თოქ- და რეალითიშოუს შემოთავაზებით. თანაც, ეს მათ იმ ტელევიზიის (რომელმაც თითქმის გაიმარჯვა ხალხზე — „რუსთავი 2“-ის) პროფესიონალ „ტელევიზიონშიკებზე“ უხეიროდ როდი გამოსდით! მით უფრო შეუფერებელია კომედიების მოწყობა სამხრეებიანთათვის — სხვადასხვა ძალოვანი სტრუქტურის თანამშრომლებისა და მათი ელიტის — მზვერავებისთვის, რომლებსაც თავიანთი მოუსყიდაობისა და სიმამაცისთვის უშიშარი და დაუმუნათებელი რაინდები შეარქვეს.**

არადა, მორიგი ასეთი კომედია მოაწყო **საქართველოს მთავარმა მზვერავმა — საგარეო დაზვერვის სამსახურის ხელმძღვანელმა გელა ბეჟუაშვილმა**. 20 მარტს ის განსაკუთრებული ნდობით აღჭურვილ (ნაცმოძრაობის, და არა საქართველოს მოსახლეობის!) პარლამენტის წევრთა წინაშე წარდგა მოხსენებით, რომელშიც ვითომდა გაანალიზებული იყო მეთოდები, რითაც რუსეთის **ხელისუფლება და სპეცსამსახურები იბრძოდნენ და იბრძვიან საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და სუვერენიტეტის წინააღმდეგ.** საგულისხმოა, რომ მომხსენებელი **არ გამორიცხავს მომავალში რუსეთის მხრიდან პირდაპირ სამხედრო ინტერვენციას**, მაგრამ რაკიღა მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის შედეგად რუსეთი ძალიან დასუსტდა (ბეჟუაშვილის აზრით), **მეტად სავარაუდოდ მიაჩნია ბრძოლის ახალი მეთოდები და ფორმები, რომლებიც დესტაბილიზაციას გამოიწვევს ქვეყნის შიგნით.** კერძოდ, ყველაზე აქტუალურია (ალბათ, მისი სადაზვერვო მონაცემებით) **ზოგიერთი პოლიტიკური ძალისა და, განსაკუთრებით, მედიის მოსყიდვა,** რომელიც საქართველოს ამჟამინდელ ხელისუფლებას „შავ“ პიარს აუგორებს მსოფლიო არენაზე. საქართველოს მთავარი მზვერავის თქმით, ამ მიზნით რუსეთმა უკვე დახარჯა 20 მილიონი დოლარი!

იქ მყოფთა აღშფოთებით სავსე ინტელექტუალური გამომეტყველება (კერძოდ, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის, ბატონი **გივი თარგამაძისა,** რომელსაც საქართველოში არცთუ მცირე ხანია, „საკანი № 5-ის ტუსაღის“ — მომღერალ **უცნობის** წყალობით, უბრალოდ, **„გიიივის“** ეძახიან), რასაც „რუსთავი 2“-ის საინფორმაციო გადაცემაში აჩვენებდნენ, ადასტურებდა, რომ **„რუსეთის თანამზრახველებს“ საკადრისი პასუხი გაეცემათ, ხოლო უკონტროლო მედიასთვის საქართველოში „გრძელი ხანჯლების ღამე“ მზადდება...**

ალბათ, სწორედ ამ წმენდისა და მორიგი „ჯაშუშური“ სკანდალისთვის დასჭირდათ დიდი ხნის განმავლობაში ჩრდილში მყოფი **გელა ბეჟუაშვილი** (ეს ის საგარეო საქმეთა ექს-მინისტრია, რომელსაც სერიოზული კონტაქტები ჰქონდა აშშ-ში და რომელიც **პრეზიდენტმა სააკაშვილმა** კრემლში გამართული ცნობილი შეხვედრის შემდეგ შერისხა (როცა **პრემიერმა პუტინმა** სააკაშვილისა და რფ-ის ახალარჩეული **პრეზიდენტ მედვედევის** თანდასწრებით ყურში რამდენიმე „ალერსიანი“ სიტყვა ჩასჩურჩულა). უცებ წამოჭარხლებული და ცივოფლდასხმული ბეჟუაშვილისა და პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის რისხვით მოქცეული სახეები ტელეეკრანზეც კი შესამჩნევი იყო!). თანაც, სააკაშვილის მონამორჩილი მუდამ იქნება ბეჟუაშვილის ძმაც — **ბატონი დავითი**, პარლამენტარი და, ამავე დროს, უმდიდრესი ბიზნესმენი (ცემენტის ქარხანა და სხვა დიდი ობიექტები, გაზით მომარაგებასთან დაკავშირებული მაქინაციები, რომელთა გამოც ის სასწაულებრივად გადაურჩა ციხეს ჯერ კიდევ **პრეზიდენტ შევარდნაძის** დროს; ტელეკომპანია „მზე,“ რომელიც მან აწ გარდაცვლილი **ბადრი პატარკაციშვილისგან** იყიდა და მასმედიის ზოგიერთი სხვა საშუალება — აი მისი აქტივების არასრული ნუსხა).

**აღსანიშნავია, რომ ქართველ საზოგადოებას არ სძულს გელა ბეჟუაშვილი. მას კარიერა სხვის უბედურებაზე არ აუგია და მომავალში საქართველოში ცხოვრებასაც შეძლებს, „ვარდების რევოლუციის“ ხელისუფლების რამდენიმე ათეული წარმომადგენლისგან განსხვავებით** (მხედველობაში არ მაქვს სხვადასხვა სამსახურებრივი დარღვევა, რომელთა შესახებაც არაფერი ვიცი და ამიტომ ვერც განვსჯი).

**უფრო მეტიც, როგორც ქართველსა და პატრიოტს, მინდა, დავეხმარო! ამიტომ საქართველოს მთავარ მზვერავს ფრიად უტყუარ ინფორმაციას ვთავაზობ იმ რეალურ და არამითიურ საფრთხეზე, რაც საქართველოს ემუქრება!**

დასაწყისისთვის მის ყურადღებას მივაპყრობ გლობალიზაციის პრობლემათა კვლევის ცენტრის ხელმძღვანელის, მეცნიერებათა დოქტორის, პოლიტოლოგ **ალექსანდრე ჭაჭიას ინტერვიუს, რომელიც გაზეთ „ასავალ-დასავალის“ 2009 წლის 16 მარტის მე-11 ნომერში დაიბეჭდა.** კერძოდ, ალექსანდრე ჭაჭია ამბობს: ***„უახლოეს მომავალში შესაძლოა, საქართველო ახალი ტერიტორიული პრობლემის წინაშე აღმოჩნდეს — სერიოზული საუბრები მიმდინარეობს იმის თაობაზე, რომ თურქეთმა შეიძლება აჭარის რეალური ავტომონია მოითხოვოს. გასული წლის აგვისტოში თურქეთის პრემიერ-მინისტრი ერდოღანი მოსკოვში ვიზიტად ჩავიდა და რუსეთს სთხოვა, ყარსის ხელშეკრულების თანახმად, დაკისრებულ გარანტორის როლზე უარი ეთქვა. მაშინ განბილებული წავიდა, თუმცა ერთი თვის წინ კვლავ ეწვია მოსკოვს... დაზუსტებით იმის თქმა, რით დასრულდა მოლაპარაკებები და რას შეჰპირდნენ, ამჯერად არ შემიძლია. თუმცა ფაქტია: ამ ვიზიტის შემდეგ რუსეთის საგარეო საქმეთა უწყებამ ოფიციალურად აცნობა თურქეთს, რომ არ გამორიცხავს გარანტორის როლზე უარის თქმას. ჩვენი ქვეყნისთვის კი, როგორც უწინაც არაერთხელ აღვნიშნე, ამას ერთობ სახიფათო შედეგები ექნება — მით უფრო, რომ თურქეთი, სავარაუდოდ, ამით არ დაკმაყოფილდება და მხარს დაუჭერს საქართველოში კომპაქტურად მოსახლე აზერბაიჯანელების მოთხოვნას კონფედერაციის შექმნის თაობაზე“.***

ახლა კი ბატონ გელა ბეჟუაშვილს კიდევ ერთ ინფრომაციას ვთავაზობ: **2009 წლის 11 თებერვალს თურქეთის დედაქალაქ ანკარაში მუშაობა დაასრულა საქართველოს აზერბაიჯანელთა ნაციონალური ასამბლეის (НААГ) საერთაშორისო ფორუმმა,** რომელშიც მონაწილეობდნენ თურქეთსა და თურქეთის ჩრდილოეთ კვიპროსის რესპუბლიკაში მცხოვრები ნაციონალური ასამბლეის აქტივისტები და წევრები, ასევე, თურქ-მესხთა წარმომადგენლები.

გამომსვლელებმა აღნიშნეს, რომ საქართველოში მოსახლე აზერბაიჯანელების ძირითადი პრობლემები გადაუჭრელი რჩება, აზერბაიჯანელებით დასახლებული რაიონების სოციალ-ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური საკითხების გადაჭრის უნარი საქართველოს ხელისუფლებას არ შესწევს. ფორუმის მონაწილეებმა განაცხადეს, რომ საქართველოს ხელისუფლება ქვეყანაში აზერბაიჯანული სკოლების ლიკვიდაციას ცდილობს, ამ პროცესის შესაჩერებლად კი საჭიროა მოცემული პოლიტიკის მიმართ საერთაშორისო საინფორმაციო ომის გაჩაღება და ამ საკითხის წამოყენება გაეროში, ეუთოში, ნატოს საპარლამენტო ასამბლეასა და ევროსაბჭოში როგორც აზერბაიჯანელების ნაციონალური დისკრიმინაციისა და შოვინიზმის ფაქტისა. ფორუმის მონაწილეებმა საქართველოში არსებულ პოლიტიკურ-საზოგადოებრივ სიტუაციას უაღრესად არასტაბილური და ფეთქებადსაშიში უწოდეს. **აღნიშნეს, რომ არასტაბილურ პოლიტიკურ სიტუაციაზე ერთნაირად პასუხისმგებელია პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილიცა და რადიკალური ოპოზიციაც.**

ფორუმის მონაწილეებმა თურქი-მესხების დაბრუნების პროცესს მისაღები უწოდეს და აღნიშნეს, რომ მას ბევრი საიდუმლო მხარე აქვს. ფორუმის მუშაობის მსვლელობისას აღინიშნა: **„საქართველოს აზერბაიჯანელთა ნაციონალური ასამბლეა საქარველოს ნატოში გაწევრების წინააღმდეგი და საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ნეიტრალიტეტის მომხრეა. ნატოსკენ საქართველოს სწრაფვა იგივეა, რომ სახელმწიფოს ღრმა სამარე გაუთხარო! საქართველოს ტერიტორიაზე საქართველოს შეიარაღებული ძალები უნდა იმყოფებოდნენ.“**

ფორუმზე სიტყვით გამოსულმა **ნაციონალური ასამბლეის პრეზიდენტმა დაშლიგ გიულმამედოვმა** (რომელიც რამდენიმე დღის წინ ბაქოში უშიშროებამ დააპატიმრა!) აღნიშნა: **„საქართველოში მოსახლე აზერბაიჯანელები საქართველოს ხელისუფლების ფარულ შოვინიზმს პირისპირ შეეჯახნენ. მათ საქართველოდან ჩვენი გაძევება, ჩვენი მიწების მიტაცება, ჩვენს სახლებში ცხოვრებისა და მშობლიურ ენაზე სწავლების უფლების წართმევა სურთ. ამ ფარულ პოლიტიკას ვერ მიხვდება მხოლოდ შეშლილი ან თავისი ერის მოღალატე. უნდა ვიბრძოლოთ მშვიდობიანი წინააღმდეგობისა და კონსტიტუციური მეთოდების გზით. საქართველოს ხელისუფლების დისკრიმინაციული პოლიტიკის გასანეიტრალებლად უნდა მივაღწიოთ აზერბაიჯანული ენის მესამე სახელმწიფო ენად გამოცხადებას. თუ რომელიმე აზერბაიჯანელი ამის წინააღმდეგ გამოვა, ესე იგი ის თავისი ხალხისა და ნაციის მტერია! საქართველოს სახელმწიფოებრიობის გადარჩენა, ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების ჭრილში აფხაზური და სამხრეთოსეთური კონფლიქტების გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს კონფედერაციის შექმნით, რომლის შემადგენლობაშიც შევლენ საქართველო, აჭარა, სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი. ნაციონალური ასამბლეა საქართველოს კონფედერაციის შექმნის საკითხს აყენებს. ჩვენი მიზანია, ამ კონფედერაციაში აზერბაიჯანული ენა ერთ-ერთ სახელმწიფო ენად გამოცხადდეს.“**

საინტერესოა, არა, ბატონო მთავარო მზვერავო?! ან იქნებ ეს თქვენთვის ახალი ამბავი არცაა? მე დავუშვი კიდეც ის აზრი, რომ შესაძლოა, თქვენთვის ეს ცნობილი ყოფილიყო, რადგან, ბევრისგან განსხვავებით, გაზეთებსაც კითხულობთ და მედიაში გამოქვეყნებულ ინფორმაციასაც ადევნებთ თვალს. მაშინ, ნება მიბოძეთ, გკითხოთ: **თქვენს მოხსენებაში რატომაა ლაპარაკი მხოლოდ რუს ჯაშუშებსა და რუსეთის აგრესიაზე და სრულებით არ არის ნახსენები ეს შენელებული მოქმედების „ბომბი,“ რომლის ტაიმერიც უკვე ჩაირთო?..** და ეს ბომბი რომ აფეთქდება, **არ გეშინიათ**? თქვენ ხომ სერიოზულად **გისაყვედურებენ,** მიუხედავად იმისა, რომ **„უშიშარი და დაუმუნათებელი“** ხართ?!

ამიტომ უანგაროდ გადმოგცემთ ერთ დოკუმენტს, რომელიც მე, უბრალო ჟურნალისტ-პოლიტოლოგმა, ჩემი კომპეტენტური წყაროებიდან შევიტყვე.

მაშ ასე: თქვენს წინაშეა **თურქეთის დაზვერვის 10 პრიორიტეტი!!!**

იცოდეთ, რომ **თურქეთის ნაციონალური სადაზვერვო ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ დაასახელა 10 რეგიონი, რომლებიც თურქეთის საგარეო დაზვერვისთვის პრიორიტეტულ ინტერესს წარმოადგენს. ამიტომაც აუცილებელია მათი შესწავლა „ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული და დემოგრაფიული თვალსაზრისით.“** აი, როგორ გამოიყურება ეს ნუსხა, იმ ძირითადი პრობლემების, მოვლენებისა და პროცესების გამოკვეთით 10 რეგიონში, რომლებსაც, **MIT**-ის ხელმძღვანელთა აზრით, პირველხარისხოვანი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს:

**—კავკასია: რუსეთის ახალი სტრატეგია რეგიონში, საქართველოს ძალისხმევა ნატოში გასაწევრებლად. თურქეთის, სომხეთისა და აზერბაიჯანის ურთიერთობები. მთიანი ყარაბაღის საკითხი.**

— **ბალკანეთი:** დაძაბულობა ყოფილი იუგოსლავიის სახელმწიფოთა შორის. კოსოვოს დამოუკიდებლობა. სერბეთისა და ხორვატიის შესვლის პროცესი ევროკავშირში. მაკედონიისა და ალბანეთის ევროკავშირში შესვლის გეგმები და ინვესტიციები ამ ქვეყნების ეკონომიკაში;

— **შორეული აღმოსავლეთი და აზია, წყნარი ოკეანის რეგიონი:** აშშ-სა და ევროკავშირთან რეგიონის ქვეყნების ეკონომიკური კონკურენციის გაძლიერება. ჩინეთისა და იაპონიის ბრძოლა და საქმიანობა. ტერორისტული საქმიანობა ავღანეთში;

— **ახლო აღმოსავლეთი:** ირანისა და ლიბანის განვითარება. პალესტინა-ისრაელის საკითხი. ირანის ძალისხმევა ატომური ელექტროსადგურის მშენებლობისთვის. სირიის მოქმედების კურსი რეგიონში. ცვლილებები არაბეთის ნახევარკუნძულის საემიროების ხელისუფლებაში;

— **ხმელთაშუა ზღვა: კვიპროსის საკითხი. ენერგომატარებლების კონცენტრაცია ხმელთაშუა ზღვის რეგიონში. შეთანხმება ეგვიპტესა და საბერძნეთის კვიპროსს შორის ნავთობის მოპოვების შესახებ ხმელთაშუა ზღვის საკონტინენტო შელფზე. გაზსადენები: ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი და სამსუნ-ჯეიჰანი.**

— **ეგეოსის ზღვა:** თურქეთსა და საბერძნეთს შორის საჰაერო სივრცეზე პასუხისმგებლობის ზონების დემილიტაცია. საკონტინენტო შელფის რესურსების საკითხი;

— **შავი ზღვა: ნავთობის მარაგი შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში და ახალი საბადოების ძიება. მომიჯნავე სახელმწიფოების შეჯიბრი გაზსადენის პარალელურ მშენებლობაში ენერგომატარებლების ტრანსპორტირებისთვის.**

— **აფრიკა:** ბურუნდის, ანგოლის, სიერა-ლეონეს, ეთიოპიის, ერიტრესა და კონგოს კრიზისები, რომლებიც შესაძლოა, სამოქალაქო ომებში გადაიზარდოს. თურქეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნებს შორის კავშირების განმტკიცება ტექსტილის მრეწველობაში ექსპორტისა და ინვესტიციების გზით;

— **წითელი ზღვა და ადენის სრუტე:** კომუნიკაციის სტრატეგიულ ხაზებზე კონტროლის პრობლემები, ნავთობისა და ბუნებრივი აირის ტრანზიტის უზრუნველყოფა. ამ პროცესის ფარგლებში ფრეგატის გაგზავნა ადენის ყურეში.

— **შუა აზია და კასპიის აუზი:** ნავთობისა და ბუნებრივი აირის მარაგის ნაკვეთი. ახალი შესაძლო გაზსადენების გაყვანა. რუსეთ-ჩინეთის ენერგეტიკული ხელშეკრულებანი. კასპიის რეგიონის ნავთობისა და გაზის სიმდიდრეების მოპოვება და ბაზრისთვის მიწოდება.

ამგვარად, **MIT**-ის ხელმძღვანელობის მიერ მისი პრიორიტეტული ყურადღების 10 რეგიონის აღნიშვნა, მათზე მიერთებული პრობლემებისა და საკითხების მითითებით, იმაზე მეტყველებს, რომ თურქეთის დაზვერვამ, რომელსაც ძლიერი და მრავალპროფილიანი სპეცსამსახურის რეპუტაცია აქვს, განიზრახა ერთობ ფართო სპექტრის ამოცანების გადაწყვეტა ყველა მეზობელ და შორეულ რეგიონშიც კი. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ **MIT**-ის სამუშაო პროგრამაში უმთავრესი ადგილი უკავია ნახშირწყალბადის ნედლეულის მოპოვებისა და ტრანზიტის საკითხებს. **ეს დამატებითი დასტურია იმისა, რომ თურქეთს განზრახული აქვს, რაც შეიძლება ფართოდ გამოიყენოს თავისი სტრატეგიული მდებარეობა ენერგორესურსებით მდიდარი რეგიონებისა და ენერგომატარებლების ტრანზიტის მნიშვნელოვანი გზების სიახლოვეს.**

აი, რისთვის უნდა მიექცია ყურადღება საქართველოს მთავარ მზვერავს, რათა შემდგომ უშიშარ და დაუმუნათებელ ცრუპენტელად არ მონათლონ! ***„ვურჩევ ყველას, განსაკუთრებით, ჩვენს პოლიტიკოსებსა და ანალიტიკოსებს, შეწყვიტონ ლაპარაკი აგენტებსა და რუსეთის ახალ აგრესიაზე; მორჩნენ იმის მტკიცებას, რომ ყოველივე მომხდარის უკან რუსეთი დგას — ჯობს, დაკავდნენ იმ სერიოზული პრობლემებით, რომლებიც რეალურად დგას საქართველოს წინაშე. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ საქართველოს პოლიტიკური ისტებლიშმენტის ნაწილმა სააკაშვილი კრემლის აგენტად გამოაცხადა, რომელიც პუტინის მითითებებით მოქმედებს!.. რაც შეეხება ზოგიერთი სტრატეგიული ეკონომიკური ობიექტის რუსი ბიზნესმენებისთვის გადაცემას, რომლებსაც მართლაც აქვთ ეკონომიკური ინტერესები საქართველოში, არ ვარ დარწმუნებული, რომ ამის უკან არ დგანან ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები, რომელთათვისაც მთავარი ფულია! რუსი ბიზნესმენების გარდა კი ამ ობიექტებში ფულს არავინ გადაიხდის“...*** — ეს სიტყვებიც ალექსანდრე ჭაჭიას ეკუთვნის უკვე ნახსენები ინტერვიუდან.

**ინტერნეტის, კოსმოსური დაზვერვისა და ნანოტექნოლოგიების საუკუნეში რუს აგენტებსა და ჯაშუშებზე საუბარი პატარა საქართველოში, რომელსაც რუსეთთან 900-კმ-იანი საერთო საზღვარი აქვს; საქართველოში, სადაც ცხოვრობს რფ-ის 80 ათასი მოქალაქე და თანამემამულე, ხოლო თავად რუსეთში — მილიონ-ნახევარი ქართველი; სადაც რუსეთის რეგულარული ჯარები დედაქალაქიდან 35 კმ-ში დგანან; სადაც საგარეო საქმეთა მინისტრი, ბატონი ვაშაძე რუსეთის მოქალაქეა, ხოლო უმაღლესი რანგის თანამდებობის პირები სხვადასხვა ქვეყნის — ისრაელიდან დაწყებული, ბრიტანეთით დამთავრებული — მოქალაქეები არიან; ქვეყანაში, სადაც მეექვსე წელია, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი, პენტაგონი და „ცე-რე-უ“ (CIA) აკონტროლებენ და აფინანსებენ თითქმის ყველას და ყველაფერს — ხელისუფელბას, ოპოზიციას, ექსპერტებს, არმიას, შინაგან საქმეთა ორგანოებს, მედიას — სულ რომ არაფერი, სასაცილოა!**

**P.S. „ხელისუფლების კონტროლი მედიაზე განსაკუთრებით თვალსაჩინოა „რუსთავი 2“-ის მაგალითზე. ტელეკომპანიის აქციათა უმეტესობის მფლობელი მარშალის კუნძულებზე რეგისტრირებული კომპანია „GEOMEDIA group“-ია, რომელსაც მმართველი პარტიის წევრი დავით ბეჟუაშვილი და მისი ძმა გელა აკონტროლებენ. ამავე დროს, გელა ბეჟუაშვილი საქართველოს საგარეო დაზვერვას უდგას სათავეში“, — წერდა „ნიუ-იორკ ტაიმსი“ (The New York Times) გასული წლის ოქტომბერში... FINITA LA GEOMEDIA!**

## მერაბ ჩიკაშვილი:

# საზოგადოებამ წითელი აუნთო ხელისუფლებას

**ბოლო რამდენიმე დღეა, თბილისის ქუჩებში პლაკატები გაჩნდა წარწერით — „რატომ“? ითქვა, რომ 9 აპრილის მოახლოებასთან დაკავშირებით, ეს იდეა ხელისუფლებას ეკუთვნოდა, თუმცა, არსებობდა მოსაზრება, რომ ეს ოპოზიციური სპექტრის შემოქმედების ნაყოფი იყო. როგორც გაირკვა, იდეა „რატომ“ ახლად შექმნილ ორგანიზაციას — „სამოქალაქო წინააღმდეგობა რატომ“ — ეკუთვნის, რომლის დამფუძნებლებიც არიან: მერაბ ჩიკაშვილი, დათო ფაცაცია, ირაკლი კორძაია, ნათია ქობალია, ლუკა წულაძე და ზურა ქადაგიძე. „საქართველო და მსოფლიო“ ორგანიზაციის ერთ-ერთ დამფუძნებელს მერაბ ჩიკაშვილს ესაუბრა.**

— **რა გახდა თქვენი მოძრაობის შექმნის მიზეზი?**

— საზოგადოებაში პროტესტმა კულმინაციას მიაღწია. ქუჩაში ნებისმიერი ადამიანი რომ გააჩეროთ, უამრავ შეკითხვას დასვამს, რაც ხელისუფლების დანაშაულებრივ ქმედებებს ეხება. სწორედ აქედან მოდის ჩვენი იდეა და ორგანიზაციის მთავარ სლოგანადაც ამიტომ იქცა კითხვა — რატომ?! უმთავრეს შეკითხვებზე ხელისუფალთაგან ტყუილი პასუხები კი არ უნდა ვისმინოთ, არამედ თითოეულმა მათგანმა პასუხი უნდა აგოს მის მიერ ჩადენილი ყველა დანაშაულის გამო.

— **თავად თუ გაქვთ პასუხი შეკითხვაზე „რატომ“?**

— რა თქმა უნდა, ჩვენი უმთავრესი პასუხია „იმიტომ“! რადგან ამ ქვეყნის პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი აღარ უნდა იყოს. აქვე გეტყვით, რომ ჩვენ თითიდან გამოწოვილ თემებზე არ დავსვამთ შეკითხვებს და იმაშიც დარწმუნებულები ვართ, რომ პასუხს ვერც ერთი ჩინოვნიკი ვერ გაგვცემს.

— **როგორია თქვენი გეგმები?**

— ჩვენი ერთადერთი იარაღი სამშვიდობო პროტესტი და პოსტერებია, რომლებიც კვლავაც გამოჩნდება ქალაქში. პოსტერს „რატომ“ მოჰყვება ლოგიკური გაგრძელება.

— **თავიდან ქალაქში ამ პოსტერების გამოჩენამ ერთგვარი გაურკვევლობა გამოიწვია....**

— რომ არ დაგიმალოთ, ჩვენი მიზანიც ეს იყო... უნდა მოხდეს საზოგადოების კონსოლიდაცია და იცით, რატომ? — იმიტომ, რომ მიხეილ სააკაშვილი მშვიდობიანი გზით ჩამოვაცილოთ ხელისუფლებას. კითხვა, რომელიც ჩვენ დავსვით, დააფიქრებს საზოგადოებას, თუ რატომ ვართ ასეთ მდგომარეობაში. როგორც ხედავთ, ფერებიც ისეა შერჩეული, რომ საზოგადოების ყურადღება მიიპყროს და, ვფიქრობ, მიზანს მივაღწიეთ. გაჩნდა კითხვა, ვის ეკუთვნის ეს წითელი კითხვის ნიშანი? ჩვენი სურვილია, ხელისუფლების წარმომადგენლებმა უპასუხოდ არც ერთი კითხვა არ დატოვონ. ეს არ არის ის წითელი ბარათი, რომელსაც სპორტსმენებს უჩვენებენ, ეს საზოგადოების მიერ ხელისუფლებისთვის ნაჩვენები წითელი ბარათია!

— **ფიქრობთ, საზოგადოებამ ხელისუფლებას „წითელი აუნთო“?**

— რა თქმა უნდა! მართალია, ეს ცოტა ადრე მოხდა, მაგრამ 7 ნოემბრისა და აგვისტოს მოვლენების შემდეგ საზოგადოების პროტესტმა პიკს მიაღწია.

— **რა კითხვებს დაუსვამთ, თუნდაც ჩვენი გაზეთის ფურცლებიდან, ხელისუფლებას?**

— კითხვებზე, რომლებსაც ჩვენ ვსვამთ, კარგა ხანია, ხალხი ხელისუფლებისაგან პასუხს მოელის:

რატომ მოკლეს სანდრო გირგვლიანი? რატომ მოკლეს როინ შავაძე? რატომ დახვრიტეს ბუტა რობაქიძე?.. რატომ ხვრეტენ ქუჩაში ადამიანებს? რატომ ხდება ქონების უკანონოდ ჩამორთმევა? რატომ იყო დაკავებული ხელისუფლება საკუთარი ოჯახების ევაკუაციით მაშინ, როცა გორში მშვიდობიანი მოქალაქეები იღუპებოდნენ?..

გაიხსენეთ პარლამენტის შეშინებული თავმჯდომარის გამოსვლა — აიღეთ ქვაბი, ცოცხი, ტაფა და რუსეთს ეომეთო... ერთი თვის მერე ეს კაცი გმირი ხდება, ჩვენ კი ლაჩრებს გვიწოდებს. რატომ, ძმაო?!.

რატომ ხდება ადამიანების ინტერესების უგულებელყოფა?! რატომ რჩებიან დევნილები ქუჩაში? რატომ ყიდიან ეროვნულ ინტერესებს?..

ყველა ამ დანაშაულისთვის ხელისუფლებამ პასუხი უნდა აგოს — უპირველესად, მიხეილ სააკაშვილი რაც შეიძლება მალე და მშვიდობიანად წავიდეს საქართველოდან!

— **ითქვა, რომ თქვენი მოძრაობა თანამედროვე „კმარაა“, ხელწერით მართლა ემსგავსებით „კმარელებს“...**

— „კმარა“ იყო პროექტი, რომელიც ფინანსდებოდა გარედან. „რატომ?“ კი მეგობრებმა შევქმენით. ძირითადად, ჩვენვე ვაფინანსებთ მას, რადგან ყველას გვაქვს პროფესია, საქმიანობის სფერო. გაგვაერთიანა რა არსებულმა ვითარებამ, ფუნქციონირებას გავაგრძელებთ შემდგომი ხელისუფლების პირობებშიც.

— **9 აპრილს აქციაში მიიღებთ მონაწილეობას?**

— რა თქმა უნდა. ეს არის დღე, როდესაც მთელ მსოფლიოს უნდა დავანახვოთ, რა გვინდა და რისთვის ვიბრძვით. ჩვენ მოვითხოვთ და ვაიძულებთ ხელისუფლებას, გადადგეს! არსებობს შიში, რომ ისინი უსისხლოდ არ წავლენ, ამიტომ ყველა უნდა გავერთიანდეთ, ხელისუფლებამ საზოგადოებაზე ხელის აღმართვა რომ ვეღარ გაბედოს.

ესაუბრა
**მანანა ჩხეიძე**



გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ოპოზიციის კიდევ რამდენ აქტივისტს და ლიდერს უკრავენ ციხეში თავს?!

**9 აპრილის მოლოდინში საზოგადოების დიდი ნაწილი ქუჩის აქციებისთვის ემზადება, ბურჯანაძის პარტია კი, როგორც შსს გვარწმუნებს, — შეიარაღებული გადატრიალებისთვის. მერაბიშვილის თანამშრომლებმა ბურჯანაძის 10 თანაპარტიელი იარაღის უკანონო შესყიდვა-შენახვის ბრალდებით დააკავეს, რის შემდეგაც „ქუთაისელი კეკელკა“ *(ასე უწოდებდა მას ზურაბ ჟვანია)***
**ჩვეული ტონითა და მარგალიტის ყელსაბამით კამერების წინაშე წარდგა და მომხდარს პოლიტიკური დევნა უწოდა. საზღვრების დამცველმა მისმა მეუღლემ კი განაცხადა, — ვანო მერაბიშვილმა დამირეკა და გამაფრთხილა: მიშა შენს დაპატიმრებას დაჟინებით მთხოვს და იქნებ ერთი თვით საქართველოდან „დაახვიოო“.**

ბადრიმ და ფქვილის პრინცესამ თავი გამოიდეს — ჩვენ საქართველოდან წასვლას არ ვაპირებთ და მიშასგან საქართველოს გასათავისუფლებლად სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვიბრძოლებთო. არც ის გაგვიკვირდება, თუ ცენტრალურ ოფისში ჩხრეკას ჩაატარებენ, ან ჩემს ჯიბეში ნარკოტიკს აღმოაჩენენო... ქვეყნის სიყვარულზე დებს თავს ნინა ანზოროვნა და ყოფილი თანამებრძოლებისგან სამშობლოს გათავისუფლებას ვაჟის ნარკომანი მეგობრების დახმარებით აპირებს *(ჩვენ არაფერს ვამტკიცებთ, თუმცა, შს სამინისტროს მიერ გავრცელებულ ჩანაწერებში ნათლად ჩანს, რომ ეს ახალგაზრდები ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ იყვნენ)*... **ნინო ბურჯანაძე დღეს რომ აცხადებს, — ყველამ კარგად იცის, როგორ მზადდება მსგავსი ჩანაწერებიო, — საინტერესოა, სირცხვილის გრძნობა არ აწუხებს?! დიახ, მან მართლაც კარგად იცის, როგორ თხზავდა გასულ წელს მისი და მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლება ზღაპრებს იმის შესახებ, რომ, თურმე, ოპოზიცია სახელმწიფო შეთქმულებას გეგმავდა და შემდეგ ქართველი ფელინის — ნიკა გვარამიას რეჟისორობით შექმნილ ფილმს საათში თორმეტჯერ გვიჩვენებდნენ.** შარშან პოლიტიკოსები აგენტებად მხოლოდ იმიტომ შერაცხეს, რომ რუსეთის საელჩოს თანამშრომლებს რუსულად ელაპარაკებოდნენ... **მაშინ ნინო ბურჯანაძე მკაცრი გამომეტყველებით აცხადებდა, რომ აგენტებს ხელს არ ჩამოართმევდა...**

დღეს ბურჯანაძე მისი თანაპარტიელების დაპატიმრებას პოლიტიკურ დევნას უწოდებს. **საინტერესოა, რატომ ჰგონია ამ ქალბატონს ქართველი საზოგადოება ბრიყვი?! მან და მისმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა კისრისტეხით რომ შეყარეს ციხეებში შევარდნაძის ჩინოვნიკები და ზოგიერთ მათგანს ბრალიც ვერ დაუდასტურეს, ეს არ იყო პოლიტიკური დევნა?!**

ქალბატონმა ნინომ პოლიტიკურ დევნაზე საუბრისას, იქნებ,



ერთი კონკრეტული ფაქტი მაინც გაიხსენოს. **სულხან მოლაშვილმა, რომელსაც ხელისუფლებამ ციხეში ლამის წამებით ამოხადა სული, საჯაროდ განაცხადა: ბურჯანაძის ოჯახმა გოჩა მარტინენკოს პირით შემომითვალა, — მილიონს თუ მოგვიტან, ხელს არავინ გახლებსო!!!** ალბათ, არ გესიამოვნებათ წარსული ცოდვების შეხსენება, ქალბატონო ნინო, მაგრამ წარსულს რომ ვერსად გაექცევით, ამასაც სიამოვნებით შეგახსენებთ. **თქვენ მიხეილ სააკაშვილთან ერთად 7 ნოემბერი მოუწყვეთ ქართველ ხალხს, მერე ნახევრად დამწუხრებული, მარგარეტ ტეტჩერის მკაცრი გამომეტყველებითა და მარგალიტებით *(მარგალიტის მძივის გაკეთება უმძიმეს მომენტებშიც არ გავიწყდებათ)*** ტელევიზიითაც გამობრძანდით და განაცხადეთ, — მე და პრეზიდენტმა საკმაოდ მძიმე გადაწყვეტილება მივიღეთო...

აქ რა მოსატანია, მაგრამ სააკაშვილის გარემოცვა კულუარებში უკვე ქირქილებს იმაზე, რომ, თურმე, 7 ნოემბერს საქართველოს ჰალსტუხიჭამია პრეზიდენტს სულ რაღაც სამიოდე ჰალსტუხი შემოეჭამა. ბუნებრივია, იკითხავთ — სამი ჰალსტუხი როგორ ან რატომ შეჭამაო? მიშისტების ახსნა ასეთია: სააკაშვილს ეგონა, ხალხის დარბევა რომ დაიწყებოდა, რუსთაველზე 2 ათას კაცზე მეტი არ დარჩებოდა, ხალხს საბოლოოდ „დააჩმორებდა“ და ოპოზიცია კარგა ხანს რუსთაველზე გასეირნებასაც კი ვეღარ გაბედავდა, მაგრამ ათიათასობით ქართველმა რომ მოიყარა თავი, მერე გვარიანად შეშინდა მიშა და ჰალსტუხს ჰალსტუხზე ღეჭავდა... ნათქვამია, შიშს დიდი თვალები აქვსო... ასეა... სააკაშვილი დღესაც შეშინებულია და ხელისუფლება რომ აგონიაშია, ეს ნათლად ჩანს მის ყველა ქმედებაში. მართალია, სააკაშვილის ხელისუფლებამ ნულთან მიახლოებული რეიტინგი მიწასთან გაასწორა, მაგრამ ამით საკუთარ რეიტინგს რომ ვერაფერს უშველის, ესეც ხომ ცხადია. **კულუარებიდან შემდეგი ინფორმაციაც ჟონავს: ბურჯანაძის თანაპარტიელების დაპატიმრება და მათზე კომპრომატების გამოქვეყნება მხოლოდ ჟურნალია, კინო აწი იწყება...** როგორც ჩანს, „ნაცების“ კომპრომატების არსენალი საკმაოდ მდიდარია და სააკაშვილის ხელისუფლებისგან დაზაფრულ საზოგადოებას მძაფრსიუჟეტიანი სიურპრიზები ახლო მომავალში არ მოაკლდება... **ახლა მთავარი კითხვაა — ვინ იქნება შემდეგი და ოპოზიციის კიდევ რამდენ აქტივისტს ან ლიდერს უკრავენ ციხეში თავს?!**

**მანანა ჩხეიძე**

# რა უფრო საშიშია: ბენ ლადენი თუ უმეცრება?

**ჯერ კიდევ 1837 წელს რალფ ვოლდომ გამოთქვა მოსაზრება, რომ „ჩვენი ქვეყნის გონება, მიჩვეული დაბალ მატერიებთან მიმართებას, თავის თავს შიგნიდან ღრღნის“. დღეს ცუდისაკენ რადიკალურად შეცვლილი ამერიკისათვის მისი სიტყვები მწარე წინასწარმეტყველებად იქცა. სულიერების თვალსაზრისით დიდ უბედურებაში აღმოვჩნდით — დიდი შრომის ფასად შეძენილი და დაგროვილი ჩვენი ინტელექტუალური კაპიტალი ანტიინტელექტუალიზმისა და ანტირაციონალიზმის შხამიან ნარევში ქრება.**

ჩვენი პოლიტიკოსები დღეს ხშირად მოიხსენიებენ ამერიკელებს „ბიჭებად“ (აქაოდა, ჩვენ აქ ყველანი უბრალო ხალხი ვართო). ვერც ერთი პრეზიდენტის მნიშვნელოვან გამოსვლაში 1980 წლამდე თქვენ მსგავს მიმართვას ვერ აღმოაჩენთ.

როცა „უბრალო ბიჭის“ იმიჯი ეტალონად იქცევა, რომელ ეპოქაზეც უნდა იყოს საუბარი, ეს ანტიინტელექტუალიზმის გამოკვეთილი გამოვლინებაა. კლასიკური ნაშრომი ამ თემაზე — „ანტიინტელექტუალიზმი ამერიკის ცხოვრებაში“, რომლის ავტორი კოლუმბიის უნივერსიტეტის ისტორიკოსი რიჩარდ ხოფსტედტერია, გამოვიდა 1963 წელს. მისი აზრით, ანტიინტელექტუალიზმის გამოვლენამ ამერიკაში ციკლური ხასიათი მიიღო და რელიგიასა და განათლების სფეროში დემოკრატიზაციის დამკვიდრების საპირისპირო ქმედებად იქცა. მაგრამ თანამედროვე ინტელექტუალიზმი უფრო გვაგონებს არა „მოქცევას“, არამედ საყოველთაო „ჩაძირვას“. ხოფსტედტერი დღეს რომ ცოცხალი ყოფილიყო, გადაამუშავებდა რა თავის წიგნს, ახალი რეალიების გათვალისწინებით, აღმოაჩენდა, რომ ჩვენი ეპოქა მისი ყველაზე საშინელი პროგნოზებისაგან წარმოიშვა.

სენატორ დანიელ პატრიკ მოინიხენის პერიფრაზით, შეიძლება ვთქვათ, რომ „მოთმინების დონე“ უკვე რამდენიმე ათეული წელია, მონოტონურად იზრდება სხვადასხვა ფაქტორის ხარჯზე; მათ შორის — ბეჭდვით სიტყვაზე „ვიდეოკულტურის“ ტრიუმფის; ამერიკაში ფორმალურად მზარდი განათლების დონისა და ჩვენი თანამემამულეების მიერ აშკარა შეუთავსებლობის; გეოგრაფიის, ისტორიისა და სხვა მეცნიერებების ელემენტარული საფუძვლების სუსტი ცოდნის და, ბოლოს, ანტიინტელექტუალიზმის ანტირაციონალიზმში შერევის ხარჯზე.

**ამჟამინდელი ანტიინტელექტუალიზმის მთავარ მამოძრავებელ ძალად ვიდეოკულტურა იქცა. ის ფაქტი, რომ დღეს ნაკლებად კითხულობენ წიგნებს, გაზეთებსა და ჟურნალებს, არავისთვის წარმოადგენს სიახლეს. განსაკუთრებული ძალით ეს ტენდენცია ახალგაზრდებში შეინიშნება, მაგრამ დროსთან ერთად თანდათან ყველა ამერიკელზე ვრცელდება, ასაკისა და განათლების მიუხედავად.**

1982 წელს უმაღლესი განათლების მქონე ადამიანთა 82% კითხულობდა პოეზიასა და პროზას საკუთარი სიამოვნებისათვის, 20 წლის განმავლობაში ეს მაჩვენებელი დაეცა 67%-მდე. 40%-ზე მეტი ამერიკელი (44 წლამდე ახალგაზრდა) წელიწადში ერთ წიგნსაც არ კითხულობს — არც მხატვრულს და არც სამეცნიეროს. ამ მხრივ ჩვიდმეტი წლის ახალგაზრდების პროცენტული მაჩვენებელი 1984 წლიდან 2004 წლამდე ორჯერ გაიზარდა. ამ პერიოდში ჩვენს ცხოვრებაში პერსონალური კომპიუტერი, ინტერნეტი და ვიდეოთამაშები შემოვიდა.




**ნუთუ ასე მნიშვნელოვანია ყველაფერი ეს? ვაშინგტონის უნივერსიტეტის მეცნიერებმა ჩაატარეს გამოკვლევა და მივიდნენ დასკვნამდე, რომ რვიდან თექვსმეტ წლამდე ასაკის მოზარდების გონება (ვიდეოსთან გატარებულ ყოველ საათზე) საშუალოდ 6-8 სიტყვით ნაკლებს იმახსოვრებს.**

მე, რა თქმა უნდა, არ მაქვს მეცნიერული მტკიცებულებანი იმისა, რომ საათობით კომპიუტერთან ჯდომასთან შედარებით თავგადაკლული კითხვა უფრო ეფექტიანი საშუალებაა, უკეთ ინფორმირებული რომ იყო. ჩემის აზრით, ინტერნეტში „ბლიცვიზიტების“ გამოა, რომ ხალხს არ ახსოვს თუნდაც ახალ ამბებში სულ ახლახან მოხვედრილი მოვლენების სათაურებიც კი.

„ვიდეოკულტურის“ მომხმარებელთა სულ უფრო მეტ გაღიზიანებას იწვევს „წერილობითი ტექსტები“, რომლებიც მაქსიმალურად „შეკუმშული ფორმით“ არის წარმოდგენილი. ჰარვარდის უნივერსიტეტის მეცნიერთა მონაცემების მიხედვით, 1968 წლიდან 1988 წლამდე „ხმოვანი ფრაგმენტის“ საშუალო ხანგრძლივობა 42,3-დან 9,8 წამამდე შემცირდა; 2000 წლის კიდევ ერთი გამოკვლევით, ყოველდღიური „აუდიოფრაგმენტი“ 7,8 წამამდე დავიდა.

**ადამიანებისათვის ყურადღების კონცენტრაციის ხანგრძლივობის შემცირება მჭიდროდ უკავშირდება მეორე მოახლოებულ საშიშროებას — ანტიინტელექტუალიზმს ამერიკაში, განათლების საერთო დონის დაცემას.**

ალბათ, ძნელია იმის წარმოდგენა, რამდენ ძალას ხარჯავდა პრეზიდენტი რუზველტი საიმისოდ, რომ აეხსნა თანამოძმეთათვის, მარცხს მარცხზე რატომ განიცდიდნენ აშშ-ის შეიარაღებული ძალები წყნარ ოკეანეში. 1942 წლის თებერვალში მან სთხოვა ამერიკელებს, მისი რადიომიმართვის დროს მოემარჯვებინათ რუკები, რათა მათზე დაკვირვებით ნათელი და ობიექტური წარმოდგენა შეჰქმნოდათ გრანდიოზულ სამხედრო მოქმედებებზე. 80%-მდე ამერიკელი უსმენდა რადიოთი პრეზიდენტს.

2005 წელს ჩატარებული სოციალური გამოკითხვის შედეგების მიხედვით კი, 18-დან 24 წლამდე ამერიკელთა თითქმის ნახევარს სულაც არ მიაჩნია საჭიროდ, იცოდეს, სად მდებარეობს ქვეყანა, სადაც ესა თუ ის მნიშვნელოვანი მოვლენები მიმდინარეობს. მესამედზე მეტმა რესპონდენტმა განაცხადა, რომ უცხო ენების ცოდნა საერთოდ არაა საჭირო. მხოლოდ 14%-მა ჩათვალა ეს „ძალიან მნიშვნელოვნად“.

**საგანგაშოა, რომ ბევრი ჩვენი თვითკმაყოფილი თანამემამულე აცხადებს, რომ მსგავსი რაღაცების ცოდნა მას არ სჭირდება. ეს უვიცობა ანტირაციონალიზმის გამოვლენაა. ანტირაციონალიზმისა და უმეცრების ტოქსიკური „კოქტეილი“ პოლიტიკური საკითხების ყველა სპექტრში წამლავს საზოგადოებრივ დისკუსიებს.**

ამ ეპიდემიის დასამარცხებლად უბრალო მეთოდები არ არსებობს. სტანდარტულ გამოცდებზე საშუალო ქულები რომ გავზარდოთ ან კონკრეტული ტესტის შეკითხვებზე მოსწავლეებს თავში სწორი პასუხები „ჩავუტენოთ“, საქმეს არ უშველის. დიდი ხანია, დრო დადგა, მოეწყოს საერთოეროვნული დისკუსია — ჩვენ, ამერიკელები, ვანიჭებთ თუ არა მნიშვნელობას ცოდნასა და ინტელექტს.

**სიუზენ ჯეკობი**
**„ვაშინგტონ პოსტი“, აშშ.**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს დ.ა. მედვედევს



**ღრმად პატივცემულო დიმიტრი ანატოლის ძევ!**

მრავალწლიანი კრიზისი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში, რამაც 2008 წლის აგვისტოს ტრაგედიამდე და ჩვენს ქვეყნებს შორის დიპლომატიურ ურთიერთობათა გაწყვეტამდე მიგვიყვანა, დიდად აშფოთებს ქართული საზოგადოებრიობის პატრიოტულ ნაწილს. ჩვენ ნათლად ვათვითცნობიერებთ, რომ დაძაბული სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობანი, ეკონომიკური, კულტურული და სამეცნიერო კავშირების უქონლობა, ადრე თუ გვიან, მიგვიყვანენ კატასტროფამდე — ჩვენი ხალხების ერთი მეორისაგან დაშორებამდე, მით უმეტეს, რომ დღევანდელ ახალგაზრდა თაობას, რომლის მსოფლმხედველობა ყალიბდება უპასუხისმგებლო პოლიტიკანების აღვირახსნილი დემაგოგიისა და მეომრული რიტორიკის ზეგავლენით, მეტად ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს თავისი ქვეყნის რეალურ ისტორიაზე, საერთო ისტორიულ გზაზე, რომელზეც ხელიხელჩაკიდებული მოდიოდნენ ჩვენი დიდი წინაპრები.

ქართველი ხალხის უმრავლესობამ იცის და მადლიერებით იხსენებს რუსეთის დიდ ისტორიულ დამსახურებას ქართველი ერის ფიზიკური განადგურებისაგან გადარჩენაში, ათასობით ჯარისკაცს, ვინც სიცოცხლე გაწირა საქართველოსთვის მისი ოდინდელი მიწების დაბრუნებისათვის, რუსეთის შემოქმედებით დახმარებას საქართველოს ეკონომიკის, მეცნიერების, განათლების განვითარებაში, ეროვნული ინტელიგენციის ფორმირებაში. და ეს არ ყოფილა ცალმხრივი პროცესი. **რუსეთის ისტორიაში სამუდამოდაა ჩაწერილი ათასობით ქართველის სახელი, რომლებმაც ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს რუსეთის სახელმწიფოებრიობის განვითარებაში, რუსეთის, როგორც მსოფლიოს სამხედრო-ეკონომიკური ზესახელმწიფოს ჩამოყალიბებაში, მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების განვითარებაში.** რუსეთის ისტორიაში უკანასკნელი სამასი წლის განმავლობაში არ ყოფილა ომი, რომლებშიც თავი არ დაედოთ საქართველოს ათასობით შვილს — ჯარისკაცებს, ოფიცრებს და გენერლებს. მარტო დიდი სამამულო ომის წლებში სამმილიონიანმა საქართველომ საერთო სამშობლოს დასაცავად თავისი 600 ათასი შვილი გაგზავნა, რომელთაგანაც 300 ათასი ბრძოლის ველიდან არ დაბრუნებულა. რუსეთის ხალხმა იცის და ახსოვს, რომ იმ დიდ ომში უმაღლესი მთავარსარდალი, და ჯარისკაცი, რომელმაც გამარჯვების დროშა აღმართა რეიხსტაგის თავზე, პატარა, მოძმე საქართველოს შვილები იყვნენ.

ამავე დროს, ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი, რამაც განსაზღვრა ჩვენს სახელმწიფოთა შორის ამჟამინდელი ურთიერთობის კატასტროფული მდგომარეობა, არის ორი ათეული წლის განმავლობაში მიმდინარე ჩვენი ქვეყნების ისტორიის დახვეწილი ფალსიფიკაცია, რომელიც გამოიხატება ისტორიული ფაქტების დამახინჯებაში, ისტორიული მოვლენების ყალბ განმარტებაში, ამა თუ იმ ისტორიული მოღვაწის საქმიანობის ცრუ შეფასებებში. ისტორიის მასშტაბური ფალსიფიკაცია მიზნად ისახავს ხალხის ისტორიული მეხსიერების განადგურებას, თაობათა მემკვიდრეობითობის მოსპობას, შედეგად კი — ოდესღაც მოძმე ხალხების ერთმანეთთან წაკიდებას, მათ შორის მტრობის გაღვივებას, სისხლისმღვრელი კონფლიქტების პროვოცირებას და ამ ფონზე მესამე ძალის მიერ თავისი გეოპოლიტიკური მიზნების მიღწევას. საქართველოს საშინაო მდგომარეობა და რუსეთ-საქართველოს ამჟამინდელი ურთიერთობა ამ ცბიერი გეოპოლიტიკური თამაშების სამწუხარო შედეგია.

**იმისათვის, რომ არ დავუშვათ ანტიეროვნული ძალების ხელში ჩვენი ხალხის ბრმა იარაღად გამოყენება, ჩვენ, საქართველოს ინტელიგენციის საშუალო და უფროსი თაობის წარმომადგენლები ვცდილობთ, გავაცოცხლოთ ხალხის ხსოვნაში ჩვენი ქვეყნის დიდი და ტრაგიკული ისტორიის ფურცლები, დავეხმაროთ ახალგაზრდა თაობას, შეიცნოს საკუთარი ხალხის რეალური წარსული.**

ამ მიზნით შევქმენით საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობა“, რომელიც მასშტაბურ მუშაობას აწარმოებს საქართველოს ისტორიის პოპულარიზაციისათვის, მისი დიდმნიშვნელოვანი პერიოდების ობიექტურად გაშუქებისათვის, ამა თუ იმ ისტორიული მოვლენის პოლიტიკური კონიუნქტურის ხელსაყრელად წარმოჩენის მცდელობის დაძლევისათვის. ჩვენ უკვე გამოვაქვეყნეთ და მზადდება დასაბეჭდად უნიკალური ისტორიული დოკუმენტები (სახელმწიფო აქტები, თანამედროვეთა მოგონებები, ბიოგრაფიული მასალები), რომლებიც მოგვითხრობს XVI-XVIII საუკუნეების საქართველოს რეალური მდგომარეობის, რუსი და ქართველი მეომრების ერთობლივი ბრძოლის შესახებ პეტრე პირველისა და ეკატერინე მეორეს მიერ წარმოებულ ომებში, 1812 წლის სამამულო ომში, კავკასიის ომში, ყირიმისა და რუსეთ-თურქეთის ომებში, პირველ მსოფლიო ომსა და 1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში. გამოსაცემად მზადდება ბიოგრაფიული ნარკვევების კრებულები რუსი და ქართველი ხალხების გამოჩენილი წარმომადგენლების — სახელმწიფო მოღვაწეთა, სარდლების, სასულიერო მოღვაწეების, მეცნიერების, ხელოვნების ოსტატთა შესახებ, რომლებიც თავიანთი ბედით განასახიერებენ ჩვენი ერების ისტორიის, რწმენის, კულტურის ერთიანობას.

2009 წლის 27 მარტს ქ. თბილისში გაიმართება ჩვენი ორგანიზაციისა და მის მიერ გამოცემული ბეჭდვითი პროდუქციის ოფიციალური პრეზენტაცია.

ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ჩვენს წამოწყებას გაგებით მოეკიდება არა მხოლოდ საქართველოს, არამედ რუსეთის ფართო საზოგადოებრიობაც. ამავე დროს, ჩვენი ინიციატივის რეალური სარგებლობა მრავალგზის გაიზრდება, თუ ანალოგიურ საქმიანობას დაიწყებს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი სტრუქტურა რუსეთის ფედერაციაშიც. რუსეთში თავმოყრილია საარქივო მასალების უზარმაზარი ოდენობა, რომლებიც აშუქებს ჩვენი ხალხების საერთო ისტორიულ გზას. რუსეთში სახელმწიფო თუ სამხედრო სამსახურში საქართველოს ბევრი გამოჩენილი შვილი მოღვაწეობდა, და წასული თაობების ხსოვნის წინაშე ჩვენი საერთო ვალია, არ დავუშვათ მათი სახელების მივიწყება.

**გამოვთქვამთ იმედს, დიდად პატივცემულო დიმიტრი ანატოლის ძევ, რომ უყურადღებოდ არ დატოვებთ ჩვენს ინიციატივას და რუსეთის შესაბამის სტრუქტურებს შესთავაზებთ, გაშალონ მუშაობა ამ მიმართულებით, რაც, უეჭველია, ხელს შეუწყობს ისტორიული სიმართლის აღდგენას, ახალგაზრდა თაობის მიერ რუსეთ-საქართელოს ისტორიული ერთობის გათვითცნობიერებას. ამავე დროს, ეს იქნება პატივგებაც ჩვენი დიდი წინაპრებისადმი.**

**პატივისცემით,**
**არასამთავრობო ორგანიზაცია**
**„ისტორიული მემკვიდრეობის“**
**დამფუძნებლები და**
**საზოგადოებრივი საბჭოს წევრები**

# ღია წერილი ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს საქართველოში, ბატონ ჯონ ტეფტს

**ბატონო ტეფტ!**
**თავიდანვე მინდა, მოგახსენოთ, რომ ამ წერილის ავტორი არის თხემით ტერფამდე მართლმადიდებელი ქართველი, მიუხედავად იმისა, რომ თქვენ ძალიან გაშფოთებთ საქართველოში მართლმადიდებლების სიმრავლე.**
**თუ ჩემი წერილი გახდება თქვენი „მაღალი“ ყურადღების ღირსი, იფიქრებთ, თუ რატომ აქვს წინამდებარე წერილს ასეთი მძაფრი ტონალობა... მოგახსენებთ. როდესაც თქვენ დაიწყეთ მოღვაწეობა საქართველოში, ერთ-ერთი, რაც თქვენ გააკეთეთ, იყო ის, რომ ეწვიეთ ქ. თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს, სადაც ერთმნიშვნელოვნად განაცხადეთ თქვენი თანადგომა ჩვენი დედაუნივერსიტეტის აღორძინების საქმეში.**

„ნეტარ არიან მორწმუნენი. რამეთუ მათ სჯერათ“. ასევე დავიჯერეთ ჩვენ თქვენი დაპირებებისა, რომ თქვენ ნამდვილად იღვწით არა მარტო უნივერსიტეტის, არამედ მთელი საქართველოს დაღორძინებისათვის. დიახ! დიახ! და-ღორ-ძი-ნე-ბი-სა-თვის!!!

**ბატონო ტეფტ! ძალიან ტრაბახობთ თქვენი ეგრეთ წოდებული დემოკრატიით. საინტერესოა, რას ეძახით თქვენ დემოკრატიას. იმას ხომ არა, რაც თქვენებმა ჩაიდინეს ხიროსიმასა და ნაგასაკში (უფრო ადრე ჩინეთში — მოკრივეების აჯანყების ჩახშობა), ანდა ვიეტნამში, კორეაში, ავღანეთში, დაბოლოს, ბელგრადსა (აღდგომა დღეს) და ერაყში?! რაც მოიმოქმედეთ, იყო „დემოკრატიის საბურველში გახვეული ვანდალიზმი, ჩადენილი კაცობრიობის წინააღმდეგ. ახლა ემზადებით, ანალოგიური ქმედება განახორციელოთ ირანის წინააღმდეგ.** ამერიკული „დემოკრატიის“ შესახებ ერთგან შესანიშნავად წერს გამოჩენილი ამერიკელი მწერალი მარკ ტვენი — „ჩინეთი რატომ არ უნდა განთავისუფლდეს ამერიკელებისაგან, რომელთაც ჩინელი ხალხისთვის მხოლოდ უბედურება მოაქვთ. თუ ამერიკელები აიბარგებიან იქიდან თავიანთი ბარგი-ბარხანით, როგორი მშვენიერი მხარე გახდებოდა ჩინეთი ჩინელებისათვის!!!“

**ბატონო ელჩო! თქვენ, ალბათ, მოგეხსენებათ, რომ საქართველო და ქართველი ერი არის უძველესი ცივილიზაციის ერთ-ერთი შემქმნელი ქვეყანა და ერი. მსოფლიოს 14 (თოთხმეტი) დამწერლობიდან ერთი გახლავთ ქართული (ნუსხური, ნუსხა-ხუცური, ასომთავრული და მხედრული). საქართველოს დასაბამიდან მართავდნენ სტრატეგი მეფეები და პოლიტიკოსები. ყველა ჭეშმარიტი მართლმადიდებელი (მაჰმადიანი) ქართველისათვის გახლავთ უეჭველი ტრიადა — ენა, მამული, სარწმუნოება. ჩვენ გვყავს მართლმადიდებლობისათვის წამებული წმინდანები — ქეთევან დედოფალი, შუშანიკი და აბო ტფილელი.**

ბატონო ტეფტ! მე არ ვიცი, თქვენ რამდენად იცნობთ საქართველოს ისტორიას. ერთი კი მინდა, გირჩიოთ — უფრო ღრმად ჩაიხედეთ ჩვენს ისტორიაში და შეადარეთ თქვენსას. დაინახავთ, რამდენად განსხვავებულ დონეებზე ვართ ჩვენ და თქვენ, ბატონო ელჩო. ალბათ, იცით, მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში მსოფლიო პოლიტიკის მესაჭე და მებაირახტრე იყო საქართველოში დაბადებული მართლმადიდებელი ქართველი იოსებ სტალინი. ასევე არანაკლებ წონადი ფიგურაა ქართველი ლავრენტი ბერია. რაც უნდა ეცადონ მავანნი, ჭეშმარიტებას ვერსად გავექცევით!

**ფრთხილად, ბატონო ამერიკელებო! საკმარისია მსოფლიო ჟანდარმის როლში ყოფნა!!!**

ბატონო ელჩო! მე მგონი, თქვენთვის აშკარაა, რომ თქვენ ჩვენს ქვეყანაში სტუმარი ხართ, რომელიც რაღაც დროის მერე ბრუნდება თავის სახლში. ჰოდა, კეთილი ინებეთ და მოიქეცით ისე, როგორც სტუმარს შეეფერება. თუ ვინმე გთვლით მასპინძლად, კი ბატონო; წაგიყვანოთ საკუთარ ოჯახში და იქ გამასპინძლოთ. ასე რომ, ბატონო ელჩო, მე მივადექი ჩემს ძირითად სათქმელს.

თქვენმა წინამორბედმა კოლეგა-ელჩმა ქ. თბილისში, გ. ათონელის ქუჩაზე ტრანსპორტის სავალი ნაწილის ნახევარი გადაკეტა, სადაც ააგო „ჩინეთის მინიკედელი“ (დამერწმუნეთ, თქვენთან შემოვარდნას არავინ აპირებს), ხოლო თქვენ აღნიშნული ქუჩა მთლიანად გადაკეტეთ. როგორც ცნობილია, თქვენი საელჩოსათვის დიდ დიღომში მიკროიმპერია აიშენეთ. ხომ არ დადგა დრო, რომ გ. ათონელის ქუჩა გაათავისუფლოთ ხალხისა და ტრანსპორტის თავისუფალი მოძრაობისათვის?!. დიახ, დადგა (გახსნილია)!.. და ერთიც, ბატონო ელჩო! ის პერიოდი, რაც საქართველომ გაიარა და შექმნა დასაბამიდან დღემდე, ამერიკამ რომ იარსებოს — რაშიც ძალიან დიდი ალბათობაა, იმის გამო, რომ ალიგავნენ პირისაგან მიწისა რომისა და ბიზანტიის იმპერიები, დაიშალა საბჭოთა იმპერია — იმდენს მაინც ვერ შექმნის, რაც შექმნა საქართველომ!

ვამთავრებ დიდი ქართველი მგოსნის აკაკი წერეთლის ლექსის ერთი სტროფით:
„არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს
და ისევე გაიღვიძებს.
ვინც შენატრის იმის სიკვდილს,
უმალ მასვე დაამიწებს“!

**დაბოლოს, ბატონო ელჩო! ყველაფერთან ერთად, დადგა დრო, რომ ქართველმა ხალხმა და მთლიანად საქართველომ აირჩიოს ის, ვინც მას მიაჩნია ერისთვის და, საერთოდ, სახელმწიფოსათვის მისაღებ პიროვნებად. ჩვენს ხალხს (ზოგიერთების გამოკლებით) არ სჭირდებოდა და არც დღეს სჭირდება თქვენი ეგრეთ წოდებული „მეგობრული“ (ყველაფერში) დახმარება.**

**საკმარისია!!!**

*უფლისა და უკეთესი*
*მომავლის იმედით,*
***ანზორ დანელია***
*თბილისი*

**P.S. ბატონო ელჩო! 1991 წლის დეკემბრიდან მოყოლებული დღემდე, საქართველოში მიმდინარე პროცესები არის აშშ-ის ანტიქართული პოლიტიკა. თქვენი სახელმწიფოსათვის ხომ მიუღებელია ყველაფერი ეროვნული. აკი ამისთვისაც შეიქმნა აშშ-ის ინიციატივით „ნატო“, რომელიც მოწოდებულია, იბრძოლოს სოციალისტური (აწ უკვე ყოფილი) და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საწინააღმდეგოდ. ქართული, ეროვნული სახელმწიფო ხომ თქვენი სახელმწიფოს ძალისხმევით განადგურდა. იანკებო! ვერ ატყობთ, რომ მთელ მსოფლიოს მოაბეზრეთ თავი... ყველას ყელში ამოუხვედით! ყველასთან ერთად, ჩვენც დაგვანებეთ თავი. მოგვეცით მშვიდად ცხოვრების საშუალება ჩვენს სამშობლოში.**

25 - 31 მარტი, 2009 წელი. №6
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

## ჯორჯ ბუშს დამამცირებელი სამუშაო შესთავაზეს



**ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილმა პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა საინტერესო წინადადება მიიღო სამუშაოს შესახებ. ტეხასის მაღაზიათა ქსელის მფლობელმა ბუში დალასის სამეურნეო მაღაზიაში შემპატიჟებლად სამუშაოდ მიიწვია.**

წერილი ამ წინადადებით მაღაზიის ოფიციალურ საიტზე, აგრეთვე დალასის ერთ-ერთ დიდ გაზეთში გამოქვეყნდა. ქსელის მეპატრონე ამტკიცებს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი მეთაური „შესანიშნავი კანდიდატია ამ თანამდებობაზე“, თავისი „მდიდარი გამოცდილებით ოჯახურ ბიზნესში, აგრეთვე ჩვევებით, რომლებიც მან შეიძინა უცხოეთის სახელმწიფოების წარმომადგენლებთან ურთიერთობის შედეგად“.

## დენიელ ფრიდს ფილიპ გორდონი შეცვლის



**ევროპისა და ევრაზიის საკითხებში აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილის თანამდებობაზე დენიელ ფრიდს ცნობილი ამერიკელი ანალიტიკოსი ფილიპ გორდონი შეცვლის.**

ფილიპ გორდონი საქართველოში პირველად 2005 წელს ჩამოვიდა. 2005 წელს ის აღნიშნავდა, რომ საქართველოს ხელისუფლება ქვეყანაში ეფექტურ რეფორმებს ატარებდა, მაგრამ პრობლემები მაინც იყო სუსტი ოპოზიციის, მედიის თავისუფლების ნაკლებობისა და საბიუჯეტო სახსრების გაუმჭვირვალობის სახით.

გორდონი საქართველოში მომხდარ 2007 წლის ნოემბრის მოვლენებსაც გამოეხმაურა და განაცხადა, რომ, მიუხედავად ხელისუფლების მხრიდან ძალის გამოყენების გადამეტებისა, ქვეყანამ პოლიტიკური პროგრესი განიცადა და მიხეილ სააკაშვილმა იოლად გაიმარჯვა არჩევნებში.

2008 წლის მარტში, ბუქარესტის ცნობილი სამიტის წინ, ფილიპ გორდონი სენატის წინაშე ვრცელი მოხსენებით წარდგა და განაცხადა, რომ საქართველოსა და უკრაინის ნატოში მიღებას რუსეთი გააფთრებით ეწინააღმდეგება და ეს დასავლეთისთვის საგანგაშო ნიშანი უნდა იყოს. გორდონი მაშინ აცხადებდა, რომ თუ 2008 წლის აპრილში საქართველო და უკრაინა „მაპს“ ვერ მიიღებდნენ, „მოვლენები მძიმე სცენარით განვითარდებოდა“.

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ გორდონმა საქართველოს რამდენიმე სტატია მიუძღვნა, რომლებშიც აღნიშნავდა, რომ „სამხრეთ კავკასიის ამ ქვეყანას ყველაზე მეტად ახლა სჭირდება მხარდაჭერა და ეს მხარდაჭერა მხოლოდ ოფიციალური განცხადებების დონეზე არ უნდა დარჩეს“.

# ჩაღვრიჭინებულები

**„ინტელიგენცია“ უძველესი ქართული სიტყვაა და სულხან-საბა მას ასე განგვიმარტავს — „ერის რჩეული შვილები“. უვიცობას ნუ დამწამებთ, მეც კარგად ვიცი, რომ ტერმინი „ინტელიგენცია“ XIX საუკუნის 60-იან წლებში შემოიღო მწერალმა ნ. ბობორიკინმა და რუსულიდან გავრცელდა სხვა ენებშიც. შემდეგ, მიუხედავად ლენინის ცნობილი გამონათქვამისა (რომელსაც არ გავიმეორებ!), საბჭოთა ეპოქაშიც დიდი გასავალი (კორექტორს ვთხოვ, ამ სიტყვას ყურადღება მიაქციოს!) ჰქონდა. შემოსავალიც, — რა თქმა უნდა. პრივილეგიებიც, — ასევე. დაფასება, შეფასება, პატივისცემა, ქეიფები, ბანკეტები, იუბილეები, კიდევ იუბილეები, გაპუტული ინდაურები, ერთხელ კიდევ იუბილეები, პრემიები, ჰონორარები, — მოკლედ ამა ცხოვრების ყველა სიამე.**

ნუ დაივიწყებთ მთავრობის განსაკუთრებულ ყურადღებას. ისინი იყვნენ ცეკას და უმაღლესი საბჭოს თუ პარლამენტის წევრები — ჭკუის საკითხავი ხალხი.

მაგრამ იყვნენ კონფორმისტები, მლიქვნელები, ფარისევლები. იყვნენ და ასეთებად დარჩნენ დღემდე.

ყველა — არა, რასაკვირველია. მაგრამ ერთეულები ამ მარაქაში არც არასოდეს გარეულან. ერთეულები შემოქმედებითად იწვოდნენ და თავიანთ სამყაროში არ აჭაჭანებდნენ იმ სიბინძურეს, ყველა ხელისუფლების სიახლოვეს რომ გროვდება და არც 30 ვერცხლზე თუ ერთ ინდაურზე გაუცვლიათ პრინციპები.

**ამ ადამიანებმა რთული ცხოვრება აირჩიეს, მაგრამ ლამაზი ბიოგრაფია ჰქონდათ და აქვთ. სამაგიეროდ, ყველა დროში იყვნენ ცხოვრებით ტკბობის ტრფიალი „ერის რჩეული შვილები“, რომელთათვისაც ყველა ფორმაცია საკუთარი ბინის ზღურბლთან იწყება და მთავრდება.**

ქვეყანა? — არა, სამშობლო?

სამშობლო არა...

შობა, გაზრდა და ისრის სროლა პოეზიაა, მამა-პაპის კუბოს ფიცარიც პოეზიაა. სალი კლდეებიც პოეზიაა. გაშლილ სუფრაზეც ლამაზად ჟღერს ყანწით ხელში წარმოთქმისას. ცხოვრება კი პროზაა, ხანდახან — ძალიან მძიმე პროზა. ამიტომ მათთვის სამშობლო იქ არის, სადაც თავს კომფორტულად გრძნობენ, სადაც უკვდავების ხე ყვავის და სამოთხეა.

**პრეზიდენტი გამსახურდია კარგად იცნობდა „ამათ მოდგმას“, მაგრამ იდეალისტი იყო და ფიქრობდა, რომ სამშობლოს თავისუფლება და სუვერენიტეტი იმდენად წმინდა მიზანი იყო, ამ ბრძოლაში წინააღმდეგობას თვით „წითელი ინტელიგენციაც“ არ გაუწევდა. მეტიც, — მხარში ამოუდგებოდა.**

**მწარედ შეცდა. იდეალისტი იყო და შეცდა. მწარედაც ზღო.**

აი, რაც შეეხება შევარდნაძეს, ისიც კარგად იცნობს ამათ, მაგრამ პრაგმატიკოსია და თბილისში დაბრუნებისთანავე აეროპორტში მადლობა გადაუხადა ინტელიგენციას „დემოკრატიული იდეალების დასაცავად იარაღით ბრძოლისთვის“ და „უკვდავების ხე“ ჩამოუტანა „ერის რჩეულ შვილებს“ ზედ სურვილების შესაბმელად.

ტაშით შეხვდა „წითელი ინტელიგენცია“ შევარდნაძის, უფრო სწორად, საკუთარი პრივილეგიების დაბრუნებას. შევარდნაძეც გუნდრუკს უკმევდა და ესენიც „ოსანას“ უმღეროდნენ.

**შევარდნაძის წასვლის წინ კი ზოგიერთმა „ერის რჩეულმა შვილმა“ საკუთარი სახე კიდევ ერთხელ გამოაჩინა და „პატრონ-მყვარებელი“ ახალგაზრდებში მოძებნა. ყველას გვახსოვს ოპერასა თუ ფილარმონიაში შეკრებილი „წითელი“ თუ „ცისფერი“ ინტელიგენცია და „რევოლუციური ოსანა“, რომელსაც ახალ „მაღალ, ლამაზ“ პატრონს უგალობდნენ.**

„ვარდების რევოლუციის“ წლისთავზე, უფრო სწორად, საშობაოდ ჟვანიასთან შეკრებილ ინტელიგენციის რჩეულ წარმომადგენლებს ეჭვით შეპყრობილმა პრეზიდენტმა ხუმრობანარევი საყვედურით უთხრა, — **სულ ზურასთან რომ იკრიბებით, ჩემთან რატომ არ მოდიხართო. „ელიტა“ გაისუსა. მხოლოდ ნანი ბრეგვაძემ გაბედა და უპასუხა, — ჩვენ აქ დაუპატიჟებლად კი არ მოვსულვართ, მოგვიწვიეს; თქვენც დაგვიძახეთ და თქვენთანაც მოვალთო.**

**დაგვიძახეთ და მოვალთო!**

ეიფორია ორიოდ წელიწადს გაგრძელდა და „ერის რჩეული შვილების“ წუწუნითა და პრეტენზიებით თავმობეზრებულმა და გაღიზიანებულმა „მაღალმა და ლამაზმა“ ჩვეული მოუთმენლობით წამოისროლა — ესეც კარგად იცნობს „ამათ მოდგმას“:

**„ეს ხალხი ჩარეცხილია და ჩაირეცხება ბოლომდე!“**

აქ ამბავი ატყდა?!. ალიყური ისე ემწვავათ, დღემდე ვერ დაულაგებიათ სახეზე ნერვები.

**მხოლოდ ისინი იყვნენ წყნარად, ვისთვისაც ყუათიან ცხოვრებაზე მნიშვნელოვანი ლამაზი ბიოგრაფიაა. მათ საკუთარ თავზე არ მიუღიათ პრეზიდენტის ნათქვამი. მათმა ბიოგრაფიამ არ მიიკარა სიბინძურე. ესენი კი...**

ესენი დღემდე ბორგავენ. როგორო, ჩვენ როგორ გვაკადრა პრეზიდენტმა ასეთი სიტყვებიო... უნიტაზის დანახვისას (ყოველდღე!) ისინიც კი ცხარობდნენ, თავის დროზე წარმატებით რომ უთავსებდნენ ერთმანეთს ელიტაში ტრიალსა და უნიტაზებით ვაჭრობას.

**დღეს ხელისუფლებას ძალიან გაუჭირდა და „ჩასარეცხი ავზის“ ღილაკს ხელი დამდუღრულივით აუშვა. მეტიც, —** ***ვინც ჩარეცხა, ისინიც საგანგებოდ ამოქაქა (ნუ ვიტყვით, საიდან!) და სათუთად ჩაბან-დაღვრიჭინებისა და ფაფუკად გამშრალების შემდეგ ისეთი შეხვედრები მოუწყო, გაღვრიჭინებულებს თვით შევარდნაძის ნეტარი დრო გაახსენდათ.***

პრეზიდენტთან რამდენიმე ინტელიგენტის წინასაახალწლო შეხვედრის შესახებ ბევრი დაიწერა და აღარაფერს ვიტყვი. ფოჩიანი ინდაურებიც გაცვეთილი თემაა. სულ ახლახან „რუსთაველის“ თეატრის სარდაფში, კაფე „ქიმერიონში“ პარლამენტის თავმჯდომარის დავით ბაქრაძის ხელოვნების სფეროს წარმომადგენლებთან შეხვედრამ კი, ახლა რომ კითხულობთ, ამ წერილის დაწერისკენ მიბიძგა.

ერთად შეკრიბეს პრეზიდენტისგან ჩარეცხილი რეჟისორები, მხატვრები, კომპოზიტორები, მუსიკოსები, მომღერლები და „დეპოს ჩიტებივით“ ჩამომსხდარმა ინტელიგენციამ მაყვედრებელი თვალებით მოისმინა დავით ბაქრაძის გულწრფელი აღსარება: **დღეს ქვეყნის მდგომარეობა საჭიროებს იმას, რომ ერის რჩეულმა შვილებმა იცოდნენ, რას აპირებს სახელმწიფო და როგორ უპირისპირდება იმ გამოწვევებს, რომელთა წინაშეც დღეს საქართველო დგასო.**

**„ერის რჩეული შვილებიო“, — მთელ სხეულში ჟრუანტელმა დაუარა ელიტარებს.**

ახლა ამას მთელი ქვეყანა გაიგებს და არც ჩვენ ჩამოვრჩეთო, — გაიფიქრეს, მაგრამ ბაქრაძემ პრესას სთხოვა, დარბაზი დაეტოვებინა. რატომ? რა უნდა ეთქვა ამას იმათთვის და იმათ ამისთვის, რომ ჩვენი ყურისთვის არ გაეგებინებინა? — არც არაფერი, უბრალოდ, შეხვედრის დახურვა მოითხოვა იმისთვის, რომ „დიალოგი ყოფილიყო გულწრფელი“.

გაგიკვირდებათ და, ყოველთვის მოკრძალებულმა რეჟისორმა ქეთი დოლიძემ დავით ბაქრაძეს ჩვეული მორიდებულობით სთხოვა, პრესა დაეტოვებინათ შეხვედრაზე, რადგან **„დახურული შეხვედრები ბევრ კითხვას ბადებს და ასეთი შეხვედრების არასწორი ინტერპრეტაცია ხდება“.** ქეთი დოლიძემ იცის, რასაც ამბობს — ბევრსაც ეცადა პრეზიდენტთან დახურული შეხვედრის ამბების მიჩქმალვას, მაგრამ უავგუსტესი გამოვიდა და წვრილად ჩაგვიკენჭა, — **ქეთიმ რაც მთხოვა, ყველაფერი გავუკეთეო.**

**ქეთის დათოსთან პირადი სათხოვარი აღარაფერი ჰქონდა და შეხვედრას პრესაც ესწრებოდა.**

იცით, როგორი გულწრფელობით გამოირჩეოდა ეს შეხვედრა და რაზეც ისაუბრეს ბაქრაძემ, რურუამ და გაწკრიალებულმა „ჩარეცხილებმა“ ღია კარში. ამიტომ მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ თითქმის სამსაათიანი შეხვედრა იმ პრობლემების განხილვას მიეძღვნა, რომელიც დღეს სახელმწიფოშია და რომელიც კონკრეტულად ხელოვანებს აწუხებთ.

**ეს ხელისუფლება რომ სახელმწიფოს წინაშე მდგარი უდიდესი პრობლემების მომგვარებელი არ არის, თვითონაც კარგად იცის, ხოლო ხელოვანებს და, საერთოდ, ინტელიგენციას, ანუ „ერის რჩეულ შვილებს“ რაც აწუხებთ, უკვე ვთქვი. მთელი წერილი ამ საკითხს ეძღვნება და თუ ხელისუფლების ამ სატყუარას სიცრუის რძეში დაალბობენ და ისე გადაყლაპავენ, ამ თემას ისევ დავუბრუნდებით.**

სათქმელი კი იმდენია...

**ბონდო მძინარაშვილი**



საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# სააკაშვილმა ალასანიას „დირექტივა“ შეასრულა

**თავშეკავებული და მოზომილი ირაკლი ალასანია ახლაც არ გასცდა ეთიკის ფარგლებს. პრეზიდენტ სააკაშვილისთვის გაგზავნილ საგანგებო მიმართვას ისეთი პროფესიული ტვიფარი ადევს, ცხადი ხდება, რომ უშიშროების პოლკოვნიკმა, რომელიც საპრეზიდენტო ჩოხას იკერავს, უშიშროების ჯარების ეფრეიტორს, რომელსაც საპრეზიდენტო ჩოხა გორში შემოეხა, თითი დაუქნია.**

ალასანიამ მოსთხოვა პრეზიდენტს, უახლოეს დღეებში საზოგადოებას აცნობოს ის ფაქტები, რომლებზე დაყრდნობითაც ბოლო დროს ხელისუფლების მიერ მიერ ხშირად კეთდება განცხადებები რუსეთიდან მართული თუ დაფინანსებული პოლიტიკური ძალებისა და მასშტაბური არეულობის გეგმების არსებობის შესახებ.

ალასანიას მოთხოვნას დირექტივის სახე უფრო ჰქონდა, დირექტივისა, რომელსაც უშიშროების პოლკოვნიკი ასეთ რეზოლუციას ადებს: **„საზოგადოებას აქვს ზუსტად ისეთივე უფლება, იცოდეს ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგოდ დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩართული პოლიტიკოსების შესახებ, როგორც ამ საკითხებზე მტკიცებით ტონში მოსაუბრე პარლამენტის წევრებსა და თქვენს სხვა თანაგუნდელებს. თუ ეს ყველაფერი ოპერატიული მონაცემებია — რატომ აქვთ ეს ინფორმაცია აღნიშნულ პირებს და რატომ ახმოვანებენ მას; თუ ეს საჯარო ინფორმაციაა — რატომ არ იცის შესაბამისი ფაქტების შესახებ საზოგადოებამ?“**

როგორც ხედავთ, ალასანია სააკაშვილს „სატოპკეს“ უწევს და თან აგულიანებს, — საზოგადოების ინფორმირება აუცილებელია, რათა მოქალაქეები უპასუხისმგებლო პოლიტიკოსების მიერ არ აღმოჩნდნენ ჩათრეული ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგო ქმედებებშიო. მან, რასაკვირველია, იცის ამ უპასუხისმგებლო პოლიტიკოსების ვინაობა, მაგრამ პრეზიდენტს შეუძახა, — თუ გული გერჩის, პირდაპირ დაასახელე, მიეთ-მოეთით ქვეყნის ინტერესებს აზიანებო.

რაც იცის ალასანიამ, იცის სააკაშვილმა და, რა თქმა უნდა, მერაბიშვილმაც. ჰოდა, ისე აგიხდეთ ყველაფერი კარგი, როგორც **სააკაშვილმა შეასრულა ალასანიას „დირექტივა“. გაეროში საქართველოს ყოფილი ელჩის ამ მოკრძალებული მითითებიდან ორი დღეც არ იყო გასული, რომ ტელეეთერი აიკლო „ვანო პროდაქშენის“ მიერ, ფარული კამერებიდან სხვადასხვა რაკურსით გადაღებულმა ოპერატიულმა მასალამ, რომლის მიხედვითაც, თურმე „ბურჯანაძე და კომპანია“ შეიარაღებული ამბოხებისთვის ემზადებიან.**



— შენს საკეთებელს და ჩემს საკეთებელს, პატრონის დავალების შესრულება სჯობდეს იქნება, მიშა!

ამ კადრების ტელესივრცეში გამოჩენა ირაკლის „მითითების“ შემდეგ მხოლოდ დროის საკითხი იყო, რადგანაც სააკაშვილისადმი დირექტივას პოლკოვნიკი ალასანია ასეთი სიტყვებით ასრულებდა: **„თუ ამას არ გააკეთებთ** (ანუ მაკომპრომეტირებელ მასალებს არ გამოაქვეყნებთო. **ბ.მ.), ჩავთვლით, რომ ეს სხვა არაფერია, თუ არა უსაფუძვლო პიარკამპანია, რომელიც ემსახურება მხოლოდ და მხოლოდ საზოგადოების დაშინებასა და პოლიტიკური ოპოზიციის დისკრედიტაციას“**.

მთავარი კი ის გახლავთ რომ, ვერავინ, მათ შორის ვერც „ვანო პროდაქშენის“ რეჟისორ-ოპერატორები ვერასოდეს იტყვიან — ალასანია აგენტიაო, რადგანაც ბატონი ირაკლი უშიშროების ლეგალური პოლკოვნიკია და, ზოგიერთ „არალეგალი“ პოლიტიკოსისგან განსხვავებით, თავი ქუდში აქვს.

**დაბოლოს, ალასანია ხომ „კოლეგა“ ოპოზიციონერებისგან განსხვავებით, ურთიერთობას არა სააკაშვილთან, არამედ უშუალოდ დირიჟორთან არკვევს, და მერე ხიბლში შესულ მიშას აფრთხილებს — ბეჩავო, შეფმა შემოგითვალა, თუ გაქვს რამე კომპრომატი, დროზე გამოაქვეყნე, თორემ ვერა ხედავ, დაგამხო ოპოზიციამ ძალაუფლება თავზეო...**

# ვილაცამ გუგულის ბუდეში მოიკალათა



**რაღა ვილაცამ — კოკომ, კაკომ, გიამ და გუგულიმ.
ახლა გავშიფროთ, რადგან ისეთმა გავლენიანმა პოლიტიკურმა ძალებმა გადაწყვიტეს ალიანსის შექმნა, რომ, ხუმრობა იქით იყოს და, ბევრს დაუფრთხობდა მშვიდ ძილს.
„ალიანსი საქართველოსთვის“ — ამ სახელწოდებით ოთხი პოლიტიკური პარტია გაერთიანდა: „თავისუფლება“, „ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი“, „მომავლის პარტია“ და „ქალთა პარტია“.**

ახლა ერთად დასხდებიან კოკო გამსახურდია, კაკო ასათიანი, გია მაისაშვილი და გუგული მაღრაძე. დასხდებიან!

**მათ აერთიანებთ საერთო პოლიტიკური წარსული, კერძოდ, ეროვნული მოძრაობა და ზვიად გამსახურდიას ეროვნული მთავრობის სათავეებთან ყოფნა. ეს ჩემი სიტყვები არ გეგონოთ, — კონსტანტინე გამსახურდიას ეკუთვნის. მიუხედავად ჩემი პატივისცემისა ამ დიდებული გვარის მიმართ, უნდა შევბედო ბატონ კოკოს და მოკრძალებით შევნიშნო, რომ მან იცრუა.** მიზანი კეთილშობილურია, მაგრამ ხომ ყველას გვახსოვს, რომ ზვიად გამსახურდიას ეროვნული მთავრობის სათავეებთან ამ ოთხი პატიოსანი ადამიანიდან მხოლოდ ერთი — აკაკი ასათიანი იდგა (ფუმფულა სავარძელშიც იჯდა და ცოტა ხნით ქობულეთშიც იმშვიდებდა აფრთხიალებულ გულს!) და ისიც — უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის რანგში. ხოლო დანარჩენი სამიდან ერთს იცნობდნენ, როგორც ზვიად გამსახურდიას უფროს ვაჟს, მეორეს — როგორც „ნაციონალური მოძრაობის“ ეკონომიკური პროგრამის ავტორს და ე.წ. სილიკონის ველის პროპაგანდისტს, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატებიდან ხელების ქნევით მოგვევლინა; მესამეს კი, ჯერ პრეზიდენტის დედის — ქალბატონ გიული ალასანიას უნივერსიტეტელ მეგობრად მოიხსენიებდნენ, მერე პრეზიდენტ სააკაშვილის მეხოტბედ, შემდეგ კი პორტარტურელების გზას დაადგა და „ქალთა პარტიის“ თავმჯდომარედაც გაგვეცნო.

**ეს ხალხი რეალობას სრულიად მოსწყდა:**

ყველას გვახსოვს კოკო გამსახურდიას ემოციური გამოსვლები, ასევე ყველას გვახსოვს გია მაისაშვილის ფართოდ გაშლილი ხელები და სილიკონის ველის სასწაულების შესახებ მოყოლილი ზღაპრები. ახლაც შემოგვძახა, — „ქვეყანას ელოდება ყოვლისმომცველი ეკონომიკური პარალიზებაო“. უკვე მოხდა, მისტერ გია, ეგ ამბავი, აღარაფერი ელოდება, უკვე პარალიზებულია დიდი ხანია, და, პამელა ანდერსონის არ იყოს, სილიკონის სასწაულსღა ველით.

კაკო ასათიანზე, აბა, რა გითხრათ, „ბავშვმაც კი იცის, ვინ არის კაკო“. ჭკვიანი კაცი კია, გარკვეულ მოვლენებს წინასწარაც ჭვრეტს. **„წინწკაანთ მაგდანა“ სწორედ მისი აქტიური ჩარევით გახდა პარლამენტის თავმჯდომარე.** თავის დროზე ჟვანიამ მას სთხოვა ბურჯანაძის კანდიდატურის დაყენება და მერე მთელი ტვირთი თვითონ აიკიდა. **მაია ნადირაძეც კაკო ასათიანის „კისერზეა“**, მაგრამ ან მას და ან ჟვანიას დაუფასდათ ეს ამაგი?

გუგული მაღრაძე კი ფსიქოლოგიის პროფესორია, მაგრამ როგორც პოლიტიკოსი, აბა, რა მოგახსენოთ; ეს ერთი ქალია ამ ალიანსში და, მოდი, თავი დავანებოთ.

**ერთი სიტყვით, „ალიანსი თავისუფლებისთვის“ შედგა და შეხმატკბილდა. გუგულებს სხვის ბუდეში კვერცხის დადება ახასიათებთ, ამათ კი ერთ ბუდეში მოიკალათეს და ვნახოთ, რას გამოჩეკავენ.**

**ჯანი გავარდეს, იქნებ, სულაც ბიჭი იყოს?!**

# უმრავლესობა ციხეში ჯდომის პრაქტიკას გადის

**პარლამენტის შენობას გისოსებს უკეთებენ. არაო, ჩვენ ეს ჯერ კიდევ წლის დასაწყისში ჩავიფიქრეთო, — აცხადებს პარლამენტის აპარატის უფროსი, მაგრამ ამ ქვეყანაში კუდით ქვის სროლისთვის მომზადებული ხელისუფლებისა აღარავის სჯერა.**

ჯერ კიდევ „ვარდების რევოლუციის“ გარიჟრაჟზე — 2003 წლის 1 დეკემბერს, „ნაცმოძრაობამ“ კანცელარიის წინ გისოსების მოჭრა გადაწყვიტა. სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მაშინდელმა სულ ახალდანიშნულმა უფროსმა გოგი ალექსიძემ ქოში უკუღმა ყარა, — თქვენ ვინ გეკითხებათ მაგ ღობის მოჭრას, 1998 წლის 9 თებერვლის ტერაქტის შემდეგ ამერიკელების რჩევით გაკეთდაო.

**ნაციონალებმა კანცელარიის ღობის მოჭრის გამართლება ღია საზოგადოების შექმნის აუცილებლობით სცადეს და, იმ ეტაპზე ხალხმა „ჭამა“ ესეც და სხვა ამგვარი „ვინეგრეტიც“.**

მერე ბოლი გაიფანტა, „დაბოლილი“ ხალხი გამოფხიზლდა, გამოერკვა, მიიხედ-მოიხედა და დაინახა, რომ ღობის მომჭრელმა ხელისუფლებამ თავის მოჭრაც მოასწრო... 7 ნოემბერს „დემოკრატიის შუქურით“ განათებულ პოლიტიკურ სივრცეში რაც მოხდა, ყველას გვახსოვს. ამ მოვლენების წინა დღეებშიც ხელისუფლებამ პარლამენტის შენობის პირველ სართულს მტკიცე გისოსები გაუკეთა. გამოადგათ, თუმცა მოლოდინი, რომ ხალხი პარლამენტში შეიჭრებოდა, გაცრუვდა. გულმა არ მოუთმინათ და მაინც დასცხეს, სდიეს, სცემეს, მოწამლეს... ერთი სიტყვით, **დემოკრატიის ყველა სიკეთე იგემა საპროტესტოდ გამოსულმა ხალხმა.**

ახლაც დიდი ფაციფუცი აქვთ ატეხილი. არიქა, პარლამენტში შეიჭრება აღშფოთებული ხალხიო და მხოლოდ პირველს კი არა, მეორე სართულსაც გისოსებში სვამენ.

შიში ოხერია, თუმცა იქ შეჭრას არავინ აპირებს.

**2003 წლის 23 ნოემბერს, ამათ რომ ეგონათ, „ზამთრის სასახლე“ შტურმით ავიღეთო, სინამდვილეში მაშინდელი ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირებმა დაუძახეს — „ანტრე, ბატონო!“** უმრავლესობა (საპარლამენტო უმრავლესობას ვგულისხმობ), „ანტრე ბატონოს“ ძახილით ოპოზიციის ხელისუფლებაში მოყვანას არ აპირებს, მაგრამ ისიც მშვენივრად იცის, რომ აზვირთებულხალხს რეზინის ტყვიებითა და წიწაკის გაზით ველარ შეაკავებს... ამიტომაც, შეშინებული პარლამენტარები გალიაში ჩასხდნენ. ვფიქრობ, მათი ეს ნაბიჯი თავდაცვას ნაკლებად ემსახურება და საკანში ყურყუტის პრაქტიკულ წვრთნას, პატიმრობაში ვარჯიშს უფრო ჰგავს, რადგან ნაცელიტის უმრავლესობამ მშვენივრად იცის, რომ, როგორც კი ძალაუფლებას დაკარგავს, პარლამენტიდან პირდაპირ ციხეში აღმოჩნდება.

**ივარჯიშეთ ბატონებო, გისოსებსაც შეეჩვიეთ, ხომ გაგიგიათ ჭირი შეჩვეული ჯობიაო...**

გვერდი მოამზადა **ბონდო მძინარაშვილმა**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# სიყვარული დახურულ კარს მიღმა

## ანუ მიწა – გლეხებს, ფაბრიკა-ქარხნები – მუშებს

**ხელისუფლებას შინაგანი ენერგიის შეტევა დაეწყო. შიში, თურმე, მხოლოდ სიყვარულს კი არ შეიქმს, არამედ ენერგიის მოზღვავებასაც იწვევს. 9 აპრილის მოლოდინმა ნაცები წინასაარჩევნო რეჟიმში გადაიყვანა. შეხვედრები სტუდენტებთან, ხელოვნების სფეროს წარმომადგენლებთან, შეხვედრები დეპოსა და ქარხანაში... მოკლედ, ამ ჩვენს ღვთისგან მიტოვებულ ღვთისმგმობელ თუ ღვთისპირიდანგადავარდნილ ნაცელიტას გაახსენდა, რომ ამ ქვეყანაში ხალხიც არსებობს. დიახ, არსებობს, თორემ ხალხის ყოფას ცხოვრება არ ჰქვია. იქ, მაღლა, ღრუბლებში, ნირვანაში ჩაძირულნი ახლაღა მიხვდნენ, რომ ადამიანებს ადამიანურ ენაზე თუ არ დაელაპარაკები, ძალლად მაინც უნდა ჩააგდო.**
**დაიწყო დაპირებები: მწერალთა სახლი — მწერლებს, კომპოზიტორთა სახლი — კომპოზიტორებს და ა.შ. „მიწა — გლეხებს“ და „ფაბრიკა-ქარხნები — მუშებს“ უფრო ადრე იყო. მაშინაც ატყუებდნენ ხალხს და არც ჩვენი დროებით, საცხრააპრილოდ მოთვინიერებული ხელისუფალნი გამოირჩევიან გულწრფელობით.**



დავით ბაქრაძე — პარლამენტის თუ სანოტარო კანტორის თავმჯდომარე გიგი თევზაძის უნივერსიტეტში მივიდა სტუდენტებთან შესახვედრად. ამ უნივერსიტეტს ილია ჭავჭავაძის სახელი ჰქვია, მაგრამ ყველა თევზაძის უნივერსიტეტად იცნობს. **ასეცაა: სადაც თევზაძე, „თავისუფლების ინსტიტუტი“ და ნოდიას კამპანია ერთობლივად ანადგურებენ განათლების სისტემას, იქ წმიდა ილია მართალის სახელს მხოლოდ შირმად იყენებენ.**

სწორედ ამ უნივერსიტეტს ეწვია ბაქრაძე და განაცხადა, რომ დღეისათვის ქვეყანაში არსებული ძირითადი თემებია ეკონომიკური მდგომარეობა, უსაფრთხოება და შიდა პოლიტიკა. იმ კატასტროფას, რაშიც ჩვენ აგვისტოში ჩაგვაგდო ხელისუფლების უგუნურებამ, ბაქრაძე „კიდევ უფრო გართულებულს“ უწოდებს და ამის ფაქტორად რუსეთს ასახელებს.

**დავით ბაქრაძემ კონფლიქტების მოგვარების გზებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ საჭიროა დიალოგი. ამისთვის კი, თურმე, რუსეთმა ოკუპირებული ტერიტორიებიდან შეიარაღებული ძალები უნდა გაიყვანოს.**

აბრიყვებს პარლამენტის თავმჯდომარე სტუდენტებს. უფრო სწორად, მათ გაბრიყვებას ცდილობს, თორემ რუსეთი რომ თავის შეიარაღებულ ძალებს არ გაიყვანს აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან, ეს იმ ბავშვებმაც კარგად იციან და თვითონაც!

**აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ კვაზისახელმწიფოების შექმნას სწორედ ჩვენი კვაზიხელისუფლების პროვოკაციაზე წამოგებამ ჩაუყარა საფუძველი. გონიერი ხელისუფალი უმალ მიხვდებოდა, თუ რა მიზანს ისახავდნენ ოსი სეპარატისტები შარშანდელი პროვოკაციებით.**

ჯერ ერთი, პარლამენტის თავმჯდომარემ ძალიან კარგად იცის, რომ რუსეთის მიერ სახელმწიფოებად აღიარებული ეს ქართული ტერიტორიები მათთვის უკვე აღარ არის კონფლიქტის ზონები და სულ ახლახან დიალოგის თაობაზე მისი ინიციატივის პასუხად რა განაცხადეს სოხუმში, ისიც მოეხსენება. **მაგრამ იმას ხომ არ იტყვის პატივცემული მეორე კაცი ქვეყანაში, რომ მისი ხელისუფლება კომაშია და მხოლოდ ღვთის სასწაული თუ იხსნის გარდაუვალი ცვლილებებისგან, ანუ რიგგარეშე არჩევნებისგან.**

ახლა მოდაშია სიმართლის მთქმელისთვის ათასგვარი იარლიყის მიკერება. ხელისუფლება ათასნაირი ეპითეტით ამკობს ოპონენტებს, არც ოპოზიცია რჩება ვალში. თუ ხელისუფლების საწინააღმდეგო მოსაზრება გამოთქვი, მოღალატე ხარ. მხოლოდ უნდა დაეთანხმო ყველაფერში, ამასობაში კი ჩვენი სამშობლო ცერისოდენაც აღარ დარჩა.

**ახლა მოთქვამს დიდიან-პატარიანად ყველა, რომ ხელისუფლებას რუსეთთან კარგი ურთიერთობა სურს, და რომ არ შეიძლება ხელისუფლება დაინტერესებული იყოს ცუდი ურთიერთობით.**

მართალს ვიტყვი, — მჯერა, რომ საქართველოს რუსეთთან კარგი ურთიერთობა სურს, ოღონდ საკუთარი სკამების გადასარჩენად, **მაგრამ იმ რუსეთში რომ არავის უნდა ამ ხელისუფლებასთან არც კარგი და არც ცუდი ურთიერთობა, რა ვქნათ ახლა ქართველებმა, გადავაყოლოთ, გნებავთ, ერთი და, გნებავთ, ათი კაცის სავარძელს ეს ქვეყანა?**

ბოლოს და ბოლოს, დემეტრე თავდადებულის თავგანწირვის შესახებ არაფერი წაგიკითხავთ? როგორ არა, იცით, მაგრამ საკუთარ თავ-კისერს უფრთხილდებით.

**თურმე, „რუსეთთან შეგვიძლია ვითანამშრომლოთ იმ პირობით, თუ ეს არის ურთიერთობა ორ თანასწორ სახელმწიფოს შორის“, — სწორედ ასე თქვა ბაქრაძემ სტუდენტებთან.**

მოდი, ახლა დაგვისვამთ ერთ შეკითხვას: **არის თუ არა „იდიოტი“ სალანძღავი სიტყვა? პასუხი მარტივია: არ არის! რადგან იდიოტი არის იდიოტიით შეპყრობილი ადამიანი, გონებაჩლუნგი. ასევე სულელს, ყეყეჩს და რეგვენსაც უწოდებენ. იდიოტი კი ჭკუასუსტობის, გონნაკლულობის უმაღლეს ხარისხს ნიშნავს. უფრო გასაგებად რომ ვთქვა, იდიოტი სამედიცინო ტერმინია.**

მე ყველაფერი განგიმარტეთ. ახლა თქვენ აარჩიეთ, ამ სიტყვებიდან რომელი მიესადაგება რუსეთისთვის თანამშრომლობის პირობების წამყენებელ პარლამენტის თავმჯდომარეს. თუმცა, იგი უკონკურენტო არ გახლავთ. ჩვენ უკვე არაერთგზის მოგვისმენია განცხადებები ჯერარდამთავრებული ომის მოგების შესახებ.

**ადამიანი, რომელიც, რუსეთ-საქართველოს დღევანდელი ურთიერთობიდან გამომდინარე, ორ თანასწორ სახელმწიფოს შორის თანამშრომლობის პერსპექტივაზე საუბრობს, არ მგონია, სერიოზულ კაცად აღიქვათ, აღარაფერს ვამბობ მისთვის სერიოზული სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის ჩაბარებაზე. არადა, ეს კაცი ქვეყანაში მეორე პირია და თავის დროზე (თუ უდროობაში!) ფიწლებით და დანა-ჩანგლით რუსეთის ჯარების მოგერიებისკენ მოუწოდებდა დაზაფრულ ხალხს.** თვითონ კი ცხარე ცრემლით დასტიროდა დასაკარგავად განწირულ თანამდებობას. წითელი ხიდისკენ დაოთხილი ბობოლა ჩინოვნიკებისა და მათი ოჯახის წევრების თვალუწვდენელი ქარავანიც გეხსომებათ. გაუგიათ, ადრე საქართველოზე საქარავნო გზა გადიოდაო და გაჭიმეს „ჯიპების“ ქარავანი. ესეც თქვენი „ევრაზიის დერეფანი“ — ევროპისკენ მქროლავმა ნაციონალებმა პირი იბრუნეს და აზიისკენ გაუტიეს... თავის გადასარჩენად.

დავით ბაქრაძე სტუდენტებთან შეხვედრისას ეკონომიკურ კრიზისსაც შეეხო და განაცხადა, რომ ეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნება დღეს სახელმწიფო საფუძვლების შენარჩუნებას ნიშნავს. **„ჩვენზე უფრო განვითარებულ ქვეყნებში არის კრიზისი, იგივე ბალტიის ქვეყნებში სახელმწიფო მოხელეებს ხელფასები შეუმცირდათ. ჩვენ კრიზისიდან გამოსვლა სხვა წამყვან სახელმწიფოებთან ერთად უნდა შევძლოთ“,** — განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ.

ნუ გაგეცინებათ, ბაქრაძეს ეს „სხვა“ წამოსცდა, თორემ რა გამოდის, ჩვენმა წამყვანმა სახელმწიფომ სხვა წამყვან სახელმწიფოებთან ერთად უნდა შეძლოს კრიზისიდან გამოსვლა? **პრეზიდენტს მაინც შეუთანხმეთ, როცა რამის თქმას დააპირებთ. ის აცხადებს, რომ ყველა დაიქცა და განადგურდა, ჩვენ კი გადავრჩით. თქვენ ამბობთ, — გამოსვლა უნდა შევძლოთო. ვეღარ გავიგეთ, თქვენი აზრით, ამ ქვეყანაში კრიზისი არის თუ არ არის?**

თუ არის, მაშინ პრეზიდენტი გვატყუებს, თუ არ არის, მაშინ პარლამენტის თავმჯდომარე აპირებს საიდანღაც გამოსვლას და იქნებ ჩვენც გვითხრას, საიდან? ხალხმა კი იცის, საიდანაც უნდა გამოვიდეს 9 აპრილის შემდეგ, მაგრამ მისი პირიდან თქმული მაინც სხვა მოსასმენია!

**პრეზიდენტმა სომეხი, აზერბაიჯანელი და უკრაინელი კოლეგები გადარია, ახლა ეს ბაქრაძე მისდგა ბალტიის ქვეყნებს — ისე უჭირთ, ჩინოვნიკებს ხელფასები შეუმცირდათო. შენ რა გადარდებს, ანდა რა მაგალითი ეს არის; ბალტიის ქვეყნების ლიდერები არ იყვნენ, ღამეებს რომ გვითენებდნენ შარშან, აგვისტოში? მადლიერების გრძნობაც აღარა გაქვთ? რას დასცინით, ისინი სახელმწიფოებრივად აზროვნებენ და ბიუჯეტს ზოგავენ, შენ ის თქვი, ჩვენმა ხელისუფლებამ რა მოიკლო კრიზისის დროს?**

თუმცა, ჩვენთან ხომ კრიზისი არ არის, ჩვენ ყველაზე მაგრები ვართ, ჩვენ ვერაფერი შეგვაშინებს.

შიდა პოლიტიკაზე საუბრის დაწყებამდე დავით ბაქრაძემ ჟურნალისტები უნივერსიტეტის დარბაზიდან გააძევა და სტუდენტებთან რა ტყუილების ქარბორბალას დაატრიალებდა, თავადაც მიხვდებით, მისი უშუალო მასწავლებელი — სიცრუის ტორნადოს სპეციალისტი პრეზიდენტისგან საგანგებო სავარჯიშოებიც მონიშნული ექნებოდა და რასაც ეტყოდა, ძნელი მისახვედრი არც ეს არის.

**პარლამენტის თავმჯდომარის თევზაძის უნივერსიტეტში სტუმრობიდან მეორე დღეს პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური ხუბუას უნივერსიტეტს ეწვია. მართალია, სულ ფართხაფურთხით შეიყვანეს ქვეყნის მესამე პირი ერთ დროს დედაუნივერსიტეტში, და იქიდანაც კინაღამ ყვარყვარესავით გააპარეს, მაგრამ დახურულ კარს მიღმა მანაც გვარიანად „დააბოლა“ სტუდენტები.**

ბევრს აღარ გავაგრძელებ: „იდიოტის“ განმარტება იხილეთ ამ წერილში, მესამე სვეტის მესამე აბზაცში.

მინდა, ხმამაღლა, ყველას გასაგონად აქვე განვაცხადო: **მე არ მითქვამს, რომ დავით ბაქრაძე იდიოტია! ასევე არ მითქვამს, რომ ნიკა გილაური იდიოტია! მე მხოლოდ ამ სიტყვის მნიშვნელობა განვმარტე.**

**საფრთხე კი ამ ქვეყანას მარიონეტი ხელისუფლებისგან უფრო ემუქრება, რადგან შიშმა, როგორც თავში აღვნიშნე, ხელისუფლებაში ხალხის სიყვარული კი არ გააჩინა, არამედ ენერგია შვა, დამანგრეველი ენერგია, მხოლოდ საკუთარი სკამების გადასარჩენად მომართული ჩინოვნიკების უკანასკნელი გაბრძოლების ნახვა კი ყველას ერთად მოგვიწევს.**

რა იქნება ეს — გადამწყვეტი ბრძოლა საქართველოსთვის თუ გადამწყვეტი ბრძოლა საქართველოში? — ვერ გეტყვით, მაგრამ ერთი რამ ამთავითვე ცხადია: ბრძოლა იქნება უშეღავათო და დაუნდობელი!

**ძმათა შორის ბრძოლაში კი ქართველებს ბადალი არ მოგვეძებნება.**

**სიყვარული? სიყვარული დახურულ კარს მიღმა დარჩა.**

**ბონდო მძინარაშვილი**

## პრეზიდენტ სააკაშვილზე „ძებნას“ აცხადებენ

**„მომავლის პარტიის“ ოფისში ცხრა პოლიტიკური პარტიის ახალგაზრდული ორგანიზაციის გაერთიანებული მოძრაობის პრეზენტაცია გაიმართა. ახალი მოძრაობა აქციებს ხვალიდან დაიწყებს და მისი მთავარი მიზანი სააკაშვილის ნებისმიერი მარშრუტის პიკეტირება იქნება.**

როგორც ხალხის პარტიის ახალგაზრდული ორგანიზაციის თავმჯდომარემ სოსო გიორგაძემ განაცხადა, მათი ინიციატივით შეიქმნება ცხელი ხაზი, რომლის საშუალებითაც მოქალაქეები სააკაშვილის ადგილსამყოფელის შესახებ შეატყობინებენ. ახალგაზრდული მოძრაობა მიხეილ სააკაშვილს მშვიდად ცხოვრების საშუალებას არ მისცემს.

„ჩვენ ვიწყებთ აქციების ახალ ტალღას, სახელწოდებით — „ძებნილი“. ქვეყნის წინაშე ჩადენილი დანაშაულების გამო მიხეილ სააკაშვილს მშვიდად ყოფნის უფლება არ აქვს. ამიტომ მას მოსვენების საშუალებას არ მივცემთ. ნებისმიერ ადგილას, სადაც ე.წ. პრეზიდენტი იქნება, საპროტესტო აქციებს მოვაწყობთ და „სუშის ბართან“ მომხდარი ამბავი ხშირად განმეორდება. მისი ადგილსამყოფელის დასადგენად კი შევქმენით ცხელი ხაზი, სადაც ნებისმიერ მოქალაქეს შეეძლება დარეკვა და სააკაშვილის ადგილსამყოფელის შეტყობინება. პირველი აქცია ავლაბრის რეზიდენციის წინ ხვალ გაიმართება“, — განაცხადა სოსო გიორგაძემ.

გაერთიანებულ ახალგაზრდულ მოძრაობაში გაწევრიანებული არიან „ხალხის პარტიის“, „მომავლის პარტიის“, კონსერვატორების, პარტია „თავისუფლების“, ედპ-ს, მოძრაობა „ერთიანი საქართველოსთვის“, ტრადიციონალისტების, „ქალთა პარტიის“ და „საქართველოს გზის“ აქტივისტები.

# ჩამოლაბორანტებული ნოღაიდელის ბიზნესინტერესები და პოლიტიკურად გაკოტრებული ამბიციები

## რამ დაღალა ექსპრემიერი?

**ორიოდე წლის წინათ, როდესაც ზურაბ ნოღაიდელის შესახებ მასალას ვამზადებდი, ერთმა ცნობილმა პიროვნებამ ასეთი ფრაზა თქვა: „უნარი აქვს, სიტუაცია შეაფასოს ზუსტად და მისგან მაქსიმალური მოგება მიიღოსო“.**
**მაქსიმალური მოგების იმედი რომ არ ჰქონოდა, ლაბორანტობით დაწყებული მისი კარიერა, აწ უკვე პატივაყრილი, სამეცნიერო ინსტიტუტების კედლებს ვერ გასცდებოდა...**
**ნოღაიდელი მართლაც ნიჭიერი რომ არ ყოფილიყო, ქობულეთიდან ვერც მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოახერხებდა სწავლის გაგრძელებას. მერე რა, თუ ფიზიკის სპეციალობა აირჩია? ამბობენ, ვისაც ტექნიკური გონება აქვს, მას ცხოვრება გაცილებით უფრო პრაქტიკულად და წარმატებულად გამოსდისო.**



1992 წელს ახალგამომცხვარ მეცნიერს ბედმა გაუღიმა და არა მხოლოდ პარლამენტარი გახდა, არამედ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარეობასაც კი გამოჰკრა ხელი. **მას მერე, რაც გარემოც დაიცვა და ბუნებრივი რესურსების სარგებლობაშიც კარგად გათვითცნობიერდა, 1999 წელს პარლამენტში გადასახადებისა და შემოსავლების კომიტეტის თავმჯდომარედ გადაინაცვლა.**

აქ გავლილი მცირეოდენი გამოცდილება და მეგობრის — ზურაბ ჟვანიას რეკომენდაცია სრულიად საკმარისი აღმოჩნდა, 2000 წლის მაისიდან საქართველოს ფინანსთა მინისტრად გამოგვცხადებოდა. ფინანსებს არც განსაკუთრებული ორატორობა სჭირდება და არც კომუნიკაბელობა: **სამაგიეროდ, უხმაუროდ განკარგავდა გადასახადებსაც და შემოსავლებსაც საჭირო მიმართულებით გზავნიდა.**

მას მერე კი, რაც ზურაბ ჟვანიამ პარლამენტის თავმჯდომარეობაზე უარი განაცხადა, მისი გუნდის წევრმა ნოღაიდელმაც მინისტრობიდან „სახალხო ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრად გადანაცვლება არჩია.

**ფინანსებში კარგად გარკვეულმა ფიზიკოსმა 2003 წელს სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება — იურიდიული კომპანია „დამენია, ვარშალომიძე, ნოღაიდელი და ქავთარაძე“ დააფუძნა. ეს სწორედ ის ვარშალომიძეა, რომლის კლანურ მმართველობასაც ამჟამად ასე თავგამოდებით ებრძვის მწარედ გაოპოზიციონერებული ნოღაიდელი. არ ვიცოდი, თუ ვარშალომიძეები ასეთ კლანურ მმართველობას იკადრებდნენო, – გულუბრყვილოდ განუცხადა აჭარელ ჟურნალისტს და მზერა ნამდვილად ცისკენ აღაპყრო...**

ასეა თუ ისე, ფინანსებში უკვე გაწაფული ნოღაიდელი იურიდიული საქმეებით დაკავდა — გამოიყენა თავისი ძველი გავლენა და უამრავი კომპანიის იურიდიული საქმეების წარმოებას მიჰყო ხელი. რა თქმა უნდა, პარალელურად ოპოზიციურ პოლიტიკაში დაბრუნდა და ზურაბ ჟვანიას ახლად ჩამოყალიბებული პარტიის ერთ-ერთი ლიდერიც გახდა.

ლიდერების მიერ დაგეგმილი მოვლენები კი როგორც განვითარდა, არავისთვის არაა უცხო. 2003 წლის ნოემბერში აყვავებულმა ვარდებმა კვლავ ფინანსთა მინისტრის სავარძელში ჩააბრძანა უცხვირპირო ფიზიკოსი.

ნოღაიდელის გავლენები, ქართული ეკონომიკის აღმავლობა და სახელმწიფო ბიუჯეტი პირდაპირპროპორციულად იზრდებოდა. რა თქმა უნდა, გაიზარდა მისი ბიზნესინტერესებიც. ჯერ კიდევ იმ პერიოდიდან არ შექმნილა არც ერთი ასე თუ ისე წამატებული კომპანია დიდი ფულადი კაპიტალით, რომ მის სახელთან არ დაეკავშირებინათ.

გახშირდა გაურკვეველი წარმომავლობის ოფშორულ ზონებში დარეგისტრირებული კომპანიების რიცხვიც, რომლებიც საქართველოში ყიდულობდნენ ყველაფერს — სტრატეგიული ობიექტებიდან დაწყებული, რიგითით დამთავრებული. ვერავინ ამტკიცებდა, მაგრამ ყველა ხვდებოდა, რომ ეს საქართველოში ნაშოვნი ფულით კეთდებოდა.

მის სახელს უკავშირდებოდა საბადოები ჭიათურასა თუ ბოლნისში, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში, შაქრის წარმოებაში და, რაც მთავარია, „საქართველოს რკინიგზაში“.

თითქმის ყველამ იცოდა, რომ საქართველოში ნავთობის ბიზნესში მის გარეშე არაფერი კეთდებოდა. მისი ლობირებით და ახალი კანონების ინიცირებით დაიხურა ყველა ნავთობგადამამუშავებელი საწარმო.

**ჟვანიას სიკვდილის შემდეგ ფიქრობდნენ, რომ ზურაბ ნოღაიდელი თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა, მაგრამ, როგორც ამბობენ, ჟვანიას გუნდმა პრეზიდენტ სააკაშვილს ულტიმატუმი წაუყენა და გარდაცვლილი პრემიერის ადგილას ისევ თავისი გუნდის წევრის დანიშვნა მოსთხოვა. ვინ გააკეთა არჩევანი — ჟვანიას თანამებრძოლებმა თუ სააკაშვილმა — გაურკვეველი დარჩა. სამაგიეროდ, ზურაბ ნოღაიდელი საქართველოს მთავრობის ხელმძღვანელად დაინიშნა.**

სააკაშვილმა ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა და ახალი მინისტრთა კაბინეტიც ნოღაიდელის შეხედულებით დაკომპლექტდა. მისი ხელი კი განსაკუთრებით ეკონომიკურ გუნდს დაეტყო. დროებით თანამდებობა შეინარჩუნა ჟვანიას მიერ ჩამოყვანილმა კახა ბენდუქიძემ. რას ვიზამთ, პირობა უნდა შეესრულებინათ და დაწყებული საქმე ბოლომდე უნდა მიეყვანათ.

ამ დროისათვის გაიყიდა „მადნეული“. ჟვანია უკვე ცოცხალი აღარ იყო. ამიტომ ისე გამოვიდა, რომ კახა ბენდუქიძის მიერ რუსეთიდან ჩამოყვანილი ინვესტორების გარიგება საქართველოს პრემიერისა და ეკონომიკის მინისტრს შორის შედგა.

კახა ბენდუქიძის ირგვლივ ატეხილმა აურზაურმა სააკაშვილს ახალი „კარუსელი“ დაატრიალებინა: კახა — კანცელარიაში, თავდაცვის მინისტრობიდან გაგდებული ირაკლი ოქრუაშვილი – ეკონომიკის მინისტრად, თავდაცვაში – კეზერაშვილი...

ოქრუაშვილის პროტესტის შემდეგ ნოღაიდელმა ისევ თავისი გაიტანა და ეკონომიკის მინისტრის პორტფელი კვლავ თავის კადრს — გიორგი არველაძეს ჩააბარა. ამბობენ, რომ ეს იყო ყველაზე „შეხმატკბილებული“(?!) ტანდემი ნოღაიდელის კაბინეტში. არველაძე კარგი შემსრულებელი გამოდგა. განსაკუთრებით კი ეს რკინიგზის მაგალითზე გამოჩნდა. ნიადაგი ამ კომპანიაში უკვე მომზადებული იყო. ეზუგბაია ნოღაიდელის კადრად ითვლებოდა და, შესაბამისად, მისი მითითებების უპირობო შემსრულებლადაც.

ამჯერად საქმეში არველაძეც ჩაერთო, მაგრამ ისეთ „ფულის მანქანას“, როგორიც რკინიგზაა, ერთი ზედმეტი კაცის შენახვა ნამდვილად არ გაუჭირდებოდა. რკინიგზის სამეთვალყურეო საბჭოს ნოღაიდელის კადრი და ძველი „შეფი“ გია არსენიშვილი ჩაუდგა სათავეში. დანარჩენი საკვანძო თანამდებობები კი, პირდაპირი გაგებით, არველაძეებმა დაიკავეს.

დაიწყო რკინიგზის გასაყიდად მზადება. მაგრამ უშედეგოდ — სააკაშვილმა ობიექტის პატარკაციშვილისთვის საჩუქრად გადაცემა გადაწყვიტა, მაგრამ...

**...როგორც თვითონ აწ გაოპოზიციონერებული ნოღაიდელი ბრძანებს, შვიდი ნოემბრის აქცია რომ დაწყებულა, წყნეთში ყოფილა (აბა, იქ როგორ გაიგებდა, თბილისში რა ხდებოდა?).**

**ამიტომაც რუსთაველზე აქციის დარბევის შესახებ არც არაფერი იცოდა. სამაგიეროდ, იცოდა, რაც მოხდა რიყეზე და ადეკვატურად – ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობაც გამოაცხადა!**

სულ არ „აწყობდა“ დიდი რუდუნებით აწყობილი იმპერიის დანგრევა და პრეზიდენტის მიერ მიღებულ ყველა თავდაცვით ზომას უსიტყვოდ და უაზროდ ახორციელებდა.

მაგრამ მისი ინტუიცია ამჯერად შეცდა — არაპროგნოზირებადმა პრეზიდენტმა მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო: ნოღაიდელი უცერემონიოდ გაათავისუფლა დაკავებული თანამდებობიდან და იგი უფრო დინამიკური, ბიზნესინიციატივებიანი ლადო გურგენიძით ჩაანაცვლა.

**როგორც წესი, თანამდებობიდან წასულ პრემიერს ეროვნული ბანკის პრეზიდენტობას სთავაზობენ ხოლმე, მაგრამ ნოღაიდელი სრულიად „ჩამოალაბორანტეს“. მან სახელმწიფო სამსახურში ყოფნა აღარ ისურვა, ცოტა ხნით ტაიმაუტი აიღო და ერთ-ერთი ქართველი მილიონერის — კახა კალაძის ბიზნესწამოწყებას ჩაუდგა სათავეში.**

სამწუხაროდ, არც აქ გაუმართლა – საქართველოში არ სწყალობენ იმ ბიზნესმენებს, რომლებიც პრეზიდენტის მიერ დადგენილი წესებით არ თამაშობენ. ამიტომაც ნოღაიდელმა ცუდსა და უარესს შორის „ცუდი“ ირჩია – ოპოზიციურ ბანაკში გადაბარგდა და გულმოსულმა იქიდან დაიწყო მუშტების ქნევა.

არავისთვის არაა საიდუმლო ის ფაქტი, რომ ოპოზიციას გარკვეული იმუნიტეტი იცავს. ნოღაიდელმა თვითონაც კარგად იცის, რომ პოლიტიკურად სრულიად ბანკროტია და ცდილობს, ეს მდგომარეობა მის ფინანსებსაც არ შეეხოს.

**იმაზე უკეთესი „კრიშა“, ვიდრე „ოპოზიციური“ პარტიაა, მისთვის ამ ეტაპზე არ არსებობს. იმდენად დიდია საკუთარი ტყავის გადარჩენაზე ზრუნვის სურვილი, რომ თავმოყვარეობა სრულიად დაკარგა და საზოგადოებას იმ ხელისუფლების ოპოზიციად მოევლინა, რომელი ხელისუფლების უფლებების ჩამომყალიბებელი და განმმტკიცებელიც წლების განმავლობაში თვითონ ბრძანდებოდა!**

ირმა ჯარსიმაშვილი

## რეპლიკა

# „ელემს“ გაეფურჩქნა კოკორი

**საბჭოთა კავშირში თამბაქოს მოხმარების წინააღმდეგ ფართო პროპაგანდა იყო გაჩაღებული. მაშინ „რეკლამა-ანტირეკლამა“ კაპიტალისტურ გადმონაშთად ითვლებოდა და ამიტომაც, ამას აგიტაცია ერქვა. მთავარი გმირი ამ „ანტირეკლამა-აგიტაციაში“ შავი თავის ქალა იყო, რომლის პირშიც გაჩრილი სიგარეტის ღერი თამბაქოს მოყვარულებს ნიკოტინის სასიკვდილო საფრთხეზე მიუთითებდა.**

ეს შავი თავის ქალა, ალბათ, 2009 წელს არც გაგვახსენდებოდა, რომ არა თბილისში გაკრული სარეკლამო ბილბორდები მათზე გამოსახული „L&M“-ის კოლოფით, საიდანაც სიგარეტის ღერები „იჭყიტებიან“. ბილბორდს მხოლოდ ზემოხსენებული შავი თავის ქალა აკლია. რა თქმა უნდა, იკითხავთ, სად „ფილიპმორისის“ ნაწარმი და სად „კომუნისტი“ თავის ქალაო, მაგრამ...

სიგარეტი რომ მავნებელია, ყველამ ვიცით. ისიც იცით, რომ სიგარეტის კოლოფში სიგარეტისვე ღერებია განთავსებული და არა ფორთოხალი ან იხვი. მაგრამ კანონი მოითხოვს, რომ ჩვენ ეს ღერები ვიზუალურად არ უნა ვიხილოთ.

საქართველოს კანონის „რეკლამის შესახებ“ მერე მუხლის მეექვსე ქვეპუნქტის თანახმად, „თამბაქოს რეკლამა არ უნდა შეიცავდეს თამბაქოს კოლოფის გახსნილ მდგომარეობაში დემონსტრირებას“. ეს კი, არაიურიდიულ ენაზე იმას ნიშნავს, რომ ზემოხსენებულ ბილბორდზე გამოსახული „L&M“-ის რეკლამა მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაითვლება კანონიერად, თუ ნახატზე „გახსნილ მდგომარეობაში მყოფი თამბაქოს კოლოფიდან“ სიგარეტს „კომუნისტი“ შავი თაის ქალა გააბოლებს.

ამ შემთხვევაში, ეს ბილბორდი კონტრრეკლამა იქნებოდა (რაც თამბაქოს და ალკოჰოლურ ნაწარმთან დაკავშირებით დაშვებულია და კანონი ამას ახალისებს კიდეც) და არავის არ გაახსენდებოდა საქართველოს კანონის მერვე მუხლის მეექსე პუნქტი, რომლის მიხედვითაც, სხვათა შორის, მნიშვნელობა არა აქვს, რეკლამისას სიგარეტის კოლოფს ოდნავ გახსნი თუ მას „ინსტრუქციას დამწყები მწეველებისთვის“ მოაყოლებ. ორივე შემთხვევაში, ჯარიმა სოლიდურია და ვერანაირი ადვოკატები ვერ გიშველის.

თუმცა, თუ „ფილიპმორისის“ ადვოკატები შეძლებენ იმის დამტკიცებას, რომ ბილბორდს მოუხდა გაზაფხულის წვიმა, მასზე გამოსახული კოლოფი აყვავდა და სიგარეტის ღერებიანი კოკორი გაიფურჩქნა, სხვა საქმეა. მაგრამ, ამის მკიცება უიმედო საქმეა, რადგან ბილბორდზე გამოსახულ სიგარეტის კოლოფი ზამთარშიც წარმატებით „ყვაოდა“ და მომხმარებელს მოწევას უკანონოდ სთავაზობდა.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# Приятного полета, Михаил Николаевич!

## პოლიტიკური ფანტასმაგორია სამუდამო პრეზიდენტობის შესახებ



**ადგილს ვერ პოულობდა. მოუსვენრობას შეეპყრო და მბრუნავ სავარძელზე ცმუკავდა. ტელევიზორის პულტს აწვალებდა. ყველა არხი ილხამ ალიევს უჩვენებდა — ქართული, რუსული, ევროპული, ამერიკული. „აზერბაიჯანის ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინასწარი ინფორმაციით, ამომრჩეველთა 80 პროცენტზე მეტმა მხარი დაუჭირა საკონსტიტუციო ცვლილებებს, რომლის მიხედვითაც, უქმდება ნორმა, რომელიც ერთსა და იმავე პირს აზერბაიჯანის პრეზიდენტის თანამდებობის დაკავების უფლებას ზედიზედ მხოლოდ ორჯერ აძლევს“, — იუწყებოდნენ ჟურნალისტები.**

დაიბოლმა. „ეგ სულ პრეზიდენტი იქნება, სიცოცხლის ბოლომდე“, — გაიფიქრა და გულიანად შეიკურთხა. ტელევიზორის პულტი მოიქნია და კედელს შეანარცხა.

**„მამამისიც ეგრე არ იყო? 70-იანი წლებიდან ეგენი მართავენ აზერბაიჯანს. სულ ცოტა ხნით მოვიდა ელჩიბეი და კუდი ამოაძუებინეს. როგორ გაყუჩდა ჰეიდარი, ვითომ ნახიჭევანში, პროვინციაში წავიდა საცხოვრებლად. არა, ძალიან ჭკვიანი კაცი იყო. ეგ და ჩემი გამზრდელი ძმაკაცობდნენ. რა ვიცი, ძმაკაცობდნენ თუ ფარისევლობდნენ, მაგრამ ფაქტია, რომ იმ დროიდან, როცა ეგ აზერბაიჯანს და ეს საქართველოს ხელმძღვანელობდნენ, მათი დაპირისპირება ზედაპირზე არასოდეს ამოტივტივებულა. ორივე კარგად ერკვეოდა კულუარულ ინტრიგებში და არ იმჩნევდნენ, თორემ... თანაც ერთს „კაგებეს“ და მეორეს მილიციის სკოლა ჰქონდა გავლილი. ეჰ, ილჰამს რა უჭირს, ჰეიდარის ბიჭია და მოსდგამს, მე კი...** რაღაც მაინც ესწავლებინა ამ... როგორ იწრთობოდნენ პრეზიდენტები, ეჰ, კი ვკითხულობდი ოსტროვსკის „როგორ იწრთობოდა ფოლადი“, „მაგრამ მარტო წვრთნა რას უზამს, თუ ბუნებამც არ უშველაო“, — ილიამ თქვა და ჩემი საქმეც ასეა. ახლა ეს რომ ხმამაღლა ვთქვა, გამოხტებიან ეს არამკითხეები, — ეგო, აკაკის სიტყვებია, „გამზრდელშიაო“. გეგონოთ, მე არ ვიცი! ვიცი, მაგრამ ხანდახან ასე წამცდება ხოლმე. ეტყობა, რაღაც ძალა მშველის, როცა მამალ სისულელეს ვიტყვი, მაშინვე ასე ავტორების არევას ვიწყებ და მერე ეს ჩემზე მოკლე ჭკუის პოლიტიკოსები ენებით ზურგს იფხანენ, — ლიტერატურა და ისტორია არ იცისო. მთავარი ყველას ავიწყდება. მთავარი კი ჩემი პრეზიდენტობა და ჩემი უსაფრთხოებაა. ჰო, მართლა, დღეს მთელი დღეა, ეკა არ მინახავს, რას აიკვიატა ეს თმა და სალონი, ჯერ საერთოდ არ აქცევდა ყურადღებას, გაპუწკული დადიოდა და ახლა სალონიდან ველარ გამოგვყავს“.

— **ეკა მოვიდა?** — ჰკითხა მდივანს და პასუხს აღარ დაელოდა, — **შემოვიდეს!** — დაუგდო და ისევ კაბინეტში შებრუნდა. ფანჯარას მიუახლოვდა, ქალაქს გადახედა. მოსწონდა ათასფერად შეღებილი სახლები. იცოდა, აჭრელებული ფასადების მიღმა ჩამპალი საძირკვლები რომ იმალებოდა, მაგრამ თვალს უხარებდა „კაკადუს“ ფერები. რაღაცით ბავშვობას ახსენებდა. კომპლექსებს ვერ იშორებდა. ყველაფერს უკრძალავდნენ, რადგან რასაც ხელს მოჰკიდებდა, აფუჭებდა. ახლა კი დამშლელი აღარავინ ჰყავდა და რაც უნდოდა, იმას აკეთებდა ბავშვური ჟინიანობით. არ სიამოვნებდა ბავშვობის გახსენება, მაგრამ ვერაფრით იშორებდა თავის წარსულს.

— **ბატონო პრეზიდენტო, მეძახდით?** — ფიქრებიდან უშიშროების საბჭოს მდივნის ხმამ გამოიყვანა.

— **ჰო, მოდი, კარგი „პრიჩოსკა“ დაგიყენებია, დათოსაც დავურეკოთ, მინდა, რაღაცაზე მოგელაპარაკოთ,** — უპასუხა და მობილური ტელეფონის აპარატს დასწვდა.

— **სადა ხარ, დათო?** — ჰკითხა და მანერულად გაეღიმა, რადგან სად იყო, ისიც იცოდა და რაზე ლაპარაკობდა, — ისიც. ბოლოდროინდელმა ეჭვებმა ისე დარია ხელი, რომ ვანოს საგანგებო მითითება მისცა, ყველასთვის ყური ეგდოთ, ვინიცობაა, „მტრის“ მხარეს გადასვლა დაეპირებინათ, დაესწროთ და ამოჭიტლაყება არ დაჰგვიანებოდათ.

— **ახლა დავამთავრეთ შეხვედრა ინტელიგენციასთან, რუსთაველის თეატრის „უქიმერიონში“,** — უპასუხა პარლამენტის თავმჯდომარემ.

— **როგორ მოგეწონა გუდიაშვილის მხატვრობა?** — ჩაეკითხა ხელოვნების მოტრფიალე პრეზიდენტი.

— **ჩემი დასაწუნი რა სჭირს, მაგრამ აქ სულ პირდაპირ კედელზეა ყველაფერი დახატული,** — პარლამენტის თავმჯდომარე ცდილობდა, ეხუმრა, რადგან პრეზიდენტის ხმაში გაღიზიანება არ იგრძნობოდა.

— **ჩემთან ამოდი და თან ის ბრუციანიც გამოიყოლე, საქმე მაქვს,** — მიუგდო „ნამიოკით“ ნირწამხდარმა პრეზიდენტმა და გაიფიქრა: **„მე თქვენ გაჩვენებთ პალიტრას კედელზე და ტილოზე. ერთი ამას უყურე, ესეც რომ „მინამიოკებს“?! ერთი მე არ მეყოჩაღა და ნახავდით, სად იქნებოდით ახლა!“**

სიტყვა „მეყოჩაღას“ გაფიქრებისას წამოაწითლა. ამ ბოლო დროს სულ ასე ემართებოდა. თავისი ცხოვრების რაღაც მომენტების გახსენებაზე წამოახურებდა ხოლმე. გორი გაახსენდა, — „ნუ გეშინიაო“, — დაცვის ბიჭები ეძახდნენ. „არა მაინც სად გავრბოდი? თუ ის თვითმფრინავი ბომბს ჩამოაგდებდა, გაქცევა და დაცვა მიშველიდა? ღმერთმა არ გამწირა. ღმერთი სამართლიანია“, — ფიქრობდა და სინდისის ქენჯნას გრძნობდა. თავისი მორწმუნეობისა თვითონაც არა სჯეროდა. ტელეეკრანების გარეშე ლოცვასაც გულს ვერ უდებდა. ტაძარში შესულს ერთი სული ჰქონდა, როდის შედგებოდა ამბიონზე და როდის წარმოთქვამდა სიტყვას. პატრიარქიც არ უშლიდა. ანდა რამეს უშლიდა? „საოცარი ადამიანია. არასოდეს არავის განსჯის. რომ ვუსმენ, თითქოს სხვა სამყაროში გადავდივარ. ყურადღება მეფანტება ხოლმე, მაგრამ რასაც ვიგებ, იმასაც — დიდი მოთმინების ფასად. როგორია ერთ ადგილზე დგომა და სხვისთვის მოსმენა? მაგრამ მისთვის ყველა სულიერი შვილია და ყველა ერთნაირად უყვარს. ნეტა, მეც შვილივით ვუყვარვარ?“ — გაიფიქრა და კვლავ წამოაწითლა. უწმინდესის მზერა გაახსენდა, მისი თვალებიდან წამოსული სხივი თითქოს ახლაც, ამ წუთას გაკრთა და შერცხვა.

ნერვებს უშლიდა სინდისის ქენჯნა. არასოდეს არაფრის რცხვენოდა და არაფრის ერიდებოდა. მხოლოდ შიში იყო მისი მუდმივი თანმდევი. ახლა კი სინდისმაც შეახსენა თავი. თურმე, სადღაც ყოფილა მინავლული, აქამდე ვერც გრძნობდა მის არსებობას, მაგრამ ხანდახან ისე შემოულაწუნებდა ხოლმე, სახე ერთიანად უწითლდებოდა.

— **ჰო, მართლა ვუყვარვარ!** — ხმამაღლა გაიფიქრა, — **მართლა ვუყვარვარ!**

— ვის? — შესცინა უშიშროების საბჭოს მდივანმა, რომლის არსებობაც დავიწყებოდა ჩაფიქრებულ პრეზიდენტს.

— **ეეჰ, არავის!** — პრეზიდენტს არ უნდოდა, ფიქრების მოზიარე ჰყოლოდა, თანაც — ეს ენაგრძელი გოგო.

ეკა შეიმშუშნა. მიხვდა, რომ პრეზიდენტს ფიქრში ხელს უშლიდა, მაგრამ არც ის იცოდა, როგორ მოქცეულიყო. დუმილიც აუტანელი ხდებოდა.

სელექტორის ზარის ხმა გაისმა. მდივანმა პარლამენტის თავმჯდომარისა და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის მოსვლა აუწყა.

დათო და გიგა პრეზიდენტის კაბინეტში შინაურულად შევიდნენ. ეკას მიესალმნენ და თვალით ფანჯარასთან მდგარ პრეზიდენტზე ანიშნეს. ეკამ მხრები აიჩეჩა.

იცოდნენ, რომ ასეთ შემთხვევაში დუმილი ჯობდა.

როგორც იქნა, პრეზიდენტიც შემობრუნდა. სავარძლებში მსხდომთ მზერა მიაბჯინა და ერთხანს ასე გაჩერდა. „ნეტა, რას ფიქრობენ?“ — პრეზიდენტი ცდილობდა, სულში ჩასძვრომოდა.

სამეული ვერ მიმხვდარიყო, რა დაემართა პრეზიდენტს. თითქოს ყველაფერი კარგად არის, განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. ვანოსაც არაფერი უთქვამს საგანგაშო.

პრეზიდენტი მაგიდას მიუჯდა და მობილური რამდენჯერმე დააბზრიალა. სამეულმა, როგორც იქნა, ამოისუნთქა. ეტყობოდა, არ იქუხებდა.

— **რეფერენდუმზე მინდა, დაგელაპარაკოთ,** — მძიმედ დაიწყო პრეზიდენტმა.

— **ჩავატაროთ რა, როგორიც გვინდა, ისეთ შედეგებს დავდებთ,** — მოუთმენლად წამოიძახა გიგამ. ეკაც აპირებდა რაღაცის თქმას, მაგრამ პრეზიდენტი „ევროპისა თუ ამერიკის ჩართულობის“ შესახებ მონოლოგის მოსმენის ხასიათზე არ იყო.

— **ჩვენს რეფერენდუმზე კი არა, გაიგებდით, აზერბაიჯანში რეფერენდუმი ჩაატარეს და ალიევი სულ პრეზიდენტი იქნება.**

სამეული ხმას ვერ იღებდა. ეს ინფორმაცია მათაც იცოდნენ, მაგრამ ვერ ხვდებოდნენ, რატომ დააფიქრა პრეზიდენტი ამ ამბავმა.

— **აბა, რას იზამდა, ეგ ხომ ევროპა არ არის. როგორი აზიაც იყო, ისეთივე დარჩა,** — გიგას მოუთმენლობა თვალშისაცემად ჩანდა, — ჩვენ კი ევროპისკენ გვაქვს გეზი აღებული და ამ გზიდან ვერავინ გადაგვახვევინებს.

— **შენ მაგ ტექსტებით ჟურნალისტებს ელაპარაკე, მე რას „მაბოლებ“,** — მწარედ გაეცინა პრეზიდენტს.

— **ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ევროპისა და ამერიკის დამოკიდებულება და მათი ჩართულობის ხარისხი ძალიან მნიშვნელოვანი იქნება საქართველოს და აზერბაიჯანის ურთიერთდამოკიდებულების ხარისხის გაუმჯობესების მნიშვნელობის გათვალისწინებით კავკასიის რეგიონში ევროპისა და ამერიკის ჩართულობის გასარკვევად...** — ეკას მონოლოგმა ყველა დააბნია. იცოდნენ, რომ ასეთი ჩახლართული წინადადების წარმოთქმა უყვარდა, მაგრამ ეს უკვე მეტისმეტი იყო.

— **ეხლა მოიცა!** — ტელესერიალ „შუა ქალაქის“ პერსონაჟივით ხელაწეული პრეზიდენტის მიერ ირაკლი ჩხეიძის ინტონაციით წარმოთქმულმა ამ ორმა სიტყვამ საერთო მხიარულება გამოიწვია. გვერდზე თავმოქცეული დათო ჩუმად ხითხითებდა, გიგას თვალები აღარ უჩანდა, ეკაც იცინოდა, ოღონდ ვერ გაიგებდი, გადაედო თუ თავის ნათქვამს დასცინოდა, კაბინეტის უზარმაზარ სივრცეს კი პრეზიდენტის სახასიათო სიცილი ავსებდა. გაურკვეველი ბგერები კედლებსა და ჭერს ეხეთქებოდა და იატაკზე ნინოს მარგალიტის მძივივით იბნეოდა. პრეზიდენტს გაახსენდა, ერთ-ერთი გაცხარებისას როგორ მოუხვდა ნინოს ხელი თავის მარგალიტის მძივზე და მერე კაბინეტის იატაკზე როგორ აგროვებდა გაბნეულ თვლებს. მაშინაც ბევრი იცინა. საერთოდ ასე ემართებოდა; ქუჩაში წაქცეული ადამიანის დანახვისას მისი პირველი რეაქცია გულიანი სიცილი იყო ხოლმე და წამოყენებაზე არც ფიქრობდა.

მაგრამ ახლა საქმე სასაცილოდ არ ჰქონდა. უცებ მოსხიპა და ტუჩებს თავი მოუყარა.

— **რა გამოდის, ილჰამა სულ პრეზიდენტი იქნება,** — უყვარდა პრეზიდენტს ადამიანების სახელების დამამცირებელი ფორმით წარმოთქმა, — **მე კი ეს ერთი ვადაღა დამრჩა, ისიც — 2013 წლამდე?** — თქვა და დათოს შეხედა. პარლამენტის თავმჯდომარე მნიშვნელოვანი ფიგურა იყო — ქვეყანაში მეორე კაცი.

— **რაღაცის მოფიქრება შეიძლება, ოღონდ ჯერ ეს 9 აპრილი გადავაგოროთ,** — ჩაიდუდუნა დათომ და გულში გაიფიქრა: **„მოფიქრება კი არა, ეს სად შევყავი თავი, მთელი ქვეყანა ამის გადადგომას მოითხოვს, ევროპაშიც და ამერიკაშიც აღარავის უნდა, რუსეთზე და დსთ-ზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, კავკასიაში ზემოდან დაგვცქერიან და ეს კიდევ სამუდამო პრეზიდენტობაზე ოცნებობს. გამომივიდა ესეც ბაგრატიონთა მოდგმისა. მეფობაც კი არ მოინდომოს!“**

ასე ფიქრობდა პარლამენტის თავმჯდომარე, მაგრამ ხმამაღლა ვერ ბედავდა, ეთქვა პრეზიდენტისთვის, რომ რეალობისთვის თვალი გაესწორებინა.

გიგას რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ კარი გაიღო და მდივანმა პრესსამსახურის სასწრაფო ინფორმაცია შემოუტანა პრეზიდენტს, რომელმაც ფურცელს დახედა, მოიქუფრა და თანამოსაუბრეებისკენ გააცურა.

აზერბაიჯანის პრეზიდენტი აცხადებდა, რომ მისთვის კატეგორიულად მიუღებელია ზოგიერთი კეთილმეზობლური სახელმწიფოს მეთაურის შენიშვნები, რომლის მიხედვითაც, „ბაქო გაჩერებულ ქალაქად იქცა“ და „აზერბაიჯანის ეკონომიკა ჩამოიშალა“. მისი თქმით, ბოლო ხუთი წლის მანძილზე აზერბაიჯანის ეკონომიკა 2,6-ჯერ გაიზარდა, სიღარიბის მაჩვენებელი კი 49 პროცენტიდან 13 პროცენტამდე შემცირდა.

ინფორმაციაში ილჰამ ალიევის ნათქვამი სიტყვა-სიტყვით იყო გადმოცემული: **„რეგიონის ზოგიერთი ქვეყანა თავს ვერ ართმევს კრიზისს. ამ კრიზისმა დაადასტურა, თუ ვინ ვინაა რეგიონში“.**

სამეული მოიღუშა. ცეცხლზე ნავთის დასხმასავით იყო ეს ინფორმაცია. პრეზიდენტს თქმას ვერ უბედავდნენ, თორემ სამივე ერთსა და იმავეს ფიქრობდა, — „კლიტეს ხომ არ დავადებთ პირზე. მთელი მსოფლიო დაქცეულად გამოაცხა-

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

და, ვითომ მარტო ჩვენ ავყვავდით. ბლეფი გაგვიგონია და, ასეთი?“ გაახსენდათ ორიოდ კვირის წინათ სომხეთის ხელისუფლების ასეთივე აღშფოთებული განცხადება სომხეთის ეკონომიკის პრეზიდენტისეული შეფასების გამო.

მაგრამ პრეზიდენტს მეზობლების აღშფოთება ჩირადაც არ უღირდა. მისთვის ახლა მთავარი იყო, როგორმე პრეზიდენტობის ვადა გაეხანგრძლივებინა. პრეზიდენტი აღარ უსმენდა სამეულის კამათს, ფიქრებში ჩაიძირა. **„არა, ესენი არაფრის გამკეთებლები არ არიან, ისევ მე უნდა მოვიფიქრო რამე, თორემ ყველა თავის გადარჩენას ცდილობს...“**

...ვიღაც ანჯღრევდა და ცდილობდა, წუხანდელი გართობით გადაღლილი ამქვეყნად მოებრუნებინა.

— **რა იყო, ვანო, რას დამეტაკე, მოხდა რამე?** — როგორც იქნა, გამოერკვა პრეზიდენტი.

— **გაიღვიძეთ, ბატონო პრეზიდენტო, საგანგებო მდგომარეობა უნდა გამოაცხადოთ, ხალხმა უკვე რამდენიმე შენობა დაიკავა და აქეთ მოდის!**

— **ჩქარა, აეროპორტში!** — დაიძახა გაფითრებულმა პრეზიდენტმა და წამოხტა.

ტელეფონიც აწკრიალდა. ვიქტორი რეკავდა.

— **გამოგივლი და ერთად წავიდეთ!** — ვიქტორს ხმა უკანკალებდა.

— **შენც, ვიქტორ?** — პრეზიდენტი კიდევ უფრო დაიზაფრა, — **არა, ჩემი თვითმფრინავით წამოვალ, „შენონში“ შევხვდეთ,** — უთხრა და ტელეფონი გათიშა.

აეროპორტში დაქოქილი თვითმფრინავი ელოდა. სადღაც ხაბურძანია დალანდა. ყურადღება არ მიუქცევია, ასაფრენ ბილიკზე დადგმულ ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრის კარავს გვერდი აუქცია. ტრაპზე აირბინა, ვანოს ირონიულად გადმოხედა, ვანომაც შესცინა. ლუკი მიიკეტა და ლაინერიც ცაში აიჭრა.

სწორედ ამ დროს ასაფრენ ბილიკზე ხალხი შეცვივდა, რაღაცას მოარბენინებდა და ყვიროდა — „თან წაიღე!..“

პრეზიდენტმა ილუმინატორიდან გადმოიხედა, გაიცინა და ხმამაღლა წამოიძახა: — **თქვენთვის დაიტოვეთ, ჩემი დაჭერა გინდოდათ? ვერ მოგართვით, ნურას უკაცრავად!**

ხმა არავინ გასცა. მიმოიხედა. სალონში მარტო იყო. შეცბა. პილოტის კაბინის კარი გამოაღო.

— Приятного полета, Михаил Николаевич!

— В-в-в-ладимир В-в-в-ладимирович?!

ერთიანად აცახცახდა. გაახსენდა ხაბურძანიას ლანდი და ვანოს იქედნური ღიმილი. რაც მთვარია, გაუელვა სარკოზის პირით შემოთვლილმა მუქარამ, „ვაითუ წითელ მოედანზე საჯაროდ შემისრულონ“. მოწყვეტით დაეცა. თვითმფრინავი შეჯანჯღლარდა...

...ტკივილმა გააღვიძა. იატაკზე იწვა გულაღმა. „სიზმარი ყოფილა“, — გაიფიქრა. არ იცოდა, ეცინა თუ ეტირა. სიხარულით, — რასაკვირველია.

პირად დაცვას უხმო.

— **თემურ, სასწრაფოდ მოემზადეთ, ბობოყვათში გადავდივართ, იქნებ იქ მაინც დავიძინო მშვიდად,** — უთხრა პრეზიდენტმა და ჩაფიქრდა. იცოდა, ეს გადაწყვეტილება რეალობიდან გაქცევის უშედეგო მცდელობა იყო, იმ რეალობიდან, რომელთანაც სიზმრები უმოწყალოდ აახლოვებდა.

**მიხეილ წერეთელი**

## გოგა ხაინდრავა:

# მელნიკოვი და გირგვლიანის მკვლელები ჟვანიას საქმეშიც მონაწილეობდნენ




**ზურაბ ჟვანიას „გაზით დროულად გაგუდვის“ ამბავი ერთ-ერთი იმ საკითხთაგანია, რომლის გამოც ხელისუფლება ხშირად ვარდება უხერხულ მდგომარეობაში. დღეს ყველასთვის სრულიად ნათელია, რომ პრემიერ-მინისტრი მოკლულია, მაგრამ ამ მკვლელობაში სანდრო გირგვლიანის მკვლელებისა და ოლეგ მელნიკოვის სახელები თუ გაჟღერდებოდა, ალბათ, ვერავინ წარმოიდგენდა... დიახ, ამ ადამიანებს „საქართველო და მსოფლიოსთან“ საუბარში ექს-მინისტრი გოგა ხაინდრავა ამხელს და აცხადებს, რომ ამ „ვაჟბატონებმა“ მიიტანეს ჟვანიას გვამი საბურთალოს ქუჩაზე...**

— **ბატონო გოგა, ზურაბ ჟვანიასა და ბადრი პატარკაციშვილის მკვლელობაზე გკითხავთ. რა საფრთხეს უქმნიდა სააკაშვილის ხელისუფლებას ამ ადამიანების ტანდემი?**

— მოვა დრო, როდესაც ყველა ის ვარაუდი გამართლდება, რაც ჟვანიას საქმეზე არსებობს. ზურაბ ჟვანია რომ მოკლულია, ამაში არც ერთი წუთით არ მეპარება ეჭვი. სააკაშვილის ვერც ერთი ვექილი უმარტივეს კითხვებზე ვერ სცემს პასუხს. მიპასუხონ მერაბიშვილმა და ადეიშვილმა, იყო თუ არა გაზი იმ საღამოს ბინაში, სადაც, თითქოს, ზურაბ ჟვანია მოიწამლა?! ხომ ყველასთვის ნათელია, რომ მაშინ საბურთალოს ქუჩას საერთოდ არ მიეწოდებოდა გაზი. ეს შემთხვევით გახდა ცნობილი და გაუთვალისწინებელი რამ მოხდა. ჩატარებულმა ექსპერიმენტებმა დაადასტურა, რომ „ნიკალა“ აბსოლუტურად გამართული იყო. თანაც, ფანჯარა არ იკეტებოდა... ამ უმნიშვნელოვანესი დეტალების გარდა კიდევ უამრავი ფაქტი მეტყველებს იმაზე, რომ ეს არ იყო უბედური შემთხვევა! გამოდის, რომ წინასწარ დაგეგმილი მკვლელობაა. ზურაბ ჟვანია სერიოზულ წინააღმდეგობას წარმოადგენდა ამ კრიმინალური დაჯგუფებისთვის. ახლა ნათლად დავინახეთ, რისთვის მოხდა ხელისუფლების სრული უზურპაცია. მათი მიზანი პირადი კეთილდღეობა და რუსეთის სამსახური იყო. ამ გზაზე კი ჟვანია მათთვის დიდ დაბრკოლებას წარმოადგენდა და, რაც მთავარია, ყველაზე სერიოზული პოტენციის მქონე პოლიტიკურ მოწინააღმდეგეს.

— **ხომ არ აჭარბებთ?**

— ზურაბ ჟვანია რომ ცოცხალი ყოფილიყო, სააკაშვილს მეორე ვადით პრეზიდენტობის არანაირი შანსი არ ექნებოდა. თუ ხელისუფლების მოქმედებას გავაანალიზებთ, როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით, და ამას კონფლიქტურ რეგიონებთან მიმართებაში იმ პროვოკაციულ ქმედებებს დავუმატებთ, დავინახავთ, როგორ ნაბიჯ-ნაბიჯ ხორციელდებოდა რუსეთისადმი საქართველოს გადაცემის გეგმა. უბრალოდ, ის ეიფორია, რომელშიც ქართული საზოგადოება შევარდნაძის გაგდების შემდეგ აღმოჩნდა, იმდენად ხანგრძლივი იყო, რომ ხალხმა ვერც კი მოასწრო გააზრება, ვის ხელში აღმოჩნდა ძალაუფლება. რუსეთის სპეცსამსახურებს ღიად იყვნენ მიბმულნი სააკაშვილი, ბეჟუაშვილი, რომელსაც ეს არასდროს დაუმალავს. სააკაშვილი გამგრძელებელია ბიძამისის საქმეების. ფართო საზოგადოებისთვის ძნელია ამის გააზრება, რასაც ახლა გეტყვით, თორემ ადამიანისთვის, ვინც ამას წლების მანძილზე ყურადღებით აკვირდებოდა და ანალიზს აკეთებდა, როგორ მოქმედებდა მერაბიშვილი, აბსოლუტურად ნათელი ხდება, რომ ეს იყო პროვოკატორი, რომელიც მიზანმიმართულად შლიდა ყველა სამშვიდობო პროცესს, რათა შედეგად მიგვეღო ის, რაც მივიღეთ. სანაკოევის პროექტი თავიდანვე ავანტიურა იყო, რუსული სცენარით განხორციელებული. პრეზიდენტმა სააკაშვილმა და შს მინისტრმა მერაბიშვილმა ადეიშვილთან, ბოკერიასთან და დანარჩენ ამფსონებთან ერთად აიძულეს ქართველი ხალხი, არჩევნებში მიეღო მონაწილეობა. მე ამის უშუალო მოწმე ვარ. აღადგინეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, გადასცეს ახალგორი და მერე ყველაფერი რუსეთს უფეშქაშეს... ყველასთვის ცნობილი იყო, რომ რუსეთის 20-ათასიანი შეიარაღება როკის გვირაბთან იდგა დაქოქილი სამხედრო ტექნიკით. სამი წლის განმავლობაში ყოველწლიურად ტარდებოდა სწავლებები, რაც პირდაპირ ითვალისწინებდა იმ სქემის განხორციელებას, როგორც შემოვიდნენ რუსები და როგორც მოხდა შემდეგ საქართველოს ოკუპაცია. ამის შესახებ მშვენივრად იცოდა ბეჟუაშვილმაც, სააკაშვილმაც და მერაბიშვილმაც. მეტსაც გეტყვით, ისინი ამ გეგმის განხორციელებაში მთავარი ფიგურები იყვნენ. მერე საკუთარი ბოროტება რომ დაემალათ, ჯოხი ჯარისკაცებზე გადატეხეს, მაგრამ ლომაია, ბოკერია, უგულავა, სააკაშვილი, მერაბიშვილი, ადეიშვილი, გაბაშვილი, თარგამაძე, რურუა აუცილებლად წარდგებიან სასამართლოს წინაშე იმის გამო, რაც მათ აგვისტოში ჩაიდინეს.

— **ზურაბ ჟვანიას მკვლელობას დავუბრუნდეთ, თქვენ ახლახან ახალ გარემოებაზე ისაუბრეთ...**

— ამ საქმეში მელნიკოვის მონაწილეობა პირველსავე დღეებში იყო ცნობილი, მაგრამ ამ განცხადებას ვერ გავაკეთებდი, რადგან ერთი წყაროდან მიღებული ინფორმაცია არ შეიძლება ჩაითვალოს უტყუარ სინამდვილედ. მაგრამ როცა ორი წყარო ერთსა და იმავე ინფორმაციას გაწვდის, მისი გახმაურება თამამად შეიძლება. ვაცხადებ: ჩემი ინფორმაციით (ორივე შემთხვევაში მონაცემები შს სამინისტროდან მივიღე — გ. ხ.), მელნიკოვი ჟვანიას საქმეში მონაწილეობდა! მეტსაც გეტყვით, ის ბიჭებიც მონაწილეობდნენ, ვინც დღეს გირგვლიანის მკვლელობისთვის იხდიან სასჯელს. ისე, ბოლო დროს მელნიკოვი საერთოდ გაქრა, არ ვიცი, ახლა საქართველოშია თუ არა. როგორ ფიქრობთ, რატომ ცდილობდა სააკაშვილი ამ ოთხი კაციჭამიას გამოშვებას ყველასგან მალულად?! ისინიც გაქრებოდნენ ან საზღვარგარეთ გაუშვებდნენ... არც მათ ლიკვიდაციას გამოვრიცხავ, რადგან ისინი სახელმწიფო დანაშაულის მოწმეები არიან.

— **ზურაბ ჟვანიას მკვლელობას გულისხმობთ?**

— დიახ. მერაბიშვილი და ადეიშვილი, ამ საქმის ეს ორი ინსპირატორი, წყვილად წარდგა საზოგადოების წინაშე და დუეტში იმღერა პრემიერ-მინისტრის „გაზით გაგუდვა“. რატომ არ ხურავენ საქმეს?! იმიტომ, რომ გამოჩნდება ყველა ის ლაფსუსი, ყველა ის მაქინაცია, რაც ჟვანიას საქმის ძიების დროს იქნა ჩადენილი. ასეთ შავბნელ საქმეში მონაწილეობდნენ მელნიკოვი და ახალაიას კაციჭამიების ჯგუფი. ესენი იყვნენ შემსრულებლები.

— **საინტერესო ინფორმაციას აჟღერებთ... ამბობენ, რომ მკვლელობა შავნაბადაზე მოხდა...**

— ვარაუდის დონეზე ითქვა, რომ მკვლელობა შავნაბადაზე მოხდა. მელნიკოვისა და ამ ოთხი კაცის შესახებ მე არც ნინო ქადაგიძესთან და არც გიორგი ჟვანიასთან ამ დრომდე არ მისაუბრია. მაგრამ როგორც კი ეს ინფორმაცია ოფიციალურად გავაჟღერე, მაშინვე მოვიდა ოჯახისგან დადასტურება. ამ ინფორმაციის საფუძველზე, წესით, მეც უნდა დავიკითხო და ეს ადამიანებიც, მაგრამ მერაბიშვილი საკუთარი თავის წინააღმდეგ ხომ არ ჩაატარებს გამოძიებას?!

— **როგორ მოხდა მკვლელობა... ამის შესახებ გაქვთ ინფორმაცია?**

— როცა საქართველოს ხელისუფლების მნიშვნელოვანი ფიგურა ირაკლი ოქრუაშვილი ამბობს, რომ ჟვანიას ცხედარი იმ ბინაში მიიტანეს, საზოგადოებამ თავად უნდა განსაჯოს, ვის შეიძლებოდა ეს გაეკეთებინა?! ზუსტად ამ საქმეში არიან გარეულნი ეს ვაჟბატონები (მელნიკოვი და გირგვლიანის მკვლელები).

— **გჯერათ, რომ ბადრი პატარკაციშვილი ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა?**

— ბადრი პატარკაციშვილის გარდაცვალებაც ბურუსითაა მოცული. პირადად მე არ მჯერა, რომ მას გული გაუსკდა. სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე ვნახე პატარკაციშვილი საღ-სალამათი და სრულიად ჯანმრთელი. არსებობს უამრავი გვერდითი მოვლენა, რაც სერიოზულ ეჭვებს ბადებს. ეს სააკაშვილის, ლომაიას, ბოკერიას და ამ შხამიანი ადამიანების ნამოქმედარია. ხანდახან სიტყვა ბევრად უფრო დიდი უბედურების მომტანია, ვიდრე ტყვია. პატარკაციშვილის სიკვდილში მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლება პირდაპირი დამნაშავეა.

— **ბატონო გოგა, რა ამის პასუხია და, ოქრუაშვილი მართლა ჩამოდის საქართველოში?**

— დიახ.

— **როდის?**

— *(იცინის)* ამ კითხვაზე პასუხს ვერ გაგცემთ. ამ დღეებში ჩვენი შეხვედრა შედგება საფრანგეთში.

— **როგორც გამოცდილი რეჟისორი, ოქრუაშვილის ჩამოსვლის სცენარსაც დადგამთ...**

— რეჟისორი რეჟისორად, მაგრამ ჩვენ თანამებრძოლები ვართ და ადამიანურადაც კარგი ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა.

— **შეიძლება, საქართველოში ერთად დაბრუნდეთ?**

— არ გამოვრიცხავ.

ესაუბრა
**მანანა ჩხეიძე**

25 - 31 მარტი, 2009 წელი. №6
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

## არნო ხიდირბეგიშვილი:

# პოლიტბიუროს შვილები

**„დღეს პირველი აპრილია, მოტყუება ადვილია!“ — მხიარულად წამოიძახებენ ხოლმე თბილისელები, როცა იმ დღეს ვინმეს უბოროტოდ რაიმეს მოატყუებენ.**
**დიახ, ამ ცოტა ხნის წინათ, როდესაც სსრ კავშირის ყველა ხალხი ითვლებოდა მოძმედ და იყო კიდევაც, როდესაც რუსულ ენას არ ჰქონდა უცხო ენის სტატუსი და ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცოდით, რომ აფხაზები და ოსები არ იყვნენ ისეთივე ქართველები, როგორც, მაგალითად, მეგრელები ან აჭარლები, საქართველოში უყვარდათ ხუმრობა მთელი გულით, სიყვარულით, მეგობრების სასიხარულოდ, მტრის გულის გასახეთქად, თანაც, არა მხოლოდ პირველ აპრილს.**
**ასე იყო 1989 წლის 9 აპრილამდე...**

დღეს კი, იმ ტრაგედიიდან **ზუსტად 20 წლის შემდეგ**, ყველას გასაგონად გინდა, იყვირო: **„ცხრა აპრილია — მოტყუება ადვილია!!!“** და ამას აქვს თავისი გამართლება: **მაშინ პირველად შეძლეს, ერთმანეთისთვის წაეკიდებინათ ქართველები და რუსები, რასაც მერე მოჰყვა ომები აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში...** ამიტომ 9 აპრილი — ესაა **მწუხარებისა და ერთიანობის დღე** ჭეშმარიტი ქართველებისათვის, რუსებისათვის, აფხაზებისათვის, ოსებისათვის — ყველა ხალხისათვის, ვინც უგუნურ ძმათამკვლელ კონფლიქტებში დაკარგა საკუთარი ჭაბუკები და ქალიშვილები!

მაგრამ, როგორ მკრეხელურადაც უნდა მოგვეჩვენოს, 9 აპრილი — ესაა **დღესასწაული** მათთვის, ვინც ინსტრუქციის მიღების შემდეგ მოაწყო ეს ძმათამკვლელი კონფლიქტები, აქცია ისინი ეროვნებათაშორისად, ვინც წაჰკიდა ერთმანეთს ქართველები და რუსები, ქართველები და აფხაზები, ქართველები და ოსები, ვინც დაყო საქართველო და ხელისუფლებაშიც მოვიდა!

აუ, რამდენი ნაცნობი სახეა მათ შორის, ვინც მოგვიწოდებს — გამოვიდეთ ქუჩებში 9 აპრილს!.. **თვალი გადაავლეთ: განა ისინი (პლუს მათი შვილები) არ იყვნენ ხელისუფლებაში უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში?! რა მნიშვნელობა აქვს — რა ჰქვიათ მათ დღეს: ხელისუფლება, ოპოზიცია, პოლიტოლოგი თუ ტელეწამყვანი... განა ისინი არ იყვნენ 5, 15, 20 წლის წინათ, ხელისუფლებაში მოსვლისთანავე უმალ რომ ივიწყებდნენ ხალხის შესახებ, უკვე საზეიმო ბანკეტების დროს?! რა სიახლე შეუძლიათ შემოგვთავაზონ და რატომ ვართ ვალდებული, კვლავ დავუჯეროთ, ვენდოთ მათ?!**

თითქოსდა, დროა, რომ საზოგადოებამ, რომელსაც ატყუებდნენ რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში — გენერალური მდივნებიც, პრეზიდენტებიც, პრეზიდიუმის თავმჯდომარეებიც და პარლამენტის სპიკერებიც, **„ბაბუისტებიც“** და **„მიშისტებიც“**, — დაიწყოს ფიქრი საკუთარი ტვინით და აღარავის სიტყვას ენდოს... მაგრამ, რამდენად სამწუხაროა, რომ **ჩვენი ხალხი მეტად მიმნდობია და თუ გინდა, ხალხმა დაგიჯეროს, კიდევ ერთხელ უნდა იცრუო! თუ იტყვი სიმართლეს — არ დაგიჯერებენ. ეს პიარტექნოლოგიები კი შესანიშნავად აითვისეს ერთ მავნებლურსკოლაგავლილმა საქართველოს ხელისუფლებამ და ოპოზიციამ.**

ამიტომ, ჩვენი ბუნებრივი მიმნდობლობისა და ემოციურობის, ხშირად — არაინფორმირებულობისა და დაბალი პოლიტიკური კულტურის გამოყენებით, პატრიოტულ გრძნობებზე გულღრძო თამაშით **(ყოველ ქართველში ხომ ზის ზვიად გამსახურდიას პატარა ნაწილი მაინც!)**, მოგვიწოდებენ, კიდევ ერთხელ დავეხმაროთ მათ სავარძლების გადანაწილებაში. **მაგრამ არავის სურს, იკისროს პასუხისმგებლობა 9 აპრილის აქციის შესაძლო შედეგებზე!** შეკითხვაზე: „ვინ არის მიტინგის მთავარი ორგანიზატორი — ლიდერი?“ მოვისმენთ გაურკვეველ პასუხს: — „ჩვენ“!.. **ესე იგი, ყველა — ერთად და არავინ — კონკრეტულად!**

**ამ დროს არავინ ამბობს — რა გზით წაიყვანენ საქართველოს ისინი შესაძლო გამარჯვების შემდეგ?!** გზები კი ხომ სხვადასხვა მიმართულებისაა, რომელსაც ირჩევს არა მხოლოდ მემანქანე, არამედ დეპოს უფროსიც კი... **მაშ, რა ენაზეა წარწერები ქართული ოპოზიციის (საპარლამენტო და არასაპარლამენტო) „საგზაო რუკაზე“, რომლის ლიდერებიც გასულ კვირას რიგრიგობით გარბოდნენ „თბილისი-მარიოტ ოტელში“ „კასტინგზე“ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მეორე მოადგილესთან — მეთიუ ბრაიზასთან? არა გვგონია, რომ — ქართულ ან რუსულ ენებზე: მათ ხომ დიდი ხანია, ჩაუდგეს მიკროჩიპი წარწერით „Made in USA“, ხოლო მათი კეთილდღეობა დღეს ხალხის უბედურებაა...**

ამიტომ, ვინც გინდა, იყავი — გინდ **„მიშისტი“**, გინდ **„ბაბუისტი“** — კვლავაც მოგატყუებენ როგორც **ბაბუინს** — ჰუმანიტარული ბანანით ან ერთი თეფში უფასო წვნიანით, რაღაც 5-ლარიანი სამედიცინო დაზღვევის ტიპის „შეღავათით“, ან, როგორც არა ერთგზის ყოფილა არჩევნების წინ — 10 ლარით (ეკონომიკური კრიზისისა და საქართველოში სახელმწიფო კრიზისის გათვალისწინებით — შეიძლება უფრო მეტითაც)... უხეშია და არაესთეტიკური? — „სამაგიეროდ — იაფი, საიმედო და პრაქტიკული!“ — როგორც კინოფილმი „ბრილიანტის ხელის“ გმირი ამბობს.

როგორაა რუსეთში? შეუიარაღებელი თვალით რაიმეს თქმა ჯერჯერობით ძნელია, ალბათ — არანაირად... **„უკრაინაშიც და საქართველოშიც ოპოზიციების მცდელობანი, გამოიყვანონ საკუთარი ქვეყნები დასავლეთის სრული გავლენიდან, მხოლოდ გამრავლდება. რუსეთს მათ საშინაო საქმეებში ჩაურევლად აქვს ახალი შესაძლებლობა — მხარი დაუჭიროს მართლაც ეროვნულზე ორიენტირებულ ძალებს მეზობელ სახელმწიფოებში. ოღონდ კარგი იქნებოდა, არ შევმცდარიყავით მხარდაჭერის პირებსა და საშუალებებში“**, — წერს პუბლიცისტი ეკატერინა მურომცევა (РИА «НОВОСТИ»). ყოჩაღ, ეკატერინა, ვერაფერს იტყვი — პირდაპირ ღრმად იხედები საქმეში, როგორც ძალიან ცოტა რუსეთში! **მაგრამ ვინ არიან ისინი — ეს ეროვნულზე ორიენტირებული ძალები?!**



**აქამდე მოსკოვი არა ერთგზის შემცდარა ძალებშიც, პირებშიც, მხარდაჭერის საშუალებებშიც:** 1992 წლის მარტშიც, როდესაც დაგვიბრუნა შევარდნაძე, 2003 წლის ნოემბერშიც, როდესაც თბილისში, ვორონცოვ-დაშკოვის სასახლის წინ, რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრმა ივანოვმა „სამეფოდ დალოცა“ სააკაშვილი. და ამჯერადაც შეცდება, თუ ვერ გაიგებს — **სანამ საქართველოში მთლიანად არ შეიცვლება პოლიტიკური ელიტა** (რომელსაც ჩემმა მეგობარმა, ერთ-ერთი გაზეთის მთავარმა რედაქტორმა ზუსტად უწოდა **„ბნელიტა“**), **არავითარი დადებითი ცვლილება არ იქნება!** ერთი და იგივე კადრების განუწყვეტელი თანამდებობრივი „კარუსელისაგან“, ოპოზიციიდან — ხელისუფლებაში და უკან მათი თავბრუდამხვევი ხტომებისაგან არაფერი იცვლება, კვლავ წაგებული რჩება საქართველოც, რუსეთიც! **„არ ვიცი, კიდევ რა უნდა მოხდეს საქართველოში ისეთი, რათა დავრწმუნდეთ, რომ გზა, რომელიც საქართველოს ხელისუფლებამ შევარდნაძის დროიდან აირჩია, არის დამღუპველი! არ ვიცი, რისთვის არის საჭირო ხელისუფლების შეცვლა, თუ არ შეიცვლება პოლიტიკური კურსი, თუ ხელისუფლებაში არ მოვა დამოუკიდებლად მოაზროვნე ძალა, რომელსაც შეუძლია, აღადგინოს ურთიერთობები რუსეთთან... ეს არის ამერიკის მიერ მართული ოპოზიცია და თუ დღეს ისინი ცალ-ცალკე დგანან, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ, როგორც ჩანს, ამერიკიდან ჯერ კიდევ არ არის ერთმნიშვნელოვანი მითითება სააკაშვილის თაობაზე. რუსეთი ამ საშინაო კინკლაობაში არ ჩაერევა“**, — ესაა გლობალიზაციის პრობლემების კვლევის ცენტრის ხელმძღვანელის, მეცნიერებათა დოქტორის, პოლიტოლოგის **ალექსანდრე ჭაჭიას სიტყვები, პატრიოტისა და პროფესიონალის, რომელმაც, ბევრისაგან განსხვავებით, იცის და ლაპარაკობს სიმართლეს!** ამიტომ საქართველოს პოლიტიკური სცენიდან საბოლოოდ უნდა წავიდნენ.

— **ხელისუფლება,** რომელმაც ვერ მოახერხა, ეროვნული გამხდარიყო;

— **ფსევდოოპოზიცია,** თავი რომ ერის სინდისი ჰგონია;

— **პოლიტოლოგი-პროპაგანდისტები,** რომლებიც ტელეეკრანიდან არ ჩამოდიან შავ-თეთრი ტელედროიდან მოყოლებული;

— **ტელეწამყვანები**, რომლებიც ბრმად იმეორებენ მაღალჩინოსანი „ნაციონალსუფლიორების“ სიტყვებს;

— **კულტურის, ხელოვნებისა და მეცნიერების მოღვაწეები**, რომლებიც უკვე მერამდენე წელია, ქართველი ერის სახელით ლაპარაკობენ;

— **დიასპორების წარმომადგენლები**, თბილად რომ „მოკალათებულან“ პარლამენტსა და სახელმწიფო კანცელარიაში და დიდი ხანია, დაივიწყეს გზა ეროვნულ უმცირესობათა კომპაქტურად დასახლებული რეგიონებისაკენ. არადა, ამ დროს თითქოს მათ ინტერესებს იცავენ საქართველოს ხელისუფლებაში.

განა ისინი არ მოგვაგონებენ კომუნისტური შრომის დამკვრელებს, რომლებმაც დიდი ხანია, დაივიწყეს — როგორ გამოიყურება სახარატო ჩარხი და კომბაინი?! სამაგიეროდ წარმოადგენენ მუშათა კლასსა და გლეხობას სკკპ ყრილობებზე თუ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა სესიებზე?! ანდა სხვა დელეგატებს — მხცოვან მეცნიერებსა და წარსულში სახელგანთქმულ სპორტსმენებს, რომ „დამრგვალებულან“ მუდმივი სხდომების, საზოგადოებრივი დატვირთვისა და „სპეცპაიოკისაგან“? **რით განსხვავდება ჩვენი თანამედროვე პოლიტიკური ელიტა „პოლიტბიუროს შვილებისაგან“ — რაიკომების მდივნებისა და აღმასკომების თავმჯდომარეების შვილებისაგან, ნომენკლატურისაგან, თანამდებობებსა და პრივილეგიებს რომ იღებენ მემკვიდრეობით?! დიახ, ეს ისინი არიან! ძირითადი განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ, თუ მამები ასრულებდნენ პოლიტბიუროს ინსტრუქციებს, შვილები ასრულებენ დაზვერვის ცენტრალური სამმართველოს (ჯპუ) ინსტრუქციებს.** მაგრამ მთავარი პრინციპი — **„ინსტრუქცია არის ინსტრუქცია და იგი უნდა შესრულდეს უცილობლად!“** — რჩება უცვლელი, და საქართველოს ხელისუფლებაში როგორც ყვაოდა, ისევე ყვავის ნათლიმამობა და კორუფცია, რომელიც გაკიცხეს ჯერ კიდევ **37 წლის წინათ — 1972 წლის 7 მარტს „პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის დადგენილებაში“**, განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ადრე ეს იყო მანეთები — ავტოინსპექტორის, სახლმმართველის ან „ობეხეესის“ თანამშრომლის ჯიბეში, ახლა კი მილიონობით ოკეანისგაღმური დოლარია — ყველაზე მაღალი რანგის სახელმწიფო ჩინოვნიკის ჯიბეში...

ხოლო ყველა ისინი, ვინც ამას თვალნათლივ ვერ ხედავს **(მათ შორის, სნობიზმით გამორჩეული რუსეთის უკვდავი ბიუროკრატია, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში ფსონს საქართველოში ჩადიოდა მატყუარებსა და გამყიდველებზე — ინტელიგენციიდან და პოლიტიკიდან)**, იგივე **„ბნელიტაა“**, რომელსაც, შეიძლება უნდოდა, რომ უკეთ გამოსულიყო, მაგრამ გამოვიდა — როგორც ყოველთვის...

**P.S.** ეტყობა, აპრილში საქართველოში, როგორც ძველ კარგ დროში, მოსაწყენად არ გვეცლება — ჩვენ ბევრი „ხუმრობა“ სიურპრიზი გველოდება: **1 აპრილს** — ლონდონში პრეზიდენტების მედვედევისა და ობამას შეხვედრის შემდეგ, **3 აპრილს** — „ვანოს შოუ“ „ხალხზე გამარჯვებულ“ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ზე და 9 აპრილს — პარლამენტის შენობის წინ რუსთაველის პროსპექტზე.
**მხოლოდ, ალბათ, ეს „ცრემლიანი ხუმრობები“ იქნება...**

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

## ზურაბ გაგნიძე:

# ლევან ბერძენიშვილს ნამუსის ქუდის ნაცვლად ფარისევლური ქუდი ახურავს

**პოლიტიკური ლიდერის მოღვაწეობის ერთ-ერთი მთავარი მიზანი საკუთარი ერის კეთილდღეობაზე ზრუნვაა. დიდი ილია ბრძანებდა: „ერისკაცი უნდა იყოს შვილი, სისხლი და ხორცი ამა ერისა, იცოდეს რა ტკივილით იმტკივნეულოს და რა სიხარულით ინუგეშოს“. დიახ, დიდი ნიჭია ლიდერობა, ამასთან, უმწიკვლო რეპუტაცია და მაღალი ინტელექტი უნდა ამშვენებდეს. უნდა იყოს შორსმჭვრეტი, გაბედული და გონიერი მოღვაწე, რომელსაც უნარი ექნება, თვითონ შევიწროვდეს, თვითონ დაიკლოს, სიტყვითაც და საქმითაც სამშობლოსათვის თავგანწირვა შეძლოს.**

**რამდენად ფლობს ლიდერისათვის დამახასიათებელ სულიერ უნარებს „რესპუბლიკური პარტიის“ (რომელსაც ინტელექტუალთა პარტიასაც ეძახიან) ერთ-ერთი თვალსაჩინო ფიგურა ლევან ბერძენიშვილი, ამის შესახებ გვესაუბრება ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის დოქტორი, პროფესორი ზურაბ გაგნიძე. ორი დიდი მეცნიერების — ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ღრმა, პროფესიული ცოდნა მას საშუალებას აძლევს, გაგვარკვიოს ფსიქოტექნიკის უფაქიზეს საკითხებში, ჩაგვახედოს განსჯის სუბიექტის სულიერი უნარების არსში და მის საფუძველზე გააანალიზოს პიროვნების ქმედითობის მიზეზშედეგობრივი ჯაჭვი.**



**— ბატონო ზურაბ, რას გვეტყვით ლევან ბერძენიშვილის ტემპერამენტსა და ხასიათის შესახებ, რამდენად აკმაყოფილებს ბატონი ლევანის სულიერი არსენალი ერის დღევანდელ მოთხოვნილებას ლიდერის შესახებ?**

— ლიდერი შინაგანი, სულიერი კონსტიტუციით დემოკრატიული ზნეობის სიღრმისეულ ნიშან-თვისებებს უნდა ფლობდეს, შეეძლოს მშობელი ხალხის სტიქიური პროტესტის თავკაცობა, რევოლუციურ სულისკვეთებასა და კლასობრივ ოცნებას უნდა ატარებდეს. ყოველივე ამასთან თავზე ქრისტიანული სათნოების შარავანდედიც უნდა ედგას.

ახლა მე გეკითხებით — არის ბატონი ლევან ბერძენიშვილი ზემოჩამოთვლილი თვისებების მატარებელი? იგი ლიდერის ფსიქოშტრიხებთან შედარებით პროზაულია, მეორეხარისხოვანი და „დაბალი“. ტემპერამენტის არაჩვეულებრივ ნაირგვარობაში უფრო სანგვინიკური ტემპერამენტის მატარებელია. მისი ყველა სულიერი უნარი ქვეცნობიერშია კონცენტრირებული. ღრმა ვნებანი მისგან შორსაა. გონებრივი შესაძლებლობების მიუხედავად, ხშირად ფუქსავატი და მერყევია, შეუძლია უცებ იცვალოს მდგომარეობაც, აზრიც, შეხედულებებიც და მიზნებიც კი.

**— ადამიანის შინაგანი სამყაროს დანახვა შეიძლება, თუ ფსიქოლოგები გაირჯებით და ამა თუ იმ პიროვნების მიერ განვლილ გზას გადახედავთ...**

— ხალხმა იცის, რამდენი სახეცვლილება განიცადა ბატონმა ლევანმა, სანამ პოლიტიკურ სუფრაზე თავის ახლანდელ ადგილს დაიკავებდა. როგორ და რა გზით მოახერხა, ამ მდგომარეობისთვის მიეღწია? ის ფასადური პიროვნებაა, ამიტომ მედროვის ჭრელ ხალათს მოხდენილად ირგებს. თანაც, ლევანის პოლიტიკურ არენაზე აქტიური გამოსვლა მოხდა მაშინ, როდესაც ერის ცხოვრებაში ეპოქის გარდატეხა ძალთა უმძაფრეს პოლარიზაციას იწვევდა. ამგვარ ფსიქოტიპებს საერთოდ ახასიათებთ მკვეთრი ინდივიდუალური აღქმა, ყველაფერ აღიარებულ და მისაღებ ფორმათა, აზრთა და შეხედულებათა ხელაღებული უარყოფა. ამ თანდაყოლილ თვისებას თუ თან ერთვის გამორჩეულობის პრეტენზიულობა და უზომო პატივმოყვარეობა, მას უჩნდება საყოველთაოდ მიღებული აზრების გაუზიარებლობის ცხოველი სურვილი. სწორედ ერთი უკიდურესი პოზიციიდან მეორე რადიკალურ პოზიციაზე გადასვლით, თვისობრივი სახეცვლილებით იკაფავს გზას. საზოგადოებას თავს ამახსოვრებს ეროვნულ, უკვე უკვდავ ძეგლებადქცეულ ღირებულებებთან ორთაბრძოლით, დიდი ერისკაცისა და საქართველოს უგვირგვინო მეფის — ილიას პოეზიის კრიტიკით. ამას შეგნებულად და გააზრებულად, მიზნის მისაღწევად სჩადის. ეს ნაბიჯი არ იყო ბრიყვი კაცის ამბიცია, ზღვარგადასული პატივმოყვარეობისთვის გაღებული ხარკი. იმ დროს, რადაც უნდა დასჯდომოდა, უნდა აცოცებულიყო პოლიტიკური კიბის რომელიმე პლაცდარმზე. დროც მის სასარგებლოდ მუშაობდა. დიახ, ფსიქოტიპის სულიერი ღირებულებების ათვლის წერტილი დროის ფაქტორის გათვალისწინებით ხდება. მისი იმდროინდელი გამოსვლებით მისი მიზანი ყალბსა და პირად სიბრტყეში იდო. მან გაბედა და შეძლო ერის სულიერ ფასეულობათა საჯაროდ უგულებელყოფა, რასაც ერი არასოდეს დაუვიწყებს. პოპულარობა, რომელიც ამ ნაბიჯმა მოუტანა, ფსევდოპოპულარობაა, თუმცა გარკვეულ პერიოდში მისთვის მომგებიანი იყო. ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ ამ ფსევდოს უნიჭო ადამიანი არ ქმნიდა. პროფანაციასთან ბრძოლა ძნელია, რადგან ფსევდოს ხშირად მიმიკრიის დიდი უნარი აქვს.

პოლიტიკოსთა უმრავლესობის, და მათ შორის, ლევანის სიყვარულიც თავისი თავისადმი დომინანტურია, რის გამოც ეს ერუდიტი კაცი საშიშ დემაგოგად იქცა. ხშირად ჭეშმარიტების მოსასხამმოხვეულს შეუძლია, სინამდვილის ყალბი მოდელით ჭეშმარიტებას ებრძოლოს და გარკვეული გავლენა მოახდინოს თავისი პოზიციით საზოგადოების არაჯანსაღ ნაწილზე, გინდ ეს ქართული საზოგადოებისთვის შოკისმომგვრელი იყოს. ეროვნული ბიბლიოთეკის სათავეში ყოფნისას თავის მრავალსიტყვიანობითა და ყალბი პათოსით აქტიური, ღია და შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადა ერის დიდ შემოქმედთ. ლევან ბერძენშვილმა ისიც კი იკადრა, სამეცნიერო დარბაზიდან გამოეძევებინა დიდი შოთა რუსთაველის ძეგლი და ყოვლად შეუფერებელ ადგილას — აივანზე „გადმოედგა“, რომლის უკან უნათურო სადენი გამუდმებით კონწიალობს.

> **პოლიტიკოსებმა პატრონის ძებნის გზით ხალხში პროტესტის მძაფრი გრძნობა გამოიწვიეს. ხალხი დარწმუნებულია, რომ მათ, ინტელექტის მიუხედავად, არ შეუძლიათ ქვეყანაში არსებული პრობლემების დაძლევა და ქვეყნის გადარჩენის დამოუკიდებელი ცდა. ეს განაჩენი ლევან ბერძენიშვილმა და მისმა თანაპარტიელებმაც საკუთარ თავს თვითონ გამოუტანეს.**

**— მართალი გითხრათ, არასოდეს დავკვირვებივარ ეროვნული ბიბლიოთეკის აივნის „მორთულობას“. ნუთუ ყოველივე ეს მხოლოდ ერთ მერკანტილურ მიზანს — წინწაწევას ემსახურება?**

— ეს არ იყო პირადად ლევან ბერძენიშვილის მოფიქრებული. საფუძვლიანი ეჭვი მაქვს, ვიფიქრო, რომ ბატონ ლევანს კარიერის კიბეებზე წინ წასაწევად ევალებოდა კვარცხლბეკზე ასულთა დამცირება, შეურაცხყოფა, ეროვნული ღირსების ჩაკვლა, საზოგადოებრივ აზრზე ძალადობა, ქართველი ერის დეზორიენტაცია და დაბნევა. ამის თქმის უფლებას მაძლევს ის ფაქტიც, რომ მაშინ დაწყებული საზოგადოების დაბნევა, ღირებულებათა გადაფასება, ეროვნული ძეგლებისადმი აგდებული დამოკიდებულება დღესაც გრძელდება. აბა, გაიხსენეთ მცდარ გზაზე შემდგარი ლევან ბერძენიშვილი, ქვეყნის პირველი ბიბლიოთეკარი, როგორი მისაღები პიროვნება გახლდათ თავისუფლების ინსტიტუტისათვის, ტელევიზია „რუსთავი 2“-ის ეთერისთვის. მის მემკვიდრე ბიბლიოთეკარებს ამ ყურადღების ნამცეციც არ ღირსებიათ. ამა თუ იმ საკითხის შეფასებისას რაღაცის უარყოფა ყოველთვის ხდება და ეს ნორმალური პროცესია. მაგრამ ლევანის ჭკუისა და მოხერხების გამოყენება ერისკაცთა წინააღმდეგ ქართულმა საზოგადოებამ მწარედ აღიქვა და საკადრისი განაჩენიც გამოუტანა.

არ შეიძლება, არ გავიხსენოთ, რომ იყო დრო, როდესაც ბატონი ლევანი ზვიად გამსახურდიას „ულმობელ დიქტატორობას“ აკრიტიკებდა. მისი ამგვარი დამოკიდებულება ზვიადისადმი სულაც არ იყო იდეის სამსახური, ეს გახლდათ იდეით აპელირება. მას სურდა, საძაგელი ობიექტურობით ყოფილიყო ორიგინალური და ღრმააზროვანი, მაგრამ განსჯისას ჩანდა გრძნობათაგან უძლიერესი მანკიერება — შური „ფარსმან სპარსისა“ იმ აღიარებისადმი, რომელიც ზვიადმა შეძლო, ხოლო ყოფილ „დისიდენტს“, დომინანტური ეგოს მატარებელ ფსიქოტიპს ეს ყველაფერი თავისთვის სურდა. მიცვალებული გმირის ამგვარ განქიქებას ერის მორალური კოდექსი კრძალავს და ამიტომ მის ამ გამოსვლებს დადებითი რეზულტატი არ მოჰყოლია.

**— ბატონო ზურაბ, მიუხედავად ყოველივე ამისა, ერი მას მაინც ინტელექტუალთა ელიტას მიაკუთვნებს. ამას როგორ ახსნით?**

— ანალიტიკური აზროვნება, განსჯის ხელოვნება, გონივრული მიდგომები მისი სულიერი უნარების ერთი მხარეა, მაგრამ მისი განვლილი გზა პოლიტიკურ ასპარეზზე ნიჭის უპასუხისმგებლო ფლანგვაა. ნიჭიცა და შემოქმედებითი პოტენციაც პოლიტიკურ ინტრიგებში უქმად დახარჯა. აღზევებისაკენ ლტოლვაში, რომლისკენაც დღესაც ძალუმად მიილტვის, მისი რეიტინგი მნიშვნელოვნად დაზარალდა. პატივმოყვარეობა მის ენერგიას აღაგზნებს, ხშირადაა აყოლილი აღტყინებას. სურს, საზოგადოებაში მკვეთრად ფოკუსირებული იყოს. ესწრაფვის ძალაუფლებას, სხვებზე ზეგავლენას. გონებაგახსნილია, მაგრამ მოაზროვნე თეორეტიკოსი უფროა, ვიდრე პრაქტიკოსი რეფორმატორი. პოლიტიკის მაგივრად სხვა საინტერესო საქმეს რომ გაჰყოლოდა, ნამდვილად შეძლებდა თავისი გონებრივი უნარების დემონსტრირებას.

მის სულიერ უნარებში ხაზგასასმელი შტრიხია არტისტიზმი. ეს თვისება დოზირებულადაა თითოეულ ჩვენგანში. ყველა რაღაც როლს ვთამაშობთ. აი, ბატონ ლევანს შეუძლია, ბრძენი მრჩევლისა და ერის ჭირისუფლის როლი ვირტუოზულად გაითამაშოს, რაშიც ეხმარება მოქნილი ჭკუა და გაუგონარი ცბიერება. ოპონენტები ინტუიციით გრძნობენ მის ამ თვისებებს, მაგრამ მოუხელთებელია.. გესლიანი ენითა და მოხერხებული ჭკუით შეუძლია, მტერს გამანადგურებელი დარტყმა მიაყენოს და „გულის გახეთქვამდე“ შეურაცხყოს. მას მოწინააღმდეგეებზე თავდასხმაც ეხერხება და თავლაფდასხმაც. ამ უნარს ფსიქოლოგები სატირულ მრისხანებას ვეძახით, რასაც განსასჯელი შეფასებისას ცინიზმამდე მივყავართ. ფსიქოლოგიის აზრით კი, იუმორის ნიჭი „სხვა არაფერია, თუ არა — გაიცინო საკუთარ თავზე და ყველაფერ იმაზე, რაც გიყვარს“. ცინიკოსი სიღრმეში ბოღმიანი და მარტოსულია. გულითადობის სიღრმეს მოკლებული, გველივით ჭკვიანი და საშიში. ხშირად აფორიაქებული და ნევროზული. გინახავთ ლევან ბერძენიშვილი მიტინგების ტრიბუნაზე. ამასაც აქვს თავისი განმარტება. ხალხი ტრიბუნაზე იმ პოლიტიკოსებს უხმობს, ვის აზრსაც და შეფასებასაც აქვს წონა და ფასი. ჩვენ მას ტელეეკრანიდან ვიცნობთ, სადაც თავისი სიბრძნით, ერისკაცისა და მედავითნის სიდარბაისლით, მენტორული ტონით მოძღვრავს ერს და ჭკუას არიგებს. კანიდან ძვრება, რა პარალელებს აღარ ძებნის, შესანიშნავი მეხსიერებითა და ნაკითხობით გაპოხიერებული მისი გონება რა „იზმს“ აღარ ხმარობს, რათა ნდობა მოიპოვოს და ჩვენს გონებრივ არსენალს მოძალებული დემაგოგიით დაეპატრონოს. რას იზამ, პარადოქსული მდგომარეობა პოლიტიკოსთა დაავადებაა.

გახსოვთ, მოჭარბებული პათოსითა და ხმის აწევით ცხვირში როგორ სჩრიდა ოპონენტებს თავის „საეჭვო წარსულის“ ღირსებას — „თქვენ მასწავლით საქართველოს სიყვარულსო?!“ ეს ნიშნისმოგებით ნათქვამი ფრაზა ფსიქოლოგისთვის შეურაცხყოფილი და მოტყუებული კაცის განცდაა, რათა მართალი კაცის ღაღადისით სინდისის მძიმე უღელი გადაიგდოს. დიახ, ეს ფსიქოლოგიურად საინტერესო ეპიზოდია, თორემ არც ხმას აუწევდა და არც თავისი ღვაწლის შეხსენება დასჭირდებოდა. ის ჭეშმარიტად ინტელექტუალია, მაგრამ მის სულიერ უნარებსა და ბუნებრივ მიდრეკილებებს მოუწესრიგებელმა გარემომ დიდი ზიანი მიაყენა. მის სულიერ უნართა სქემა მოღვაწეობის სხვა ამპლუას მოითხოვდა.

**— საქართველოს მომავალ პოლიტიკურ სცენაზე ლევან ბერძენიშვილის ან მისი პარტიის როლსა და ადგილს როგორ ხედავთ?**

— პოლიტიკა ლევან ბერძენიშვილის შინაგანი მოწოდება არ არის. ის არაა კაცი, ვინც იდეებს შეეწირება. დღეს ის მისთვის სახარბიელო დინებას მიჰყვება, ლევან ბერძენიშვილს ნამუსის ქუდის ნაცვლად ფარისევლური ქუდი ახურავს. სააკაშვილის გვერდში დგომა მას ძვირად დაუჯდა, რომელიც მისთვისაც და მის თანამოაზრეთათვისაც ფუჭი ექსპერიმენტი გამოდგა. ეროვნული გმირის გრიმწასმული პრეზიდენტი მუშტის ბრახუნითა და თმის წეწვით მას გვერდში ყოფნას ამადლიდა, რამაც პატივმოყვარეობა შეულახა და სული მოუწამლა. ყოფილმა დეპუტატმა არ დაუცადა მიშას „დაცურებას“ და თვითონვე გაეცალა. ბერძენიშვილი, რომლის სულიერი წყობა მოკლებულია ზესახელმწიფოთა „მოწესრიგებული“ და „დემოკრატიული“ ბრძოლის კანონების ცოდნას, დიდ წარმატებებს აღარ უნდა ელოდეს. არის მეორე გზაც — საქართველოში პოლიტიკოსობა ბარიკადებზე დგომაა. ლევანი კი თავისი ხასიათის სტრუქტურით, ტემპერამენტით, ესთეტის ყალბი მსჯელობებით ისტორიული მისიის განსრულებისათვის ბრძოლაში ვერ გამოდგება. მაღალი კულტურის მქონე ქვეყნის ინტელექტუალურმა პოლიტიკოსებმა პატრონის ძებნის გზით ხალხში პროტესტის მძაფრი გრძნობა გამოიწვიეს.

> **ხალხი დარწმუნებულია, რომ მას, ინტელექტის მიუხედავად, არ შეუძლია ქვეყანაში არსებული პრობლემების დაძლევა და გადარჩენის დამოუკიდებელი გზის მოძიება.**

ესაუბრა
ლალი შაშიაშვილი

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

## ოდესის ქართველი ვიცე-მერი სკანდალში გაეხვა

**ოდესის ვიცე-მერის ვახტანგ უბირიას განცხადებით, თუ ოდესის საქალაქო საბჭოს დეპუტატი ალექსეი გონჩარენკო ქალაქის მერს ედუარდ გურვიცს კიდევ ერთხელ მიაყენებს შეურაცხყოფას, ის დეპუტატს ტვინს გაასხმევინებს“.**

უბირია გონჩარენკოს საქალაქო საბჭოს სხდომაზე დაუპირისპირდა. გურვიცმა დეპუტატი ერთ-ერთ საკითხთან დაკავშირებით დეზინფორმაციის გავრცელებაში დაადანაშაულა, გონჩარენკომ მერს კი „მატყუარა“ უწოდა და დარბაზის დატოვება დააპირა.

უკრაინული მედიის ცნობით, ვახტანგ უბირია დეპუტატს შესასვლელში დაეწია და უთხრა: „შენ იდიოტი ხარ. კიდევ ერთხელ მიაყენებ შეურაცხყოფას მერს და ტვინს გაგასხმევინებ“.

ამის შემდეგ უბირია დაცვამ თავის კაბინეტში შეიყვანა.

ვახტანგ უბირია ოჩამჩირეში დაიბადა. ახალგაზრდობაში საცხოვრებლად კიევში გადავიდა. ის საქართველოს „ღირსების ორდენის“ კავალერია.

## ჯონდი ბაღათურია საქართველოში სათამაშო ბიზნესის საერთოდ აკრძალვას ითხოვს



**„ქართული დასის“ ლიდერი, დეპუტატი ჯონდი ბაღათურია მიმდინარე წლის ბოლოსთვის საქართველოში სათამაშო ბიზნესის საერთოდ აკრძალვას ითხოვს.**

როგორც ბაღათურიამ დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, სათამაშო ბიზნესი არა დასაქმების, არამედ ოჯახების ტრაგედიის წყაროა, რომელსაც სახელმწიფო ვერ აკონტროლებს.

დეპუტატი საკანონმდებლო ინიციატივითაც გამოდის, რომელსაც მთავრობის მიერ უკვე ინიცირებული ჯარიმების გაზრდის შესახებ კანონპროექტის ალტერნატივად დააყენებს.

ინიციატივის მიხედვით, 21 წლამდე ახალგაზრდის სათამაშო დაწესებულებაში დაშვების შემთხვევაში სლოტკლუბი ჯერ 10 ათასი ლარით უნდა დაჯარიმდეს, იგივეს განმეორების შემთხვევაში კი, ლიცენზია ჩამოერთვას.

აღნიშნული ინიციატივა, ბაღათურიას განცხადებით, პირველი ეტაპი იქნება, მეორე ეტაპზე კი – წლის ბოლოსთვის, სათამაშო კლუბები საერთოდ უნდა დაიხუროს.

დეპუტატმა დასძინა, რომ მართალია, სათამაშო ბიზნესის მეპატრონეები ამ ინიციატივით უკმაყოფილონი დარჩებიან, მაგრამ მათზე მნიშვნელოვანი იმ ოჯახების ტრაგედიაა, რომელთა შვილებმაც „ყველაფერი გაიტანეს და გაყიდეს“.

რაც შეეხება მთავრობის ინიციატივას, „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ ცვლილებების პროექტით, 21 წლამდე ახალგაზრდის სათამაშო აპარატთან დაშვება პირველად 5 ათასი ლარით ჯარიმდება, შემდეგ კი — 10 ათასი ლარით.

# პასუხად მიხეილ ქურდიანს

**ჩვენი საზოგადოების წევრები დიდხანს ვფიქრობდით, გამოვხმაურებოდით თუ არა ბატონ მიხეილ ქურდიანის კომენტარს ერეკლე მეორესთან დაკავშირებით, რომელიც მან გააკეთა გადაცემაში „დიდი ათეული“. სტატიის დაწერა ერთმა პატარა „აღმოჩენამ“ გადამაწყვეტინა, რაზედაც სულ ბოლოს მოგახსენებთ. სანამ მკითხველს ჩვენეულ მოსაზრებას გავაცნობდეთ, მინდა შეგახსენოთ, რომ ბატონი მიხეილ ქურდიანი არის რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარე. მის სხვა ტიტულებზე მოგვიანებით მივუთითებ.**



ამ გადაცემაში მან დაგმო და აუგად მოიხსენია საქართველოსთვის ისეთი თავდადებული მეფე, დიდი სარდალი და უბადლო მეომარი, როგორიც ერეკლე მეფეა, ყველასათვის ცნობილი პატარა კახი (რატომღაც ერთ-ერთ გადაცემაში, რომელიც დემეტრე თავდადებულის წარდგენას ეძღვნებოდა, ამ ზედმეტი სახელის თბილად მოხსენიება წამყვანებს არ მოეწონათ და საუბარი სასწრაფოდ სხვა კონტექსტში გადაიტანეს; რას იზამთ, ალბათ, შეკვეთა ასეთია).

სანამ უშუალოდ ბატონი მიხეილის კომენტარების განხილვაზე გადავიდოდეთ, ორიოდე სიტყვა თვით გადაცემის შესახებ მინდა, ვთქვა. სამწუხაროა, რომ საპატრიარქოს წარმომადგენელთა და სასულიერო პირთა თხოვნის მიუხედავად, დიდი ათეულის „კონკურსანტებიდან“ არ ამოიღეს წმინდანები. პროექტის ავტორთა „სიჯიუტე“ სავსებით გასაგებია. სხვა ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ქართველ წმინდანთა გარეშე მათი „კონკურსანტების“ სია ძალზე მწირი იქნებოდა და ეს გადაცემაც ასეთ რეზონანსს არ გამოიწვევდა. **ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საქართველოს ისტორია განუყოფელია ქრისტიანობისაგან, რასაც პრაქტიკულად უარყოფს ბატონი მიხეილი, როდესაც იგი ბრძანებს, რომ ერთმორწმუნეობის ფაქტორის გათვალისწინებას საქართველოსთვის კარგი არაფერი მოუტანია.** ტიტულები ტყუილად არ მიხსენებია. **ბატონი მიხეილი ამავე დროს არის (1995 წლიდან) საქართველოს საპატრიარქოს გელათის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი და ამას იგი ყველგან სიამაყით აღნიშნავს. ეს მაიმედებს, ვივარაუდო, რომ იგი ნამდვილად არის ნამყოფი საქართველოს საპატრიარქოში, სადაც ერთ კედელზე სრულიად საქართველოს პატრიარქმა, ილია მეორემ, დააწერინა უზარმაზარი ფრესკა, სადაც ყველა ქართველი წმინდანია გამოსახული. ერთადერთი ისტორიული პირი ამ ფრესკაზე, რომელიც წმინდანი არ არის, ერეკლე მეორეა.** იქნებ უწმინდესისა და უნეტარესისთვის მაინც ეკითხა აზრი გელათის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს ერეკლე მეფის შესახებ და მერე გაევრცელებინა ის აზრები, რომლებიც დღევანდელი პოლიტიკური კონიუნქტურისთვის განკუთვნილ „დითირამბებს“ უფრო ჰგავს, ვიდრე ისტორიულ სინამდვილეს.

ერეკლე მეორეს შესახებ ბევრის თქმას არ ვაპირებ. ქართველმა ხალხმა იცის მისი გმირობის შესახებ და ქართულ ფოლკლორში (კლასიკას რომ თავი დავანებოთ) მრავლადაა შემონახული მისთვის მიძღვნილი ლექსები თუ სიმღერები. **ერთი რამ კი მსურს, მკითხველს შევახსენო. მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს არ არსებობდა სახელმწიფო – საქართველო. ერთიანი სახელმწიფოებრიობის ისტორიაში იყო ძალზე ხანგრძლივი, ოთხ საუკუნეზე მეტი ხნის წყვეტა, ანუ გიორგი ბრწყინვალეს შემდეგ. იყო ქართლ-კახეთის სამეფო, რომელიც სულს ღაფავდა სპარსთა და ლეკთა თარეშისაგან. იყო იმერეთის სამეფო, რომლის სატახტო ქალაქს, ქუთაისს (სადაც ბატონმა მიხეილმა მაგისტრატურა დაამთავრა), ოსმალები აკონტროლებდნენ. იყო გურიისა და სამეგრელოს სამთავროები. დაკარგული იყო აჭარა, აფხაზეთი, ფოთი, ახალციხე, ახალქალაქი, ასპინძა. აქ ყველგან ოსმალო ბატონობდა. როგორც ჩანს, ბატონი მიხეილ ქურდიანი მიიჩნევს, რომ ეს ტერიტორიები ყოველთვის ოსმალეთის იმპერიის კუთვნილი იყო, რადგან იგი აცხადებს, რომ თურქებს ქართველებისთვის ერთი გოჯი მიწაც კი არ წაურთმევიათ.**

მე ვერ გავბედავ, შევაფასო ბატონი მიხეილის ცოდნა ისტორიაში, მაგრამ ერთია ისტორიული ფაქტების ცოდნა, ხოლო მეორე – მათი სწორი ანალიზი. აი სწორედ ეს არის ისტორიული მეცნიერება, და არა თარიღებისა თუ მოვლენათა დაზეპირება. გეოგრაფიაში კი ბატონი მიხეილი ნამდვილად მოიკოჭლებს, რადგან, არა მხოლოდ საქართველოს გეოგრაფიულ საზღვრებს ამახინჯებს, სხვა ქვეყნების გეოგრაფიასაც ეჭვქვეშ აყენებს. იმავე გადაცემაში, როდესაც საუბარი გრიგოლ ხანძთელს ეხებოდა, მან თქვა, რომ აღარ არსებობს ისეთი ქვეყანა, როგორიც ირანია. **ნეტა ვის საამებლად ვერ დაინახა მსოფლიო რუკაზე ბატონმა მიხეილმა მილიონნახევარი კვადრატული კილომეტრი ფართობის მქონე ქვეყანა 70-მილიონიანი მოსახლეობით?!**

კვლავ დავუბრუნდეთ ერეკლე მეფეს და მის მიერ დადებულ გეორგიევსკის ტრაქტატს, რომლითაც იგი მფარველობას სთხოვდა ერთმორწმუნე რუსეთს. მკითხველს საკუთარი აზრებით თავს არ შევაწყენ. ერთ პატარა ნაწყვეტს მოვიყვან ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტური ნარკვევიდან „ასის წლის წინათ“, რომელიც 1899 წელს, საქართველოში რუსის ჯარის შემოსვლის ასი წლისთავზე დაწერა. აი, როგორ შეფასებას აძლევდა სულმნათი ილია ამ მოვლენას:

**„...ამ ტანჯვა-წამებით მოაწია ამ პატარა ქვეყანამ, ამ ერთმა მუჭა ერმა მეთვრამეტე საუკუნის დასასრულამდე. შეირჩინა რჯული, ენა, თავისი ეროვნული ვინაობა და თავისი ქვეყანა, როცა გაძლიერებულმა რუსეთმა ფეხი მოაბჯინა ჩრდილოკავკასიის მთებს და წამებულმა საქართველომ რუსეთისაკენ მიიხედა... დამშვიდდა დიდის ხნის დაუმშვიდებელი, დაღალული ქვეყანა, დაწყნარდა აკლებისა და აოხრებისაგან, დასცხრა ომისა და ბრძოლისაგან... დაუდგა ახალი ხანა, ხანა მოსვენებულის, უშიშარის ცხოვრებისა სისხლდანთხეულ და ქრისტეს ჯვარისათვის ჯვარცმულ საქართველოს... დაიდვა საზღვარი მშვიდობის-მყოფელ ცხოვრებისა. ის დღეა და ველარავინ გადმოლახა იგი საზღვარი ცეცხლითა და მახვილით ხელში და 26 ნოემბერს 1799 წელს, კვლავ სასოება-გაღვიძებული მეფე და ერი, გულწრფელად მიენდო თავისს მომავალსა, დიდის რუსეთის მფარველობის იმედითა და ნუგეშინით ფრთაშესხმული“.**

აი, ასე აფასებდა დიდი ილია ერეკლე მეფის მიერ გადადგმულ ნაბიჯს. ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობის პერიოდში რუსეთის დახმარებით დაიბრუნა საქართველომ აჭარა, აფხაზეთი, ფოთი, ყულევი, სამცხე-ჯავახეთი. ბატონი მიხეილ ქურდიანის კიდევ ერთი ტიტული: ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებელი და მისი საპატიო წევრი (ასე უწერია მას თავის ბიოგრაფიაში). საინტერესოა, ილია ჭავჭავაძის საზოგადოებას როდესაც აფუძნებდა, ამბობდა თუ არა ბატონი მიხეილი, რომ ილია ჭავჭავაძე მცდარად აფასებდა საქართველოში მიმდინარე მოვლენებს?! ალბათ, არა, თორემ საზოგადოების წევრად არ მიიღებდნენ. ილია ჭავჭავაძე ხაზგასმით აღნიშნავდა იმ დემოგრაფიულ აღმავლობას, რომელსაც საქართველოში სწორედ მე-19 საუკუნეში ჰქონდა ადგილი. და აქ კიდევ ერთი ტიტული ბატონი მიხეილისა: საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების დამფუძნებელი, ამავე საზოგადოების პრეზიდენტი 1990-1994 წლებში, 1999 წლიდან საზოგადოების საპატიო პრეზიდენტი.

**ბატონმა მიხეილმა გადაცემაში აღნიშნა, რომ მონღოლები, თურმე, რუსებთან შედარებით ანგელოზები იყვნენ, ასეთი იყო მისი რიტორიკა. ამაზე მას კარგი პასუხი გასცეს იქ მყოფმა გუბაზ სანიკიძემ, ვასილ მაღლაფერიძემ და გუგული მაღრაძემ. ამიტომ ამ პატივსაცემ ადამიანთა მიერ გამოთქმული კრიტიკის შემდეგ, ჩემი არგუმენტებით თავს არ შეგაწყენთ.**

ვფიქრობ, რომ ამგვარად მოაზროვნე ადამიანი უნდა იყოს არა რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარე, არამედ მურვან ყრუს, თემურ ლენგის ან, თუნდაც, აღა-მაჰმად-ხანის საზოგადოებისა.

დაბოლოს, რატომ გადავწყვიტე, მაინც დამეწერა ეს სტატია. რამდენიმე დღის წინათ ძველ ჟურნალებს ვათვალიერებდი. სრულიად შემთხვევით გადავფურცლე საბჭოური პერიოდის ჟურნალი „ზნამია“, 1976 წლის მე-6 ნომერი. თვალებს არ ვუჯერებდი, როდესაც ჟურნალის მეოთხე გვერდზე ვნახე ბატონი მიხეილ ქურდიანის ლექსი „ლენინური კომკავშირი“. ამ დროს ბატონი მიხეილი უკვე 22 წლის იყო, უმწიფრობას ვერ დავაბრალებთ; გალაკტიონ ტაბიძე, ლადო ასათიანი, მირზა გელოვანი, ტერენტი გრანელი და მრავალი სხვა გამოჩენილი ქართველი პოეტი ამ ასაკში შედევრებს წერდა. ლექსი რუსულად ნათარგმნია ვინმე ვიქტორ შიროკოვის მიერ. **სხვაში რომ არ შემშლოდა, სხვადასხვა სანდო წყაროდან დავადგინე, რომ ბატონი მიხეილი ახალგაზრდობაში (შესაძლოა, ახლაც) მშვენიერ ლექსებს წერდა და სკოლაში კომკავშირის მდივანიც ყოფილა. სხვა პოეტი მიხეილ ქურდიანი საქართველოს არ ჰყოლია. ლექსის ქართული ვარიანტის მოძიების დრო არ მქონდა, ამიტომ გავკადნიერდები და ერთ სტროფს რუსული თარგმანიდან წარმოგიდგენთ:**

«Эти чувства, пламенные мысли,
подвигов бессмертных ореол,
эти нестареющие выси
уместились в слове КОМСОМОЛ».

**მაშინ მზე ჩრდილოეთიდან ამოდიოდა. ახლა გვინდა, რომ დასავლეთიდან ამოვიდეს. საქართველოში მუდამ მზიანი ღამე ან ღამიანი მზე იქნება, ვიდრე, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ ისტორიას და საკუთარ თავს არ განვსჯით ობიექტურად. განკითხვით კი ყველას უფალი განიკითხავს.**

პატივისცემით,
**არჩილ ჭყოიძე**
„ერეკლე მეორეს საზოგადოების“ თავმჯდომარე

## დავით იაკობიძე:

# როგორც შევედით კრიზისში, ისე გამოვალთ, ანუ არც შესვლა გაგვიგია, ვერც გამოსვლას გავიგებთ

**ობივატელს რომ ჰკითხო — არის თუ არა მსოფლიო საფინანსო და ეკონომიკური კრიზისი, დაეჭვებით შემოგხედავს როგორც ასათიანის ქუჩიდან გამოპარულ გიჟს.**
**გიჟი კიდევ უფრო გაგიჟდება და იტყვის — გიჟები ხომ ხმამაღლა ფიქრობენ — მაშინ გამაგებინეთ, რას ნიშნავს ეს მსოფლიო უბედურება და კონკრეტულად რაში გამოიხატებაო.**
**ფაქტები და არგუმენტები სჭირდება ამ სახურავდაცურებულს, მით უფრო, რომ სულაც არ არის სახურავდაცურებული, ნორმალური ადამიანია, რომელსაც კალაპოტიდან აგდებს ხან აღმოსავლეთიდან, ხან დასავლეთიდან წამოსული ეკონომიკური ცუნამის საშიშროება, რომელმაც უნდა წალეკოს მისი ძლივს შეკოწიწებული პირადი კეთილდღეობა.**
**ასე ამბობენ ეკონომიკის ზარატუსტები.**
**ხოლო ისინი, ვისაც სახელმწიფოთა ეკონომიკის სადავეები ხელთ უპყრია, ამბობენ სულ სხვა რამეს.**



**ომი რომ არ ყოფილიყო და, შესაბამისად, საგარეო ფულადი დახმარება რომ არ მიგველო, ჩვენი ეკონომიკა 2009 წლის მაისში აღმოჩნდებოდა ზუსტად იგივე მდგომარეობაში, როგორშიც სომხეთის ეკონომიკა ამ ოციოდ დღის წინათ.**

**ჩინელებმა, მაგალითად, განაცხადეს, რომ კრიზისს მაქსიმუმ ერთ წელიწადში დაძლევენ. რომ მიუხედავად სირთულეებისა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ეკონომიკის ზრდა არ შეჩერდება. შეიძლება შარშანდელზე ცოტა ნაკლები იყოს წლეულს, მაგრამ მაინც შეინარჩუნებენ განვითარების სერიოზული ტენდენციას.**

**ამერიკელებმა კი ახლახან განაცხადეს, რომ მსოფლიო კრიზისი სულ რაღაც ორ თვეს გასტანს, გაზაფხულს გადაიტანს და ზაფხულიდან ეკონომიკური აღმავლობა დაიწყება. მარტო აშშ-ში კი არა, მთელ მსოფლიოში.**

**გაგიჟდება კაცი — შეიძლება, ოპტიმისტურ ნიადაგზე, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს, რა მიზეზით?**

**ასეა თუ ისე, ამერიკელთა განცხადებამ გლობალური მასშტაბით ყველა ოპტიმისტურად განაწყო. მაგრამ ჩვენი წილი ოპტიმიზმი ექსპერტთა უმრავლესობის დასკვნების „მუქ ფერებში" გაწყალდა და გაიცრიცა.**

**დგას ახლა ეს ჩვენი ობივატელი ხელისუფლების გულმხურვალე მომხრეთა შეკრებაზე, უსმენს ხან პრეზიდენტს, ხან პარლამენტის თავმჯდომარეს, ხან უნივერსიტეტის მეორე კორპუსთან შეკრებილ ახალგაზრდებს, რომლებსაც არ სურთ პრემიერ-მინისტრის სააგიტაციო საუბრის ყურისგდება და ვერაფერი გაურკვევია. კი უნდა იმ კაცს რაღაცის დაჯერება, მაგრამ ეკონომიკური ექსპერტები „მაესტროს" მუსიკალური ტიხარივით რომ უმეორებენ — „არ დაიჯერო, არ დაიჯერო", გიკვირთ, რომ დაიბნეს?**

**ამიტომ, მოდით, ჩვენს კონსულტანტს, პროფესორ დავით იაკობიძეს ვთხოვოთ, დაგვაკვალიანოს. ბატონ დავითს მოჭარბებულად აქვს იუმორის გრძნობა, რაც მეორეხარისხოვანი არ უნდა იყოს ასეთ შემთხვევაში.**

**ბატონი დავით იაკობიძე გვიპასუხებს:**

— ამერიკელები ზოგჯერ ცდებიან, მაგრამ ისე არა, რომ გამოსავალი ვერ იპოვონ შექმნილი სიტუაციიდან. მათ ღრმად სწამთ საკუთარი სიმართლის და არცთუ უსაფუძვლოდ მიიჩნევენ, რომ კრიზისი აშშ-ში და კრიზისი მსოფლიოში პრინციპულად იდენტურია. ცნობილია, რომ **აშშ მსოფლიო დოვლათის 20 პროცენტს აწარმოებს, მოხმარებით კი უფრო მეტს მოიხმარს, და თუ ამერიკელებმა შენიშნეს თავიანთი ეკონომიკის გამოცოცხლების ნიშნები, მაშასადამე, სრული საფუძველი აქვთ, ივარაუდონ, რომ საერთო ეკონომიკური აღმავლობა შორეული პერსპექტივა არ არის.**

**— ეს ჩვენც შეგვეხება?**

— ჩვენი მდგომარეობა განსაკუთრებულია: მართალია, გლობალურ ეკონომიკაში ისე ვართ ჩაკარგულები, როგორც ზღვაში მოტივტივე ნაფოტი, და ეკონომიკური აღმავლობის რაიმე ნიშანი ჩვენთან აბსოლუტურად არ შეიმჩნევა, მაგრამ პესიმიზმის საფუძველი მაინც არ გვაქვს.

**— „ვითომ რატომაო?" — ავქსენტი ცაგარელის ვოდევილის ერთ-ერთი გაოცებული პერსონაჟის რეპლიკას გამოვიყენებ.**

**ხოლო პასუხის იუმორის დონის შეფასება ჩვენი გაზეთის მკითხველისთვის მიმინდვია:**

— ჩვენ მსოფლიო თანამეგობრობის სრულფასოვანი წევრი ქვეყანა ვართ და **როგორც შევედით კრიზისში, ისე გამოვალთ, ანუ არც შესვლა გაგვიგია, ვერც გამოსვლას გავიგებთ!**

**— ბატონო დავით, ობივატელი სულ რომ არ დავაბნიოთ, გაგვარკვიეთ. თქვენ გინდათ, თქვათ, რომ კრიზისი საერთოდ არ შეგვხებია?!**

— ვამბობ, რომ კრიზისი, როგორც მოვლენა, ძალიანაც შეგვეხო. მეტიც, **საკუთარი შეცდომებითაც „გავამდიდრეთ", დავამატეთ მსოფლიო პროცესებს. ამით კიდევ უფრო გავაღრმავეთ კრიზისი.**

მაგრამ... რადგან ეკონომიკურ პოლიტიკაში ანტიკრიზისული ღონისძიებები საერთოდ არ გაგვიხორციელებია, არ გვიზრუნია კრიზისის ზეგავლენის აცილებაზე ან შერბილებაზე, შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ **ამ გლობალური მოვლენის იგნორირებით „ერთ, ცალკე აღებულ სახელმწიფოში" იგი თავიდან ავიცილეთ**

**— პარადოქსია!**

— არც მთლად პარადოქსი. ეკონომიკური სიძნელეები დავაბრალეთ მსოფლიოს და უდანაშაულო მსხვერპლის პოზაში ჩავდექით, ხელგაწვდილები საგარეო დახმარების მოლოდინში.

**— ანუ მათხოვრის?**

— ვის როგორ მოსწონს... ასეთი პოზიცია იმდენად ძლიერი გამოდგა, რომ ამ ეკონომიკური საყოველთაო კატასტროფის ზემოქმედება სხვებზე ბევრად უკეთესად გადაგვაქვს.

**— ალბათ, გულისხმობთ იმ დიდ ეკონომიკურ მხარდაჭერას, რომელიც აგვისტოს ომის შემდეგ მიიღო საქართველომ?**

— რა თქმა უნდა. პასუხის საილუსტრაციოდ ციფრებს დაგისახელებთ. **2008 წლის აპრილში საქართველოს ეროვნული ბანკის ფულადი რეზერვები შეადგენდა 1,9 მილიარდ დოლარს. იმავე წლის აგვისტოში, რუსეთ-საქართველოს ომის დაწყების წინ კი — 1,1 მილიარდს.** ამ რეზერვის ხარჯვა საკმაოდ არათანაბარზომიერად (ვოლოტილურად) მიმდინარეობდა და ეს რესურსი თვიურად საშუალოდ დაახლოებით 190 მილიონი დოლარით მცირდებოდა.

იმავე წლის სექტემბერში, ომის შემდეგ, ეროვნული ბანკის რეზერვმა 1,3 მილიარდი დოლარი შეადგინა — კი არ შემცირდა, გაიზარდა.

მომდევნო ხუთ თვეში ეროვნულმა ბანკმა ფულის ბირჟაზე გაყიდა 900 მილიონზე მეტი ლარი, მაგრამ რეზერვი ერთ მილიარდ აშშ დოლარს მაინც აღემატება. ომის წინ და მის შემდგომ ეროვნული ბანკის ფულადი რეზერვის პოზიციიდან დოლარსა და ლარს შორის დამოკიდებულება არ შეცვლილა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ შარშან დეკემბერში ეროვნულმა ბანკმა უცებ და მოულოდნელად მოახდინა ლარის საცვლელი კურსის კორექტირება დოლარის მიმართ, დავასკვნით, რომ 2008 და 2009 წლებში ლარზე საბაზრო წნეხი არ შესუსტებულა. რა გამოდის? **ომი რომ არ ყოფილიყო და, შესაბამისად, საგარეო ფულადი დახმარება რომ არ მიგველო, ჩვენი ეკონომიკა 2009 წლის მაისში აღმოჩნდებოდა ზუსტად იგივე მდგომარეობაში, როგორშიც სომხეთის ეკონომიკა ამ ოციოდ დღის წინათ.**

**— და სომხეთის პრეზიდენტს შესაძლებლობა მიეცემოდა, ისევე ექილიკა ჩვენზე, როგორც მიხეილ სააკაშვილმა თავს უფლება მისცა, ხელები მოეფშვნიტა სომხეთის ეკონომიკის „ჩამოშლისა" გამო, რასაც, მოგეხსენებათ, საერთაშორისო სკანდალი მოჰყვა.**

**დილეტანტებისთვისაც კი ცნობილია, ბატონო დავით, რომ კარგი და კორექტული საგარეო ეკონომიკური თანამშრომლობის გარეშე სახელმწიფო ვერ სრულყოფს საფინანსო მეურნეობას, რადგან მონეტარისტულ ეკონომიკაში ფულის როლი უაღრესად დიდია. „საქართველო და მსოფლიოსთან" საუბარში თქვენ ერთხელ უკვე აღნიშნეთ, რომ საქართველოს ეკონომიკას ფული აკლია — დაახლოებით ერთი მილიარდი დოლარი... ამ პრობლემას რა ეშველება?**

— მაშინ გითხარით, რომ მიუხედავად მძლავრი უცხოური დახმარებისა, ქვეყანას ერთი მილიარდი დოლარი მაინც აკლია-მეთქი. ახლაც იმავე აზრზე ვდგავარ, რადგანაც, თუ ჩავუკვირდებით ჩვენი ქვეყნის ფულად სტატისტიკას, დავინახავთ, რომ საგრძნობლად იკლო უცხოურმა ინვესტიციებმა, იკლო ფულადმა გზავნილობებმა, ცუდ მდგომარეობაშია ექსპორტი. შესაბამისად, სათუოა ქვეყნის მაკროეკონომიკური მიზნების შესრულება. არ მინდა, თქვენი გაზეთის მკითხველი შევაწუხო ციფრებით, მაგრამ შევნიშნავ, რომ ფულის არსებული რაოდენობა ფულის ბრუნვის სიჩქარის დღევანდელ პირობებში ვერ უზრუნველყოფს ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის იმ დონეზე ზრდას, რომელიც გაცხადებული იქნა 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით.

საქმე ისაა, რომ უცხოური დახმარების მომლოდინე და ყველაფრის გამყიდველი მთავრობა ვერც კი გრძნობს, საით მიაქვს დინებას ის პატარა ნავი, რომელსაც საქართველო ჰქვია. რეალობაში კი **ხმები საქართველოს საფინანსო სექტორის წარმატებებზე ერთობ გადაჭარბებულად მეჩვენება, რადგან საქართველოს საბანკო სისტემა მოწყვეტილია ქვეყნის რეალური სექტორის მოთხოვნებს.** რამდენიმე ციფრს დაგისახელებთ: საბანკო ვადიანი დეპოზიტების 99 პროცენტი არის ერთთვიანი დეპოზიტები, ხოლო დანარჩენი ერთი პროცენტი კი უფრო ხანგრძლივვადიანი დეპოზიტებია. ეს იმას ნიშნავს, რომ *საქართველოში არ არსებობს ბანკები როგორც სადეპოზიტო დაწესებულებები,* მათ მიერ მიზიდული ფული არის ჩვენი ხელფასები, რომლებიც პლასტიკურ ბარათებზე გვერიცხება და ამ ფულის ჯამური რაოდენობა თითქმის ერთ მილიარდ ლარზე მეტია. მოსახლეობის სხვა დანაზოგები კი ოც მილიონ ლარს არ აღემატება. ბანკები ძირითადად დოლარებში გასცემს კრედიტებს, განსაკუთრებით, — გრძელვადიან კრედიტებს. ამ კრედიტების უდიდესი რაოდენობა სამომხმარებლო კრედიტია. შესაბამისად, **გაცემული კრედიტი გადის საქართველოს ფარგლებს გარეთ და აინვესტირებს უცხოურ ეკონომიკას.** ამასთან, თვით ბანკებს არ აქვთ ლარისადმი სათანადო ნდობა. ამას დავუმატოთ, რომ ბანკების საწესდებო კაპიტალის თითქმის 70 პროცენტი უცხოური კაპიტალია და დავინახავთ, რომ საქართველოს საბანკო სისტემა კვაზისისტემაა. იგი არა თუ არ არის ქართული ეკონომიკის დასაყრდენი, არამედ შინაგანად დიდი ხიფათის შემცველია.

**— მერედა, რას უყურებს ეროვნული ბანკი? განა არ შეუძლია მოაწესრიგოს არსებული მდგომარეობა?**

— ეროვნული ბანკი, მას შემდეგ, რაც არსებითად შეიცვალა მისი საქმიანობის განმსაზღვრელი კანონი, პრინციპულად აღარაა ცენტრალური ბანკი. კანონში ცვლილებებმა ლეგალური გახადა მისი ისეთი მდგომარეობა, რომელშიც იგი ჩააყენა სახელმწიფომ და მთელმა საბანკო სისტემამ. მას დარჩა მხოლოდ ღია ბაზარზე ტარგეტირების — მიმდინარე მოტივაციის შესრულების შესაძლებლობა, რომელსაც ინტენსიურად იყენებს და ამით **თანდათან უფრო და უფრო ემსგავსება ვეებერთელა ფულის გადამცვლელ ჯიხურს.** საბოლოო ჯამში იგი შეეწირა საკუთარ დამოუკიდებლობას და იმ კარჩაკეტილ სტილს, რომელსაც წლების მანძილზე ეწევა.

**— პირდაპირ თქვით, ბატონო დავით, საქართველოს ეროვნული ბანკი აღარ აქვს?**

— საქართველოს ეროვნული ბანკი იყო ქვეყნის ცენტრალური ბანკი, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი იყო ქართული ფულის ერთადერთი ემიტენტი — ფულის გამომშვები, ლარის მიერ ფასების მასშტაბის განმსაზღვრელი და მისი საცვლელი კურსის დამდგენი დაწესებულება, ქვეყნის კომერციულ ბანკთა ბანკი და ა.შ. სამწუხაროდ, დღეისთვის ეროვნული ბანკის შესახებ კანონით თითქმის მთლიანადაა უგულებელყოფილი ის დებულებები, რაც ჩვენს კონსტიტუციაში ეროვნული ბანკის შესახებ წერია. სამწუხაროდ, დღეისთვის იგი მთლიანად გადაყლაპა „მონეტარული კონტროლის სააგენტომ" და გადააქცია, როგორც უცხოელი სპეციალისტები ამბობენ, „შერიფის იაფ დამხმარედ". ჩემი ნათქვამის სისწორეში რომ დარწმუნდეთ, თვითონ განსაჯეთ, რა ხდება ბაზარზე: ვაჭრები მსხვილ კუპიურებს გაურბიან, ვერ ახურდავებენ, წვრილი კუპიურები ხმარებისგან გაცვდა და „სკოჩებით" ათასნაირად არის დაწებებული, მიმოქცევაში ნელა და უადგილოდ მკვიდრდება ლითონის მონეტები და ა.შ. ეს ყველაფერი მიგვანიშნებს, რომ ბანკის უპრეზიდენტობის ხანგრძლივმა პერიოდმა შეზღუდა მისი უფლებები ფულის ემისიის სფეროში. დღეისათვის ეს მაგალითი ვიკმაროთ, სხვა დროს კი უფრო საფუძვლიანად ვიმსჯელოთ.

**— მსჯელობა გვიშველის?**

— ჩვენ ჩვენი ვქმნათ, თუმცა, გულახდილად რომ გითხრათ, სწავლის მსურველებს მაინცა და მაინც ვერ ვხედავ...

ესაუბრა
**თორნიკე მანველიძე**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ადამიანები „მჭიდიდან“

**სიტყვის თავისუფლებასთან დაკავშირებით ჩვენთან, თითქოსდა, ყველაფერი რიგზეა. შევეჩვიეთ, რომ შეგვიძლია, თავისუფლად გამოვთქვათ ჩვენი აზრები, ჩინოვნიკებს კი აქვთ უფლება, მოგვისმინონ. ჟურნალისტები თავისუფლად განსაზღვრავენ პრიორიტეტულ თემებს, პოლიტოლოგები და ექსპერტები თავისუფლად გადმოსცემენ თავიანთ თვალსაზრისს ამა თუ იმ საკითხზე. გვაღელვებს მხოლოდ ის ვითარება, რომ ყველგან ერთი და იგივე სახეებია. მიდიხარ მანქანით, ჩართავ რადიომიმღებს, უსმენ კომპეტენტურ აზრს, მაგალითად, დასავლეთ ევროპის კულტურის ინტეგრაციის, დასავლური დემოკრატიული ფასეულობებისაკენ სწრაფვის და, რასაკვირველია, იმის შესახებ, თუ როგორ გვიშლის ყოველივე ამაში ხელს ცუდი და ბოროტი მეზობელი. საღამოს კი იგივენი განიხილავენ სხვა საჭირბოროტო საკითხებს. შემდეგ, დილით გადაშლი გაზეთებს, ელოდები რაღაც ახალს, მაგრამ... კვლავ ისინი!**



ისინი აზროვნებენ და ლაპარაკობენ ძირითადად შტამპებით. მათ აქვთ შესანიშნავი მეხსიერება, კარგად იციან დირექტივები, ხოლო უნარი — მკაფიოდ ჩამოაყალიბონ საკუთარი აზრი — მათ ანალიტიკოსების სახელს უქმნის. განსაკუთრებით იმ პერიოდში, როდესაც ცოცხალ აზრს აქტიურად ახშობენ. ისინი ისე კარგად „მოასწორებენ“ ნებისმიერ თემას, რომ მასში ვერ იპოვი ვერც ერთ ცოცხალ აზრს. ყველაფერი იკითხება და ისმინება გამართულად, თუმცა ცოდნას არ გძენს, მაგრამ არ იწვევს „პარტიულად მოაზროვნე“ საიდუმლო ცენზორების წინააღმდეგობას, რასაც დღევანდელობაში ნაკლები მნიშვნელობა როდი აქვს. ჩვენი პოლიტიკოსები და ექსპერტები ზოგჯერ ისეთ სისულელეებს ლაპარაკობენ, მათი უარყოფაც კი სამარცხვინოა. მაგრამ, მეორე მხრივ, რახან ასეთ სისულელეს სინქრონულად ავრცელებენ, და ამას არა თუ უარყოფს ვინმე, არამედ ამაყადაც აღიქვამენ. ეს უკვე მეტყველებს იმის შესახებ, რომ ვილაცისთვის ხელსაყრელია ადამიანთა ტვინების დატენვა იმ ნაგვით, თავს რომ გვახვევენ ინფორმაციის სხვადასხვა წყაროს მეშვეობით. შედეგად საინფორმაციო პროდუქტების მომხმარებელი ხომ უბრალოდ ჩერჩეტდება?!

რა პრობლემაა? რა უბედურებაა ესაა? მთავარი ამოცანაა, დავიცვათ გენერალური ხაზი: ერთი ქვეყანა კარგია და კეთილი, მეორე — ცუდი და ბოროტი. ერთი მუდმივად ქმნის პრობლემებს, მეორე — ასეთივე დაბეჯითებით გვეხმარება მათ გადაწყვეტაში. ჯერ ერთი, ეს მეტყველებს კეთილი სახელმწიფოს მეტად პრაგმატულ პოლიტიკაზე, რომელმაც ცოტა შრომა და სახსრები როდი დახარჯა იმავე ექსპერტებისა და პოლიტიკოსების ერთი ნაწილის მომზადებისათვის. მათმა მეორე ნაწილმა კი, რომელმაც მიიღო საბჭოთა განათლება, დროულად იგრძნო, საიდან უბერავს ნიავი, თავად შეცვალა ორიენტაცია საჭირო მიმართულებით. და, როდესაც „მჭიდში“ მოექცა, ბუნებრივია, მოიგო. ერთი შეხედვით, იგი რეგულარულად ფინანსდება გარკვეული პროექტების განხორციელებისთვის, მუდმივად მონაწილეობს სოლიდურ საერთაშორისო ფორუმებში და ასე შემდეგ, განსაკუთრებით გამორჩეული ნაწილი კი იმედს არ კარგავს მაღალ პოლიტიკურ პოსტებზე. ერთი სიტყვით, ეს კატეგორია კმაყოფილია თავისი არჩევნებით და შეპყრობილია ხბოს აღტაცებით იმ „სამართლიანობის“ გამო, რაც მასზე ვრცელდება.

**რა მათი საქმეა სინამდვილე... ასეთი ადამიანები არაფერს გრძნობენ, გარდა სიამოვნებისა. ამაზეა გათვლილი კორპორატიული სისტემაც — ადამიანი, რომელიც განეკუთვნება გარკვეულ საზოგადოებრივ წრეს, შრომობს და ცხოვრობს ამ ფენის ადამიანთა შორის, დადის სტუმრად და სტუმრად იღებს იმავე წრის წარმომადგენლებს, საიდანაც თვითონაა.**

რაზეა საუბარი! მოსახლეობის იდეოლოგიური დამუშავების მეტად ბრძნული და პრაქტიკული სქემა „ახალი ეროვნული ელიტის“ შექმნაა. არავითარი ცენზურა არაა საჭირო და ვერც ვერავინ გაბედავს იმის თქმასაც კი, რომ ჩვენთან სიტყვის თავისუფლებასთან დაკავშირებით პრობლემებია. შეხედეთ ტელეეკრანს. თითქმის ყოველდღიურად განიხილავენ ნებისმიერ მეტად მწვავე თემასაც კი, მიმდინარეობს გაცხარებული დავა და ესაა დემოკრატიის ნიშანი, რასაც მხოლოდ შეიძლება მიესალმო. მაგრამ მაყურებელი, ალბათ, ყოველთვის ვერ ამჩნევს, რომ დაცულია თითქმის ერთადერთი, მაგრამ აუცილებელი პირობა: დისკუსიებში აუცილებლად მონაწილეობენ პოლიტიკოსები და ექსპერტები, რომლებსაც ჩვენი ყურადღება გადააქვთ ქვეყანაში მიმდინარე რეალური პროცესებიდან სხვა თემაზე. მათ იციან, სად და როგორ ილაპარაკონ. რასაც გინდა დაწერენ და ილაპარაკებენ.

**ასეთი ადამიანები მათი ოსტატობისა და გონიერობის გამო არიან ასატანები, მაგრამ მათ ბოლომდე არასოდეს ენდობიან. ესენი არიან ადამიანები „მჭიდიდან“...**

**ტატო ლასხიშვილი**
**გაზეთ „სვობოდნაია გრუზიას“ მთავარი რედაქტორი**

## ექსპერტის ტრიბუნა

### გიორგი ხუხაშვილი:

# საქართველოს ეკონომიკა ჯერ ვარდნის პროცესშია და ფინანსური კრიზისის პიკი ჯერ კიდევ წინ გვაქვს

**საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტმა გასული თვის საარსებო მინიმუმი 132 ლარით განსაზღვრა. მიმდინარე ინფლაციის ფონზე, 132 ლარით საარსებო მინიმუმის განსაზღვრამ, ალბათ, ბევრს, ექსპრეზიდენტის მეუღლის ცნობილი ფრაზა გაახსენა, კარგი დიასახლისი 8 ლარით ოჯახს შეინახავსო. ხელისუფლება იცვლება, მაგრამ მათი ხედვა — არა. ქვეყანაში უმძიმესი სოციალური ფონის მიუხედავად, სახელმწიფოს ზედა ეშელონებში კვლავ ცდილობენ სიტუაციის შეფერადებას, ეს მაშინ, როცა, ქვეყანაში ათასობით უმუშევარია, როცა ბანკების კრედიტ ინფოებში 150 ათასი ადამიანია მოხვედრილი და ერთ დროს დეველოპერული კომპანიის მილიონერი მმართველი ბანკებს საქართველოს მოსახლეობის გაკოტრებაში ადანაშაულებს. ექსპერტი გიორგი ხუხაშვილი, გაზეთთან „საქართველო და მსოფლიო“ საუბარში აცხადებს, რომ საქართველოში ფინანსური კრიზისის პიკი ჯერ კიდევ წინ არის.**



**— ბატონო გიორგი, რამდენად ახლოსაა რეალობასთან საქართველოში საარსებო მინიმუმის 132 ლარით განსაზღვრა?**

— კურიოზული სცენა იყო, როცა პირდაპირ ეთერში მთელი მთავრობა სხდომაზე არკვევდა, საარსებო მინიმუმი ერთ სულზე იანგარიშებოდა თუ მთელს ოჯახზე. რატომღაც არჩევანი 132 ლარზე შეაჩერეს. ეტყობა, ეს რიცხვი ხელისუფლებაში ძალიან უყვართ. 132 ქართულ სინამდვილეში საკრალური ციფრია. ამასწინათაც ორი სტრატეგიული ობიექტი 132 მილიონად გაყიდეს.

**— თავის დროზე ნანული შევარდნაძემ განაცხადა, რომ 8 ლარი საკმარისია ოჯახის შესანახად. იმ ინფლაციის ფონზე, რომელიც ქვეყანაში მიმდინარეობს მაშინდელი 8 ლარი უდრის 132-ს?**

— ასეთი მანიპულაციები ხელისუფლების მხრიდან თავისი მოსახლეობისადმი მის დამოკიდებულებაზე მეტყველებს. ახლახან მოვისმინე ხელისუფლების ერთ-ერთი მხარდამჭერისგან, რომ ის და კიდევ ორი ადამიანი მის ოჯახში დედამისის პენსიაზე ცხოვრობენ და ძალიან ბედნიერები არიან. არადა ფაქტია, რომ დღეს რეალურად, საშუალო საარსებო და სასიცოცხლო ხარჯები ბევრად აჭარბებს შემოსავლებს.

**— ზოგადად ქართულ ეკონომიკას რა შეფასებას მისცემთ, არსებობს თუ არა მისი გამოსწორების პერსპექტივა?**

— ნებისმიერი სიტუაციიდან გამოსვლის შესაძლებლობა არსებობს, მაგრამ ამას, პირველ რიგში, სჭირდება პოლიტიკური ნება. ჩვენს ქვეყანას სჭირდება ძირეული, სისტემური ცვლილებები. უნდა შეიცვალოს ეკონომიკური პროცესებისადმი მიდგომა, უნდა გაკეთდეს პოლიტიკური რისკები, ჩამოყალიბდეს სტაბილური გარემო, რათა ბიზნესი იყოს პროგნოზირებადი, ინვესტიციების განთავსება იყოს დაცული. რაც მთავარია, ხელისუფლებამ თავი უნდა დაანებოს ეკონომიკაში პირდაპირ ჩარევას. ჩემი აზრით, ქართული ეკონომიკა ფაქტობრივად არ არსებობს და აქედან გამომდინარე მის მდგომარეობაზე საუბარიც ზედმეტია. პაციენტი თუ არ არსებობს, მის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ვერ ისაუბრებ. საერთოდ, ქართული ეკონომიკა, ხმამაღლა ნათქვამია, ეს უფრო რუსულ ეკონომიკაში ინტეგრირებული „პატარა ტორტის ნაჭერია“, მეტი არაფერი.

**— რაც შეეხება რუსული ბაზრების დაკეტვას, რამდენად დააზარალა ამან ქართული ეკონომიკა და რა როლი ეკუთვნის ჩვენი ქვეყნის ფინანსურ კრიზისში?**

— იმპორტ-ექსპორტის ბალანსი დღეს კატასტროფულია და ამაზე რუსული ბაზრის დაკეტვამ იმოქმედა. თუ კონკურენტულ პროდუქტს აწარმოებ, სხვა ბაზრების ათვისებასაც შეძლებ. მაგრამ იმისათვის, რომ ავამუშაოთ შიდაწარმოება სისტემური ცვლილებებია საჭირო. პროდუქტი ვერ შეიქმნება, თუ არ იქნა ადგილობრივი საზღვრები დაცული. ეს მთლიანი ჯაჭვია, რომელიც სათავეშია გაწყვეტილი.

**— ყველას გასაოცრად ბოლო დროს ლარის გამყარების პროცესი დაიწყო, რით ახსნით ამას?**

— ვალუტის კურსი პოლიტიკური ნების საგანია, ის ეკონომიკაზე მიბმული არ არის და ხელისუფლების შეკვეთის მიხედვით ადმინისტრაციულად იმართება, თუმცა ობიექტური მიზეზებიც არსებობს. მარტის ბოლოს ბარდება ბალანსები, კერძო სექტორს მოგების გადასახადი აქვს გადასახდელი და ამ დროს ლარზე მოთხოვნა იზრდება, რაც აბალანსებს ვალუტის კურსს.

**— ცოტა ხნის წინათ ბიზნესმენმა მაია რჩეულიშვილმა საბანკო სექტორი სამშენებლო კომპანიების ჩავარდნასა და ხალხის გაკოტრებაში დაანაშაულა, ვინაიდან მათ მიერ დადგენილმა 38%-იანმა განაკვეთმა მოსახლეობა გააკოტრა. რა შეფასებას მისცემთ ამ განცხადებას?**

— ეს კვერცხის და ქათმის ისტორიაა. ძნელი სათქმელია, სამშენებლო ბიზნესია საბანკო კრიზისში დამნაშავე თუ პირიქით. ვფიქრობ, ზუსტადაც სამშენებლო ბიზნესში განვითარებულმა ავანტიურისტულმა პოლიტიკამ განაპირობა დაძაბულობა ბანკებში. ამის შემდეგ, ბუნებრივია, მაღალი რისკების დონეზე აიწია საპროცენტო განაკვეთები, რამაც სამშენებლო კომპანიებს კვლავ შეუქმნა პრობლემები.

**— უნდა ველოდოთ სიტუაციის კიდევ გამწვავებას, თუ საქართველოში ფინანსური კრიზისის პიკი უკვე გავლილია?**

— ვფიქრობ, რომ საქართველოში ფინანსური კრიზისის პიკი ჯერ კიდევ წინ გვაქვს. რადგან ჩვენთან ყველა რისკი ერთმანეთშია აზელილი. მოგეხსენებათ, ნებისმიერი პოლიტიკური რისკი ამძაფრებს ეკონომიკურს, სოციალურს და პირიქით. ასე რომ, ჩვენ დღეს ვიმყოფებით ვარდნის პროცესში და თან ჩვენი პროპაგანდა გვეუბნება, რომ ყველაფერი კარგად არის. ჯერ მიწაზე არ დავნარცხებულვართ, ამიტომ პროპაგანდას ამის თქმის საშუალება ჯერ კიდევ აქვს.

**— თუმცა პროცესები უმართავი გახდა სომხეთში, ჩვენ ასეთი სიტუაცია არ გვქონია...**

— სომხეთი თავის თავს მიხედავს. კიდევ ვიმეორებ: ჩვენ ჯერ ისევ ვარდნის პროცესში ვართ. სიტუაცია უარესდება, შეიძლება ძალიან დაიძაბოს მდგომარეობა.

**— ბანკებმა გააკეთეს განცხადება, რომ ოპოზიციის დაპირების გამო, რომ კრედიტებს სახელმწიფო დაფარავს, იმ კლიენტებმაც კი, რომლებიც პროცენტებს კეთილსინდისიერად იხდიდნენ, ვალის დაფარვა შეწყვიტეს.**

— ბანკებმა ოპოზიციის მისამართით კი არ უნდა ისროლონ ტალახი, ჯობს, ხელისუფლებას მიმართონ, რასაც ძალიან ერიდებიან. უთხრან, რომ ეს არის ჯანსაღი და სამართლიანი მიდგომა, ამით ბანკების პრობლემებიც გადაწყდებოდა და მოსახლეობაც კმაყოფილი იქნებოდა.

**— აპრილის აქციები აისახება თუ არა საქართველოს ეკონომიკურ მდომარეობაზე?**

— ბუნებრივია, აისახება. მაღალ პოლიტიკურ რისკებს ეკონომიკა ვერ იტანს.

**ესაუბრა**
**მანანა ჭელიძე**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# რა სცენარით აპირებს ხელისუფლება ოპოზიციის განეიტრალებას

**საქართველო 9 აპრილის მოლოდინშია. ამ დღისთვის ოპოზიციაც და ხელისუფლებაც დიდი ხანია, ემზადება. გამოცდილება ორივე მხარეს აქვს და სამზადისიც იგივეა, როგორიც იყო 2003 და 2007 წლების ნოემბერში.**
**თუმცა 7 ნოემბრის შედეგებით დასრულდება რევოლუციის მორიგი მცდელობა თუ 23 ნოემბრის შედეგებით, ამის თქმა გადაჭრით დღეს არავის შეუძლია. პროგნოზირებას შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებული ფარული ჩანაწერებიც ართულებს. არ არის გამორიცხული, რომ ბურჯანაძის აქტივისტების კვალდაკვალ, ხელისუფლება სხვა პოლიტიკურ ჯუფებსაც დაერიოს და დაჭერების ახალი ტალღაც ვიხილოთ.**




დღემდე ურთიერთგამომრიცხავი რიცხვები ვრცელდება, თუ რამდენი ადამიანი იდგა პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით პარლამენტის შენობის წინ 2007 წლის ნოემბერში, თუმცა უდავოა, რომ ასი ათასზე მეტი. ამ ხალხს იმედი ჰქონდა, რომ „ხელისუფლება დამთავრდებოდა". ეს იმედი მათ ოპოზიციის ლიდერებმა ჩაუნერგეს. ამიტომაც ბევრმა მათგანმა საკუთარი სამსახურის და შემოსავლის ერთადერთი წყაროს რისკის ფასად ჩამოაღწია თბილისში, მართლაც რომ ჩამოაღწია, რადგან ხელისუფლებამ იმისთვის, რომ ხალხის ტალღა შეეჩერებინა, გზებზე უამრავი ბარიერი მოაწყო. იმ სამარშრუტო ტაქსებისა თუ ავტობუსების მძღოლები, რომლებიც მართვის მოწმობების ჩამორთმევას გადაურჩნენ, გზებზე დაყრილ ხუთკუთხოვან ლურსმნებს უმკლავდებოდნენ. მოკლედ, ცნობილი ქართული ზღაპრის გმირის წიქარას ხრიკებით ებრძოდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მომავალ ხალხს, თუმცა მათმა დიდმა ნაწილმა თბილისამდე მაინც ჩამოაღწია და პარლამენტის წინ მანამდე იდგა, სანამ რუსთაველზე სპეცდანიშნულების რაზმებმა მათი დარბევა რეზინის ხელკეტებითა და ტყვიებით, წყლის ჭავლითა და ცრემლსადენი გაზით არ დაიწყეს.

**საგანგებო სიტუაციის გამოცხადების გარდა, საპროტესტო ტალღის შეჩერება ხელისუფლებამ მაშინ იმითაც მოახერხა, რომ მედიასაშუალებებით ვიდეოჩანაწერები გაავრცელა, თუ როგორ „თანამშრომლობდნენ" ოპოზიციის ლიდერები რუსულ გენერალიტეტთან. საერთოდ, რუსული კვალი ერთგვარი საფრთხობელაა, რომელსაც ხელისუფლება საკმაოდ კარგად იყენებს.** როგორც სიტუაციამ გვიჩვენა, მსგავსი ვიდეოჩანაწერების დამზადებით შინაგან საქმეთა სამინისტრო ისევაა გატაცებული. მერაბიშვილის უწყებას შავი სია უკვე მზად აქვს და თუ „სახელმწიფოს" დასჭირდება, ოპოზიციის ლიდერების წინააღმდეგ იზოლაციის ზომებსაც გამოიყენებს. ოპოზიციის ლიდერების განეიტრალების გარდა, ასეთ შემთხვევებში ხელისუფლებას ტელევიზიების განეიტრალებაც მოუწევს, ნოემბერში ასეთი სამიზნე ტელეკომპანია „იმედი" გახდა, ამჟამად „იმედის" პრობლემა მოგვარებულია, ამიტომ ნიღბიან სტუმრებს ამჯერად, ალბათ, ტელეკომპანია „მაესტრო" უნდა ელოდოს. ეს 9 აპრილის შემდეგ, მანამდე კი სახელმწიფო მანქანა იმაზე მუშაობს, რომ აქციაზე რაც შეიძლება ცოტა ადამიანმა მოახერხოს მისვლა. საამისოდ უკვე ნაცად ხერხებს იყენებს. როგორც ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები აცხადებენ, უკვე დაიწყო სამარშრუტო ტაქსების მძღოლების გაფრთხილება, რომ 9 აპრილს მუშაობა შეწყვიტონ, ასევე მიმდინარეობს პარტიული აქტივისტების დაშანტაჟება და დაჭერა.

2007 წლის ნოემბერში ვერავინ წარმოიდგენდა, რომ 2009 წლის აპრილში საქართველოს პრეზიდენტი ისევ მიხეილ სააკაშვილი იქნებოდა. თუმცა ჩვენს უახლეს ისტორიას 2003 წლის რევოლუციაც ახსოვს. 2003 წელს, როგორც გიორგი თარგამაძე აცხადებს, არც შევარდნაძის ხელისუფლებას ეგონა, რომ რევოლუცია მოხდებოდა. ექსპრეზიდენტი შევარდნაძე რევოლუციიდან 5 წლის შემდეგ ასახელებს ახალ მოღალატეს – მაშინდელ სახელმწიფო მინისტრს ავთანდილ ჯორბენაძეს. მას, როგორც ჩანს, საკმაოდ დიდი დრო დასჭირდა იმის გასარკვევად, თუ ვინ გადაბარგდა მისი გარემოცვიდან ოპოზიციურ ბანაკში. რაც იმას ნიშნავს, რომ მაშინდელმა ოპოზიციამ საკმაოდ კარგად იმუშავა. ის ფაქტი, რომ რევოლუციონერების გუნდში იყო, მაშინდელი პარლამენტის თავმჯდომარე, სახელმწიფო მინისტრი, გენერალური პროკურორი და უშიშროების მინისტრიც კი, მეტისმეტად ურთულებდა ხელისუფლებას სიტუაციას, და პირიქით, დადებითად აისახებოდა ოპოზიციის მოქმედებებზე. უშიშროების თანამშრომლები ამაოდ აწვდიდნენ ინფორმაციას მაშინდელ მინისტრს შესაძლო საფრთხეების თაობაზე. სახელმწიფო აპარატს რევოლუციის თავიდან ასაცილებლად, ფაქტობრივად, არაფერი გაუკეთებია. პარლამენტში შეჭრისას მიყოლებით უხსნიდნენ ხალხს კორდონს დიდუბე-ჩუღურეთის, გლდანი-ნაძალადევის თუ ქალაქის მთავარი სამმართველოების თანამშრომლები. მოგვიანებით კი ისინი მაშინდელმა ქალაქის სამმართველოს უფროსმა, გივი თარგამაძის მეგობარმა ლევან მაისურაძემ საერთოდ განყოფილებებში გაიწვია. მოკლედ, 2003 წელს ხელისუფლების რღვევა შიგნიდან დაიწყო. ცნობას, რომ თბილისის პოლიციამ უარი თქვა, ქვეყნის მთავარსარდალს დამორჩილებოდა, ელვის სისწრაფით მოჰყვა ინფორმაციები, რომ თავდაცვის სამინისტროს დანაყოფებმაც მათ მიბაძეს. სიტუაცია კონტროლიდან გამოვიდა. ძნელია მსჯელობა იმაზე, შეძლებდა თუ არა ედუარდ შევარდნაძე სიტუაციის შემობრუნებას, გარემოცვაში მოღალატეები რომ არ ჰყოლოდა, მაგრამ ამის მაგალითიც უკვე არსებობს. მიხეილ სააკაშვილი შევარდნაძის შეცდომებს არ იმეორებს. იგი მუდმივად ამოწმებს საკუთარ გარემოცვას და საკვანძო თანამდებობებსაც მხოლოდ იმ ადამიანებს აბარებს, რომლებიც საფლავში გაჰყვებიან, საჭირო თუ გახდება. გარდა ამისა, სააკაშვილს პიარმანქანაც საკმაოდ კარგად აქვს ამუშავებული და ქვეყნის საომარ მდგომარეობაში ყოფნაც უწყობს ხელს, სიტუაციის გამწვავების შემთხვევაში, „ქვეყნის გადასარჩენად" ძალა გამოიყენოს. პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე, რომელიც 7 ნოემბერს აქციის დარბევას პარლამენტის შენობიდან ადევნებდა თვალს და წარბშეუხრელად ამართლებდა სახელმწიფოს ამ გადაწყვეტილებას, ახლა შეშფოთებით საუბრობს აქციის მოსალოდნელ დარბევაზე. 9 აპრილამდე ერთი თვით ადრე, როდესაც გენერალური შტაბის უფროსად ახლადდანიშნულმა პოლკოვნიკმა ვლადიმერ ჩაჩიბაიამ მინისტრის მოადგილის პოსტზე გადაინაცვლა, ბურჯანაძემ განაცხადა: **„ეს რიგითი საკადრო ცვლილება არ არის, როგორც ამის წარმოდგენა ხელისუფლებას უნდა. პოლკოვნიკის ჩამოშორება თანამდებობიდან და, მით უფრო, მისი სამოქალაქო თანამდებობაზე, კერძოდ, თავდაცვის მინისტრის პირველ მოადგილედ დანიშვნა, ერთ-ერთი ნიჭიერი სარდლის სამხედრო აღორძინების საქმიდან ფაქტობრივ ჩამოშორებას ნიშნავს...**

## პოლკოვნიკმა ჩაჩიბაიამ ძალზე მნიშვნელოვანი შეხვედრისას განაცხადა, რომ ჯარის მიერ 7 ნოემბერს დაშვებულ შეცდომებს არ გაიმეორებს. 9 აპრილს და სხვა შემდგომი მოვლენების დროს ის არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს, რომ ჯარი ან მისი ცალკეული ნაწილები ამა თუ იმ ოპერაციის განხორციელებაში ჩაერთონ...

მის ფუნქციებს, ფაქტობრივად, თავდაცვის მინისტრის მოადგილე ბაჩო ახალაია შეასრულებს, რომელსაც 4 მარტის თათბირზე საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა შეიარაღებული ძალების საბრძოლო მომზადება და კონტროლი ღიად დაავალა. ეს სხვა არაფერია, თუ არა ჯარის პოლიტიზების ღია მცდელობა, რაც ოფიცრების და სამხედრო მოსამსახურეების სამართლიან პროტესტს გააძლიერებს. ბურჯანაძის შიში უსაფუძვლო ნამდვილად არ არის, რადგან მისი კომპრომეტირება, თუ ნოლაიდელს არ გავითვალისწინებთ, ყველაზე ადვილია. ბურჯანაძე-ბიწაძის გარდა, სხვა ოპოზიციური ძალების წინააღმდეგაც არსებობს კონკრეტული გეგმების მონახაზები. სადავო საკითხია, ვის უფრო აძლევს ხელს თენგიზ კიტოვანის ჩამოსვლა საგანგებოდ 9 აპრილის აქციისათვის. კონსერვატორი კუკავა აცხადებს, რომ კიტოვანის გამოჩენა ხელისუფლების სცენარის ნაწილია, ისევე, როგორც ბიწაძის მიერ დაჯგუფებების შექმნაზე საუბარი. აღნიშნული მოსაზრება რეალობას ძალიან წააგავს, მითუმეტეს, რომ, თურმე, ჩვენი დიპლომატიური კორპუსი აქტიურად აწვდის ინფორმაციებს დასავლეთსა და აშშ-ს. აქციებმა შესაძლოა, ძალადობრივი სახე მიიღოს და სახელმწიფო გადატრიალებაში გადაიზარდოსო და ხელს რუსეთისკენ იშვერს. ასევე საგანგაშოა ის ფაქტიც, რომ თბილისის გარშემო დიდი ხანია, სანგრები მზადაა, რაც უდავოა, რუსების ახალგორიდან დაძვრის საფრთხეს უნდა უკავშირდებოდეს, ან, უბრალოდ, ამის ასოციაციას ქმნიდეს. ასეთ შემთხვევაში საზოგადოება სიტუაციის ესკალაციას ხელს არ შეუწყობს და თუ მსგავსი სცენარი ხელისუფლებას მართლაც აქვს დაგეგმილი, ოპოზიციის ლიდერები პარლამენტის წინ, ალბათ, მარტო დარჩებიან. ხელისუფლების რიტორიკა, რომ ქვეყანაში სიტუაციის არევა რუსეთის ინტერესებში შედის, რომ ოპოზიციაში რუსული ფული ტრიალებს, და ინფორმაცია შს სამინისტროს განსაკუთრებულ სამზადისზე, რომ მიმდინარეობს პოლიციური ძალების გადამზადება და მერაბიშვილის უწყებამ უკვე შეიძინა დარბევის ახალი საშუალებები, შესაძლოა, მოსახლეობის დაშინებას ემსახურებოდეს, რადგან დარბევის სიმწარე ბევრმა მათგანმა ცოტა ხნის წინათ გამოსცადა. და რაც ყველაზე მთავარია, ეს ამბავი ხელისუფლებას ხახვივით შერჩა. თუმცა, თუ პროცესი უმართავი გახდება და პროვოკაციას ექნება ადგილი, სააკაშვილი რომ შევარდნაძის კვალს არ გაჰყვება, მგონი, სადავო არ უნდა იყოს. თუ შევარდნაძესავით შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროები მასაც არ ჩამოეშალა, პრეზიდენტი აუცილებლად ეცდება, ყველა ძალა გამოიყენოს ხელისუფლების შესანარჩუნებლად.

**მანანა ჭელიძე**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# გუდ ბაი, ამერიკა...

**მაშ, ასე: „დემოკრატიის შუქურა“ ჩაქრა. რამ გვიშუქუროს კაპიტალიზმის ნათელი მწვერვალებისკენ მიმავალ გზაზე? გამყოლიც რომ აღარ ჩანს?**
**ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციამ ხელი აიღო ჩვენზე, როგორც რუსეთის მუდმივ გამღიზიანებელზე, რასაც დიდი უნიჭობით და უფრო მეტი მონდომებით ასრულებდა საქართველოს ხელისუფლება.**



ამერიკელები რუსეთთან ურთიერთობის ახალ გზებს ეძებენ, ახალ ორიენტირებს. 1 აპრილს ლონდონში ბარაკ ობამას და დიმიტრი მედვედევის პირველი პირადი შეხვედრის წინ ორივე პრეზიდენტის გუნდები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ მათ ერთმანეთი მოეწონოთ.

„პატარძლის ამ მონახულებისთვის“ დიმიტრი მედვედევს ამზადებს რუსეთის „ბრძენთა ჯგუფი“ — „რუსეთი და აშშ: მომავლის ხედვა“, რომელშიც შედიან ევგენი პრიმაკოვი, იგორ ივანოვი (საქართველოსთან მათი კავშირების შესახებ ჩვენმა მკითხველებმა იციან), იური ბალუევსკი და სხვები. ახლა ამერიკელების მხარე ნახეთ: ცნობილი და გავლენიანი პოლიტიკოსები — პრეზიდენტ ნიქსონის ადმინისტრაციაში სახელმწიფო მდივანი ჰენრი კისინჯერი, პრეზიდენტ რეიგანის ადმინისტრაციაში სახელმწიფო მდივანი ჯორჯ შულცი, ბილ კლინტონის ადმინისტრაციის თავდაცვისა და ფინანსების მინისტრები უილიამ პერი, რიჩარდ რუბინი და სხვები.

ახლახან მოსკოვში ჩასული იყო აშშ-ის ადმინისტრაციის ემისართა სხვა ჯგუფი, რომელიც შეხვდა დიმიტრი მედვედევს და გააცნო პრეზიდენტ ობამას დავალებით მათ მიერ შედგენილი ორმხრივი ურთიერთობის შესახებ მოხსენების პროექტი.

რა პროექტზეა ლაპარაკი?

მოემზადეთ დიდი გაოცებისთვის!

**პრეზიდენტ ობამას ინიციატივით შექმნილი კომისია, რომელმაც შეიმუშავა რეკომენდაციები რუსეთის მიმართ განსახორციელებელი პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ, აშშ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს სთავაზობს:**

**აშშ-მ ფრთხილად უნდა აკრიტიკოს რუსეთი ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით ამ ქვეყანაში არსებული სიტუაციის გამო; უნდა მიაღწიოს მის მიღებას მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში; აღიაროს, რომ მოსკოვს აქვს კანონიერი უფლებები ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში: არ მიიღოს საქართველო და უკრაინა ნატოში.**

გადაიკითხეთ ეს რეკომენდაციები და გაიხსენეთ: საქართველო ყოველთვის წინააღმდეგი იყო და დღესაც რჩება ამ პოზიციაზე მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის მიღება-არმიღების საკითხში. სხვაა, რომ ამ კოზირს ეფექტიანად ვერ ვიყენებდით ჩვენი პრობლემების მოსაგვარებლად.

**მეორე.** მოსკოვს აქვს კანონიერი უფლებები ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში. სხვას რას ამბობდა რუსეთის ამჟამინდელი პრემიერმინისტრი მას შემდეგ, რაც სააკაშვილი გახდა საქართველოს პრეზიდენტი?! მსგავსი არაფერი გაუბედავს პუტინს შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს. პირიქით, ყაზახეთში, მედეოს მაღალმთიან კურორტზე გამართულ დსთ-ს ქვეყნების პრეზიდენტების არაფორმალურ სამიტზე მან განაცხადა, რომ საქართველო სუვერენული სახელმწიფოა და სრული უფლება აქვს, თვითონ აირჩიოს თავისი მოკავშირეები, მათ შორის, სამხედრო და თავდაცვით სფეროებში.

ახლა რაო? ახლა პირდაპირ არა, მაგრამ აშშ რუსეთის გავლენის სფეროების ოფიციალურად ცნობას აპირებს.

სად გაქრა საქართველოს სუვერენიტეტი, რომელიც იმ კავკასიური ცარცის წრის, ან წითელი ხაზის როლს ასრულებდა, რომელსაც რუსეთი ვერ გადმოაბიჯებდა?!

რუსეთის გავლენის სფეროების ცნობისკენ შემობრუნების პოლიტიკა ცარიელ ადგილზე არ აღმოცენებულა. ამის სერიოზული ნიშნები ჯერ კიდევ 2008 წლის აგვისტოში გამოიკვეთა, როცა პრესაში (მაგალითად, „გარდიანში“) ასეთი განცხადებები გაჩნდა: „ნუთუ შეერთებულ შტატებს რუსეთთან ომად ულირს იმის გადაწყვეტა, თუ ვინ მართავს საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებს, რომლებიც სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის სახელით არის ცნობილი? ნუთუ რუსეთის დამცირება, მისთვის ისტორიული გავლენის სფეროების წართმევის პოლიტიკა ღირს სისხლისღვრად და ნგრევად?!“

და **მესამე.** ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში საქართველოს მიღება-არმიღების საკითხი.

ერთის მხრივ, ნატო-ს გენერალური მდივანი აცხადებს, რომ უნდა მოინახოს საქართველოსთან ეფექტიანი თანამშრომლობის რაღაც ფორმები.

მეორე მხრივ, ამერიკის პრესა ჯერ კიდევ აგვისტოს ომის შემდეგ ჩრდილოატლანტიკური შეთანხმების მე-5 მუხლზე დაყრდნობით წერდა: „კიდევ კარგია, რომ **ქართული სახელმწიფო ნატო-ს წევრი არ იყო იმ დროს, როცა მას აგვისტოში რუსულმა ჯარმა შეუტია, თორემ დღეს შეერთებული შტატები რუსეთთან ომში იქნებოდა ჩაბმული. პრეზიდენტი ბუში წლების მანძილზე ენერგიულად ითხოვდა საქართველოს ნატო-ში მიღებას“.**

ითხოვდა, მაგრამ მხარი არ დაუჭირეს, და კიდევ კარგი, თორემ სათუო გახდებოდა „ჩრდილოატლანტიკური სივრცის უსაფრთხოების შენარჩუნებაო“.

აშშ-ის პრესა შარშან აგვისტოში მიაქცევდა ამერიკის საზოგადოებრიობის ყურადღებას იმ გარემოებას, „თუ **რამდენად საშიშია ანტისაბჭოთა ალიანსში ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების და სატელიტების გაერთიანება, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირმა არსებობა 1991 წელს შეწყვიტა“.**

აი, ასეთი ფერიცვალებით გამოირჩა წლევანდელი ბუნიობა სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის სფეროში. მართალია, ამერიკელთა ზემოთ აღნიშნული წინადადებები კერძო პირთა პოზიციაა, მხოლოდ რეკომენდაციებია, მაგრამ არა ისეთი კერძო და უმნიშვნელო, რომ უყურადღებოდ დავტოვოთ. უკვე ის ფაქტი, რომ ეს წინადადებები შეტანილია სპეციალურად შექმნილი კომისიის ოფიციალურ მოხსენებაში, წარედგინა აშშ-ის პრეზიდენტს და გამოქვეყნდა საყოველთაო საცნაურად, უფრო სავარაუდოა, რომ მათ გაითვალისწინებენ, ვიდრე იმას, რომ ისინი იგნორირებული იქნება.

დღეს მხოლოდ აშშ-ის პოზიციაზე ვლაპარაკობთ. ცხადია, ბევრს ნიშნავს, თუ რა რეაქცია ექნება რუსეთს ამ ყველაფერზე, თუმცა პირველი ნიშნები უკვე გამოჩნდა. მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ **მოხსენებამ კრემლში ფრიად პოზიტიური შთაბეჭდილება მოახდინა.**

რა არგუმენტებს იშველიებენ ამერიკელები?

„ცოტა ქვეყანას თუ აქვს ისეთი მნიშვნელობა ჩვენი წარმატებისთვის, — ნათქვამია მოხსენებაში „რუსეთთან მიმართებაში აშშ-ის სწორი მიმართულების შესახებ“, — როგორიც რუსეთს აქვს. ამერიკელების გადაწყვეტილება გააუმჯობესოს ურთიერთობა რუსეთთან, სულაც არ არის ჯილდო, რომელიც რუსეთს უნდა გადაეცეს მსოფლიო ასპარეზზე კარგი ქცევისთვის, არც რუსეთის მთავრობის საშინაო პოლიტიკის წასახალისებლად უნდა აღიქმებოდეს. უფრო მეტად **ეს არის რუსეთთან თანამშრომლობის მნიშვნელობის აღიარება** ამერიკისთვის **აუცილებელი მიზნების მისაღწევად**“.

დააკვირდით: ამერიკის შეერთებულ შტატებს სჭირდება და იმიტომო!

იმ პრიორიტეტულ მიზნებს შორის, რომლებიც ამერიკისთვისაა აუცილებელი და რომელთა გადაწყვეტა რუსეთის გარეშე შეუძლებელია, მოხსენების ავტორები გამოჰყოფენ სამ ძირითადს: ირანის ბირთვული იარაღით აღჭურვის თავიდან აცილება, „ალ-ქაიდას“ განადგურება; ავღანეთში სიტუაციის სტაბილიზაცია; და ბოლოს, ევროპის უსაფრთხოებისა და აყვავების უზრუნველყოფა.

როგორც ხედავთ, ამ პრიორიტეტულ ამოცანებში საქართველოს პრობლემა ნახსენები არ არის.

ღირს დაფიქრებად!

**პირველი დასკვნა, რომელსაც მოხსენების ავტორები აკეთებენ, შემდეგია: აშშ-ის ყველა უწინდელ ადმინისტრაციას სრულიად არ ესმოდა რუსეთის, სასურველს რეალობად მიიჩნევდნენ და რუსულ ლოგიკას თავიანთ ლოგიკას ანაცვლებდნენ.** „ჩვენ უკეთ უნდა გავიგოთ რუსეთის ინტერესები იმ სახით, როგორადაც თვითონ წარმოუდგენიათ“, — ხაზგასმით ამბობენ ისინი.

**ზემოთ თქმულიდან გამომდინარე მოხსენების ავტორები რამდენიმე პრაქტიკულ დასკვნას აკეთებენ, რომლებიც, მათი აზრით, ერთდროულად დაეხმარება აშშ-ს და „გაახარებს რუსეთს“. მათ შორის პირველია: აშშ-მ უნდა გადახედოს ჩეხეთსა და პოლონეთში რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების განლაგების გეგმას და შეიმუშაოს ირანის პოტენციური სარაკეტო საშიშროების თავიდან აცილებისადმი ახალი მიდგომა;**

მეორე:

## მოიძებნოს უკრაინისა და საქართველოს მთავრობების პროდასავლურ მისწრაფებათა მხარდაჭერის დემონსტრირების სხვა საშუალება ამ ქვეყნების ნატოში მიღების ნაცვლად

როგორც იქნა, გამოჩნდა საქართველო! მაგრამ როგორ? დასავლურ მისწრაფებათა მხარდაჭერის დემონსტრირებით. ანუ, თუ იტყვიან, ჩვენ ამათ მხარს ვუჭერთო (რაღაც ფორმით თუ გამოხატავენ), ეს იქნება და ეს;

დიდი შეღავათია!

**მესამე.** განახლდეს რუსეთთან აქტიური მუშაობა საერთაშორისო ტერორიზმთან ბირთვული იარაღის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის ჩარჩოებში;

**მეოთხე.** რუსეთთან და სხვა ევროპულ ქვეყნებთან ერთად შეიმუშაონ ევროპის უსაფრთხოების ახალი არქიტექტურა;

და ასე შემდეგ.

ჩვენმა მკითხველმა, რა თქმა უნდა, უკვე შეამჩნია, რომ ამერიკელთა მიერ შეთავაზებული ღონისძიებები უპრეცენდენტოა. ახალი „ცივი ომის“ პირზე ბალანსირების იმ პოლიტიკის ფონზე, რომელსაც ვლადიმერ პუტინი განახორციელებდა, ჰეიგელ-ჰარტის რეკომენდაციები რევოლუციური არა, მაგრამ ურთიერთობათა დათბობისკენ გადადგმულ სერიოზულ ნაბიჯებად შეიძლება ჩავთვალოთ.

**მაგრამ რუსული „კომერსანტი“ მიიჩნევს, რომ ეს წინადადებები ფერმკრთალდება იმ რეკომენდაციებთან შედარებით, რასაც ზემოთ ნახსენები სენატორები ობამას ადმინისტრაციას სთავაზობენ.**

უწინარეს ყოვლისა, ისინი ვაშინგტონს ურჩევენ, **რაც შეიძლება ფრთხილად გააკრიტიკონ რუსეთი საშინაო პოლიტიკისა და რუსეთში ადამიანის უფლებათა დაცვის გამო.** მათი აზრით, „აშშ-მ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს რუსეთის ლიდერების ყველა განცხადებას დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ვალდებულებებისადმი ერთგულების შესახებ და, ამასთან, პატივი სცეს რუსეთის სუვერენიტეტს, ისტორიასა და ტრადიციებს, აღიაროს, რომ რუსეთის საზოგადოებრიობა ივლის საკუთარი, განსაკუთრებული გზით“.

დიდი საჩუქარია კრემლისთვის! მაგრამ, როგორც „კომერსანტი“ წერს, კიდევ უფრო სასიამოვნო სიურპრიზია კომისიის მოსაზრება, რომ ყოფილი სსრკ-ის ტერიტორია „აღიარებული უნდა იქნას რუსეთის განსაკუთრებული ინტერესების ზონად“.

**კომისიის რეკომენდაციათა შორის არის ასეთიც: „დაიწყოს მთავრობათაშორისი დიალოგი რუსეთის მეზობელი ქვეყნების პრობლემებზე ორმხრივ ურთიერთობებში ნდობის განმტკიცების ღონისძიებათა შესამუშავებლად და დაძაბულობის შესამცირებლად“.**

მართალია, ამ რეგიონებში (ვიგულისხმოთ, საქართველოც) რუსეთისა და აშშ-ს მჭიდრო თანამშრომლობა ნაკლებად შესაძლებელია, მაგრამ აშშ-მ თავი უნდა აარიდოს რუსეთთან კონკურენციას აღნიშნულ სივრცეში.

ამაზე პირდაპირ და გულახდილად რაღა უნდა გვითხრან? თქვენი გულისთვის რუსეთს მტრად ვერ მოვეკიდებითო. იმ ფონზე, როცა ჰეიგელ-ჰარტის კომისია აღიარებს რუსეთის „ლეგიტიმურ ინტერესებს“ პოსტსაბჭოთა სივრცეში, ბევრს არაფერს უნდა ნიშნავდეს მოხსენების ავტორთა მორიდებული მინიშნება, რომ ამ ინტერესების დასაცავად იგი „ზოგჯერ მიუღებელ მეთოდებს გამოიყენებს“.

ასეთი ახალი ტენდენციები იკვეთება აშშ-სა და რუსეთის ურთიერთობის ახალ ეტაპზე, თუმცა, როგორც სპეციალისტები მიიჩნევენ, ამ ურთიერთობათა ჭეშმარიტ დათბობამდე ჯერ კიდევ დიდი დრო გავა. პირველი რეალური ნაბიჯი ორმა სახელმწიფომ 1 აპრილს უნდა გადადგას — ლონდონში ობამასა და მედვედევის პირველი შეხვედრის დროს.

მანამდე ერთი კვირა დარჩა. 7 დღე არც ისე დიდი დროა.

**გიორგი გიგიბერია**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ათას მიკროფონზე გადამხტარები

**საქართველოში თავისუფალი სიტყვა გისოსებში ზის. ელექტრონული მედია დირექტივას „თავისუფლების ინსტიტუტიდან“, თბილისის მერის კაბინეტიდან, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტიდან, შინაგან საქმეთა სამინისტროდან და, რა თქმა უნდა, პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან იღებს. სახელისუფლებო პიარსტრატეგიის „ბოროტ ტვინად“ დღემდე ლევან რამიშვილი რჩება. ტელეარხების საინფორმაციო სამსახურების ხელმძღვანელებს კი პირდაპირ უშიშროების სამსახური მართავს. გახმაურებული ფაქტია, რომ ტელეკომპანია „იმედის“ სარედაქციო პოლიტიკას უკანასკნელი წელიწადნახევრის განმავლობაში მერი უგულავა აკონტროლებდა.**




ეს კონტროლი გარკვეულწილად შესუსტდა, რაც „იმედი“ არაბების ხელში გადავიდა, თუმცა თავდაცვის სამინისტროს პრესსპიკერის ნანა ინწკირველის მიწვევამ „იმედის“ საინფორმაციო სამსახურის უფროსის ვაკანტურ თანამდებობაზე საერთაშორისო ჟურნალისტური ორგანიზაციებიც კი დაშოკა. მაგალითად, „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე!“ საზოგადოებაში არანაკლები გაოცება გამოიწვია მოარულმა ხმებმა ალასანიას პრესმდივნად ვაკო ავალიანის მიპატიჟების შესახებ, რომელიც ყოველთვის გამოირჩეოდა სააკაშვილისადმი სიმპათიითა და ერთგულებით. მოკლედ, ველარ გაიგებ, ვინ ვისთან მიფრინავს და ვინ ვის პოლიტიკურ ტოტზე იშენებს „ჯინსის“ ბუდეს, რათა ახალი ხელისუფლების პირობებშიც წარმატებით შეინარჩუნოს პროფესია, ხელფასი და, ზოგადად, მდგომარეობა.

ამასობაში თავისუფალი ქართული მედია რამიშვილ-ბოკერიას მორიგი შეტევის სამიზნე ხდება. საგაზეთო ჯიხურების ანექსიის პარალელურად, აქტუალურია კომუნიკაციების მარეგულირებელ კომისიაში შედგენილი კოდექსის თემა, რომლის თანახმადაც, ტელეარხებმა მაყურებელს „სისხლი და გვამები არ უნდა აჩვენონ, თუ ქვეყანაში სამოქალაქო ან სხვა სახის დაპირისპირება მოხდება“.

როგორც ჩანს, ხელისუფლება ცალსახადაა შეგუებული აზრთან, რომ დღის წესრიგში გვამების ჩვენება-არჩვენების საკითხი დადგება და „პრევენციას“ მიმართავს, რათა დაკანონებული იყოს 2009 წლის აპრილში ტელეარხების ერთდროული გამორთვის ფაქტი. დაახლოებით ისე, როგორც ეს 2007 წლის ნოემბერში მოხდა. თუმცა, ჩვენი წყაროების ინფორმაციის თანახმად, საგანგებო ვითარების გამოცხადების ფონზე, სააკაშვილის რეჟიმი სრული საინფორმაციო წყვდიადის დამყარებას გეგმავს და ეს არ იქნება კავშირში ეთერიდან მხოლოდ საინფორმაციო გამოშვებების მოხსნასთან. იგეგმება ქართველი ერის მასობრივი „გადასახლება“ ბრაზილიაში და „საპნის ოპერების“ საეთერო მოცულობის არაადეკვატური გაზრდა.

„სად არის საინფორმაციო ვაკუუმიო?“ — უკვირთ მიხეილ ნიკოლიზის ძის ალაგ-ალაგ შემორჩენილ ფანებს. მეგობრებო, ინგა გრიგოლიას გადაცემაში კვირაში ერთხელ, ერთი საათით სიტყვა რომ თავისუფალია, იმას კი არ ნიშნავს, რომ ქვეყანაში მედია დამოუკიდებელია!... ოპონენტებო, „მაესტრო“ და „კავკასია“ განსხვავებულ აზრს რომ ავრცელებს, რა მიხვედრა უნდა, რომ ეს ორი ტელეკომპანია მხოლოდ თბილისზე მაუწყებლობს და პარლამენტის წინ აპრილში თუ მაისში ისე გადაბრუნდება სააკაშვილის ხელისუფლების ურემი, ქიზიყელი გლეხი კიდევ 5-ნომრიანი წითელი ქუდით ივლის.

ქართული ელექტრონული მედია გისოსებში რომ ზის, ამაზე ისიც მეტყველებს, რომ ქართველი ჟურნალისტები აზრებს ძირითადად რუსული საიტის „ოდნოკლასნიკის“ საშუალებით ცვლიან. საიტზე 10-მდე მედიაჯგუფია გახსნილი, სადაც სააკაშვილის მომხრე-მოწინააღმდეგე და, სულაც, ნეიტრალური კოლეგები ერთმანეთს შეხედულებებს უზიარებენ. აქ შეხვდებით პოპულარულებს, მარგინალებს, რადიკალებს, იდეურებს, გაყიდულებს, ათას მიკროფონზე გადამხტარებს და, უბრალოდ, ხელმოცარულებს. სადისკუსიო თემატიკაც მრავალფეროვანია: „დაასახელეთ გმირი ჟურნალისტები“, „ვინ დაიმონა ქართული მედია?“, „25-ე კადრი“, „სიმართლისათვის მებრძოლი ჟურნალისტები“ და ა.შ.

ფაქტია, რომ ქართველმა ჟურნალისტებმა რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის მიერ შექმნილი საიტის გამოყენება განსხვავებული ინფორმაციის გავრცელებისთვის გამოიყენეს და „ოდნოკლასნიკის“ ფარგლებში თანაკლასელების ძიების ნაცვლად, მედიაჯგუფების გახსნა დაიწყეს. ეს მიგვანიშნებს მძიმე რეალობაზე — საქართველოში პროფესიონალი ჟურნალისტებისათვის საინფორმაციო სივრცე იმდენად ჩაკეტილია, რომ დარჩენილია მხოლოდ ინტერნეტფორუმების ჭუჭრუტანა. ამიტომ არ გაგიკვირდეთ, თუ მოახლოებული საპროტესტო აქციების ფონზე ლუბიანკასთან კავშირში ხელისუფლებამ ის ჟურნალისტებიც „ამხილოს“, რომლებიც „ოდნოკლასნიკიდან“ ებრძვიან სააკაშვილის რეჟიმს.

ახლა კი, ერთი საგულისხმო ინფორმაციაც მინდა, მოგაწოდოთ. ბოლო ერთი კვირის განმავლობაში „ოდნოკლასნიკის“ ქართულ მედიაჯგუფებში ხელისუფლებამ საგანგებო დესანტი შემოუშვა. ფოტოზე იარაღიანი ჯარისკაცია გამოსახული. ვინაობა? უბრალოდ, „ქართველი ჯარისკაცი“, ანუ ინკოგნიტო რესპონდენტი! სინამდვილეში ინკოგნიტოს სახელიცა და ფოტოც საგანგებოდაა შედგენილ-შეზავებული. ჩვეულებრივ მკითხველს ქართველი ჯარისკაცისადმი მოკრძალება და პატივისცემა ამოძრავებს (მითუმეტეს, აგვისტოს ომის შემდეგ!), ამიტომ „მედიაჯგუფების“ წევრები „ქართველ ჯარისკაცებთან“ დიალოგში გულახდილად შედიან. მთელი „მუღამიც“ აქ იმალება.

9 აპრილის საპროტესტო აქციის თემაზე მსჯელობისას ინკოგნიტო „ჯარისკაცები“ ოპოზიციას რუსეთთან კავშირში სდებენ ბრალს, ლანძღავენ და ჯგუფებში აპათიას, უიმედობასა და უნდობლობას ნერგავენ. „ის, ვინც სააკაშვილს ებრძვის, სამშობლოს მოღალატეა!“, „ვინც აქციაში მიიღებს მონაწილეობას, რუსეთის საქმეს გააკეთებს!“, „ქართველი ჟურნალისტები გაუნათლებლები და მატყუარები არიან“, „ქართული მედია თავისუფალი არ არის? დაასახელეთ ფაქტები!“ და ა.შ. და ა.შ.

ერთ-ერთ „ჯარისკაცს“ მივწერე, რომ არ ღირს სამშობლოს გაცვლა „სოდის“ თუ „კუდის“ ხელფასზე და შევთავაზე, ნიღაბი მოეხსნა, რაზეც შემდეგი პასუხი მივიღე: „ირმა ინაშვილი სამშობოლოს მტერია!“ ჩვენი დიალოგი იმით დასრულდა, რომ „ჯარისკაცს“ უახლოესი მომავლიდან ერთი კადრი ვუწინასწარმეტყველე: „მეგობარო, 9 აპრილს ჩვენ ერთმანეთს შევხვდებით. შენ სპეცრაზმელის ნიღაბში იქნები და ხელკეტიც გეკავება. აჯობებს, საკუთარ ხალხს შემოუერთდე!“

ჩემი წყაროს ცნობით, დაახლოებით ორი კვირის წინათ შინაგან საქმეთა სამინისტროში ე.წ. იდეოლოგიური სპეცრაზმი შეიქმნა, რომელიც ინტერნეტის მცოდნე ქართველი „ხაკერებითაა“ დაკომპლექტებული. „ხაკერი „ჯარისკაცების“ ფუნქციაში შედის ინტერნეტ-ფორუმების ანალიზი. განსაკუთრებული აქცენტი „ოდნოკლასნიკიზე“ კეთდება, რომელიც ყველაზე რეიტინგული საიტია. „ხაკერი „ჯარისკაცების“ ამოცანაა მედია და პოლიტიკური ჯგუფების გაკონტროლება და ოპოზიციურად განწყობილ წევრებთან დისკუსიაში შესვლა. მათ ევალებათ პოლიტიკური ძალების დისკრედიტაცია და საპროტესტოდ განწყობილ აუდიტორიაში ეჭვების დათესვა.

ასე რომ, ყურადღებით, სააკაშვილ-მერაბიშვილის იდეოლოგიური დესანტი ინტერნეტ-ფორუმებშია გადმოსხმული. ხედავთ, რა მდიდარია რეჟიმის პიარფანტაზია? ძერჟინსკისაც კი შეშურდებოდა! ასეთი მონდომებით უშიშროების სამსახურებს მტრის წინააღმდეგ რომ ემუშავათ, იქნებ დღენახევარში სამაჩაბლო არ დაგვეკარგა?

9 აპრილის საპროტესტო აქციებამდე სააკაშვილის რეჟიმი შეტევას დამოუკიდებელ ქართულ მედიაზე „ზონდერ-ბრიგადების“ დახმარებითაც გეგმავს. ჩვენი ინფორმაციით, გახშირდება ხულიგანთა „შემთხვევითი“ თავდასხმები ოპოზიციურად განწყობილ კოლეგებზე. მითუმეტეს მათზე, რომლებიც სააკაშვილს არა მარტო პრესის ფურცლებიდან ან ტელეგადაცემებით, არამედ საჯარო გამოსვლებითა და სამოქალაქო აქტიურობით უპირისპირდებიან. შედგენილია სპეციალური „შავი სია“, სადაც ყველაზე საშიში ჟურნალისტების გვარებია ჩამოწერილი. როგორც მითხრეს, „საშიშთა“ შორის მე — ირმა ინაშვილიც ვარ დასახელებული, რომელსაც ბოლო 5 წელია, არც გაზეთი მაქვს, ტელეარხიც წამართვეს და რადიოშიც არავინ მითმობს გადაცემას. რატომ უნდა ვიყო „საშიშთა“ შორის და რით დავიმსახურე ეს „პატივი“, ალბათ, რამიშვილ-ბოკერიას უნდა ვკითხოთ.

სააკაშვილის იდეოლოგების გასაგონად ვიტყვი, რომ ქართველი ჟურნალისტების დაშინება ადვილი არაა. თავის დროზე არც ტყვიას წავუკუზივართ ჩვენი მშიშარა მთავარსარდალივით და არც რუსულ „გრადებს“.

ასე რომ, გაითვალისწინეთ, რამიშვილ-ბოკერიებო, ვისზე გეგმავთ „ხულიგნურ თავდასხმებს“. ხელის შემობრუნება ვიცით!

**ირმა ინაშვილი**

## კახელი გლეხები ნინო ბურჯანაძის განცხადებებს პოპულისტურს უწოდებენ

**პარტია „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს“ ლიდერის, პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის მიერ რამდენიმე დღის წინ თელავში გაკეთებულ განცხადებებს იმის შესახებ, რომ ხელისუფლებამ კახელ მევენახეებს არამარტო ამორტიზებული ვენახები, არამედ კარგი და მოსავლიანი ვაზიც გააჩეხვინა, კახელი გლეხები პოპულისტურს უწოდებენ.**

მევენახეების თქმით, ბურჯანაძის მიერ გაკეთებული განცხადებები მისი პიარკამპანიის ნაწილია.

ნინო ბურჯანაძის ამ განცხადებებს კახელი გლეხების გულის მოგების მცდელობას უწოდებს ტელერადიოკომპანია „იმედის“ კახეთის ბიუროს ყოფილი უფროსი, ჟურნალისტი ჟანა დიდებაშვილი, რომელმაც 2007 წელს გურჯაანელი გლეხის ავთო ყალაბეგაშვილის მიერ პროტესტის ნიშნად ვაზის საჯაროდ აჩეხვის ფაქტი გააშუქა. კახეთში მომუშავე დამოუკიდებელი ჟურნალისტების ცნობით, — „ბურჯანაძეს ხომ არ დაავიწყდა, ის და მისი ჩინოვნიკები ჟურნალისტებს, რომლებმაც მსხმოიარე ვაზის საჯაროდ აჩეხვის ფაქტი გავაშუქეთ, დაჭერით გვემუქრებოდნენ?“

## კახეთში ალასანიას ალიანსის რაიონულ ორგანიზაციებს „მოქკავშირელები“ უხელმძღვანელებენ

**პოლიტიკურმა მოძრაობამ „ალიანსი საქართველოსთვის“ კახეთის რაიონული ორგანიზაციების ხელმძღვანელები წარადგინა.**

კახეთის საინფორმაციო ცენტრის მონაცემებით, კახეთში მოძრაობის — „ალიანსი საქართველოსთვის“ რაიონულ ორგანიზაციებს ხელმძღვანელობენ:

გურჯაანში – ზვიად ყვირალაშვილი, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი. 2008 წლის 21 მაისის საპარლამენტო არჩევნების დროს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი იყო რესპუბლიკური პარტიიდან. მან არჩევნების შედეგად ყველაზე ცოტა ხმა მოიპოვა;

თელავში – გიორგი ჭონიშვილი, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი. ჭონიშვილი აქამდე სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების წარმომადგენელი იყო თელავის რაიონში;

საგარეჯოში – გელა კევლიშვილი, რომელიც „მოქალაქეთა კავშირის“ მმართველობის დროს ქალაქ საგარეჯოს გამგებელი იყო.

ახმეტაში – ზაქარია ქინქლაძე, შევარდნაძის პრეზიდენტობისას ქალაქ ახმეტის გამგებელი იყო. ქინქლაძეს ადგილობრივი მოსახლეობა თანამდებობის ბოროტად გამოყენებაში ამხელდა. სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ბრალდებით კახეთის საოლქო პროკურატურამ ის ერთხელ დააკავა კიდეც.

სიღნაღში – მალხაზ ხუციშვილი, „ახალი მემარჯვენეების“ სიღნაღის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელი;

ყვარელში – ვანო ლომიძე. იგი აჭარაში ასლან აბაშიძის მმართველობის დროს ყვარლის რაიონიდან დეპუტატობის კანდიდატი და „აღორძინების“ აქტიური მხარდამჭერი იყო.

ლაგოდეხში – ნუცა პაპავა, ლაგოდეხის გამგეობის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორი;

დედოფლისწყაროში – სოსო ბეჟანიშვილი, „ახალი მემარჯვენეების“ დედოფლისწყაროს რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელი.

25 - 31 მარტი, 2009 წელი. №6
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net



### სოსო ჯაჭვლიანი:

# ოღონდ ქვეყანა გადავარჩინოთ და რუსეთში კი არა, ბენ ლადენთან წავალ მოსალაპარაკებლად

**9 აპრილი ახლოვდება და კუდიანებზე ნადირობის სეზონიც გახსნილად გამოცხადდა. რამდენიმე დღის წინ ნინო ბურჯანაძის თანაპარტიებლები იარაღის უკანონო შეძენა-შენახვისთვის დააკავეს... იმავე დღეს ციხეში უკრეს თავი მეტაფიზიკოსს, სახალხო მოძრაობის „საქართველოს გადარჩენისთვის“ წევრს მალხაზ გველუკაშვილს, რომელსაც ტერორისტული აქტების ორგანიზება და სახელმწიფო შეთქმულება ედება ბრალად. ამბობენ, ეს მხოლოდ დასაწყისია და რეპრესიების მეორე ტალღა (არადა, ხელისუფლება დემოკრატიის მეორე ტალღის დაწყებაში გვარწმუნებდა. რედ.) ცოტა ხანში უფრო აქტიურ ფაზაში გადავა... არც იმას გამორიცხავენ, აგენტებად შერაცხონ ის ადამიანები, რომლებიც ცოტა ხნის წინათ მოსკოვსა და ვენაში მოლაპარაკებებს მართავდნენ... „საქართველო და მსოფლიო“ ერთ-ერთ მათგანს, რეჟისორ სოსო ჯაჭვლიანს ესაუბრა.**





სოსო ჯაჭვლიანი ბენ ლადენის როლში ფილმში „Личный номер“

**— ბატონო სოსო, რამდენიმე დღის წინ დააკავეს სახალხო მოძრაობა „საქართველოს გადარჩენისთვის“ წევრი მალხაზ გველუკაშვილი, სახელმწიფო შეთქმულებისა და ტერორისტული აქტების ორგანიზების ბრალდებით... როგორც ვიცით, თქვენ მალხაზ გველუკაშვილთან მეგობრობდით, რა კომენტარს გააკეთებთ?**

— საზოგადოება კარგად იცნობს მალხაზ გველუკაშვილს და სასაცილოა, მისთვის სახელმწიფო შეთქმულების თაობაზე ბრალის წაყენება. ამით ნათლად ჩანს, რომ ხელისუფლებამ დემოკრატიის კი არა, რეპრესიების ახალი ტალღა დაიწყო.

**— ხელისუფლებამ ნინო ბურჯანაძის პარტიის წევრებიც დააკავა, არც ეს ფაქტი არის თქვენთვის დამაჯერებელი?**

— სანამ გამოძიება არ დასრულდება, ამ საკითხზე საუბარი ნაადრევია. ხელისუფლებამ ისე დაკარგა ნდობა, რომ ნებისმიერ მსგავს საკითხზე ჩნდება კითხვის ნიშნები. მოდით, გამოძიებას დაველოდოთ...

**— როგორც ვიცით, გრეჩიხაზე ხართ განაწყენებული, რატომ?**

— ბარაკ ობამამ ითამაშა გოლფი და გოლფისტებმა წაახალისეს კარგად თამაშობო. პრეზიდენტმა უპასუხა — ინვალიდებში გამოვდგებოდიო. ატყდა ერთი ამბავი, მთელი ინვალიდთა საზოგადოება გამოვიდა ქუჩაში და ბარაკ ობამას სახალხოდ მოუწია ბოდიშის მოხდა. ნორმალური საზოგადოება ასე რეაგირებს ასეთ არაადეკვატურ გამოხტომებზე. გრეჩიხაზე რატომ ვარ იცით გაბრაზებული? ამას წინათ მოყვა ანეკდოტი: კახეთში დაკარგული ვირი უშგულში ნახეს და უთხრეს, აქ რა გინდა, შენ საგარეჯოელი ვირი არ ხარო? ვირმა უპასუხა, ეს საგარეჯოში ვიყავი ვირი, თორემ აქ მასწავლებელი ვარო. ამას რომ უყვები 2 მილიონ კაცს, ხომ უნდა მიხვდე, შეურაცხყოფას მთელ კუთხეს რომ აყენებ?! თავს რითი ვიმშვიდებ იცით? ეს გოიმები აზრზე არ არიან, რომ 70-იან წლებში ავთო მარგიანი სხვის მაგივრად გამოცდების ჩაბარებისთვის დააპატიმრეს. 27 სტუდენტის მაგივრად ჩააბარა გამოცდა, მათგან 10 პროფესორი გახდა და 5 — აკადემიკოსი. როგორც ჩანს, ის ვირი, ჩვენ, სვანებმა მართლა პედაგოგად ვაქციეთ... სვანზე ანეკდოტებს მგელიკათი და ვაჟიკათი ყვებიან და ეს მაღიზიანებს, ხევსურეთს და სვანეთს ვერ არჩევენ ერთმანეთისგან. ეს ქვეყანა არის საგოიმეთი. ჩვენი ქვეყნის კუთხეების შესახებ არაფერი ვიცით და ევროპას ვეპოტინებით.

**— თქვენ რომ ყვებით სვანებზე ანეკდოტებს?**

— მე ანეკდოტს რომ ვყვები, მერე განმარტებასაც მოვაყოლებ ხოლმე. ბოროტი ხუმრობაა საწყენი, თორემ იუმორს მე ვერავინ მასწავლის. ესენი რაზე იცინიან იცით? სვანი და ადამიანი დაძმობილდნენ და გაუდგნენ გზას, ბევრი იარეს თუ — ცოტა, მიადგნენ ორ ქართველსო და კვდებიან სიცილით. თქვე ოჯახაშენებულებო, ილია ჭავჭავაძემ დასვა შეკითხვა: კაცია ადამიანი?!. ამიტომ, ხშირ შემთხვევაში ჯობია სვანები ვიყოთ.

**— ამოვწუროთ ანეკდოტების თემა... თქვენი პოლიტიკური აქტიურობა რამ განაპირობა? რომ დადიხართ რუსეთში და ხელისუფლება აგენტებს გეძახით, ერთ მშვენიერ დღეს ციხეში რომ ‘გიკრან თავი, არ გეშინიათ?**

— სოსო ჯაჭვლიანი არცერთი პარტიის წევრი არ ყოფილა და არც არასდროს არ იქნება. მე საზოგადოების ერთი რიგითი წევრი ვარ და როდესაც ქვეყანა თავზე გვემხობა, ვთვლი, რომ საკუთარი აზრი უნდა გამოვთქვა. აგენტობის თემაზე რომ საუბრობენ, ვაცხადებ: სოსო ჯაჭვლიანი არის საქართველოს აგენტი რუსეთშიც, ევროპაშიც და ამერიკაშიც, მაგრამ ესენი ვისი აგენტები არიან, ჩემთვის გაუგებარია. ყველამ — ხელოვანმა, სპორტსმენმა, მეცნიერმა, თუ ის საზოგადოების წევრად მიიჩნევს თავს, უნდა დააფიქსიროს თავისი პოზიცია. ეს ჩვეულებრივი ამბავია, მთავრობაც და ოპოზიციაც ყოველთვის ფორმაში უნდა გყავდეს. რუსეთში კი არა, ბენ ლადენთან წავალ მოსალაპარაკებლად, ოღონდ ქვეყანა გადავარჩინოთ.

**— რუსეთში თქვენი მოლაპარაკებების აზრი მითხარით...**

— აზრი?! ჩვენ შევხვდით საზოგადოებრივ პალატას. ისინი ამბობენ, რომ სააკაშვილს არ დაელაპარაკებიან და ვიღაც ხომ უნდა დაჯდეს მოლაპარაკების მაგიდასთან?! ჩვენი საუბარი იწყებოდა ასე: თუ ჩვენი ტერიტორიული მთლიანობა არ იქნება აღიარებული, ვერც პოზიციასთან და ვერც ოპოზიციასთან საერთო ენას ვერ გამონახავთ-მეთქი. ჩვენი საუბრების მთელი ლაიტმოტივი ეს იყო. დილიდან საღამომდე დაგვყვებოდა „რუსთავი 2“, „იმედი“ და „პირველი არხი“, მაგრამ ერთი კადრიც არ აჩვენეს. იცით, რატომ?! კომპრომატები ვერ ნახეს! ვენაში რომ ვიყავით შეხვედრაზე, ყველა კუთხეში კამერები იდგა, მაგრამ ვერ დაალაგეს, საიდან შეიძლებოდა კუდი გამოებათ ამ შეხვედრისთვის. ასეთია ჩვენი ტელევიზიების სახე! კიდევ გიმეორებთ, მე ყველგან წავალ, სადაც საქართველოს მომავალზე იქნება საუბარი.

**— რა შედეგი მოიტანა ვენაში ამ შეხვედრამ?**

— ეს შეხვედრა ავსტრიის „თავისუფლების აკადემიის“ ინიციატივით მოეწყო, რომელსაც შტრახე ხელმძღვანელობდა.

**— რომელიც ლევან პირველთან მეგობრობს...**

— ლევან პირველს თუ რამე აქვს დაშავებული, კანონის წინაშე უნდა აგოს პასუხი და არა — მიხეილ სააკაშვილის. მან დეპუტატობაც მოიხსნა თავის დროზე და თუ დამნაშავე და კრიმინალია, როგორც ამას სააკაშვილი აცხადებს, რატომ არ გაასამართლეს?! სხვათა შორის, მიშა მაშინაც მთავრობაში იყო. დამნაშავე უნდა დასაჯო, მაგრამ ამისთვის მტკიცებულებები უნდა არსებობდეს. ვფიქრობ, ამ შემთხვევაში, „მაყუთზეა“ დავა. ლევან პირველი ავსტრიელებთან ერთად ამუშავებდა ჰესს, ელექტრო ენერგიას სახელმწიფოსაც ჩუქნიდნენ, მაგრამ ვერ გაძლნენ ესენი. თუ დამნაშავეა, ლევან პირველი კი არა, ბადრი რომ იყოს ჯაჭვლიანი, ჩემი ძმა, ისიც დაიჭირეთ.

**— გამოსავალს რაში ხედავთ?**

— ქართველები არაფრისმაქნისები გავხდით. აგვისტოს ამბების დროს იგოეთთან იდგა რუსის ჯარი, მაგრამ ერთი ქართველი მაინც აღმოჩნდა წინააღმდეგობის გამწევი?! ერში აღარ არის ის შემართება, რაც არსებობდა. ერთ მცირე ისტორიულ ეპიზოდს გავიხსენებ. კონსტანტინე დადეშქელიანი გენერალ-გუბერნატორმა გაგარინმა ქუთაისში დაიბარა, რომელმაც შეურაცხყოფილად იგრძნო თავი, გენერალ-გუბერნატორიც მოკლა აგდებული დამოკიდებულებისთვის და ზედ დააკლა კიდევ რამდენიმე კაცი. ჯაჭვის ხიდიდან ქუდი გადააგდო და იმას ესროდნენ. მე ახლა ამაზე ვიღებ ფილმს და ქართველებს ერთი ადგილი რომ მოვწმინდო, სცენარს როგორ ვაკეთებ იცით? კონსტანტინე უნდა ეხვეწებოდეს ქართველებს, მომკალით თორემ ქალაქს დაგიწვავენო... თავდადება გვაკლია და რომელ გამოსავალზე საუბრობთ?!

**— რატომ ფიქრობთ რომ თავდადება გვაკლია?**

— ალბათ, გახსოვთ, რომ ჩემს პოზიციას ყოველთვის ვაფიქსირებდი, მაშინაც კი, როდესაც ოპოზიციური აზრის გამოთქმას თითქმის, ვერავინ ბედავდა. დამიძრავს როდესმე კრინტი იმაზე, რამდენჯერ დამხვდნენ, ან როგორ მემუქრებოდნენ?! არც ახლა ვწუწუნებ, რადგან არ მინდა, ეს ვინმეს თავს მოვახვიო. იყო ზეწოლის მცდელობა, მაგრამ რომც ჩამეკითხოთ, არაფერს გეტყვით... მე ვიცი, აქ რაც ხდება... თუ გახსოვთ, ერთხელ დავწერე, პოზიციას და ოპოზიციას 2 ათას გვერდიანი პოემა მივუძღვენი-მეთქი. ჩემი პოემა 2000 გვერდიანია, „ვეფხისტყაოსანზე“ დიდია. ფაქტიურად, ახლა თქვენ გენიოსს ელაპარაკებით (იცინის). ჩემი პოემა რითია მაგარი იცით? ერთსიტყვიანია. ეხება ხელისუფლებას, ოპოზიციის ნაწილს და ხალხსაც. თქვენი გაზეთის ფურცლებზე ამ პოემის სახელწოდებას ვერ გავიმეორებ, მაგრამ გამგები გაიგებს, რასაც ვგულისხმობ...

**— ოპოზიციის ქმედებებში რა არ მოგწონთ?**

— ჯერჯერობით რასაც ვუყურებ, იწილო-ბიწილოს თამაშობენ. ერთი იძახის, 9 აპრილს ვიღაცის დაძახილზე ქუჩაში არ გავალო, ვიღაც სხვა მიზეზს ასახელებს, რომ თურმე, ვიღაცის გვერდით არ დადგება. რა „გაახურეს“ საქმე! თუ საქმეს აკეთებენ, გააკეთონ! შეჯიბრზე გუნდი რომ მიმყავს სულ არ მაინტერესებს, იმ სპორტსმენთან მე კარგი დამოკიდებულება მაქვს თუ ცუდი, მე იქ საქართველოს სახელით მივდივარ. აი, ეს გვაკლია, ამბიციები ახრჩობს ყველას.

**— რა იყო ამ ხელისუფლების მთავარი შეცდომები...**

— ვერავინ დამარწმუნებს იმაში, რომ რომელიმე მათგანს ქვეყნისთვის ცუდი უნდოდა, მაგრამ მთავარი უბედურება ისაა, რომ საკუთარი აზრით კი არა, გარე ძალების კარნახით და სადღაც, ოკეანის გადაღმა დაწერილი „შპარგალკებით“ მოქმედებენ. ამიტომაც ვერ აკეთებენ ქართულ, ეროვნულ საქმეს. ამ გოიმმა ამერიკელებმა და ევროპელებმა რა უნდა გვასწავლონ, როდესაც ვაჟა-ფშაველამ საუკუნის წინ დაწერა „პატრიოტიზმი და კოსმოპოლიტიზმი“. ჩვენ იმხელა სიბრძნის მატარებელი ერი ვართ, რომ იქით უნდა ვასწავლოთ მთელ მსოფლიოს, ჩვენ კი ჩამოკიდებული ვართ ამ სულელურ „შპარგალკებზე“. ახლა თუ ქართული აქცენტით იტყვი „ო, მაი გატ!“, კაი ტიპად ითვლები, ესაა გოიმობა, მეტი არაფერი. ერში პროვინციალური აზროვნება გაჩნდა. სამწუხაროდ, ეს ღუპავს საქართველოს.

**— ისევ მოლაპარაკებების თემას დავუბრუნდეთ...**

— სომხებს საკმაოდ ძლიერი ლობი აქვთ რუსეთშიც, ევროპაშიც, თურქეთშიც კი და, რაღა თქმა უნდა, ამერიკაში. ვენაში საუბარი იყო იმაზე, რომ უნდა შეიქმნას მსოფლიო ქართველთა კავშირი, რომელიც თავის კონგრესებზე ყურადღებას გაამახვილებს ჩვენთვის მთავარ საკითხებზე (ტერიტორიული მთლიანობა). ჩვენ ვიცით, როგორ უნდა ველაპარაკოთ ოსს და აფხაზს. რა არის ამაში მიუღებელი?! იულონ გაგოშიძე რომ გამოდის, მეგონა, იულონი მარტო ჯაფარიძე არსებობდა, თურმე მეორე იულონიც გვყოლია ქართველებს. ქართველების შეკრება რომ იყო მოსკოვში, იულონი გამოვიდა და თქვა, მე იქ არ ჩავალ, სამაგიეროდ ნორვეგიაში და ჰოლანდიაში ვიყავიო. ცოტა ხნის წინათ ნორვეგიაში ვიყავი და ვიკითხე, რამდენი ქართველი ცხოვრობს-მეთქი? მითხრეს, ოფიციალურად 30 ქართველია დაფიქსირებულიო, აქედან 20 ჰომოსექსუალისტია და 10 — ნარკომანი. იქ ჩადის მინისტრი, რუსეთში, სადაც მილიონი ქართველი ცხოვრობს, — არა. აი, ეს არის დამღუპველი პოლიტიკა.

**— მოსკოვში თქვენი ვიზიტის შედეგსაც ვერ ხედავს საზოგადოება...**

— როგორ მელაპარაკებით, იცით? ჯაბა იოსელიანს რომ „გაუხურა“ ერთმა, ვის გავყვეთო? ჯაბამ უპასუხა — ტრამვაის გაყევითო... (იცინის) შედეგი როგორია იცით, კაცი ქალთან რომ დაწვება, შედეგი ცხრა თვის მერეა. რა შედეგს მთხოვთ დღეს? მთავარია, რომ მოლაპარაკებები დაიწყო, გარკვეული პერიოდის შემდეგ შედეგსაც მივიღებთ.

**— გირგვლიანის მკვლელბი, რომ შეიწყალეს ამ საკითხზე სვანების პროტესტი რატომღაც არავის გაუგია...**

— გეტყვით, ძალიან კარგია, ეს ადამიანები რომ შეიწყალეს! სვანეთში ერთ-ერთმა მოსისხლემ 40 წლის მერე მოკლა მკვლელი და რა თქვა, იცით? ხომ არ ვიჩქარეო?! ასე რომ, მათ შეწყალებაში კატასტროფა არაფერია... სვანეთში არცერთ გვარს არ შეურჩენია არაფერი და ყველას ეშინოდეს. ზოგიერთები, სისხლიანი ხელებით კუბდარებს რომ ითხოვდნენ, ეშინოდეთ, მოვა ამის დრო და ააკუბდარებენ მათ.

**თუ სახელმწიფო არ გიცავს და კანონი არ მოქმედებს, მაშინ ადამიანი თვითონ ხდება კანონი, ასე რომ, ფრთხილად იყონ, სანდრო გირგვლიანის სისხლი არავის შერჩება.**

ესაუბრა
**მანანა ჩხეიძე**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

### იგორ იურგენსი:

# ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის საქმე კარგად „ხურდება“ და ყველაფერი უკეთესი მიმართულებით მიდის

**ვაშინგტონი და მოსკოვი ლონდონში პირველი აპრილისთვის დაგეგმილ აშშ-ისა და რუსეთის პრეზიდენტების პირველ შეხვედრას ამზადებენ. მოსამზადებელ სამუშაო ჯგუფებში ორივე მხარის ავტორიტეტული წარმომადგენლები შედიან. ამის დასტურად საკმარისია, ითქვას, რომ ამერიკული მხრიდან შეხვედრის მომზადებაში მონაწილეობენ აშშ-ის ორი ექს-სახელმწიფო მდივანი — ჯეიმს ბეიკერი და ჰენრი კისინჯერი, ბილ კლინტონის ადმინისტრაციის თავდაცვისა და ფინანსთა მინისტრები — უილიამს პერი და რიჩარდ რუბინი. ასევე, ექს-სენატორი სემ ნანი, მაღალი რანგის დიპლომატები, სენატორები და კონგრესმენები. რუსული პრესის ინფორმაციით, ობამა-მედვედევის შეხვედრის მომზადებაში რუსული მხრიდან მონაწილეობენ ევგენი პრიმაკოვი, იგორ ივანოვი და იური ბალუევსკი.**



**უდავოა, რომ ობამა-მედვედევის შეხვედრა აშშ-რუსეთის ურთიერთობაში მართლაც საეტაპო მნიშვნელობის შეიძლება აღმოჩნდეს. იმის შესახებ, თუ რას ელის კრემლი ლონდონში დაგეგმილი შეხვედრისგან, „ინტერპრესნიუსი“ რუსეთის თანამედროვე განვითარების ინსტიტუტის ხელმძღვანელს, მედვედევთან დაახლოებულ და პოლიტიკურ წრეებში ლიბერალად მიჩნეულ იგორ იურგენსს ესაუბრა, რომელიც მედვედევმა პრეზიდენტის მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობაში სხვა ლიბერალური შეხედულებების წარმომადგენლებთან ერთად შეიყვანა.**

**აღსანიშნავია, რომ თანამედროვე განვითარების ინსტიტუტის სამეურვეო საბჭოს თავად პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი ხელმძღვანელობს და მასში, ძირითადად, გაერთიანებული არიან ლიბერალური შეხედულებების რუსული სამეცნიერო ინტელიგენციის წარმომადგენლები.**

— **ბატონო იგორ, თქვენი აზრით, რას ელოდება რუსული მხარე ობამა-მედვედევის ლონდონში დაგეგმილი შეხვედრისგან?**

— ლონდონში დაგეგმილია „დიდი ოცეულის“ იმ შეხვედრის გაგრძელება, რომელიც გასული წლის ნოემბერში ვაშინგტონში გაიმართა და მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისს მიეძღვნა. შეხვედრის მონაწილეები გლობალური კრიზისის დაძლევაში ოცეულის როლზე იმსჯელებენ.

მეორე საკითხია მედვედევ-ობამას პირველი პირისპირ შეხვედრა, რომელზეც მხარეები ორმხრივი ურთიერთობების საკითხებს განიხილავენ. ამერიკულ-რუსულ ურთიერთობებში პოზიტიური ძვრები მოხდა. ობამამ ურთიერთობების გაუმჯობესებისთვის მოსკოვს რამდენიმე კეთილგანწყობილი და შორსმიმავალი წინადადებები შესთავაზა, მედვედევმაც ასევე უპასუხა. კონკრეტულ წინადადებებზე მუშაობა დაიწყეს ექსპერტებმა და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებისგან დაკომპლექტებულმა სამუშაო ჯგუფებმა. ჩვენ მოსკოვში მივიღეთ ე.წ. პარტიათაშორისი ჯგუფი, ამერიკელი სენატორების ჰეიკალისა და ჰარტის ხელმძღვანელობით, რომლებმაც მოამზადეს იმ საკითხთა საკუთარი ნუსხა, რომელიც დადებითად უნდა გადაწყდეს. შემიძლია ვთქვა, რომ ეს სია ჩვენთვის მისაღებია.

რუსეთის თანამედროვე განვითარების ინსტიტუტმა პრეზიდენტ მედვედევის ადმინისტრაციისთვის ასეთივე ხასიათის წინადადებები მოამზადა. ვიმედოვნებთ, რომ მედვედევ-ობამას ლონდონური შეხვედრის შემდეგ დაიწყება ნაყოფიერი მუშაობა ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: უსაფრთხოება, ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობა, სავაჭრო-ეკონომიკური და ჰუმანიტარული ურთიერთობების გაუმჯობესება. ამერიკულ-რუსული ურთიერთობების გაუმჯობესების სავარაუდო სია საკმაოდ გრძელია, მაგრამ უდავოა, რომ აშშ-რუსეთის ურთიერთობებში არსებული ხერგილების გაწმენდა შესაძლებელია.

— **შეგიძლიათ თქვათ, რომ ამერიკა-რუსეთის ურთიერთობებში ე.წ. „გადატვირთვა“ უკვე მოხდა?**

— ჯერ „გადატვირთვა“ ვერბალურია. თუ კომპიუტერულ ენას გამოვიყენებთ, შეიძლება ვთქვათ, რომ პროგრამა რეალურად არსებობს და ახლა კომპიუტერში მისი ჩატვირთვა მიმდინარეობს.

იმისთვის, რომ ვთქვათ — „გადატვირთვა“ შედგა, საჭიროა კონკრეტული მტკიცებულება. ზოგიერთი საკითხი გრძელვადიან პერსპექტივაზეა გათვლილი. ვადა ეწურება სტრატეგიული შეიარაღების შესახებ ხელშეკრულებას, საჭიროა გაგრძელება ან ახალ პროცესში შესვლა. ჩემი აზრით, ამისთვის ორივე მხარე მზად არის. მას შემდეგ, რაც მომლაპარაკებელი გუნდები კონკრეტულ საქმეებზე გადავლენ, შესაძლებელი იქნება იმის თქმა, რომ „გადატვირთვა“ შედგა. ახლა კი მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის საქმე კარგად „ხურდება“ და ყველაფერი უკეთესი მიმართულებით მიდის.

— **პრეზიდენტ ობამას ინიციატივით შექმნილმა აშშ-რუსეთის ურთიერთობების კომისიამ გასულ კვირას თეთრი სახლისთვის რეკომენდაციები გამოაქვეყნა, რომლებიც პირდაპირ ეხება საქართველოს. ექსპერტები ვაშინგტონს ურჩევენ, გაითვალისწინოს რუსეთის კანონიერი ინტერესები პოსტსაბჭოთა სივრცეში და არ მიიღოს ნატო-ში უკრაინა და საქართველო. ამ საკითხებს ვაშინგტონისა და მოსკოვის ურთიერთობაში მართლაც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია?**

— რა თქმა უნდა, აშშ-რუსეთის ურთიერთობების დღის წესრიგში ეს საკითხები არსებობს და მსოფლიო არენაზე ორივე მხარის მოქმედების შეზღუდვისა და თვითშეზღუდვის გააზრებას უკავშირდება. ჩვენ გვესმის, რომ აღმოსავლეთით ნატო-ს გაფართოების საკითხის განხილვა საჭიროა არა მარტო ვაშინგტონთან, არამედ მთლიანად ალიანსის სხვა ქვეყნებთან. გვესმის, რომ აშშ ნატო-ში ყველაზე წონადი ქვეყანაა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თუნდაც იურიდიული თვალსაზრისით, ამ საკითხების მხოლოდ აშშ-სთან განხილვით ვერ შემოვიფარგლებით.

ყველას ესმის, სად გადის ზღვარი, რომლის შემდეგაც რუსეთი განსაკუთრებით ღიზიანდება და საბრძოლო მზადყოფნის პოზიციაში დგება. ორმხრივ ურთიერთობებზე მსჯელობისას ეს საკითხები, რა თქმა უნდა, განიხილება. თუ ვაშინგტონსა და მოსკოვს ამ თემასთან დაკავშირებით წინსვლა ექნებათ, მაშინ ევროპელი მეზობლებიც შემოგვიერთდებიან ევროპული უსაფრთხოების ახალი არქიტექტურისა და ნატო-ს გაფართოების მოლაპარაკებებში.

ჩვენი დიდი სურვილია, თვალსაწიერ მომავალში უკრაინა და საქართველო არ გახდნენ ნატო-ს წევრები, ყოველ შემთხვევაში, მანამ, ვიდრე ამერიკულ-რუსული კონსულტაციები არ დასრულდება.

— **თქვენი აზრით, რას შეიძლება ნიშნავდეს ლონდონური შეხვედრის წინ მედვედევის სამხედრო და საბრძოლო რიტორიკა? დასავლური პრესის შეფასებით, შეხვედრამდე მოსკოვი ვაშინგტონს გარკვეულ საკითხებში ევაჭრება...**

— რა თქმა უნდა, ყველა მოლაპარაკება ვაჭრობაა. ჩვენ ვშიშობთ პოლონეთსა და ჩეხეთში რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის განლაგებასა და რუსეთის საზღვრებთან ნატო-ს მოახლოებასთან დაკავშირებით, რაც ეწინააღმდეგება გერმანიის გაერთიანების დროს მიხეილ გორბაჩოვთან მიღწეულ შეთანხმებასა და მისთვისვე მიცემულ ზეპირ პირობას. სამწუხაროა, რომ გორბაჩოვმა ეს შეთანხმებები მაშინ წერილობით არ გააფორმა.

საქმე ახლა მარტო ეს არ არის. მე არ გამოვიყენებდი სიტყვას „ვაჭრობა“, უფრო უპრიანი იქნებოდა იმის თქმა, რომ აშშ-სა და რუსეთს შორის მოლაპარაკებების პროცესში ერთმანეთის ინტერესების გათვალისწინება ხდება. დიახ, ჩვენს ინტერესშია, რუსეთის საზღვრებს არ მიუახლოვდეს ნატო-ს ინფრასტრუქტურა. ეს განსაკუთრებით ეხება უკრაინას, რომელიც ნატო-ში გაწევრიანებასთან დაკავშირებით ბოლომდე ჯერ არ ჩამოყალიბებულა; ეს ეხება საქართველოსაც, რომელმაც გასული წლის ზაფხულში დაამტკიცა, რომ რუსეთის მიმართ არ არის მეგობრული.

— **ექსპერტთა ერთი ნაწილის აზრით, აშშ-სა და რუსეთს შორის „გადატვირთვა“ უკრაინისა და საქართველოს ხარჯზე მოხდა. თქვენ იზიარებთ ასეთ შეფასებას?**

— არა, ეს აბსოლუტურად არ არის ასე. გლობალურ საკითხთა რაოდენობა, რომლებშიც აშშ-ს რუსეთი სჭირდება, ძალიან ბევრია, ისევე, როგორც რუსეთს სჭირდება აშშ. აშშ-ისა და რუსეთის ურთიერთობები ბევრად სცდება ამ ორ, მართალია მნიშვნელოვან, მაგრამ მაინც ლოკალურ პრობლემას.

აშშ და რუსეთი მზად არიან, ითანამშრომლონ ისეთ საკითხებში, როგორიცაა: ახლო აღმოსავლეთი, ირანი, ავღანეთი, ჩრდილოეთ კორეა, არქტიკა, გარემოს დაცვა, ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის ერთობლივად დაძლევა. ყველა ეს საკითხი არანაკლებ მნიშვნელოვანია; შესაძლოა, ზოგი მათგანი უფრო მნიშვნელოვანიც კი, ვიდრე უკრაინისა და საქართველოს ნატო-ში გაწევრიანება.

— **ბატონო იგორ, არ შემიძლია არ გკითხოთ. რუსული და დასავლური პრესა თქვენ პრეზიდენტ მედვედევის მთავარ დამრიგებლად მიგიჩნევთ. რამდენად იზიარებს მედვედევი თქვენსა და თქვენივე თანამედროვე განვითარების ინსტიტუტის ლიბერალურ რჩევა-დარიგებებს?**

— ჩემთვის დიდი პატივი იქნებოდა „მედვედევი იურგენსის დამრიგებელი და მოძღვარია“ და არა — პირიქით. მედვედევის არანაირი დამრიგებელი არ ვარ და არც შეიძლება ვიყო. დიახ, მან ჩვენ დიდი პატივი დაგვდო, როცა თანხმობა განაცხადა, ყოფილიყო ჩვენი ინსტიტუტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე; დიახ, ჩვენ პრეზიდენტისთვის ვამზადებთ გარკვეულ მასალებს და იმედი გვაქვს, რომ ეს ზოგიერთ საკითხში გარკვევასა და ორიენტირებაში ეხმარება, მაგრამ ჩვენ არ ვართ პრეზიდენტისთვის ერთადერთი ინტელექტუალური ცენტრი, რომლისგანაც ინფორმაციას იღებს. ასეთი ცენტრი მოსკოვში არა ერთია.

ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ საექსპერტო თანამეგობრობაში, გარკვეულწილად, გვიჭირავს ლიბერალური ნიშა და ძალიან დიდი იმედი გვაქვს, რომ ხანდახან პრეზიდენტს ვეხმარებით.

— **როგორ წარმოგიდგენიათ რუსულ-ქართული ურთიერთობების პერსპექტივა? თქვენი აზრით, როგორ განვითარდება პროცესები აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში მას შემდეგ, რაც რუსეთმა სოხუმისა და ცხინვალის დამოუკიდებლობა აღიარა?**

— მსოფლიოში რუსეთთან მიმართებაში ვითარების გაუმჯობესებისა და ჟენევაში მიმდინარე პროცესების ფონზე არ შემიძლია პრობლემის გადაჭრის არც ერთი არსებული ვარიანტის გამორიცხვა. ცხოვრებამ მასწავლა, გავიზიარო პრინციპი — არასოდეს არ თქვა არასოდეს.

თუმცა, ამისთვის ვითარება უნდა მომწიფდეს და ის ადამიანები, რომლებიც საქართველოსა და რუსეთში რეპრეზენტაბელურად გამოიყურებიან, აღმოჩნდნენ პატიოსანი ბროკერები. მაგრამ ამისთვის ერები უნდა ჩამოყალიბდნენ — ვინ არიან ისინი და რა მანდატი ექნებათ მათ. საერთოდ, ავტორიტეტული საზოგადოების ხმა ზედმეტი არასოდეს არის.

— **თუ სწორად გავიგე, თქვენ რუსულ-ქართული ურთიერთობების გაუმჯობესების საქმეში ე.წ. ქვევიდან დაწყებული მოძრაობის იმედი გაქვთ?**

— მგონია, რომ ქვემოდან მოძრაობა გარდაუვალია, ვინაიდან რუსებსა და ქართველებს ძალიან ბევრი რამ აკავშირებთ, რისი დავიწყებაც და გადახაზვა არ შეიძლება. მაგრამ მე ამის ფორმატირების მზა რეცეპტი არ მაქვს. რაღაც-რაღაცებში მე პირადად ვმონაწილეობდი, მაგრამ, სამწუხაროდ, განვითარებულმა მოვლენებმა ჩვენს ძალისხმევას აზრი დააკარგვინა. ვნახოთ, როგორ განვითარდება პროცესები, შემიძლია ვთქვა, რომ ურთიერთობების მოწესრიგებისთვის არც ერთი კარი არ არის დახურული.

— **თუ შეიძლება დააზუსტეთ, რას გულისხმობთ?**

— მე ასე ვიტყოდი — არც ერთი ისტორიული კარი დახურული არ არის.

— **ვიმედოვნებ, გესმით, რომ საქართველოსთვის ძალიან მტკივნეული თემებია აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის საკითხები. მათი გადაწყვეტის გარეშე რუსულ-ქართულ ურთიერთობებში რაიმე სერიოზულ დათბობაზე საუბარი, პრაქტიკულად, შეუძლებელია...**

— საჭიროა გადაწყვეტილებების მოძებნა. ამისთვის არსებობენ პროფესიონალები და შესაძლებელია, რაღაც კონსულტაციების გამართვა. ვითარებაში, როცა უმაღლეს დონეზე ნდობა აბსოლუტურად დაკარგულია, არსებული სტატუს-კვოს პირობებში პირდაპირი კონტაქტები გამორიცხულია. თქვენთან და ჩვენთან ჭკვიანი ადამიანები იმისთვის არსებობენ, რომ ჯერ მოიძებნოს გაუცხოების თანდათან დაძლევის შესაძლებლობა, მერე კი შევუდგეთ პრობლემების გადაწყვეტას.

— **და მაინც, ბატონო იგორ, ლონდონის შეხვედრისგან თქვენთვის რა არის უმთავრესი მოლოდინი ?**

—ვიმედოვნებთ, რომ ლონდონში საფუძველი ჩაეყრება ოცეულის არქიტექტურას, რომელიც მასშტაბურად დაიწყებს ეკონომიკური კრიზისის დაძლევას. იმის გათვალისწინებით, რომ კრიზისი გლობალურია, მასზე პასუხი გლობალური უნდა იყოს. რუსეთის ბიზნესწრეები და რუსეთის მოქალაქეები ლონდონის შეხვედრისგან ელოდებიან კონკრეტულ შედეგებს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: მსოფლიო პროტექციონიზმი, ფინანსური დისციპლინა, საფინანსო ხელისუფლება-რეგულატორის მოქმედება სხვა ინსტრუმენტებთან მიმართებაში, საერთაშორისო და მსოფლიო ბანკების როლი, კიდევ სხვადასხვა საკითხი... ლონდონის შეხვედრა მნიშვნელოვანია იმით, რომ მედვედევი და ობამა ერთმანეთს პირველად შეხვდებიან და აქ ჩვენ კარგის მოლოდინი გვაქვს.

— **ბატონო იგორ, აშშ-ში რუსეთის მიმართ ობამას პოლიტიკას უკვე აკრიტიკებენ. ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ბარაკ ობამა მოსკოვთან მიმართებაში მკვეთრად გამოხატულ კაპიტულანტურ პოლიტიკას ახორციელებს. თქვენ ეთანხმებით ასეთ შეფასებას?**

— რა თქმა უნდა, მე ასეთ შეფასებას არ ვეთანხმები. ყველა ნორმალურ ადამიანს სურს რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესება. რუსეთისადმი კეთილგანწყობის პოლიტიკა აშშ-ის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას გაათავისუფლებს ზედმეტი დატვირთვისგან და საშუალებას მისცემს, გადაწყვიტოს ეკონომიკური კრიზისის პირობებში ერის წინაშე არსებული პრობლემები.

ეს იმ ქორთა ყაშყაშია, ვინც რუსეთ-ამერიკის ურთიერთობა ამ მდგომარეობამდე მიიყვანა. ამ ადამიანებს მხარს არასოდეს ვუჭერდი და მათ აზრსაც არასოდეს ვიზიარებდი. ის, რომ ქორები ორივე მხარეს არსებობენ, ყველამ კარგად ვიცით.

ესაუბრა
**კობა ბენდელიანი**
„ინტერპრესნიუსი“

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

## რაკეტ-საწინააღმდეგო თავდაცვა ჩეხეთში: ყოფნა-არყოფნა?



**ამერიკის შეერთებული შტატების გეგმები ევროპაში, კერძოდ კი, ჩეხეთში რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ელემენტების განთავსების შესახებ, კვლავ გადაიდო გაურკვეველი დროით. ჩეხეთის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, შეაჩეროს საპარლამენტო კენჭისყრა ვაშინგტონთან ამ პროექტის შეთანხმების საკითხთან დაკავშირებით. ამასთან, როგორც ქვეყნის მოსახლეობისადმი თავის მიმართვაში ჩეხეთის პრემიერ-მინისტრმა მირეკ ტოპოლანეკმა განაცხადა, მინისტრთა კაბინეტი ამ ნაბიჯზე წავიდა ოპოზიციის დაშინების გამო, რომ ჩააგდებდნენ კენჭისყრას. მმართველი კოალიციის აზრით, მთლიანად მას შეიძლება ისედაც არ ეყოს ხმები პარლამენტში პროექტის გასატანად.**

მაგრამ, ტოპოლანეკის სიტყვებით, არ ღირს იმაზე ფიქრი, რომ მთავრობამ უარი განაცხადა ამერიკის შეერთებულ შტატებთან შეთანხმებაზე. „ეს *(მთავრობის მიერ სენატიდან პროექტის გამოწვევა ამერიკის შეერთებული შტატების ჩეხეთში რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ელემენტების განთავსების შესახებ. — რედ.)* მისი რატიფიკაციის პროცესის შეჩერებას როდი ნიშნავს“, — განაცხადა ჩეხეთის მინისტრთა კაბინეტის ხელმძღვანელმა და დაუმატა, რომ პრაღას გათვალისწინებული აქვს, დაუბრუნდეს პროექტის განხილვას ამერიკის მხარესთან კონსულტაციისა და ნატო-ს სამიტის შემდეგ, რაც გათვალისწინებულია აპრილისათვის.

შეგახსენებთ, რომ საზოგადოებრივი აზრის კვლევის თანახმად, რომელიც შარშან დეკემბერში მოაწყო ჩეხეთის მეცნიერებათა აკადემიამ, ჩეხების 65 პროცენტი გამოდის ქვეყნის ტერიტორიაზე რადარის განთავსების წინააღმდეგ, მაშინ, როდესაც 70 პროცენტი გვთავაზობს, ეს საკითხი გამოტანილი იქნეს საყოველთაო სახალხო რეფერენდუმზე. ამას გარდა, მიმდინარე წლის იანვარში ჩეხეთის აქტივისტების ჯგუფმა, რომელიც რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის განთავსების წინააღმდეგია, ინტერნეტში წერილი გამოაქვეყნა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ბარაკ ობამასადმი. „თქვენი გამარჯვება ამერიკის შეერთებული შტატების საპრეზიდენტო არჩევნებში იმედს გვაძლევს, რომ მსოფლიო საუკეთესო გახდება. მაგრამ რაკეტსაწინააღმდეგო რადარის განთავსება ჩეხეთის რესპუბლიკაში იქნება ნაბიჯი უკან ამ მიმართულებით“, — ნათქვამია მოძრაობის — „არა ბაზებს“ — საიტის წერილში.

შარშან ამ მოძრაობამ მოაწყო მთელი რიგი საპროტესტო გამოსვლები ქუჩებში, რომლებშიც მონაწილეობდა ათასობით ადამიანი, შეგროვდა ათასობით ხელმოწერა პეტიციაზე ჩეხეთის მთავრობის მიმართ, რომელმაც ხელი მოაწერა შეთანხმებას ამერიკის შეერთებულ შტატებთან რადარის განთავსების შესახებ. მოძრაობის წარმომადგენლები დარწმუნებული არიან, რომ ეს პროექტი პოლიტიკურად საშიშია და შეიძლება გამოიწვიოს ახალი ცივი ომი.

# რუსეთს უნდა გავუგოთ

## ბარაკ ობამას ადმინისტრაციამ მოიფიქრა, როგორ აწარმოოს საქმე მოსკოვთან

**ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ფრთხილად უნდა გააკრიტიკოს რუსეთი ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით, მიაღწიოს მის მიღებას მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში, აღიაროს, რომ მოსკოვს აქვს კანონიერი უფლება ყოფილი სსრ კავშირის ქვეყნებით დაინტერესებაში, და არ მიიღოს საქართველო და უკრაინა ნატო-ში — ასეთი რეკომენდაციები მოცემულია ამერიკის შეერთებული შტატების რუსეთთან ურთიერთობის პოლიტიკის კომისიის მოხსენებაში, რომელიც შეიქმნა პრეზიდენტ ობამას ინიციატივით. უახლოეს დღეებში კი მოსკოვში ჩავა ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი სამხედრო მდივანი ჯეიმს ბეიკერი, რომელიც იმუშავებს რუსეთის ფედერაციაში ბარაკ ობამას პირველი ვიზიტის მომზადებაზე, რომელიც ივნისისათვის არის დაგეგმილი.**



### ბრძენები და ექსპერტები

პირველ აპრილს ლონდონში გაიმართება დიმიტრი მედვედევისა და ბარაკ ობამას შეხვედრა. როგორც არსებული გეგმების მიხედვით საუბრობენ, ორი ლიდერის შეხვედრა ერთ საათს გაგრძელდება. ცხადია, მისგან არ უნდა ველოდეთ რაღაც დიდ მიღწევებს. მაგრამ მოსკოვიც და ვაშინგტონიც მაქსიმუმ ძალისხმევას მიმართავენ, რათა ორ პრეზიდენტს ერთმანეთი მოეწონოს.

ამ ნაცნობობისათვის დიმიტრი მედვედევი უნდა მოამზადოს „რუსეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების ბრძენთა ჯგუფმა მოსკოვში ჩადის ცნობილ და გავლენიან ამერიკელ პოლიტიკოსთა დიდი ჯგუფი: **ნიქსონის ადმინისტრაციის ექს-სახელმწიფო მდივანი ჰენრი კისინჯერი (თანათავმჯდომარე ამერიკის მთავრობიდან), რეიგანის ადმინისტრაციის სახელმწიფო მდივანი ჯორჯ შულცი, კლინტონის ადმინისტრაციაში თავდაცვისა და ფინანსების მინისტრები უილიამ პერი და რიჩარ რუბინი, ექს-სენატორი სემ ნანი. რუსეთის მხრიდან ჯგუფში შედიან ევგენი პრიმაკოვი, იგორ ივანოვი, იური ბალუევსკი და სხვები. ეს იქნება უკვე მეორე გავლენიანი დელეგაცია ამერიკელი გადამდგარი პოლიტიკური მოღვაწეებისა, რომელსაც მიიღებს რუსეთის პრეზიდენტი მედვედევი უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში.** მანამდე კრემლს სტუმრობდნენ სენატორები ჩაკ ჰეიგელი, ჰერი ჰარტი და პრეზიდენტ ბუშის (უფროსის) ექს-მრჩეველი ეროვნული უშიშროების საკითხებში ბრენტ სკოუკროფტი, რომელიც შედის ამერიკის შეერთებული შტატების რუსეთთან პოლიტიკის არასახელმწიფო კომისიაში. **ისინი ჩამოვიდნენ, რათა გააცნონ პრეზიდენტ მედვედევს მოხსენების პროექტი მომავალ ორმხრივ ურთიერთობათა შესახებ, რომელიც მომზადდა მათ მიერ პრეზიდენტ ობამას დავალებით.**

ტექსტმა მეტად პოზიტიური შთაბეჭდილება დატოვა კრემლში.

მართლაც, საჯაროდ გამოტანილი მოხსენება — „ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის სწორი მიმართულება რუსებთან დაკავშირებით“ — შეიძლება ყველაზე სასიამოვნო დახასიათებაა რუსეთისა ცივი ომის დამთავრების დროიდან. „ქვეყნების ძალიან ცოტა რაოდენობას აქვს ისეთი მნიშვნელობა ჩვენი წარმატებისათვის, როგორც რუსეთს, — ასეთი სიტყვებით იწყება მოხსენება, — ამერიკელთა გადაწყვეტილება — გააუმჯობესოს ურთიერთობა რუსეთთან, სულაც არაა ჯილდო, რომელიც უნდა მიენიჭოს მოსკოვს კეთილი ქცევისათვის მსოფლიო არენაზე, არ არის რუსეთის მთავრობის საშინაო პოლიტიკის წახალისება. უფრო მეტად ესაა რუსეთთან თანამშრომლობის მნიშვნელობის აღიარება ამერიკელთათვის აუცილებელი მიზნების მისაღწევად“. ასეთ პრიორიტეტულ მიზნებად, რომელთა რეალიზაციაც შეუძლებელია ურუსეთოდ, მოხსენების ავტორები ასახელებენ ირანის მიერ ბირთვული იარაღის შეძენის თავიდან აცილებას, „ალ-ქაიდის“ განადგურებას, სიტუაციის სტაბილიზაციას ავღანეთში და, ბოლოს, ევროპაში უშიშროებისა და აყვავების უზრუნველყოფას. პირველი დასკვნა, რასაც აკეთებენ მოხსენების ავტორები, ასეთია: ამერიკის ყველა წინა ადმინისტრაციას სულ არ ესმოდა რუსეთის, სასურველს წარმოაჩენდნენ არსებულად და რუსეთის ლოგიკას ცვლიდნენ საკუთარი ლოგიკით. „ჩვენ უნდა გავაუმჯობესოთ რუსეთის ინტერესების გაგება — იმ სახით, რა სახითაც თავიანთთვის განსაზღვრავენ რუსები“, — მოუწოდებენ ისინი.

აქედან გამომდინარეობს რამდენიმე პრაქტიკული რეკომენდაცია, რომელთა შესრულებაც, — მიაჩნიათ ავტორებს, — ერთდროულად დაეხმარება ამერიკის შეერთებულ შტატებსაც და გაახარებს რუსეთსაც. ჯერ ერთი, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უნდა გადახედოს თავის გეგმას ჩეხეთსა და პოლონეთში რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის გაფართოების შესახებ და შეიმუშაოს ახალი მიდგომა ერაყის სარაკეტო საშიშროებისაგან დაცვისადმი. მეორეც, გამოძებნოს სხვა საშუალება, რათა დაადასტუროს პროდასავლური მიმართულების უკრაინისა და საქართველოს მთავრობათა მხარდაჭერის სულ სხვა საშუალება, ვიდრე მათი ნატო-ში მიღებაა. მესამეც, განაახლოს აქტიური მუშაობა რუსეთთან საერთაშორისო ტერორისტთან ბრძოლის ფარგლებში, ბირთვული იარაღის გავრცელების საქმეში და დეკემბრამდე შეიმუშაოს ხელშეკრულება. მეოთხე, რუსეთთან და ევროპის ქვეყნებთან ერთად შეიმუშაოს ევროპული უშიშროების ახალი არქიტექტურა. დაბოლოს, შეასრულოს ყველა აუცილებელი სამუშაო რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში მიღებისათვის და გააუქმოს ჯექსონ-ვენიკის შესწორებები, აგრეთვე მოიზიდოს რუსეთი გლობალური ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლის საშუალებების განხილვაში.

**მაგრამ ყველა ეს უპრეცედენტო ჟესტი ფერმკრთალდება კიდევ ორი რეკომენდაციის ფონზე, რომლებიც გააკეთა ჰეიგელ-ჰარტის კომისიამ. ჯერ ერთი, ყოფილი სენატორები ურჩევენ ვაშინგტონს, რაც შეიძლება ფრთხილად გააკრიტიკოს რუსეთი საშინაო პოლიტიკისა და ადამიანთა უფლებების სიტუაციასთან დაკავშირებით. მათი აზრით, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა „განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაპყროს რუსეთის ლიდერების ყველა განცხადებას დემოკრატიისა და ადამიანთა უფლებების დაცვის საერთაშორისო ვალდებულებების პატივისცემასთან დაკავშირებით, შეაფასოს ამ ქვეყნის სუვერენიტეტი, ისტორია და ტრადიციები და აღიაროს, რომ რუსეთის საზოგადოება ივლის თავისი საკუთარი, განსაკუთრებული გზით“.**

კიდევ უფრო სასიამოვნო სიურპრიზი კრემლისათვის არის კომისიის სიტყვები იმის შესახებ, რომ

### საჭიროა, ვაღიაროთ ყოფილი სსრ კავშირის ტერიტორია რუსეთის განსაკუთრებული ინტერესების ზონად.

კომისიის რეკომენდაციათა შორის, მაგალითად, არის ასეთიც: „დაიწყოს მთავრობათაშორისი დიალოგი რუსეთის ახლო საზღვარგარეთის პრობლემებთან დაკავშირებით ნდობის განმტკიცების ღონისძიებათა შესამუშავებლად, რათა შემცირდეს დაძაბულობა ორმხრივ ურთიერთობებში“. ამ აზრის განვითარებისას ავტორები შენიშნავენ:

### ამერიკის შეერთებულმა შტატებმა თავი უნდა აარიდოს რუსეთთან კონკურენციას რუსეთის ახლო საზღვარგარეთში. ასეთი კონკურენცია ზიანს მიაყენებს ამერიკის შეერთებულ შტატებს უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ ამ რეგიონში იმყოფება რუსეთი და არა ამერიკის შეერთებული შტატები“.

მომხსენებლები აღნიშნავენ, რომ ამერიკის სტრატეგიულ ინტერესებში შედის, არ დაუშვას რომელიმე ერთი ქვეყნის დომინირება ევროპაში, აზიაში ან ახლო აღმოსავლეთში, დაიცვას ყველა ქვეყნის სუვერენიტეტი. მაგრამ **ისინი განსაკუთრებით ხაზს უსვამენ, რომ რუსეთს აქვს პოსტსაბჭოთა სივრცეში „ლეგიტიმური ინტერესები“, რომლებსაც იგი „ზოგჯერ იცავს მიუღებელი მეთოდებით“.**

ჰეიგელ-ჰარტის კომისიის რეკომენდაციები, ცხადია, გადამწყვეტი თემები იქნება პრეზიდენტების — ობამასა და მედვედევის მომავალ მოლაპარაკებაში. მაგრამ, როგორც რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან დაახლოებული წყარო გვაცნობებს, შეხვედრები „G20“-ის სამიტის ველებზე აშკარად საკმარისი არაა იმისათვის, რომ მოხდეს ნამდვილი დათბობა რუსეთ-ამერიკის ურთიერთობაში. ამიტომ ხდება უკვე ახლავე ბარაკ ობამას რუსეთში პირველი ვიზიტის შესაძლო დამუშავება.

**თავდაპირველად ამ ვიზიტის ორ შესაძლო ვარიანტს ასახელებდნენ: მაისის შუა რიცხვებში ან ივლისის დასაწყისში. ამ მომენტისათვის უფრო პერსპექტიული ჩანს მეორე ვარიანტი. როგორც ვაშინგტონიდან იუწყებიან, მოსკოვში ჩავა ყოფილი სახელმწიფო მდივანი ჯეიმს ბეიკერი, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად დაამუშავებს ამერიკის შეერთებული შტატების შესაძლო ჩამოსვლის დეტალებს უშუალოდ „G8“-ის სამიტის წინ, რომელიც გაიმართება სარდინიაში 8-10 ივლისს.**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ჯიჰადი, რომელიც შეთხზა FBI-მ

**„ბრძოლა ისლამის ტერორიზმთან“ ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციის პოლიტიკის ქვაკუთხედს წარმოადგენს, რომლის იდეოლოგიური შევსებით ამერიკელი ნეოკონსერვატორები არიან დაკავებულნი.**
**11 სექტემბრის მოვლენები არა ერთი გეოპოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემების გადაჭრის უნივერსალურ გასაღებად იქცა, აიძულა ამერიკული ნაცია, „ქამრები მჭიდროდ შემოეჭირათ“ და, ამასთან, თავიანთი ხელისუფლების ყველა საქციელი შინ თუ გარეთ გაემართლებინათ.**



უნდა ითქვას, რომ მოწინააღმდეგეც სწორად იქნა შერჩეული — ამერიკელთა უმრავლესობისათვის, ისევე როგორც დასავლეთევროპელებისათვის, ისლამი — ესაა შორეული, გაუგებარი და საშიში რაღაც. პრაქტიკულად, FBI-ის პროპაგანდისტებს ყველაფერი ამ რელიგიის „ფანატიზმით“ შეუძლიათ ახსნან.

**ფაქტია, რომ 11 სექტემბრის შემდეგ პროპაგანდისტული ეფექტი თანდათან გაფერმკრთალდა. უფრო მეტიც, დაისვა კითხვები — ყოვლადძლიერი „ალ-ქაიდა“ რატომ შემოიფარგლა მხოლოდ ამ აქციებით და არც კი სცადა რაიმე მსგავსის გამეორება?** ნათელი გახდა, რომ, საკუთარი მოსახლეობა და მსოფლიო საზოგადოება საჭირო ტონუსში რომ გყავდეს, აუცილებელია მსოფლიო ისლამის ტერორისტული შეთქმულების საშიშროების არსებობის მუდმივი მტკიცება, თორემ 11 სექტემბრის გამეორება თვით ისეთ უმდიდრეს ქვეყანას, როგორც აშშ-ია, არ შეუძლია. ამიტომ ამერიკული სპეცსამსახურები შემოიფარგლნენ „ალ-ქაიდის უჯრედების“ გამოვლინებებითა და ლიკვიდაციებით.

20 ოქტომბერს ნიუ-ჯერსის შტატის ქალაქ კამდენში დაიწყო მუჰამედ იბრაგიმ შნევერის, სერდარ თათარის და ძმებ დრიტან, შაინ და ელვირ დუკების სასამართლო პროცესი, რომლებთაც ამერიკის სამართალდამცველები ადანაშაულებდნენ შეთქმულებაში და ამერიკელი ჯარისკაცების მკვლელობის მიზნით სამხედრო ბაზა „ფორტ-დიკსზე“ თავდასხმაში. **ბრალდებულები 2007 წლის მაისში დააკავეს. როგორც ხდება ხოლმე მსგავს შემთხვევებში, მათ წინააღმდეგ შეგროვდა ყველა სამხილი — მათი საუბრების აუდიოჩანაწერები, რომლებიც FBI-ის ინფორმატორებმა გააკეთეს, და ვიდეოფილმები, რომლებშიც ისლამის ტერორისტები გმირებად არიან წარმოდგენილი.** ამ ფილმების ზოგიერთ კადრში ასახული იყო საშინელი ფაქტები. მაგ., როცა ერაყელი ბოევიკები ამერიკელებს თავს ჭრიან. გარდა ამისა, ბრალდება მზად იყო, სასამართლოსათვის 200 მოწმე წარმოედგინა.

**ძმები დრიტან, შაინ და ელვირ დუკები — ალბანელები არიან. უფროსი 29 წლისაა, უმცროსი — 25 წლის. სამივე ცოლიანია, ცხოვრობენ აშშ-ს ნიუ-ჯერსის შტატის პატარა ქალაქში ჩერი-ჰილში 1984 წლიდან, როგორც არალეგალური ემიგრანტები. მათ მეზობლებს არა ერთხელ დაუჩივლიათ იმის გამო, რომ ისინი სახლში ხშირად აწყობდნენ ხმაურიან საღამოებს, ეზოში კი მსხვილფეხა პირუტყვი ჰყავდათ.**

მეხუთე ექვმიტანილი — თურქეთის მკვიდრი, 25 წლის სერდარ თათარი, თავის დროზე მუშაობდა პიცერიაში „სუპერ მარიო“, რომელიც მამამისს ეკუთვნოდა და სამხედრო ბაზა „ფორტ-დიკსიდან“ არც ისე შორს მდებარეობდა. ამდენად, ჯარისკაცებიც მათ პიცერიას ხშირად სტუმრობდნენ. თუ დავუჯერებთ პროკურორს, სწორედ „ფორტ-დიკსი“ ამოიღეს მიზანში დამნაშავეებმა, რადგან ამ ბაზაზე მომზადებას გადიოდნენ ერაყში და ავღანეთში გასაგზავნი რეზერვისტები.

გამოძიების აზრით, დრიტან დუკმა რამდენჯერმე სცადა იარაღის შეძენა, მაგრამ მან ამერიკაში (სადაც უკანასკნელ ნარკომანსაც კი შეუძლია იშოვოს პისტოლეტი) ეს ვერ მოახერხა. სამართალდამცველთა წარმოდგენით, შესაძლებელი იყო, ერთხელაც ხუთივეს პიცერიის კურიერის ტანსაცმელში გამოწყობილებს „ფორტ-დიკსის“ ტერიტორიაზე შეეღწიათ, რათა მოეკლათ რაც შეიძლება ბევრი ამერიკელი. მაგრამ ამ სქემის შემდგენელთ მხედველობიდან გამორჩათ ერთი რამ — მკაცრი სამხედრო რეჟიმის ობიექტში პიცის დამტარებლები ავტომატებით როგორ შევიდოდნენ.

რაღაცნაირად რომ აეხსნათ ეს ყველაფერი, FBI-ის წარმომადგენლები ამტკიცებდნენ, რომ გახსნეს შეთქმულება ადრეულ სტადიაში. ცხადი იყო, რომ ბრალდებულებს არავითარი აშკარა დანაშაული არ ჩაუდენიათ.

**მართალი რომ ვთქვათ, რაც მოხდა, FBI-ის წარმომადგენლების პროვოკაციას უფრო ჰგავდა, რომლებმაც თავად შეურჩიეს საუბრის თემა ეჭვმიტანილებს და თავადვე დააფიქსირეს ის, რაც გამოადგებოდათ. აზრთა გაცვლა-გამოცვლა არაფრით შეიძლება დანაშაულად ჩაითვალოს. ამის უფლებას ამერიკის კონსტიტუციაც ითვალისწინებს.**

ხუთივე ეჭვმიტანილს დანაშაულის აღიარება (მონაწილეობა შეთქმულებაში მკვლელობის მიზნით და იარაღის უკანონო შეძენისათვის) სამუდამო პატიმრობას უქადდა.

ესე იგი, პროვოკატორებთან საუბრის და ამასთან, ხმაურის თაობაზე მეზობლების საჩივრისათვის თავისუფლად შეეძლოთ დარჩენილი ცხოვრება გისოსებს მიღმა გაეტარებინათ.

შეიძლებოდა სხვა ვარიანტის შემუშავებაც: FBI-ის თანამშრომლები დალოდებოდნენ, სანამ ეჭვმიტანილები უკანონოდ შეიძენდნენ იარაღს და უფრო მეტიც, „იარაღით მოვაჭრეებზეც“ გაიყვანდნენ მათ, მაგრამ საქმე ის არის, რომ ისინი იარაღის ყიდვას საერთოდ არ აპირებდნენ! ამიტომ ამერიკის პოლიტიკურ პოლიციას სასამართლოში „ნახევარფაბრიკატის“ წარდგენა მოუხდა.

ეჭვმიტანილთა ადვოკატებს განზრახული აქვთ, დაამტკიცონ, რომ ბრალდებულები არავითარ ტერორისტულ შეთქმულებას არ გეგმავდნენ; ეჭვქვეშ დააყენონ საქმეში არსებული მტკიცებულებების შეგროვების კანონიერება. ხუთივე არშემდგარი ტერორისტი ხომ ერთ წელზე მეტხანს (2006 წლის მარტიდან) FBI-ის „ჩაჩის ქვეშ“ იმყოფებოდნენ. ინფორმატორები, რომლებიც ესწრებოდნენ მათ შეხვედრებს და იწერდნენ საუბრებს, FBI-ისაგან ფულს იღებდნენ.

**მსგავსი სცენარით არა ერთი ეპიზოდი შეთხზულა. აგენტი (აგენტები) მისთვის შესაფერის ობიექტს პოულობს, ხშირ შემთხვევაში, მუსლიმან ამერიკელებს თუ ემიგრანტებს, და ცდილობს, დაარწმუნოს ის (ისინი) „ურწმუნოთა“ წინააღმდეგ აწარმოოს ჯიჰადი. თუ ეს გამოუვა, მათგან მორიგ „ტერორისტულ ჯგუფს“ „ჩამოაყალიბებს“, დააფიქსირებს მათ საუბრებს, მოამარაგებს „ტერორისტული ლიტერატურით“ და აკრძალული ვიდეომასალით.**

## ცნობილია შემთხვევა, როცა FBI-ის აგენტებმა „ტერორისტებს“ შესთავაზეს „ალ-ქაიდაში“ შესასვლელად ინტერნეტში ანკეტების შევსება. შემდეგ კი ეს ანკეტები გახდა მათთვის ბრალის დადების საფუძველი.

ამგვარად, აშშ-ის ხელმძღვანელობა თავისი პროგრამებისათვის უზრუნველყოფს პროპაგანდისტულ თავშესაფარს, ანგარიშს უსწორებს რა უდანაშაულო ადამიანებს.

**პოლიტიკური თავისუფლების ცენტრი**

## რუსული ნავთობი ჩინეთში ჩავა

**რუსეთი და ჩინეთი ნავთობსადენის „აღმოსავლეთ ციმბირი — წყნარი ოკეანე“ ჩინეთის განშტოების მშენებლობაზე და რუსული ნავთობის გრძელვადიანი მიწოდების ორგანიზებაზე შეთანხმდნენ. მოლაპარაკების ფარგლებში, რომელიც პეკინში გაიმართა, ხელმოწერილია მთავრობათაშორისი შეთანხმება. რუსეთის დელეგაციას ვიცე-პრემიერი იგორ სეჩინი ხელმძღვანელობდა.**

სეჩინის თქმით, რუსეთმა ვალდებულება იკისრა, 20 წლის განმავლობაში ჩინეთს ყოველწლიურად მიაწოდოს 15 მილიონი ტონა ნავთობი. მანამდე ცნობილი გახდა, რომ რუსული კომპანიები „როსნეფტი“ და „ტრანსნეფტი“ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისგან 25 მილიარდი დოლარის კრედიტებს მიიღებენ იმისთვის, რომ ჩინეთის მხარისთვის ნავთობის მიწოდება უზრუნველყონ. ვიცე-პრემიერმა კრედიტების თაობაზე სათანადო კონტრაქტების გაფორმების ფაქტი დაადასტურა, თუმცა დეტალები არ დაუზუსტებია.

შეგახსენებთ, რომ ჩინეთში ნავთობის მიწოდების იდეის განხილვა ჯერ კიდევ 1990-იანი წლების მიწურულს დაიწყო. აღსანიშნავია, რომ რუსეთის საზოგადოებრიობა არაერთმნიშვნელოვნად შეხვდა ნავთობსადენის გაყვანის იდეას, რადგან მისი სავარაუდო მარშრუტი ბაიკალის ტბის უნიკალურ ეკოსისტემასთან სახიფათო სიახლოვეს გადიოდა. 2006 წელს პროექტის მოწინააღმდეგეებმა რუსეთის რამდენიმე დიდ ქალაქში მოაწყვეს მიტინგები ეკოლოგიური უსაფრთხოების დაცვის ლოზუნგებით. შედეგად ნავთობსადენის მარშრუტი ეკოლოგთა მოთხოვნების გათვალისწინებით შესწორდა.



## იტალიაში 12 წლის გოგონები სკოლის დისკოთეკებზე საკუთარ თავს ყიდიან

**ყველა სტუდენტს როდი ჰყოფნის სტიპენდია. ამიტომ ცდილობენ, გამოიმუშაონ სწავლისაგან თავისუფალ დროს პროსტიტუციით. ზოგიერთი კი ამას უკვე სკოლიდან ეჩვევა.**

75 ათასი იტალიელი სტუდენტი გოგონა, რაც იმ გოგონათა მთელი რაოდენობის 21 პროცენტს შეადგენს, რომლებიც უმაღლეს განათლებას იღებენ იტალიაში, ეწევა პროსტიტუციას. და ყველა ამას აკეთებს, იმისათვის, რომ გადაიხადოს სწავლის საფასური ან გაიხაროს ახალი ტანსაცმლის შეძენით. 12 წლიდან კი სკოლის მოსწავლე გოგონები საკუთარ ინტიმვიდეოს სთავაზობენ მობილური ტელეფონებისათვის. მთავრობა ცდილობს ყოველივე ამის წინააღმდეგ ბრძოლას, თუმცა, ჯერჯერობით — უნაყოფოდ.



## ფიდელ კასტრო: საქართველო რუს სამხედროებს ამერიკის დავალებით დაესხა თავს

**კუბის დიქტატორმა ფიდელ კასტრომ მორიგი წიგნი „კომანდანტეს ფიქრები“ გამოსცა, რომელშიც სხვა ყველაფერთან ერთად, საქართველო-რუსეთის ომზეც საუბრობს.**

**კერძოდ, კასტროს მტკიცებით, რომ არა ამერიკის წახალისება და აშშ-ის პრეზიდენტის ბუშის დავალება, საქართველო არ მიმართავდა ჯარებს თავისი ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქისკენ და არ დაესხმებოდა თავს რუს სამხედროებს.**

კასტრო აშშ-ის ახალ პრეზიდენტ ბარაკ ობამაზე დიდ იმედებს ამყარებს. „აშშ-ის პირველი შავკანიანი პრეზიდენტი, ჭკვიანი და კეთილშობილი სახე, რომელიც აბრაამ ლინკოლნსა და მარტინ ლუთერ კინგს ასახიერებს, ასრულებული ამერიკული ოცნების ცოცხალი გამოხატულებაა“, — წერს კასტრო.

კუბელი დიქტატორი იმასაც აღნიშნავს, რომ ის ობამას პირველი საპრეზიდენტო ვადის დასრულებას ველარ მოესწრება.

## მოსკოვის ხელისუფლება მზადაა, გამოყოს 300 ათასი რუსული რუბლი მცირე ბიზნესისათვის

**სუფსიდია 300 ათასი რუბლისათვის შეიძლება მიეცეს დამწყებ მცირე მეწარმეებს მოსკოვში ბიზნესის განვითარებისათვის, — გვაცნობა მცირე მეწარმეობის მხარდამჭერი დეპარტამენტის ხელმძღვანელმა მიხაილ ვიშეგოროდეცმა. ამას გარდა, მისი სიტყვებით, დეპარტამენტი მზადაა, მოამზადოს ახალგაზრდა მეწარმეები, მოახდინონ მათ არენდის განაკვეთის კომპენსირება მუშაობის პირველ წელიწადს და ფულიც კი გამოუყონ მოწყობილობის შესაძენად, რაც აუცილებელია ბიზნესგეგმის რეალიზაციისათვის.**

ვიშეგოროდეცმა დაუმატა, რომ მოსკოვისათვის განსაზღვრულია პრიორიტეტული შვიდი მცირე ბიზნესის სახეობა, რომლებსაც ქალაქი მუდმივად გაუწევს დახმარებას. მათ შორისაა: სამრეწველო წარმოება, მუშაობა დაუცველი კატეგორიის მოსახლეობის ინტერესებისათვის, მედიცინა და სხვა.

**„რია ნოვოსტი“**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

## ოპერის თეატრში „ტრავიატას“ პრემიერაა

**თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში პრემიერაა 29 მარტს, 1 და 3 აპრილს საკონცერტო შესრულებით წარმოდგენილი იქნება ჯუზეპე ვერდის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ოპერა „ტრავიატა”. იგი ოპერის თეატრის რეპერტუარში ვერდის მეშვიდე ოპერაა („აიდა“, „ტრუბადური“, „დონ კარლოსი“, „რიგოლეტო“, „ატილა”, „ნაბუქო”, ასევე რექვიემი). “ტრავიატა” თეატრში ბოლოს 1979 წელს დაიდგა.**

საპრემიერო სპექტაკლებში მონაწილეობენ თეატრის ახალი მსახიობებიც და ცნობილი მომღერლებიც: მარიამ გულორდავა, მარიკა მაჩიტიძე, ნინო ჩაჩუა, ირინე ალექსიძე, ელენა პუტილოვა, მზია დავითაშვილი, მანანა იორდანიშვილი, არმაზ დარაშვილი, ირაკლი კახიძე, გია მახარაძე, სულხან გველესიანი, ნიკოლოზ ლაგვილავა, ზაალ ხელაია, ზურაბ იაშვილი, თამაზ საგინაძე, ბონდო გოგია, გივი ფეიქრიშვილი, გია ასათიანი, ტარიელ ჭიჭინაძე. „ტრავიატას” დამდგმელი დირიჟორია ოპერის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი ზაზა აზმაიფარაშვილი.

## ნაბუკოსთან დაკავშირებით ევროპა გერმანიას რუსეთთან გარიგებაში ადანაშაულებს

**ბრიუსელში ნაბუკოს პროექტთან დაკავშირებით ცხარე დებატები გაიმართა. ევროკავშირის ქვეყნები გაზსადენისთვის საჭირო თანხაზე ვერ თანხმდებიან.**

დღეისთვის განსახილველი პროექტებიდან სიტყვა „ნაბუკო“ საერთოდ ამოიღეს და მის ნაცვლად სამხრეთ დერეფანი ჩაწერეს. ევროკომისია ნაბუკოსთვის 6,5 მილიარდის გამოყოფას გეგმავდა, თუმცა გერმანია, იტალია და საფრანგეთი ამ ხარჯების წინააღმდეგ გამოდიან. გერმანიის მთავრობის აზრით, ნაბუკო რუსეთის მიერ ინიცირებულ მეორე პროექტთან, ანუ სამხრეთ ნაკადთან უნდა გაერთიანდეს. ეს ინიციატივა კი ევროკავშირის სხვა ქვეყნებს არ მოსწონთ.

„თუ გერმანელები რუსეთის მითითებით მოქმედებენ, ეს სკანდალი უკვე სიკეთისა და ბოროტების ბრძოლასაც კი სცილდება“, — განაცხადა ერთ-ერთმა ევროპელმა დიპლომატმა BBC-სთან ინტერვიუში. რუსული მედიის მტკიცებით, ნაბუკოს პროექტის სამხრეთ ნაკადთან გაერთიანების ინიციატივით ვაშინგტონიც კი გამოვიდა. რუსი ჟურნალისტების ცნობით, ამ კომპრომისის სანაცვლოდ აშშ მოსკოვთან ირანისა და ავღანეთის პრობლემებს მოაგვარებს.

ცნობისთვის: ნაბუკოს პროექტით ევროპა აზერბაიჯანულ და შუააზიურ გაზს საქართველოს გავლით მიიღებს.

## რუსეთმა და არგენტინამ უვიზო მიმოსვლის შეთანხმება გააფორმეს

**რუსეთმა და არგენტინამ უვიზო მიმოსვლის შესახებ შეთანხმებას ხელი მოაწერეს.**

როგორც „ბი-ბი-სი“ იუწყება, ორივე ქვეყნის პარლამენტების მიერ ამ დოკუმენტის რატიფიცირების შემდეგ ერთი თვის ვადაში ქვეყნებს შორის უვიზო მიმოსვლა ამოქმედდება და რუსეთისა და არგენტინის მოქალაქეებს ამ ქვეყნების ტერიტორიაზე უვიზოდ 90 დღის განმავლობში დარჩენა შეეძლებათ. არგენტინამდე რუსეთთან უვიზო რეჟიმი კიდევ ერთმა ლათინოამერიკულმა ქვეყანამ – ვენესუელამ შემოიღო. შესაძლოა, რუსეთთან ვიზები კოლუმბიამ და ბრაზილიამაც გააუქმოს.უვიზო რეჟიმის შესახებ სიტყვიერი შეთანხმება რუსეთს ისრაელთან, ჩერნოგორიასა და მაკედონიასთანაც აქვს.

# რატომ ერჩიან იაპონელები ამერიკელ სამხედროებს?





**პენტაგონი შეშფოთებულია თავის სამხედროთა შორის დანაშაულებათა ზრდის გამო. ან როგორ არ უნდა იყოს ასე, როცა დარღვევათა რაოდენობა უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში 14 პროცენტით გაიზარდა! პირველ ადგილზეა მკვლელობა და გაუპატიურება, რომლებიც ხდება როგორც შინ, ისე უცხოეთში. ამ დროს დანაშაულებათა უმეტესობა მოხდა ალკოჰოლიანი ან ნარკოტიკული თრობის პირობებში.**

ვაშინგტონის განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს სექსუალურ სამართალდარღვევათა ზრდა, მათ შორის, სამხედრო ქვედანაყოფების შიგნითაც: 2008 წლის განმავლობაში ამერიკის შეერთებული შტატების არმიაში დამცირება განიცადა სამხედრო მოსამსახურეთა მესამედმა. მაგალითად, ამას წინათ ფლორიდაში გაასამართლეს სამხედრო საჰაერო ძალების ოფიცერი გაუპატიურებისა და ექვსი მამაკაცის გაუპატიურების მცდელობისათვის.

ყოველწლიურად დანაშაულებათა სტატისტიკა ამერიკის არმიაში სულ უფრო შემაძრწუნებელი ხდება:

## 2005 წელს მოხდა 23374 მხოლოდ სექსუალური დანაშაული. 2004 წელთან შედარებით, რაოდენობა გაიზარდა 40 პროცენტით.

განსაკუთრებული თემაა ავღანეთი და ერაყი. სამართალდამცავთა მონაცემებით, პენტაგონმა ამ ქვეყნებში გაანადგურა ათეულობით ათასი ადამიანი, რომლებიც არ ყოფილან ტერორისტები. მოკლულთა სულ ცოტა 15 პროცენტი დაიღუპა ამერიკელთა მხრიდან. ამ დროს ისინი მშვიდობიან მოსახლეობას წარმოადგენდნენ. მათი რიცხვი გაიზარდა 50 პროცენტამდე მას შემდეგ, რაც 2003 წელს ამერიკის ჯარებმა ჩაახშვეს აჯანყება ერაყის ქალაქ ელ-ფალუჯაში.

საერთაშორისო ორგანიზაციის — „ექიმები საზღვრებს გარეშე“ — მონაცემებით, ამერიკელი სამხედროები დამნაშავენი არიან იმაში, რომ ადგილობრივი საავადმყოფოს ალყის დროს არ მისცეს ექიმებს საშუალება, დახმარებოდნენ მშვიდობიან მოსახლეობას, რომელთა წარმომადგენლებიც ამის გამო დაიღუპნენ. ისრაელის გაზეთი „ნარეტზი“, რომელსაც ვერ დასწამებ ამერიკისადმი უპატივცემლობას, წერს: „თავმოჭრილი ბავშვები, დაღუპულ ქალთა გვამების გროვა სტადიონზე, რომელიც გადაიქცა ასეული ადამიანის სასაფლაოდ, — ყოველივე ამან ბუშის იმიჯს მიაყენა დამანოკაუტებელი დარტყმა“.

**კიდევ ერთი თემა — სადისტური წამებანი, რომლებსაც ამერიკელები იყენებენ ერაყელი პატიმრებისადმი ცნობილ ციხეში „აბუ გრეიბი“. 2006 წელს მსოფლიო შეარყია ერაყელი გოგონასა და მისი ნათესავების ჯგუფურმა გაუპატიურებამ და მკვლელობამ ამერიკელი სამხედროების მიერ. 2009 წლის 29 იანვარს კი ამერიკელმა სამხედროებმა ერაყის კირკუკის რაიონში დახვრიტეს ცოლ-ქმარი, მძიმედ დაჭრეს მათი რვა წლის გოგონა.**

ამავე დროს, სამართალდამცველები აღნიშნავენ, რომ ამერიკელი სამხედროები ერაყსა და ავღანეთში „უგულებელყოფენ სამხედრო მოქმედებათა და დაკითხვათა წარმოების წესებს, რასაც მივყავართ მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ დანაშაულებამდე“. დახვრეტები, „საეჭვო კოლონების“ დაბომბვები, რომლებიც შემდეგ აღმოჩნდა საქორწილო მსვლელობანი, ჩვეულებრივი ამბავი გახდა.

განსაკუთრებით „გაითქვეს სახელი“ საზღვაო ქვეითმა ჯარებმა, მათ შორის მეგობარი სახელმწიფოების ტერიტორიებზეც. უწინარეს ყოვლისა, ესაა იაპონიის კუნძული ოკინავა, სადაც თავმოყრილია ამერიკის დამრტყმელი დაჯგუფება.



## იაპონელთა განსაკუთრებულ რისხვას იწვევს ამერიკელი სამხედროების მიერ არასრულწლოვანი გოგონების გაუპატიურების შემთხვევები, რასაც ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობის გართულებასთან მივყავართ.

**უკანასკნელი ასეთი შემთხვევა 2008 წლის მარტში დაფიქსირდა. იაპონიის მთავრობამ, რომელიც დაიღალა თანამოქალაქეთა პროტესტებისაგან, განაცხადა, რომ დახურავს ამერიკელთა ბაზებს. შეგახსენებთ, რომ ქვეყნიდან ამერიკის შეერთებული შტატების ბაზების გამოყვანის თაობაზე მოძრაობამ განსაკუთრებული ძალა შეიძინა 1995 წელს, მას შემდეგ, რაც სამმა ამერიკელმა ქვეითმა სამხედრო მოსამსახურემ გაიტაცა და გააუპატიურა 12 წლის მოსწავლე გოგონა.**

ამგვარი შემთხვევების შემდეგ 2001 წელს ოკინავის ხელისუფლებამ აუკრძალა ამერიკელ სამხედროებს შუაღამის შემდეგ თავიანთი ნაწილების გარეთ გამოჩენა. იაპონელთა განცხადებაში პირდაპირაა ნათქვამი: „ოკინავას მცხოვრებთა რისხვას იწვევს გაუპატიურებანი, ხანძრის გაჩენა, საკუთრებისათვის ზიანის მიყენება, პრეფექტურის გუბერნატორის მისამართით შეურაცხყოფა, რომლებშიც მონაწილეობენ ამერიკელი სამხედროები“.

მაგრამ იაპონელებმა ჯერ-ჯერობით შეძლეს ამერიკელი დამნაშავეების მხოლოდ თავიანთ სასამართლოში გადაცემის უფლების მოპოვება. თუმცა 3,5 წელზე მეტს მათ არ უსჯიან. არავის სურს ვაშინგტონთან დავა, რომელიც ტოკიოს აძლევს სამხედრო დაცვას.

სამართალდამცველების აზრით, ამერიკელები საგულდაგულოდ ფარავენ ამგვარ შემთხვევებს, ამიტომ სასამართლომდე საქმე იშვიათად მიდის. პენტაგონი კი აღიარებს, რომ „არმიაში ხვდება სულ უფრო მეტი დამნაშავე“. ომები ითხოვს საზარბაზნე ხორცს და პენტაგონი თვალს ხუჭავს ახალწვეულთა ბნელ ლაქებზე მათ ბიოგრაფიებში.

### ამერიკის არმიაში გაუპატიურების შემთხვევები გახშირდა

**პენტაგონში აცხადებენ, რომ გაუპატიურებათა რიცხვი ამერიკელი სამხედრო მოსამსახურეების მიერ თავიანთი ამხანაგებისა, აგრეთვე, ადგილობრივი მცხოვრებლებისა, რვა პროცენტით გაიზარდა.**

## შარშან ამერიკელი სამხედროების მხრიდან სექსუალური ძალადობის 2923 შემთხვევა დაფიქსირდა. ასეთი შემთხვევები განსაკუთრებით გახშირდა ერაყსა და ავღანეთში.

მაგრამ პენტაგონის წარმომადგენელთა სიტყვებით, შემაშფოთებელი სტატისტიკა კარდინალურად იცვლება იმის გამოც, რომ დაზარალებულებმა უფრო ხშირად დაიწყეს ამის შესახებ საუბარი.

ამავე დროს, არმიის წარმომადგენლები დარწმუნებულები არიან, რომ მათთვის ცნობილი ხდება შემთხვევათა მხოლოდ 20%.

„დანაშაულის ამ სახეობის გახსნა როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო სტრუქტურებში, ძალიან დაბალია იმის გამო, რომ გაუპატიურების მსხვერპლთ ეშინიათ ან რცხვენიათ, განაცხადონ ამის შესახებ“, — განაცხადა პენტაგონის ერთ-ერთი დეპარტამენტის დირექტორმა კაია უაიტლიმ.

2008 წლის განმავლობაში ერაყსა და ავღანეთში ძალადობა სექსუალურ ნიადაგზე ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მოსამსახურეთა შორის გაიზარდა 26 პროცენტით. სექსუალურ თავდასხმათა და რეაგირებათა პრობლემების განყოფილების დირექტორი კეინ უიტლეი მიიჩნევს, რომ ასეთი ზრდა ლაპარაკობს ამერიკის საშინაო სისტემის გაუმჯობესებაზე. აი, სამხედროები სულ უფრო ხშირად გვაცნობებენ ამის შესახებ.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიარეთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# შეზღუდული სუვერენიტეტის პოლიტიკა

## ანუ როგორ ზემოქმედებს ნატო ვაშინგტონისთვის არასასურველ მთავრობებზე



(დასასრული. დასაწყისი „საქართველო და მსოფლიო“ №5)

### საიდუმლო ომი თურქეთში

თურქეთს ჰქონდა და აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა ამერიკის შეერთებული შტატების გეოსტრატეგიული ინტერესებისათვის. „ცივი ომის“ პერიოდში თურქეთს ჰქონდა საერთო საზღვრები ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნებთან, კერძოდ, საბჭოთა კავშირთანაც. ამერიკის შეერთებული შტატების დახმარებით აღჭურვილი მაღალი ტექნოლოგიური მოწყობილობით იგი ამერიკის შეერთებული შტატებისათვის იყო აღმოსავლეთის ბლოკის მოსმენის საშუალება. თურქეთი მნიშვნელოვანი იყო არა როგორც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ფრონტის ანტიკომუნისტური მონაწილე, არამედ წარმოადგენდა პლაცდარმსაც ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს ოპერაციებისათვისაც ნავთობით მდიდარ ახლო აღმოსავლეთსა და კავკასიის რეგიონში, აგრეთვე 1991 წლის პირველ ომში სრუტეში.

**ნატოს საიდუმლო არმიის შექმნისათვის თურქეთში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გამოიყენა პანთურქისტული მოძრაობა, რომელშიც ცენტრალურ როლს ასრულებდა პოლკოვნიკი ალპარსლან ტიურკეში, ჰიტლერის თაყვანისმცემელი. საიდუმლო არმია პასუხისმგებელი იყო თურქეთის არჩეულ მთავრობათა სამ სისხლიან სახელმწიფო გადატრიალებაში, აგრეთვე, ხოცვა-ჟლეტაში კიზილდერში (1972 წ.), საშინელ სისხლისღვრაში სტამბოლში (1977 წლის 1 მაისი) და ბახჩელივლერის სისხლისღვრაში (1978 წ.). ნატოს საიდუმლო არმია რომის პაპის იოან პავლე მეორეზე თავდასხმაშიც ნატოს საიდუმლო თურქული არმიის სიკვდილის ესკადრონებმა უბოროტესი როლი შეასრულეს თურქი ქურთების განადგურებაში.**

### კავშირები ნეიტრალურ ქვეყნებთან

**განსერმა თავის გამოკვლევაში დაადგინა, რომ ოთხ ნეიტრალურ ქვეყანაში — ფინეთში, ავსტრიაში, შვედეთსა და შვეიცარიაში — არსებობდნენ საიდუმლო არმიები, რომლებსაც პირდაპირი კავშირები ჰქონდათ ნატოსთან. განსერმა მასალაც გამოაქვეყნა ამ თემაზე.**

### ევროპა, ამერიკის კოლონია

მას შემდეგ, რაც 1990 წელს ცნობილი გახდა, რომ ყველა ევროპულ ქვეყანაში საიდუმლოდ მოქმედებდნენ ნატოს საიდუმლო არმიები, დიდი სკანდალი გაჩაღდა. მიუხედავად იმისა, რომ ყველა პარლამენტში გაისმოდა ხმები, გამოეკვლიათ ეს საიდუმლო საქმე, მხოლოდ ბელგიამ, იტალიამ და შვეიცარიამ შექმნეს კომისიები გამოკვლევებისათვის და შედეგებიც გამოაქვეყნეს საზოგადოებრიობისათვის გასაცნობად. ყველა დანარჩენმა ქვეყანამ, აგრეთვე, ევროკავშირმა, არ ისურვა ამ საიდუმლოებათა გამჟღავნება და ცდილობდა მის დაფარვას ან გაუკუღმართებას. აღიარეს მხოლოდ ის, რაც საერთოდ იყო დადასტურებული.

დუმილის ასეთ კედელს დანიელ განსერი გადაეყარა ევროპაში საიდუმლო არმიების გამოკვლევებისას. მის განკარგულებაში იყო მხოლოდ ხელმისაწვდომი ოფიციალური მასალები და დოკუმენტები. ნატომ და ბრიტანეთის საიდუმლო სამსახურმა МИ-6-მა უარი უთხრეს მას საიდუმლო არქივების გამოყენებაზე.

**ეს შოკისმომგვრელი ფაქტია. სპეცსამსახურების შენიღბული ოპერაციები ევროპულ დემოკრატიებში (მკვლელობანი და სისხლისღვრები, სახელმწიფო გადატრიალებები და ტერორისტული აქტები) შეუძლებელია, გაიხსნას, ვინაიდან ნატო და МИ-6 უარს აცხადებენ თავიანთი არქივების გახსნაზე...**

ამიტომ განსერმა შეძლო, გამოეკვლია მხოლოდ აისბერგის ზედაპირი. ის, რისი გამჟღავნებაც მან შეძლო, მეტად შავბნელია და აყენებს საკითხს, თუ რამდენად იყვნენ და არიან მართლაც სუვერენული ევროპის სახელმწიფოები. დემოკრატია გადაიქცა ფარსად, ხოლო არჩეული სახალხო წარმომადგენლები — მარიონეტებად, რომლებსაც წარმოდგენაც არ ჰქონიათ იმის თაობაზე, თუ რა ხდებოდა მათ ქვეყნებში 1945 წლიდან, მხედველობაში გვაქვს საიდუმლო ოპერაციები.

### შეზღუდული სუვერენიტეტის პოლიტიკა

ნატოს საიდუმლო არმიების გამოკვლევა მომდინარეობს იქიდან, რომ ნატოს წევრი ქვეყნების სპეცსამსახურებს მათი ჩრდილოატლანტიკურ კავშირში შესვლის დროს უნდა ეკისრათ ვალდებულება, თავიანთ ქვეყნებში ხელისუფლებაში კომუნისტების მოსვლისთვის გაეწიათ წინააღმდეგობა. ეს ნიშნავს ამ ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩარევას. პრეზიდენტმა დე გოლმა ნატოდან საფრანგეთის გამოსვლის დროს დაგმო მოქმედებათა ეს სახე, როგორც ეროვნული სუვერენიტეტის ხელყოფა.

**1967 წელს ნორვეგიელმა ჟურნალისტებმა გამოაქვეყნეს ნატოს მკაცრად გასაიდუმლოებული დოკუმენტი უთარიღოდ, რომელსაც ხელს აწერდა ამერიკის შეიარაღებული ძალების მეთაურის მოადგილე ევროპაში ჯ.პ. მაკონელი. ამ დოკუმენტიდან ჩანდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მზად იყო, განეხორციელებინა ინტერვენცია დასავლეთ ევროპაში, თუ მისი ინტერესები იქ საფრთხის ქვეშ აღმოჩნდებოდა: „შინაგანი უწესრიგობის შემთხვევაში, რასაც შეიძლება ზიანი მიეყენებინა ამერიკის ჯარებისა და მათი ამოცანებისათვის, შეიარაღებული აჯანყების ან ძლიერი შინაგანი დაპირისპირების შემთხვევაში, ამერიკის არმიას უნდა გაეკეთებინა ყველაფერი, რაც მას ხელეწიფებოდა, რათა ჩაეხშო ეს უწესრიგობანი საკუთარი რესურსების გამოყენებით“.**

### შედეგები ისტორიული გამოკვლევებისათვის

იმ დანაშაულთა გათვალისწინებით, რომლებიც დღეისათვის გამოკვლევებმა დაადასტურა ამერიკის საიდუმლო არმიების თემაზე, პოლიტიკოსებმა და ისტორიკოსებმა პასუხი უნდა მოსთხოვონ თავიანთ პარლამენტებს, რათა ნატოს ქვეყნების საიდუმლო არქივები გაიხსნას გამოკვლევებისათვის ახლავე. „ცივი ომის“ ისტორია უნდა დაიწეროს ხელახლა. მას შემდეგ, რაც 1989 წელს ახალმა საარქივო მასალებმა საშუალება მოგვცეს, გაგვეკეთებინა უფრო გულდასმითი ანალიზი საბჭოთა კავშირის ისტორიისა და მისი საგარეო და საშინაო პოლიტიკის შესახებ, ბევრი დასავლეთში ჯერ კიდევ მიიჩნევს, რომ 1985 წელს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ევროპას თავისუფლება დაუბრუნა. და ისტორიულმა კვლევებმა უნდა დაადასტუროს, რომ ეს, სამწუხაროდ, ასე არ ყოფილა.

### ნაწყვეტები წიგნიდან: საიდუმლო ომი თურქეთში: 1980 წლის სამხედრო გადატრიალება

„სამხედრო გადატრიალება 1980 წლის 12 სექტემბერს მოხდა, როდესაც ევრენმა ხელისუფლება ჩაიგდო ხელში ნატოს მოკავშირეთა მობილური ძალების მანევრების დროს. მოგვიანებით მემარჯვენე ექსტრემისტების ერთ-ერთმა მომხრემ საკმაოდ დაბეჯითებით განაცხადა სასამართლოში, რომ მკვლელობანი და ტერორი 1970 წელს იყო ქვეყნის დესტაბილიზაციისა და ხელისუფლებაში ევრენის, აგრეთვე „მემარჯვენე“ სამხედროების სტრატეგია: „მკვლელობანი იყო თურქეთის სამხედრო დაზვერვის პროვოკაცია. პროვოკაციების შედეგად თურქეთის სამხედრო დაზვერვა და დაზვერვის ცენტრალური სამმართველო ამზადებდნენ ნიადაგს 12 სექტემბრის გადატრიალებისათვის“. **მოგვიანებით დადგინდა, რომ გენერალი ევრენი გადატრიალების მომენტში ხელმძღვანელობდა სპეციალურ არმიას და სარდლობდა საიდუმლო არმიას. როგორც კი გენერალმა ევრენმა შეცვალა თავისი საველე ფორმა სამოქალაქო კოსტუმით და თავი გამოაცხადა თურქეთის პრეზიდენტად, ყველა ტერორისტული აქტი მოულოდნელად შეწყდა.**

თურქეთში გადატრიალების დროს პრეზიდენტი ჯიმი კარტერი ოპერაში იმყოფებოდა. როცა ამის შესახებ გაიგო, დაურეკა პოლ ხენცას — თურქეთში დაზვერვის ცენტრალური სამმართველოს ფილიალის ყოფილ ხელმძღვანელს, რომელმაც გადატრიალებამდე რამდენიმე ხნით ადრე დატოვა ანკარა, რათა ვაშინგტონში გამხდარიყო პრეზიდენტ კარტერის მრჩეველი უშიშროების საკითხში თურქეთის განყოფილებაში. **კარტერმა ტელეფონით დაზვერვის ცენტრალური სამმართველოს თანამშრომელ ხენცას უამბო იმის შესახებ, რაც მან დიდი ხანია უკვე იცოდა: „თქვენმა ხალხმა ახლახან მოაწყო სახელმწიფო გადატრიალება!“ პრეზიდენტი მართალი იყო. პოლ ხენცამ გადატრიალების მეორე დღესვე განუცხადა საზეიმოდ თავის კოლეგას ვაშინგტონში: „ჩვენმა ბიჭებმა თავი გაართვეს დაკისრებულ მოვალეობას!“**

### „ლიონელი ჯალათი“, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების პროტეჟე

1948-1949 წლებში ერხარდ დაბრინგხაუსი მუშაობდა ამერიკის კონტრდაზვერვის სამსახურში, რაზეც იგი იტყობინება დოკუმენტში „გლადიოს“ შესახებ შემდეგნაირად: **„1948 წელს მე ვიყავი ამ სამსახურის სპეცაგენტი, ეს იყო კონტრდაზვერვის ჩვენი სამსახური ოკუპირებულ გერმანიაში... მე ვმსახურობდი აუქსბურგში და ვინაიდან თავისუფლად ვლაპარაკობდი გერმანულად, დამავალეს, კურირება გამეწია გერმანელი ინფორმატორების ქსელისათვის, რომელთა შორისაც იყო კლაუს ბარბიე... მოგვიანებით აღმოვაჩინე, რომ მას ეძებდნენ ფრანგები მკვლელობასთან დაკავშირებით. ამის შესახებ ჩემს მეთაურს ვაცნობე, მაგრამ მან მითხრა, მშვიდად ვყოფილიყავი. „იგი ჯერ კიდევ ფასეულია, ხოლო როდესაც ის დაკარგავს ჩვენთვის ამ ღირებულებას, გადავცემთ ფრანგებს“. ვფიქრობდი, რომ დამაწინაურებდნენ, როცა ამის შესახებ მათ მოვუყვებოდი. პასუხად კი მითხრეს, გავჩუმებულიყავი!“**

### ბრეჟნევის დოქტრინა ვარშავის ხელშეკრულების სახელმწიფოთათვის

ვარშავის ხელშეკრულების სამხედრო ნაწილების ჩეხოსლოვაკიაში შეყვანას 1968 წელს ლეონიდ ბრეჟნევი, როგორც სკკპ გენერალური მდივანი, ამართლებდა ე.წ. ბრეჟნევის დოქტრინით. **„ჩვენ არ შეგვიძლია დავეთანხმოთ იმას, რომ მტრული ძალები უბიძგებენ თქვენს ქვეყანას სოციალიზმის გზიდან გადახვევისკენ და პროვოცირებას უწყობენ სოციალისტური თანამეგობრობიდან ჩეხოსლოვაკიის მოწყვეტის საფრთხეს“.**

### ვაშინგტონის ბრეჟნევისეული დოქტრინა დასავლეთ ევროპისათვის

ნატოს წევრ ქვეყნებთან დაკავშირებით ამერიკის შეერთებული შტატები გამოთქვამდა: „საშინაო უწესრიგობათა შემთხვევაში, რამაც შეიძლება მოახდინოს ზემოქმედება ამერიკის ჯარებზე ან მათ ამოცანებზე, შეიარაღებული აჯანყების ან ძლიერი საშინაო წინააღმდეგობის შემთხვევაში მთავრობის წინააღმდეგ, ამერიკის შეერთებული შტატების არმიამ ყველა შესაძლებლობა უნდა გამოიყენოს ამგვარი უწესრიგობების საკუთარი რესურსებით ჩასახშობად“.

### დესტაბილიზაციის სტრატეგია

„კლასიკურ ოპერაციაში დაძაბულობის შექმნის მიზნით, სპეციალური არმიის განყოფილებიდან „უკანდარჩენილთა“ თურქმა აგენტებმა 1955 წლის 6 სექტემბერს ბომბი ჩამოაგდეს საბერძნეთში, თესალონიკში, სახლში, რომელიც გამოიყენებოდა როგორც მუსტაფა ქემალის მუზეუმი, რის გამოც დიდად ღირებული იყო ყველა თურქისათვის. „უკანდარჩენილთა“ თურქი აგენტები არ ტოვებდნენ არავითარ კვალს და ამ დანაშაულებებს ბერძნულ პოლიციას აწერდნენ. ოპერაციამ „ყალბი დროშით“ თავისი საქმე გააკეთა — თურქეთის მთავრობამ და თურქეთის პრესამ ბრალი ამ დანაშაულისათვის ბერძნებს დასდო. მალე ამის შემდეგ, 1955 წლის 6 და 7 სექტემბერს, თურქ ფანატიკოსთა ჯგუფებმა, რომლებსაც საიდუმლო არმიები უწყობდნენ ხელს, დაარბიეს ასობით ბერძენთა სახლები და მაღაზიები სტამბოლსა და იზმირში. დაილუპა 16 ბერძენი, დაიჭრა 32, 200 ბერძენი ქალი გააუპატიურეს“.

### შეზღუდული სუვერენიტეტი საბერძნეთისათვის

1964 წლის ზაფხულში პრეზიდენტმა ჯონსონმა ელჩი ალექსანდრ მატსასი მიიწვია თეთრ სახლში და უთხრა, რომ კვიპროსის პრობლემა უნდა გადაიჭრას კუნძულის გაყოფით ბერძნულ და თურქულ ნაწილებად. როდესაც მატსასმა უარყო ეს გეგმა, ჯონსონმა წაიდუდღუნა: „მომისმინეთ ყურადღებით, ბატონო ელჩო, დაივიწყეთ თქვენი პარლამენტისა და თქვენი კონსტიტუციის შესახებ. ამერიკა — ეს სპილოა, კვიპროსი ბუზია, საბერძნეთიც ბუზია. თუ ეს ბუზები კვლავ შეაწუხებენ სპილოს, ისინი საბოლოოდ განადგურდებიან სპილოს ხორთუმით“. საბერძნეთის მთავრობამ, დაბეჯითებით მოითხოვდა ჯონსონი, უნდა შეასრულოს თეთრი სახლის განკარგულება. **„ჩვენ ბერძნებს ვუხდით საკმაოდ ბევრ დოლარს, ბატონო ელჩო. თუ თქვენს პრემიერ-მინისტრს სურს, რაიმე მითხრას დოკუმენტის, პარლამენტისა და კონსტიტუციის შესახებ, მაშინ შეიძლება მოხდეს ისე, რომ მისმა პარლამენტმა და კონსტიტუციამ ამიერიდან აღარ იარსებოს“.**

მაშინ მატსასმა გაოგნებულმა წაიბურტყუნა: **„იძულებული ვარ, გამოვთქვა პროტესტი თქვენი ქცევის გამო“**, ჯონსონმაც დუდღუნით უპასუხა: **„არ დაგავიწყდეთ, გადასცეთ ბებერ პაპს, — როგორც მას იქ ეძახიან, — რაც გითხარით. არ დაგავიწყდეთ მისთვის ამის თქმა, გაიგეთ!“** ამის შემდეგ მატსასმა პაპანდრეუს ამ საუბრის ზუსტი აღწერით უდეპეშა. როდესაც ამერიკის სპეცსამსახურმა ხელში ჩაიგდო ეს ცნობა, მატსასს დაურეკეს ტელეფონით. აპარატთან იყო პრეზიდენტი: **„თქვენ რა, ბატონო ელჩო, გსურთ, აღმოჩნდეთ ჩემს შავ სიაში? ნამდვილად გსურთ ჩემი გაბრაზება? ჩვენ პატიოსნად გესაუბრეთ. თქვენთვის არავის დაუვალებია, სიტყვასიტყვით გადაგეცათ ის, რაც გითხარით. ყურადღებით იყავით იმასთან დაკავშირებით, რას აკეთებთ“...** და კავშირი შეწყდა.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# პაულა ჯონსი ბილ კლინტონის აღვირახსნილობის შესახებ

**დედამიწაზე სიცოცხლე მას შემდეგ დაიწყო, როდესაც ედემის მკვიდრმა ადამმა და ევამ ხე ცნობადის ნაყოფი დააგემოვნეს. უმაღლესმა გონმა იხილა რა, რომ სქესობრივი კავშირი უძლიერესი სურვილია ვნებათა შორის თანმხლები გრძნობადი სიამოვნების გამო, ადამის ტომის გასამრავლებლად ცოცხალი სხეულების ბუნებრივი მოთხოვნილების საფუძველში სექსუალური კოდი თვით შემოქმედმა ჩადო. რაკი სქესობრივი ლტოლვა ადამიანებში აღტყინების სახით ვლინდება, უფალმა კაცობრიობა მკაცრად გააფრთხილა — „არ იმრუშო!“ ავხორცობა რომ მკაცრად ისჯება, ამას ბიბლიაში შემონახული სოდომისა და გომორის თავგადასავალიც მოწმობს.**



ფიზიოლოგები, ანატომიისა და ბიოლოგიის მიმდევარნი, სექსოლოგები და ფსიქოლოგები მიიჩნევენ, რომ ვნებათა ღელვა, რომელსაც სექსი ცოცხალ არსებებში იწვევს, გრძნობად სამყაროში ყველაზე ძლიერი და მიმზიდველია. ამ ვნების გავლენას სუსტი ნებელობის ადამიანები უკიდურესობამდე, ზნეობრივ დაცემამდე მიჰყავს. რწმენის მიმდევრები კი ამტკიცებენ, რომ ადამიანებს შეუძლიათ ნების ზეგავლენით მისი შეზღუდვა, უფრო მეტიც, შესაძლებელია მისი ჩახშობაც. მეცნიერები ავხორცობას ავადმყოფობად, პათოლოგიად ნათლავენ, მორწმუნენი კი — ცოდვათა შორის უმძიმესად. ორივე მხარე კი ერთ რამეში თანხმდება — ნებისყოფისა და სულიერი ძალების დიდი დაძაბვაა საჭირო, რათა ადამიანებმა თავიანთ თავში ეს ძლიერი, ზღვარგადასული ვნება დაამარცხონ. საოცრება კი ისაა, რომ მსოფლიოს გენიოსთა დიდი ნაწილი თავისი აღვირახსნილობის მონაა. ვნებათა ამ საუფლოში არცთუ იშვიათად ძალაუფლების მოყვარული დიდი პოლიტიკოსებიც გვხვდებიან. ყოველივე ამის შესახებ მასალას გვაწვდის ავტორ საიმონსის წიგნი „მსოფლიოს სექსუალური რეკორდები“. გთავაზობთ ამ წიგნიდან რამდენიმე შემოკლებულ სიუჟეტს.

**საიმონსის მიხედვით, სექსუალური ღორმუცელაა ძველი რომაელი პოეტი ოვიდიუსი, რომელსაც, უკვე 40 წელს გადაცილებულს, შეეძლო, 24 საათში 9-ჯერ ჩაეტარებინა სქესობრივი აქტი თავის პარტნიორ ვინმე კორინასთან ერთად. ბრწყინვალე ინგლისელი ესეისტი ჯეიმს ბოსუელი მას რამდენადმე ჩამორჩებოდა — აქტის ჩატარება დღე-ღამის განმავლობაში 5-ჯერ შეეძლო. არ ღირს ლაპარაკი მსოფლიოს დიდ ერეტომანებზე, როგორიცაა: კაზანოვა და რასპუტინი. საიმონსი გვაუწყებს, რომ დიდ ფრანგ მწერალს გი დე მოპასანს აწუხებდა ეგრეთ წოდებული სატირიაზისი — მძლავრი და მუდმივი დაუკმაყოფილებლობა, ქალური ნიმფომანიის მსგავსი ანალოგი, რის გამოც მუდმივ ლაშქრობებს აწყობდა საროსკიპოებში.**

ამ მხრივ მსოფლიოს სექსსიმბოლოებს არც რუსული ლიტერატურის კლასიკოსი ლევ ტოლსტოი ჩამორჩებოდა. ის 16 წლის ასაკში დაკაცდა. მწერალი ამ ფაქტს ასე აღწერს: — „როდესაც მეგობრებმა საროსკიპო სახლში შემათრიეს და ჩემი ცხოვრების პირველი სქესობრივი აქტი ჩავატარე, ამ ქალის ლოგინთან ჩამოვჯექი და ავტირდი“. „პლეიბოის“ ერთ-ერთი ნომერი იუწყებოდა, რომ ლევ ტოლსტოიმ სექსის უნარი 70 წლის ასაკშიც შეინარჩუნა. მისი ცოლი სონია ლევს მთელი ცხოვრება უჩიოდა სექსუალურ დაუკმაყოფილებლობას. ტოლსტოი ჭარბი ენერგის დახარჯვას ცდილობდა, დღეში 20 კმ-ს გადიოდა ველოსიპედით. ერთხელ ის გორკის გამოუტყდა: — „ალექსეი მაქსიმოვიჩ, რომ მოვკვდე და კუბოში ჩამდონ, კარგმა ქალმა რომ გაიაროს, ღმერთმანი, კუბოს სახურავს ავხდი და ამოვძვრები“. თან აუხსნა, თუ რით ახდიდა კუბოს და ყურებამდე გააწითლა პროლეტარების მწერალი.

ლორდ ბაირონის გამორჩეულ გარეგნობას ემატებოდა მისი ელვარე ნიჭი და სპორტული მიღწევები კრივსა და ცურვაში. მან 32 კმ-იანი ლამანშის სრუტე გადაცურა და დღესაც მსოფლიო ჩემპიონად მიიჩნევენ. მის წინაშე ფართოდ იღებოდა ევროპის სალონები. მკვლევარები მასთან სექსუალური ურთიერთობის დამამყარებელ 200-მდე ქალს ასახელებენ.

შემოქმედ ადამიანებს ტოლს არ უდებენ, როგორი დიდი მკრეხელობაც უნდა იყოს, თვით წმინდა მამები. ენციკლოპედიური მონაცემების თანახმად, რომის პაპი ალექსანდრე VI (გარდაიცვალა 1503 წელს) ითვლება ათაშანგის ათვლის წერტილად. გარყვნილებაში უპირველესია რომის პაპი ბალთაზარ კოსა, რომელსაც საყვარლისაგან შვილი ეყოლა, შემდეგ ამ შვილისაგან — შვილი. ერთდროულად იყო პაპა, მამა და ქმარი. მის ანგარიშზე 300 მონაზონ ქალს აღრიცხავენ, რომელთაც მას ჩააბარეს უბიწოება. ის კი ყველა მათგანს ქრისტეს საპატარძლოებს ეძახდა.

პოლიტიკურ მოღვაწეთა შორის არა ერთი გვხვდება გაუკუღმართებული და აღვირახსნილი, ამორალურობის განგსტერი. ძველი რომის იმპერატორებზე (ნერონი, კალიგულა) იმდენი რამ თქმულა და დაწერილა, თავს აღარ მოგაწყენთ. მაგრამ შეგახსენებთ, რომ „რომის იმპერია გარყვნილებამ დაღუპა“. ისტორიული ფაქტები ადასტურებს, რომ მაკედონელის, ბონაპარტესა და ჰიტლერის არმიებს ომების წარმოებისას როსკიპთა და კახპათა კოჰორტა დაჰყვებოდა, რათა ბრძოლით დაღლილი მთავარსარდლობა შესვენებისას უზენაეს განცხრომას მისცემოდა.

მაო ძე-დუნს, უკვე 60 წელს გადაცილებულს, მიაჩნდა, რომ სიცოცხლის უკვდავების საიდუმლო ხშირ სექსუალურ კონტაქტებში იყო, რის გამოც ნამდვილი აღმოსავლური ფუფუნების მეჯლისებს აწყობდა. მოცეკვავეთა დასის უფროსმა ვან დუნსინმა ამისათვის სექსუალური გარეგნობის გოგონების მთელი დასი შექმნა. მაო მოხიბლა აზიისთვის განსხვავებული გარეგნობის თეთრ-ყირმიზმა 18 წლის ჩჟან იუფენმა. საკმაოდ ხანდაზმულმა მაომ უკანასკნელად მის ხელებში ამოისუნთქა.

სექსოპათოლოგებში ძალიან ხშირია ასაკით ბევრად განსხვავებული პარტნიორის შერჩევა. სუეცის არხის მშენებელმა ფერდინანდ ლესპრემ 65 წლის ასაკში ცოლად 21 წლის ქალიშვილი მოიყვანა, რომელთანაც 12 შვილი შეეძინა. ცნობილმა ინჟინერმა 89 წლამდე იცოცხლა.

ჩარლი ჩაპლინი ბოლო მეუღლე უნაზე 30 წლით უფროსი გახლდათ. მათ 8 შვილი შეეძინათ. რუსეთის მეფე ალექსი პეტრე პირველის დედაზე — ნატალია ნარიშკინაზე 23 წლით უფროსი იყო. ცნობილი ანატომი ფიდერი, რომელიც მრავალი აკვიატებით გამოირჩეოდა, 50 წლის ასაკში მგზნებარე ვნებით აენთო მეზობელი ქალიშვილისადმი და იძულებული შეიქნა, მის წინაშე სრულიად შიშველი წარმდგარიყო, რის გამოც გოგონასაგან ნარეცხი წყლის შესხმა დაიმსახურა.

ეტყობა, გარყვნილებაში ასაკს მნიშვნელობა არ აქვს. 16 წლის იყო რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინა, როცა ცოლად გაჰყვა 17 წლის პეტრეს. ენციკლოპედიური მონაცემებით, ეკატერინეს საყვარლების რიცხვი მიახლოებით არის ნაჩვენები, რადგან ვერ დათვალეს... მაგრამ ცნობილია, რომ მის დროს შემოიღეს რაც შეიძლება შემოტკეცილი შარვალი, რათა ვნების დახელოვნებულ იმპერატრიცას სასურველის ამორჩევა არ გასჭირვებოდა.

ცნობილ ადამიანებში, რა თქმა უნდა, ჰომოსექსუალებიც გვხვდებიან. ეს ცოდვა კარგად იყო ცნობილი ისეთი ტიტანებისთვის, როგორებიც არიან: მიქელანჯელო, ლეონარდო და ვინჩი, შექსპირი. საიმონსმა დედუქციის მეთოდით შექსპირის სონეტებში (20, 26, 36, 53, 126) ჰომოსექსუალური თემატიკა აღმოაჩინა, რომელიც ამ გარყვნილების ტიპურ ნიმუშს წარმოადგენს. ამ ეროტიკული უკუღმართობის პირველი აპოლოგეტი ოსკარ უაილდი იყო. 1895 წელს ამგვარი კავშირის დასაცავად სასამართლოზე მან ბრწყინვალე სიტყვა წარმოთქვა — ორატორული ხელოვნების ნამდვილი ნიმუში. მან დაასახელა დავიდის, პლატონის, მიქელანჯელოსა და შექსპირის სახელები. აქა-იქ აპლოდისმენტები გაიმა, მაგრამ სასჯელი „დორიან გრეის პორტრეტის“ ავტორმა მაინც მიიღო.

ჩვენს უახლოეს ისტორიაში არავინ ყოფილა ისეთი სკანდალური თავგადასავლებით მოსილი, როგორც №1 სუპერსახელმწიფოს პრეზიდენტები — ჯონ ფიცჯერალდ კენედი და ბილ ქლინთონი. სექსუალურ პოპულარობაში მათი რეკორდები ერთმანეთს ადგილს ეცილება.

ჯონ კენედი პოლიტიკოსებს შორის ნამდვილი სექსუალური ათლეტია. სექსით სიამტკბილობა მან 17 წლის ასაკში იგემა ჰარლემის საროსკიპოში. კონგრესში მუშაობისას მასთან ყოველდღე ახალ-ახალი ქალბატონები დაიარებოდნენ. მას სექსუალური მუზეუმის მთელი კოლექცია ჰყავდა. ყველაზე მომხიბვლელი ექსპონატი კი ჰოლივუდის 20 საუკუნის სექსსიმბოლო მერლინ მონრო გახლდათ. მისი მეუღლე არისტოკრატი, ფრანგული წარმოშობის ამერიკელი ჟაკლინ ბუვიე, რომელიც კარგად იცნობდა მეუღლის წრეგადასულ აღვირახსნილობას, ამჯობინებდა, ეს არ შეემჩნია.

ჯონ კენედთან შედარებით, ბილ ქლინთონი უკონკურსოდ გახდა ამერიკის ყველაზე სექსუალური პრეზიდენტი. 1992 წლის 8 მაისს ექსელსითრ ოტელში ყოფნისას ბილმა თავისთან გამოიძახა თეთრი სახლის დიასახლისად წოდებული პაულა ჯონსი.

## შემდეგში პაულა სირცხვილნარევი სითამამით ჰყვებოდა, თუ როგორ იხილა შარვალჩახდილი პრეზიდენტი, რომელმაც მას ორალური სექსი შესთავაზა. მისი თქმით, ეს აქტი შედგა, თუმცა, ძალიან ნანობს, რომ მის სურვილს დაჰყვა.

ჭეშმარიტების დასამტკიცებლად მან თვითონ წამოაყენა არგუმენტი მისი განსაკუთრებული ფორმის სასქესო ორგანოს შესახებ, რომელსაც ნებისმიერთა შორის უთუოდ გამოარჩევდა. აშშ-ის უმაღლესმა სასამართლომ ამ საქმის გასარკვევად იუსტიციის უფროსი მრჩეველი ჯენეთ სთარი დანიშნა. მრჩეველი თავგადაკლული რესპუბლიკელი გახლდათ და ძიებაც ტენდენციურად წარმართა. **შედეგად კი ბილი ამ ბრძოლიდან უვნებელი გადარჩა. მაგრამ... თეთრი სახლის პრაქტიკანტის მონიკა ლევინსკის ამბავმა გრიგალივით გადაიარა 1995 წლის ამერიკის პოლიტიკურ ცაზე. მონიკა ლევინსკიც მგზნებარე რესპუბლიკელი გახლდათ. მას ამ პარტიისთვის თავის დროზე 350000 დოლარი აქვს გაღებული. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ რესპუბლიკელებმა მონიკას საშუალებით პრეზიდენტის სუსტი მხარე მისსავე კომპრომეტირებისთვის გამოიყენეს. მონიკა ლევინსკიმ მოახერხა, ტანსაცმელზე სამხილად პრეზიდენტის სპერმის ლაქა შემოენახა. სწორედ ამ სამხილით პრეზიდენტი მიწაზე ბეჭებით გააკრეს. სამსჯავროზე გამოჭენებულ მექალთანე პრეზიდენტს მრავალგზის მოუხდა ბოდიშის მოხდა ამერიკელი ხალხის, საკუთარი ოჯახისა და თვით მონიკას წინაშე. ამან მაინც ვერ უშველა — ის მაინც სექსუალურ მანიაკად დარჩა ამერიკელთა თვალში, რადგან ამ სიას დაემატა მესამე, წინამორბედებზე უფრო მშვენიერი და მიმზიდველი ჟურნალისტი, მოცეკვავე, უნაკლო ფიგურის მქონე ჯენიფერ ფლაუერესი. მან სამხილად დიქტოფონის ჩანაწერები წარმოადგინა. ექსპერტიზამ ფირზე აღბეჭდილი და პრეზიდენტის ხმის იდენტურობა დაამტკიცა. ეს კი იმ დღეებში მოხდა, როდესაც პრეზიდენტმა მონიკა ლევინსკისთან ინტიმური კავშირი აღიარა, სექსუალური — უარყო.** ამ ყველაფერმა მკვეთრად შელახა პრეზიდენტ ბილ ქლინთონის პოლიტიკური იმიჯი. ამის შესახებ იწერებოდა მსოფლიოს პრესაში. საინფორმაციო ორგანოები გამუდმებით გადასცემდნენ ამ სკანდალური და პიკანტური ამბის დეტალებსაც კი. ოპონენტებმა პრეზიდენტის იმპიჩმენტი მოითხოვეს. ჩვენი საუკუნე აღარ არის მაღალი ზნეობისა და მორალის მკაცრი დამცველი. თანამედროვეთა უმრავლესობა პრეზიდენტის ამ საქციელს უდანაშაულო სიცელქედ აღიქვამდა. ამიტომ იმპიჩმენტს მხარი მოსახლეობის მხოლოდ 40 პროცენტმა დაუჭირა, ბილ ქლინთონს კი საპრეზიდენტო ვადის დამთავრებამდე წელიწადზე მეტი რჩებოდა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ გაუთავებელ, საკმაოდ ზედმეტად გაჭიანურებულ სასამართლო პროცესებს ენერგიულად და გონივრად უძღვებოდა გამოჩენილი ადვოკატი ლინდა თრიპსი, რომლის პროფესიულმა სიმაღლემ ბევრი რამ პრეზიდენტის სასარგებლოდ განსაზღვრა.

ქართველ ერში რწმენის შესუსტებამ მრავალ მანკიერებას მისცა გზა. ირღვევა მორალური კოდექსის არა ერთი მუხლი. ბევრი ტაბუახდილი თემის გარჩევა საჯაროდაც კი ხდება. ჩვენში, როგორც ერთ-ერთი უძველესი ქრისტიანული ქვეყნისთვის, სავსებით მიუღებელ ცოდვად ითვლება სქესობრივი აღვირახსნილობა. ადამიანი კი თავისი ფიზიოლოგიითა და ვნებებით ყველა ერში შეიძლება იყოს რაიმე პათოლოგიის მატარებელი. ბევრი ითქვა და დაიწერა ცნობილი სახელმწიფო მოღვაწის ლავრენტი ბერიას მომეტებულ მექალთანეობაზე, რომელსაც ათას სისაძაგლეს მიაწერდნენ. თუმცა მისი რეკორდი მსოფლიოს სექსუალურ ენციკლოპედიაში არ მოხვედრილა.

რაც შეეხება ჰომოსექსუალიზმს, ჩვენი ეროვნული მენტალობა გაკიცხვითა და ბიოლოგიური ზიზღით უყურებს ამ „დაავადებათა მატარებელთ“. იქნებ ამის გათვალისწინებით მიეცა ორი ცნობილი პიროვნების — გიორგი სანაიასა და ზურაბ ჟვანიას მკვლელობის გაუხსნელ საქმეებს დაინტერესებულთა მხრიდან ჰომოსექსუალური ელფერი.

**ჭეშმარიტება ერთია. ჩვეულებრივ მოკვდავს ამ ბრალდების განსჯის უფლება არ აქვს. ეს მხოლოდ უზენაესის პრეროგატივაა, ხოლო ბიბლია გვასწავლის. თუ როგორ შეიწყნარებს უფალი ცოდვილთ.**

**ჩვენი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ღამეული ორგიების თავგადასავლებზე ლაპარაკი კარგა ხანია, გასცდა ელიტურ ოჯახთა კედლებს. ჭორიკანებიც პრეზიდენტის ირგვლივ მრავალ ცილსა და ჭორ-ამბებს ყეფენ... ძნელია, გაარჩიო, რაა მართალი და რა — ცილისწამება. იქნებ ისტორიაში პირველად მოხვდეს ქართველი კაცი მსოფლიოს სექსუალური ენციკლოპედიის ფურცლებზე...**

ეს კი მომავლის საქმეა.

მოამზადა
**ლალი ჟაჟიაშვილმა**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ამერიკაში დაწყებითი კლასების სასწავლო პროგრამაში ჰომოსექსუალური სახელმძღვანელო შეიტანეს

**როდესაც აშშ-ში ჰომოსექსუალიზმის ლეგალიზაციის პროცესი ჯერ კიდევ ძალას იკრებდა, არა ერთხელ გაისმა გაფრთხილება, რომ სოდომისტები ოფიციალურ აღიარებას არ დასჯერდებოდნენ და სისხლისსამართლებრივი დევნისაგან გათავისუფლების შემდეგ მოითხოვდნენ არა მარტო იმას, რომ მათი მიდრეკილებები დევიაციად აღარ მიეჩნიათ, არამედ იმასაც, რომ ისინი ერთადერთ ნორმად ეღიარებინათ.**



სამწუხაროდ, ეს პროგნოზები მთლიანად გამართლდა. ჰომოსექსუალისტები, რომლებმაც არა მარტო ლეგალურობას, არამედ ზოგიერთ სრულიად კონკრეტულ პრივილეგიას მიაღწიეს, ახლა ცდილობენ, თავიანთი შეხედულებები გარშემომყოფებს მოახვიონ თავს. ამასთან, ამ დროს უაღრესად ცინიკურად და აგრესიულად იქცევიან და არაფერს თაკილობენ.

ქვემოთ „გეისაზოგადოებების" აქტივისტთა „განმანათლებლური" მოღვაწეობის მხოლოდ რამდენიმე მაგალითს გთავაზობთ.

**სოდომისტთა ლობისტებმა მოახერხეს, უმცროსი კლასების კლასგარეშე საკითხავის პროგრამაში შეეტანათ სკანდალურად ცნობილი ილუსტრირებული წიგნი „ტანგოსთან ერთად სამნი", რომელიც ჰომოსექსუალიზმს უწევდა პროპაგანდას და ბავშვებისთვის იყო განკუთვნილი.** ამ ნაწარმოებს საფუძვლად ნიუ-იორკის ზოოპარკის ბინადარი ანტარქტიკული პინგვინების ჰომოსექსუალური წყვილის ამბავი დაედო. პინგვინებმა როიმ და საილოუმ ბარტყი ტანგო გაზარდეს, რომელიც ზოოპარკის თანამშრომლების მიერ ვოლიერში ჩადებული განაყოფიერებული კვერცხიდან გამოიჩეკა. ეს ბედკრული ფრინველები „გეისაზოგადოებათა" კერპებად იქცნენ, რადგან ამ ეპიზოდში მათ თავიანთი მანკიერი მიდრეკილების ერთგვარი „ბიოლოგიური დასაბუთება" დაინახეს. თავის დროზე როისა და საილოუს ურთიერთობას ტრადიციულ ოჯახურ ფასეულობებს უპირისპირებდნენ, რომლებსაც საიმპერატორო პინგვინები ასახიერებდნენ.

მაგრამ სოდომისტების სავალალოდ, „ცისფერი იდილია" მყისვე დასრულდა, როგორც კი ვოლიერში დედალი პინგვინი გამოჩნდა. საილოუ მას სასწრაფოდ დაუწყვილდა. ძნელი გამოსაცნობი არ არის, რა ორიენტაციისა იყვნენ თავად ნიუ-იორკის ზოოპარკის თანამშრომლები, რომლებმაც ცოცხალ არსებებზე ასეთი იდიოტური ექსპერიმენტი მოაწყვეს.

თუმცა წიგნი „სასაცილო და საყვარელ პინგვინუკებზე" დარჩა და საგანმანათლებლო დაწესებულებებშიც შეაღწია.

ამ გამოცემის გარშემო მორიგი სკანდალი ილინოისის შტატის ქალაქ შილოში აგორდა.

დაწყებითი სკოლის უმცროსი კლასების მოწაფეთა მშობლებმა მოითხოვეს, წიგნი კლასგარეშე საკითხავის პროგრამიდან ამოეღოთ და სკოლის ბიბლიოთეკიდანაც მოეშორებინათ.

საგანგებოდ შექმნილმა მშობელთა კომიტეტმა ახსნა-განმარტებისთვის სკოლის დირექტორს მიმართა, მაგრამ მან მათი მოთხოვნის შესრულებაზე უარი განაცხადა იმ საბაბით, რომ ეს ცენზურის დაწესებას ნიშნავდა. მანამდე მშობლებმა ანალოგიური პრეტენზიები (ასეთივე შედეგით) მისურის შტატის ერთ-ერთ სკოლაში გამოთქვეს.

ანუ მშობელთა სავსებით გასაგები და კანონიერი მოთხოვნა შეფასდა როგორც არატოლერანტული, არაკორექტული, სიტყვისა და უმცირესობათა უფლებების შემლახველი.

თუმცა სოდომიის პროპაგანდის სხვა მეთოდებთან შედარებით წიგნის ეპიზოდი ბავშვურ ცელქობად მოგეჩვენებათ.

## 30 ჰომოსექსუალისტისგან შემდგარი ბანდა მიჩიგანის შტატის ქალაქ ლენსინგში თავს დაესხა ქრისტიანულ ეკლესიას.

**ზოგიერთი მათგანი შენობაში ჩვეულებრივი მრევლივით შევიდა, დანარჩენები, ვარდისფერ და შავ სამოსში გამოწყობილნი, ეკლესიასთან შეგროვდნენ.**

ღვთისმსახურების დროს შენობასთან მყოფმა ჰომოსექსუალისტებმა ვედროებზე ბრახუნი დაიწყეს და იესოზე ბინძურ ფრაზებს გაჰყვიროდნენ. ამასთან, მათ თავდაყირა მოჰქონდათ ვარდისფერი ჯვარი და გამვლელებს ბუკლეტებს ურიგებდნენ. თავის მხრივ, ეკლესიაში მყოფი ჰომოსექსუალისტები წამოდგნენ, ხმაური ატეხეს და ღვთისმსახურება შეაწყვეტინეს. შემდეგ მათ სახანძრო სიგნალიზაცია ჩამოგლიჯეს, პასტორი კათედრიდან გააძევეს და ცისარტყელიანი დროშა გაშალეს წარწერით „ჰომოსექსუალისტობა ნორმალურია!"

ჰომოსექსუალისტები ყველანაირად ცდილობდნენ ქრისტიანების უარყოფით რეაქციაზე პროვოცირებას, რათა ეს კამერით გადაეღოთ. ეკლესიის შენობას ზიანი მიადგა. აქციიდან ერთი საათის შემდეგ დაცვამ ეკლესიაში საზოგადოებრივ ტუალეტში სექსით გართული ჰომოსექსუალისტთა წყვილი აღმოაჩინა. პოლიციას ისინი არც კი დაუკავებია.

კათოლიკური ლიგის პრეზიდენტმა ბილ დონაჰიუმ ამ შემთხვევასთან დაკავშირებით აღშფოთება გამოთქვა: **„ნამდვილი პრობლემა ის არის, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა ამ ამბის გაშუქებაზე უარი თქვეს, არადა, ეს 2008 წლის ყველაზე საზიზღარი და აღმაშფოთებელი მოვლენაა.** ჰომოსექსუალიზმის მოწინააღმდეგეთა ორგანიზებული ჯგუფი ჰომოსექსუალურ „ეკლესიას" რომ დასხმოდა თავს, ამას არა მარტო ამერიკის ყველა შტატში, არამედ მთელ მსოფლიოში შეიტყობდნენ. ამერიკაში „ცისფერი" ფაშიზმი მოვიდა. საჭიროა მისი სწრაფად შეჩერება, სანამ ჯერ კიდევ ექვემდებარება კონტროლს. ჩვენ უკვე დავუკავშირდით მიჩიგანის შტატის იუსტიციის მინისტრს მაიკლ კოქსს, რათა გამოძიება დაიწყოს".

**ამ დროს კი ექსპერტებს სერიოზულად ეპარებათ ეჭვი, რომ ეკლესიის დარბევაზე შეიძლება საქმე აღიძრას და მას სასამართლო პერსპექტივა ჰქონდეს.**

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ აშშ-ში ჰომოსექსუალისტები თავიანთ მთავარ მტრებს რელიგიურ ორგანიზაციებში ხედავენ.

როგორც ცნობილია, კალიფორნიელებმა 4 ნოემბრის რეფერენდუმზე ერთსქესიანი „ქორწინების" აკრძალვას დაუჭირეს მხარი. ჰომოსექსუალისტებმა, ფაქტობრივად, ფეხებზე დაიკიდეს თანამოქალაქეთა ნება, მძლავრი კონტრშეტევა წამოიწყეს, მთელ ქვეყანაში ურიცხვი საპროტესტო აქცია მოაწყვეს და ყველა ინსტანცია ათასგვარი საჩივრებითა და აპელაციებით აავსეს.

**რეფერენდუმის მომზადებასა და ჩატარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს რელიგიურმა ორგანიზაციებმა, ამიტომ აქტივისტი სოდომისტები განსაკუთრებული გააფთრებით სწორედ მათ დაატყდნენ თავს.**

პედერასტებმა მთავრობის უმაღლეს ეშელონებში თავიანთი გავლენა გამოიყენეს და მოახერხეს, რომ კალიფორნიის შტატის ხელისუფლებას მორმონთა ორგანიზაციის საქმიანობის გამოძიება დაეწყო.

გადაწყვეტილება გამოძიების დაწყების შესახებ კეთილსინდისიერი პოლიტიკური საქმიანობის კომისიის აღმასრულებელმა დირექტორმა რომან პორტერმა მიიღო, კომისიისა, რომელიც კალიფორნიაში საარჩევნო კანონმდებლობის შესრულებას უწევს ზედამხედველობას. შტატის კანონი ყველა იმ დანახარჯზე მოითხოვს ანგარიშს, რომლებსაც არჩევნების შედეგებზე გავლენის მოხდენა შეუძლია.

როგორც ცნობილია, აშშ-ში მორმონთა რელიგიური ორგანიზაციის დიფამაციის კამპანია გრძელდება. მისი რამდენიმე ლიდერი დაკავებულია, შარშან გაზაფხულზე ტეხასში მათი კომუნა დაარბიეს, ხოლო იქ მცხოვრებ მორმონებს ბავშვები ჩამოართვეს. არსებობს აზრი, რომ ამ ყველაფრის უკან „ცისფერი" ლობი დგას, რომელიც მორმონებს მამათმავლობის წინააღმდეგ შეურიგებელ ბრძოლას ვერ პატიობს.

რაც შეეხება კალიფორნიას, რეფერენდუმის შემდეგ სოდომისტებმა მორმონებზე გაილაშქრეს. მორმონთა ეკლესიებთან მიტინგები ტარდებოდა, სადაც მორწმუნეთა მიმართ მუქარა და შეურაცხყოფა გაისმოდა, ხოლო ორ ტაძარში უცნობებმა თეთრფხვნილიანი პროვოკაციული კონვერტები გაგზავნეს.

## ცხადია, ჰომოსექსუალისტთა ადგილზე ვინმე სხვა რომ ყოფილიყო, გამოძიების ფედერალური ბიურო „ყურებზე დადგებოდა" მათი ნეიტრალიზაციისთვის. მაგრამ ამჯერად ასე არ მოხდა. სოდომისტებს არავინ უშლის ხელს ოპონენტთა დაშინებაში. ძნელია, არ დაეთანხმო ბილ დონაჰიუს — ამერიკაში „ცისფერი" ფაშიზმი მოვიდა.

**პოლიტიკური თავისუფლების ცენტრი**



## აკრძალვები 18 წლამდე ასაკის მოზარდთათვის

**სახელმწიფო დუმის კომიტეტმა ოჯახის, ქალებისა და ბავშვების საკითხებზე წამოაყენა წინადადება, აუკრძალონ 18 წლამდე ასაკის ახალგაზრდებს ლუდის რესტორნებსა და ბარებში, სხვა ადგილებში, რომლებიც გათვალისწინებულია მხოლოდ ალკოჰოლიანი პროდუქციის რეალიზაციისათვის, სექსუალური ხასიათის საქონლის მაღაზიებში, აგრეთვე გარკვეულ საზოგადოებრივ ადგილებში ღამით ყოფნა უფროსების თანხლების გარეშე.**

შესაბამისი ცვლილებები საპრეზიდენტო კანონპროექტში, რომელთა საშუალებითაც შეაქვთ ცვლილებანი კანონში — „რუსეთის ფედერაციაში ბავშვის უფლებათა ძირითადი გარანტიების შესახებ", შეეხება ბავშვების ზნეობრივ განვითარებას. ისინი დეპუტატებმა მოიწონეს პროფილური კომიტეტის სხდომაზე.

კანონპროექტი ითვალისწინებს, რომ რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები და სუბიექტები, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ვალდებული არიან, შექმნან ხელსაყრელი პირობები ბავშვების განვითარებისა და ჯანმრთელობის, მათი გართობისა და თავისუფალი დროის გამოყენების გაუმჯობესებისათვის.

დოკუმენტი საშუალებას აძლევს ასევე რუსეთის ფედერაციის სუბიექტებს, ადგილობრივი ტრადიციებისა და თავისებურებათა შესაბამისად, დააწესონ შეზღუდვები, რათა არ დაუშვან ნეგატიური ზემოქმედება ბავშვების ჯანმრთელობასა და განვითარებაზე.

**„რია ნოვოსტი"**

## ქართული ოჯახის საღამო მოსკოვის ეროვნებათა სახლში

**მოსკოველები გაეცვნენ ქართული ოჯახის ყოფასა და ტრადიციებს, დააგემოვნეს ეროვნული სამზარეულოს კერძები ეროვნებათა სახლში, — იტყობინება „რია ნოვოსტი".**

მოსკოვის ეროვნებათა სახლში გაიმართა შეხვედრა „სტუმრად ქართულ ოჯახში", რომელიც გათვალისწინებული იყო პროექტით „სხვადასხვა ეროვნების მოსკოვური ოჯახები".

შეხვედრაზე ქართული ოჯახების წარმომადგენლებმა ისაუბრეს ოჯახური კერის ჩამოყალიბების პრინციპების, ქართული ოჯახის პრიორიტეტების, ბავშვების როლისა და მათი დამოკიდებულების შესახებ უფროს თაობებთან, აგრეთვე, საქორწილო რიტუალის შესახებ. პროგრამაში შედიოდა, აგრეთვე, ქართული კერძების დეგუსტაცია და შავნაბადას წმიდა გიორგის სახელობის მონასტრის ოსტატთა ნამუშევრების გამოფენა. აქ წარმოდგენილი იყო ხალიჩები, რელიგიური დანიშნულების საგნები და სხვა ექსპონატები. „სამუშაოები შესრულდა ტრადიციული, უმეტეს შემთხვევაში, ძველი ტექნიკის გამოყენებით მონასტრის ბერებისა და ოსტატების მიერ". ექსპონატებს შორის გამოირჩეოდა ნატურალური ქსოვილებისაგან დამზადებული ეროვნული კოსტუმები ორიგინალური მოტივებითა და ძველი ორნამენტებით.

საღამოს ესწრებოდა 80-მდე სტუმარი — რუსები, დაღესტნელები, ყარაჩაელები, ბელორუსები, ლიტველები, ბერძნები, სომხები, ლატვიელები, აზერბაიჯანელები, ტაჯიკები, პოლონელები და სხვ. ასეთი ტრადიციული საღამოები, პირველ რიგში, ეწყობა დიასპორების შიგნით, მაგრამ ყოველთვის სტუმრობენ სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებიც.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# სამი განრისხებული ამომრჩეველი

**პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა და სოციალურმა ყოფამ ჩვენში ბევრი არასასურველი ჩვევა, წესი და ტრადიცია დაამკვიდრა, მათ შორის, პრესისა და მთელი რიგი საინფორმაციო წყაროების სნობური დამოკიდებულება პოპულარული, როგორც ახლა ეძახიან — „ცნობადი სახეების“ მიმართ. ერთი და იგივე აღიარებული „ავტორიტეტების“ ფოტოები და მათი მოსაზრებების ურიცხვი ტირაჟირება შემოგვცქერის გაზეთების ფურცლებიდან თუ ტელეეკრანებიდან. დემოკრატიის სუფრიდან განდევნილია თვითონ დემოსი — ყველაზე საჭირო და სათქმელის ზუსტი გამომხატველი ძალა, რომლის თავზე ყველაზე ავბედითად ტრიალებს უკუღმართობის ჩარხი. ხალხის წიაღიდან წამოსული სიტყვა ყველაზე ჭეშმარიტი და წმინდაა, ყველაზე ულალატო, ყველაზე ობიექტურად ვერმპატიებელი და მიმგებელია როგორც კარგისა, ისე ავისა. ნუ გვავიწყდება, რომ ხალხია ისტორიის შემოქმედი, გარემოების საყვირი და ყველაზე მოუსყიდველი შემფასებელი, ვისი მოსაზრებები საზრდოა გონებისათვის და სითბო — გულისათვის. მოვუსმინოთ ხალხის წიაღიდან გამოსულთ:**


ნელი არჩვაძე


იამზე ზარდიაშვილი


ზვიად დედანიშვილი

**ნელი არჩვაძე, ისტორიკოსი:**

— არჩევნებში ქვეყნის მძიმე მდგომარეობის შესაცვლელად ხმა მიხეილ სააკაშვილს მივეცი, რასაც დღეს უკვე მწარედ ვნანობ. იმ დასკვნამდე მივედი, რომ მიშა **სააკაშვილი ქართული პოლიტიკის დიდი შეცდომაა, რადგან მისი პირველკაცობა საქართველოსთვის დამანგრეველია. არსებულ სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობას იმ შემთხვევაში ავიტანდით, თუ დავინახავდით, რომ სახელმწიფო მოხელეები ისევე ხელმომჭირნედ ცხოვრობენ, როგორც დანარჩენი მოქალაქეები.** მათი ცხოვრების დონე ჩვეულებრივი მოქალაქეებისთვის მიუწვდომელია. არ ვიცი, ამ ცხვირმოუხოცავმა „ბავშვებმა“ ისეთი რა დაიმსახურეს, რომ მათ გაუწაფავ ხელსა და გამოუცდელ გონებას ქვეყნის გარდამავალ პერიოდში სახელმწიფო სადავეები ჩააბარეს. ბევრი რამ დამიგროვდა გულში...

**მაგრამ გავიგე რა, სახელმწიფო მუზეუმიდან ფიროსმანის ნახატი როგორ გაიტანა, უბედური ირინას შვილის მკვლელები შეიწყალა, მაგ კაცზე გული საბოლოოდ გამიტყდა.**

წარსულში ვფიქრობდი, რომ ახალგაზრდაა, შეცდომები უნდა ვაპატიოთ, შანსი მივცეთ... მაგრამ ვხედავ, რომ დანაშაულებრივი ღირებულების საბედისწერო შეცდომების კრიალოსანი მთელ ერს დასახრჩობად ყელზე მოგვახვია. ქვეყანა უკუსვლით წაიყვანა: 12-თეთრიანი კვერცხი 29 თეთრი გახდა; ღორის ხორცის ფასმა 12 ლარს მიაღწია; გაზის, ტელეფონის, სინათლის გადასახადი ყოველი ოჯახის ბიუჯეტს ლოდივით აწევს.

**„ვარდების რევოლუცია“ რომ თავზე ჩალმასავით მოხვეული ამერიკული პროექტის პოლიტიკური ფარსი იყო გამჭოლ ქარში მდგომი ქართველებისთვის, ამაში ეჭვი აღარ მეპარება. რევოლუციურ ტრიუმვირატს ჩვენ ქვეყნის მართვის პოტენციის მაქსიმალურ გამოვლენასა და ერისთვის სამსახურებრივ მზაობას ვთხოვდით. დღეს კი ვხედავ, პრეზიდენტი უცხო ძალის ხელდასხმული კაცია, სხვათა შეკვეთებს ასრულებს და მხოლოდ პირადი ინტერესებით ცხოვრობს. ამასთან, უზნეო პიროვნებაა, საკუთარ ვნებათა და სურვილთა მონა. ზურაბ ჟვანია გზიდან ჩამოიცილა თუ გაზით გაიგუდა, არავინ იცის. ქალბატონი ნინო ახალ ისტორიულ სამოსელში გამოსაწყობად ემზადება, მაგრამ მინდა, ცნობილი გიჟუას სიტყვები შევახსენო ფილმიდან „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ!“**

პირველკაცობა თანამდებობრივი პრივილეგია არაა, უდიდესი პასუხისმგებლობაა, რადგან მას ბევრი რამის როგორც გაკეთება, ისე წახდენაც ხელეწიფება. მაგრამ ყველაზე ცუდი, რაც სააკაშვილის მმართველობამ მოიტანა, ესაა რწმენისა და იმედის დაკარგვა. მან ჩვენს ნდობას უღალატა. ამ ღალატმა ქვეყანაც დაანგრია და თითოეული ჩვენგანის პიროვნებაც. ჩვენი და მისი ინტერესები დღითიდღე დაცილებამ უფსკრულის პირას მიგვიყვანა და მას, როგორც ჩვენივე ხელით გალესილ დანას, ისე შევცქერით.

**ერთი რამ ცხადია, რომ ნიადაგ სინანულს, უშედეგო წუწუნსა და მდაბალ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად გაწეულ ჭაპანწყვეტას ბოლო უნდა მოვუღოთ ქვეყნის ხელისუფალთა შეცვლით — ახალი არჩევნებით. იშა აუცილებლად უნდა წავიდეს. მაგრამ მთავარი ისაა, ვინ მოვა?!.**

**იამზე ზარდიაშვილი, პედაგოგი:**

— რატომ ვიყავი მიშას მომხრე? — მარტო მომხრე და მხარდამჭერი კი არა, არამედ ჩემი პოლიტიკური სიბეცით მისით აღფრთოვანებული გახლდით, რისი თქმისაც ახლა მრცხვენია. **მას ეროვნულ გმირად და ღმერთკაცად მივიჩნევდი, საქართველოს მხსნელ წმინდა კაცად. მახსოვს, „რუსთავი 2“-ის სტუდიაში ეკა ხოფერიას მოწვეული ჰყავდა სააკაშვილი მეულლითურთ. გულახდილად რომ გითხრათ, გული მწყდებოდა, რომ ჩინებულ ქართველ ვაჟკაცს ცოლად უცხოელი ქალი ჰყავდა, რომელიც შეიძლებოდა ჩვენი ქვეყნის პირველი ლედი გამხდარიყო.** როდესაც სანდრას მკერდზე საქართველოს გეოგრაფიული რუკის გამოსახულების გულსაკიდი დავინახე და მისი აქცენტირებული ქართულიც მოვისმინე, ემოციისგან ავტირდი. არა, ეს არ იყო იაფფასიანი სენტიმენტალობა, მე მათი ვიწამე! მე, ბრიყვმა ამომრჩეველმა, არ ვიცოდი, რომ სანდრას მაშინდელი სახეც და აქტიური პოზიციაც დიდი პიარის ნაწილი იყო. ახლა ვხვდები, რომ მათმა ტანდემმა ერისა და ქვეყნის ვერც ერთი სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხის გადაწყვეტა ვერ შეძლო. **მდგომარეობა უფრო დამძიმდა. ეს, რა თქმა უნდა, საზოგადოების ინერტულობისა და პასიურობის ბრალიცაა. მაოცებს პრეზიდენტის გამოსვლებში ფუჭი, უაზრო, უპასუხისმგებლო პარადული სიტყვამრავლობა. საზღვარგარეთ განათლებამიღებული კაცის უგემოვნობა, მიუღებელი მანერები, პროვინციული დონის განსჯა: „ჩვენში პირველად“... „ისტორიაში პირველად“... მისი ბუნდოვანი მუქარა რაღაცისა და ვიღაცის მიმართ — „მათ ჯინაზე“... „მტრების გულის გასახეთქად“ და ა.შ. არა, მიშამ მარტო იმედი კი არ გამიცრუა, სასო წარმიკვეთა და პოლიტიკოსთა მიმართ ნიჰილიზმით დამასაჩუქრა.** აი, მისი ჯილდო ამომრჩეველისადმი იმ დიდი პატივისცემის ნაცვლად, რასაც მის მიმართ ვგრძნობდი. მისი დანაშაულებრივი ქმედების არე გასცდა საქართველოსა და ქართველი კაცის საზღვრებს — ჯერ 7 ნოემბრის აქციის დარბევით, ხოლო შემდეგ აგვისტოს მოვლენებით.

**ამ ომზე უამრავი ფაქტი არსებობს, რომელთაც კვალიფიცირებას უცხოელი ექსპერტები აძლევენ. თვითონ კი „მანია გრანდიოზას“ დიაგნოზით დაავადებული გაიძახის — გავიმარჯვეთ!**

მსოფლიოს აგრესორი რუსეთის ნამდვილი სახე დავანახვეთო!.. თვითონ მსოფლიომ რა სახით დაინახა, ამას აღარ ფიქრობს.

**აუცილებლად უნდა დაისვას პრეზიდენტის, როგორც უმაღლესი მთავარსარდლის, პასუხისმგებლობის საკითხი ტერიტორიათა დაკარგვის გამო.**

ამ ომმა ისედაც გაპარტახებული საქართველო მომაკვდავ მდგომარეობაში ჩააყენა. თუ გვინდა პოლიტიკური რეანიმაციიდან გამოსვლა, უნდა შევაჩეროთ ანტიეროვნული ხელისუფლების პარპაში. ეს უნდა იქცეს საგანგებო მსჯელობის საგნად. ჩატარდეს რეფერენდუმი.

**საქვეყნოდ ვიხდი ბოდიშს ქართველი ერის წინაშე, რომ ხმა სააკაშვილს მივეცი და ჩემი არასწორი არჩევანით ჩემს სათაყვანებელ სამშობლოსა და ჩემს ხალხს გადასატანად მრავალი ჭირი მოვუტანე.**

**ზვიად დედანიშვილი, ინჟინერ-ტექნიკოსი:**

— მორწმუნე კაცი ვარ, ეკლესიური წესებით ვცხოვრობ. ვიცი, ქრისტიანისთვის გულწრფელი მონანიება ცოდვების მიტევების ერთადერთი გზაა. ყველა იმ ცოდვას შორის, რომელიც ჩამიდენია, ყველაზე მძიმედ პრეზიდენტ სააკაშვილის მხარდაჭერა მიმაჩნია, რადგან სხვა დანარჩენი ლოკალური ხასიათისა იყო. ეს დიდი ცოდვა კი საქვეყნო საქმეს ვნებდა. არ შეიძლება, მომავლის პოლიტიკოსები იმავე საზომებით განვსაჯოთ, ისე არ დაგვემართოს — „რძით შეშინებული დოს უბერავდაო!“ **თითოეულ მოქალაქეს კარგად უნდა გვახსოვდეს, რა ძალა აქვს ამომრჩევლის ბიულეტენს და ისიც, რომ არაფერი ღირს მაღალი პრინციპების დათმობად. ხალხმა 7 ნოემბრის შემდეგ თავისი პოზიციები მნიშვნელოვნად დათმო, იმედი დაკარგა, რომ რამე შეიცვლებოდა. პესიმიზმმა იძალა ჩვენში. უფლებას გვაძლევენ, კრიტიკული აზრი გამოვთქვათ, მაგრამ რეაგირების გარეშე გვტოვებენ. რომ იტყვიან — „წერეთ და იკითხეთო“. ყურებს არ დავუჯერე, პრეზიდენტმა რომ განაცხადა: — „ჟურნალ-გაზეთებს არ ვკითხულობო“.** თუ საზოგადოებრივი აზრი არ აინტერესებს, ვისი პრეზიდენტია? იქნებ გამბედაობა არ ჰყოფნის მის გასაცნობად?!. თუმცა, ის მართალ სიტყვას იშვიათად ამბობს. ზუსტად ამ უნიჭო ტყუილების გამო მექცა მისადმი ნდობა უნდობლობად. თავიდან ვფიქრობდი, რომ ახალგაზრდა, განსწავლული პრეზიდენტი ეროვნული ტკივილებით დაღდასმულ ქვეყანას განკურნავდა. ვაი რომ ვერც განკურნა და ვერც უპატრონა. ხომ გაგიგიათ: — „უპატრონო საყდარს ეშმაკები დაეპატრონენო“... ასეა ქვეყანაც.

**მათი ბოლო სლოგანი გახლდათ „საქმე ლაპარაკის ნაცვლად“. არადა, გაკეთებული საქმე არ მინახავს და არც ჩამოყალიბებული სიტყვიერი გამოსვლა მომისმენია. მათი მაყურებელი და მსმენელი საკუთარ თავს ვეკითხები — რა სჭირს საქართველოს, ნუთუ ესენი არიან ჩვენი რჩეულები?!.**

ქილიკს თავს არ ვაკადრებ და არც მეხერხება, მაგრამ მთელი ადამიანური შეგნებით **პასუხს ვთხოვ პრეზიდენტს: საქართველოს გულის — ქართლის ტერიტორიაზე ომის გაჩაღებისთვის, უაზროდ დაღუპული ქართველი ბიჭებისთვის, ქალაქებისა და სოფლების გაუკაცრიელებისთვის, გადამწვარი ბაღებისთვის, საკუთარ ქვეყანაში ლტოლვილად ქცეული ათასობით ადამიანისათვის, ქართველთა სულის ტკივილისთვის, მარცხის მწარე განცდისთვის, იმ ბალღამისთვის, ჩემი მშობლიური სოფლის მეღვრიკის განადგურებისთვის გულში რომ მაქვს დავანებული. ყველა იმ უბედურებისთვის, რაც მან მოგვიტანა...**

**მე, მის ადგილზე, ყოველგვარი ზეწოლის გარეშე, გადავდგებოდი.**

ლალი შაშიაშვილი

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

## ელენე ბახტურიძე:

# იძულებული გავხდი შვილი იუდეველისთვის მიმეთხოვებინა



**საინფორმაციო ბუმმა და გადაადგილების საშუალებათა სასწაულებრივმა განვითარებამ დედამიწა თითქოს დააპატარავა, მაგრამ ინფორმაციული სტატიები და დიპლომატიური პოლიტიკა უმთავრესად მშრალ სტატისტიკაზეა აგებული. ყოველივე ამის მიღმა რჩება ემიგრანტთა თვალით ნანახი, ყურით გაგონილი და თანაცხოვრების შედეგად მიღებული შთაბეჭდილებები; ამა თუ იმ ერის სულიერი საბადო, ცხოვრების წესი, მათი ურთიერთდამოკიდებულება, ინტერესები და შეხედულებები. მართალია, ის ქვეყნები ცივილიზაციის გზაზე ემიგრანტთა ქვეყნებზე ბევრად წინ წავიდნენ, მაგრამ იქ შეკედლებულ ჩვენს თანამემამულეთა განზომილებებით თუ ვიმსჯელებთ, უპირველესად, განუმეორებელი და მშვენიერი ისაა, რაც ეროვნულია, რაც უცხოს მიერ ძნელად ისწავლება და რაც ამა თუ იმ ეთნოსის გენებში საუკუნეთა წიაღიდან ფეთქავს. ამჯერად რუბრიკის სტუმარია ისრაელში მყოფი ჩვენი თანამემამულე ქალბატონი ელენე ბახტურიძე.**



**— ქალბატონო ელენე, რატომ და როდის წახვედით საქართველოდან?**

— პროვინციაში გავიზარდე. სიყვარულით გავთხოვდი, თბილისის ერთ-ერთ ტრადიციულ ოჯახში. ამ ოჯახის დიდი პაპა თავის დროზე ღვინის დიდი ვაჭარი, უმდიდრესი პიროვნება იყო, ცნობილი მეღვინისა და მეცენატის დავით სარაჯიშვილის თანამოსაქმე გახლდათ. ეზო, რომელშიც სულ სამიოდე ოთახი გვეჭირა, ერთ დროს ჩემი მეუღლის პაპას ეკუთვნოდა, ხოლო გასაბჭოების შემდეგ, როგორც მრავალი სხვა ბინა, იტალიურ ეზოდ იქცა. 1921 წელს, თებერვლის ცნობილ დღეებში, როდესაც წითელი არმია საქართველოში შემოვიდა და ფოთის პორტი დაიკავა, ფრანგული გემი, რომელზეც პაპის მიერ შეკვეთილი ავეჯი იყო, უკან გაბრუნდა. ამ ავეჯის დაკვეთის მტკიცებულება (საბუთების სახით) ჩვენს ოჯახში 70 წელიწადს ინახებოდა. ჩვენი ეზო თავისი შენობა-ნაგებობებით პრესტიჟულ უბანში გამსახურდიას პრეზიდენტობის დროს იურიდიულად კვლავ ჩვენს კუთვნილებად მიიჩნიეს, ოღონდ იქ მცხოვრებნი ფართით უნდა დაგვეკმაყოფილებინა. მერე ყველაფერი აირია, უკვე 1 გოგონა და 2 ბიჭის დედა ვიყავი. მეუღლე პოლიციაში მუშაობდა. მეგობრის მაღაზიის დაყაჩაღებისას გარეწართა ტყვიას შეეწირა. დავქვრივდი. დავრჩი სამი მცირეწლოვანი ბავშვით. მთავრობის მიერ დანიშნული მწირი პენსია პურის ფულად ძლივს გვყოფნიდა. ოჯახში დარჩენილი ანტიკვარული ნივთები — ჭაღები, ხალიჩები, კუზნეცოვის ფაიფური, რენესანსის მაგიდა და სკამები მშრალ ხიდზე ჩალის ფასად გავყიდე. მათ მიჰყვა ჩემი საქორწინო სამკაულიც. თავისა და ბავშვების რჩენა დღითიდღე უფრო და უფრო გამიჭირდა. გადავწყვიტე, საზღვარგარეთ წავსულიყავი, ოღონდ — შვილებთან ერთად. უცხოეთში მყოფი ნათესავები დამეხმარნენ და 1997 წელს ისრაელში გავემგზავრე.

**— როგორ წარიმართა თქვენი ცხოვრება, სამსახურის შოვნა გაგიჭირდათ?**

— თავდაპირველად ქალაქ ხაიფაში ჩავედი, რომელიც ქვეყნის დიდი სამრეწველო ცენტრია. მსურდა, სხვა ემიგრანტ ქალთა მსგავსად, შინამოსამსახურედ მემუშავა, მაგრამ სამი შვილით არც ერთმა ოჯახმა არ მიმიღო. მართალია, ბავშვების მიმართ გარკვეულ სითბოსა და კეთილგანწყობას ამჟღავნებდნენ, მაგრამ ანგარიშიან ებრაელებში ყოველი გადაწყვეტილება მაინც ფულის კულტს ემსახურება. მათი გულმოწყალება იმ შეგნებითაა დოზირებული, რომ მათი ინტერესები არ უნდა დაზარალდეს, სიკეთესაც აქვს საზღვარი; ზღვარგადასული სიქველე კი, მათი აზრით, სიბრიყვეა და სხვა არაფერი. ჩემი ნათესავები და იქ მყოფი ქართველები 3 თვის მანძილზე ცდილობდნენ, ჩვენთვის ლუკმა ეწილადებინათ, მაგრამ ძალიან ცუდ მდგომარეობაში ჩავვარდი — ისედაც ტვირთმძიმე თანამემამულეებს დაღლილ ზურგზე მძიმე ბარგად დავაწექი. ამას ისიც ემატებოდა, რომ სულისშემხუთავ ვიწრო ოთახში 3 ბავშვთან ერთად მალულად ვცხოვრობდი, ბავშვებს ხმამაღალი დალაპარაკების საშუალებასაც არ ვაძლევდი, რათა იქაურ პოლიციას ჩვენი არსებობის შესახებ არ შეეტყო.

ისრაელში ძალიან მკაცრი სამოქალაქო წესებია. ხშირია არალეგალურ ემიგრანტთა დეპორტაცია სამშობლოში. ბოლოს მირჩიეს, მალულად ქვეყნის დასავლეთით, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებისაკენ გავემგზავრებულიყავი, სადაც ციტრუსის დიდი პლანტაციებია და მდიდარ მოიჯარეებს მუდმივად ესაჭიროებათ იაფი მუშახელი, რომელთაც კვებითაც და დროებითი საცხოვრებლითაც აკმაყოფილებენ. ეს იყო საბედისწერო გამგზავრება. საბარგო მანქანაში, მძიმე ტვირთის უკან მიყუჟული ჩემი სამი შვილით (უფროსი გოგონა — თამარი 10 წლის იყო, ხოლო უმცროსი — ზაური — 4 წლის) მთელი დღე-ღამის განმავლობაში მშიერ-მწყურვალნი მივდიოდით, მაგრამ სად — არ ვიცოდით. გამშრალი ბაგეებით გამუდმებით ვლოცულობდი და უფალს შველას ვთხოვდი. მგზავრობისგან დაღლილ-ჩაძინებული ბავშვების გულისფეთქვას მიყურადებული ვიყავი... ძალიან ცხელოდა, წყალს გამოზოგვით გვაძლევდნენ. საქმე ისაა, რომ ისრაელი წყლით ულარიბესი ქვეყანაა, იმდენად ცხელი, რომ ზაფხულობით მდინარეები შრება. ამიტომ აქ სასმელად ვარგისი წყალი ძლიერ ძვირად ფასობს. ჭკვიანი ებრაელები სასმელ წყალს ძალზე ყაირათიანად იყენებენ. მათი მაღალპროფესიონალი ჰიდროლოგები ტბებისა და ზღვის წყალსაც კი ამტკნარებენ. ამასთან, მობეზრებულნი არიან ემიგრანტთა სიმრავლით. მოსახლეობის ნახევარზე მეტი აზიის, აფრიკისა და ამერიკის ქვეყნების ემიგრანტები არიან. ბოლოს, მივაღწიეთ ერთ-ერთ სასოფლო-სამეურნეო სავარგულს. გამაოცა საოცრად მოვლილმა, რამდენიმე ჰექტარზე გაშლილმა, ედემის ნაჭრად ქცეულმა, ზურმუხტოვანმა წალკოტმა. ამ საუცხოო პლანტაციას ღობედ უზარმაზარი გრანიტის ქვები ეკრა, რომელსაც თანაბრად ჩარიგებული პალმების სიმრავლე განსაცვიფრებლად ეხამებოდა. როდესაც შევიტყვე, რომ ყოველივე ამას ათასგვარი ხელოვნურად შექმნილი პირობების გამოყენებით ახერხებდნენ და ამ გზით შექმნილ პროდუქციას ქვეყნის მთლიან შემოსავალში სოლიდური წვლილი შეჰქონდა, სიმწრით გავიფიქრე — როგორ განადგურდა ჩემს ქვეყანაში ჩაისა და ციტრუსების უდიდესი პლანტაციები, ხალხი კი უმუშევარი და მშიერი დარჩა...

პლანტაციის მეიჯარე მე და ჩემს შვილებს კითხვითა და ცნობისმოყვარეობით აღსავსე მზერით მოგვაჩერდა. დაღლილი, მშიერ-მწყურვალი, დამტვერილი სამი ბავშვი მას ცრემლჩამდგარი ნდობით შეჰყურებდა. ნერვიულ, გაღიზიანებულ ინტონაციაზე შევატყვე, რომ ბავშვებიანი ქალის აყვანა არ უნდოდა. სასო წარმეკვეთა, ის იყო, შებრუნებას აპირებდა, რომ ჩემი პატარა ერეკლე მას მარჯვენაზე ჩააფრინდა და მუდარით თვალი თვალში გაუყარა, როგორც ზრდასრულმა კაცმა კაცს. ანგარიშიან სტოიკოსს კი, რომ იტყვიან, ქვის გული მოულბა. ასე დაიწყო ჩემი მონური მუშაობა პლანტაციაში.

**— თქვენი შვილების ცხოვრება როგორ წარიმართა? 12 წელი უცხოობაში მოზარდებისთვის საკმაოდ დიდი დროა...**

— ჩემი ქალიშვილი — თამარი 18 წლის ასაკში გათხოვდა ქალაქ ხაიფაში, ებრაელ ექიმ-ფსიქიატრს გაჰყვა ცოლად. სიძის ოჯახს არ სურდა პლანტაციაში მომუშავე ემიგრანტის შვილი რძლად, მაგრამ გრძნობამ თავისი გაიტანა. მე, იერარქიის ყველაზე დაბალ საფეხურზე მდგარს, პრეტენზია არ უნდა მქონოდა, იძულებული გავხდი შვილი იუდეველისთვის მიმეთხოვებინა, რადგან უსამშობლოო და ულუკმაპურო თამარს საკუთარი ბინა და უზრუნველი ცხოვრება ელოდა. ჩემს სამშობლოში რომ ვყოფილიყავი, ეროვნული შეგნება და საკუთარი სისხლის დაცვის გრძნობა უფლებას არ მომცემდა, ჩემი საფიცარი შვილი უცხოელზე, რელიგიური რწმენით იუდაიზმის მიმდევრისთვის მიმეთხოვებინა. უცხოობაში გაზრდილთა ხვედრი გადაგვარებაა... თვითონ წვეთ-წვეთად დაფანტული ებრაელები შერეულ ქორწინებას გაურბოდნენ. საუკუნეთა მანძილზე გმირულად ინარჩუნებდნენ ენას, ადათსა და სარწმუნოებას. არასოდეს შესტრფოდნენ ხბოს აღტაცებით მოწინავე ქვეყნების წეს-ჩვეულებებს. ქრისტეს საზეპურო ერის ყველა თაობა საკუთარი ქვეყნის ხელახალი აღორძინებისთვის თავს ისტორიის ვეშაპის წინაშე პასუხისმგებლად თვლიდა. ჩვენ კი რაღაც ათწლეულებში ვკარგავთ ენას. თბილისიდან ნათესავი მელაპარაკა, — რომ ვიმუშაო, ინგლისური ენა უნდა ვიცოდეო... დავკარგეთ ტერიტორიები. ქრისტიანული რწმენაც კი უამრავი სექტის შემოსევას იგერიებს, დღემდე ვერ მოხერხდა მისი სახელმწიფო რელიგიად დაკანონება. ვერ შევძელით დამოუკიდებელ და დემოკრატიულ ქვეყნად ჩამოყალიბება. თოფითა და ტყვიებით ვდიეთ დამოუკიდებლობის შემოქმედ პრეზიდენტს ტყესა და ღრეში. ძმათა ომი წამოვიკიდეთ ხავსიან მხრებზე. ესეც არ ვიკმარეთ — აგვისტოში ახალ უთანასწორო ბრძოლაში ჩავებით და ტერიტორიები დავკარგეთ. დავანგრიეთ, გავყიდეთ და გავასხვისეთ სტრატეგიული მნიშვნელობისა და მრეწველობის ყველა დიდი ობიექტი, ხოლო მცირე მრეწველობას არსებობის საშუალება მოვუსპეთ. ისრაელის მრეწველობის მახასიათებელი წვრილ და უწვრილეს საწარმოთა სიჭარბეა. ისრაელი, უმთავრესად, შემოტანილ ნედლეულს იყენებს საკუთარ ფაბრიკა-ქარხნებში, სადაც მილიონობით მოქალაქე ჰყავს დასაქმებული. ისინი ზღვის ფსკერიდან იღებენ კალიუმის, ნატრიუმისა და ბრომის მარილებს, ამუშავებენ რკინის, თიხის, სპილენძისა და მარმარილოს საბადოებს... ჩვენ რა ღმერთი გვიწყრება? — განა საქართველოში ოქროს, ვერცხლის, ტყვიის, რკინისა და სპილენძის მადანი არ მოიპოვება, განა ჭიათურის მანგანუმი მსოფლიოს მძიმე ინდუსტრიას არ ამუშავებდა?!. რატომ არ ვიყენებთ რაჭა-სვანეთის დარიშხნის საბადოებს, როდესაც 10 გრამი დარიშხანი მსოფლიო ბაზარზე 54 დოლარი ღირს ან მიწისქვეშა წყლის გრუნტებს... დღეს ხომ სასმელ წყალს ოქროს ფასი აქვს... ან უდიდესი პოტენციური ენერგიის მქონე მდინარეებს... რატომ ვსხედვართ გულხელდაკრეფილნი. მიწასაბადებელსაც დაეტყო ჩვენი ბედოვლათობა, მაშინ, როდესაც ებრაელები თავიანთ კირქვიან მიწაზე მოსავლის მოსაყვანად 30 სმ-ის სიმაღლის შემოტანილ მიწას ფენენ. ვიცი, ქვეყნის ხელისუფლება ათეულობით წელია, მხოლოდ ცარიელი დაპირებებით აპურებს განახლების ლოდინით დაღლილ თანამემამულეებს. ქვეყნის ინტერესებს თავიანთ მერკანტილური სურვილების დაკმაყოფილებას ანაცვალებენ. ჩვენ კი ქვეყნიდან გაქცევით ვშველით თავს. განა ეს საფიქრალი არაა?.. თითოეული ქართველის გასვლას ქვეყნის გარეთ, უპირველესად, ღრმა სოციალური მიზეზები აქვს... ჩემს ცდასა და უდიდეს სურვილს — ბიჭებთან ერთად სამშობლოში დავბრუნდე, ისტორიულმა უსამართლობამ და ჩვენი — ყველასი ერთად და თითოეული ქართველის უნიათობამ მძიმე ბორკილი დაადო.

გვინდა, დავბრუნდეთ, თქვენ გვერდით დავდგეთ და ისე შევმჭიდროვდეთ, რომ ვერანაირმა ძალამ ველარ დაგვაშოროს, რათა ჩვენი მამულიშვილური ვალი ღირსეულად მოვიხადოთ, ერთად გავუმკლავდეთ რეალიების ქაოსს. ჩემი უდიდესი სურვილია, უცხო მიწაზე გაზრდილ ჩემს შვილებს სამშობლო დავუბრუნო და მამა-პაპათა საფლავები არ დავაკარგვინო.

ესაუბრა
**ლალი შაშიაშვილი**

# „ვა-ბანკის“ გოგოები

**უცნაური ხალხი ვართ ქართველები. კვირა არ გავა, მსოფლიო არ გავაოცოთ ჩვენი ამბებით. ხალხს პოლიტიკოსები რატომ უნდა ჩამოგვრჩნენ? ჰოდა, ისინიც ისეთ განცხადებებს აკეთებენ და ისეთ გადაწყვეტილებებს იღებენ, ხანდახან თვითონაც რჩებათ პირი ღია. ისედაც დაბნეული ჟურნალისტები მთლად დავიბენით და ვისი პარტია ვის ბლოკშია, ველარ გაგვირკვევია.**

ამ მხრივ გასული კვირაც გამოირჩეოდა. მთავარ მოვლენად ტელევიზიებმა, რატომღაც, ასათიან-მაისაშვილ-კოკო-გუგულის გაერთიანება გამოაცხადეს და იმდენი აპიარეს, ვიფიქრე, არიქა, გვეშველა, ესენი არიან, რაც არიან-მეთქი. არადა, ამ გაერთიანებაზე ჩემმა მეზობელმა გივიმ თქვა: — **მკვდარი მკვდარს აეკიდა, საფლავამდე მიმიტანე, ისეა ამათი საქმეო. ამას მოჰყვა თარგამაძე-ასათიანის ერთობლივი განცხადება: — საპარლამენტო რესპუბლიკად თუ არ გადავკეთდით, არაფერი გვეშველებაო. ამაზე ჩემმა მეზობელმა გივიმ ჩაიცინა და ეჭვი გამოთქვა:** — **ეგ ამბავი მიშას აგორებული მგონია, რავა, ვერ გაქაჩავს პრემიერ-მინისტრობას თუ რაო?.. მაგისთვის სულერთია, მთავარია, პირველი კაცი იყოს და პრეზიდენტი ერქმევა, პრემიერი თუ ოფისმენეჯერი, რა მნიშვნელობა აქვსო?..** ეს საკითხი ოპოზიციაში აზრთა სხვადასხვაობას იწვევს (თორემ აქამდე ხომ იყვნენ ერთ აზრზე!). ეგ კი არა, ერთი პარტია მთელი მისი 30-წლიანი არსებობის მანძილზე საპარლამენტო რესპუბლიკას რომ უჭერდა მხარს, ახლა ამბობს, — აღარ მინდა, შევიცვალე აზრიო. ადრე იმიტომ მინდოდა, ლიდერი არ მყავდა, ახლა მყავს და საპრეზიდენტო მირჩევნიაო... — კი, მაგრამ პრინციპებიო? — ჰკითხეს ჟურნალისტებმა. — პრინციპები რა არისო? — კითხვა შეუბრუნეს რესპუბლიკელებმა. ჟურნალისტი გაჩუმდა.



— ჩემი აზრით, ინტელიგენციას...

— ბატონო დავით, არ გაგიგოს მიშამ, შენი აზრი რომ გაქვს, თორემ საფერფლეების ახალი პარტია ჰქონია ჩამოტანილი...

ამ ორომტრიალში 9 აპრილიც ახლოვდება. ნაწილი ოპოზიციისა გაიძახის, — გამოვალთო, ნაწილი — ჩვენ შორიახლოს დავდგებითო. ნათელაშვილი კი, 2003 წლის ნოემბერში რომ გაიძახოდა, ისევ იმას გაიძახის: — ბურჯანაძის დასაბრუნებელ მიტინგზე არ გამოვალო. ამასობაში ხელისუფლება გვაშინებს: მიტინგზე თუ გახვალთ, რუსები მაშინვე შემოვლენო და მცხეთაში სანგრების გათხრა დაიწყეს. ამაზე ჩემმა მეზობელმა გივიმ იხუმრა: — მცხეთამდე თუ მოვიდნენ, ბაბა, რუსები, მერე სანგარი კი არა, პანამის არხი რომ გავჭრათ, არ გვიშველისო... მართალი ხარ, გივი ბატონო, მაგრამ რა უნდა ქნას მთავრობამ? სხვანაირად როგორ შეაშინოს ხალხი, რომ არ გამოვიდეს?

წინა კვირაში კიდევ ერთი სკანდალის მომსწრენი გავხდით. **ერთმა გერმანელმა ლამაზმანმა მასაჟისტმა დღიური გამოაქვეყნა, სადაც დეტალურად აღწერს, როგორ გაუკეთა კისრისა და ზურგის მასაჟი ჩვენს „მამასა და მარჩენალს“. გამოხტება ახლა მავანი და იტყვის: — თუ მასაჟი უნდოდა, გერმანიიდან რომ არ ჩამოეყვანა და იმდენი ფული არ დაეხარჯა, ქართველებს არ გვყავს მასაჟისტი ქალებიო?** გვყავს, ჩემო კარგებო, როგორ არ გვყავს, მაგრამ ეს ჩვენი ქართველი მასაჟისტი ქალები ისეთი შეუხედავნი ყოფილან, ზურგზე რომ გიკეთებს მასაჟს, გადმობრუნება არ მოგინდება კაცს და რა ექნა სილამაზის მოყვარულ ჩვენს პრეზიდენტს?.. **ბოროტი ენები იმასაც ამბობენ, მხოლოდ მასაჟს არ დასჯერდებოდა**



ისკანდერ ბულავა

**მიშიკოო... ეგ თუ მართალია, ვენაცვალე ჯიგარში, რაც ჩვენ გერმანიამ დაგვმართა ამ ბოლო დროს, რაღაცით ხომ უნდა გადაგვეხადა სამაგიერო? ჰოდა იყარა მთელი გერმანიის ჯავრი მიშამ დოქტორ დოტიზე, აბა მეთიუ ბრაიზაზე ხომ არ იყრიდა?**

ჰო, ერთი „უმნიშვნელო“ ფაქტი მოხდა კიდევ. გადაცემა რომ არის — „ვა-ბანკი“, ერთი სამხედრო თამაშობდა და პრეზიდენტი ჩაერთო. ისევ გამოხტნენ მავანნი და აყაყანდნენ: — **რა ევაბანკება, ქვეყანა თავზე გვექცევაო. ამაზეც გასცა ამომწურავი პასუხი გივიმ: — რას ქვია, რა უნდოდა? ჯერ ერთი, მაგ გადაცემის წამყვანი მისი სახელმოზიარეა, მერე მეორე, იქ ოცდაექვსი დანომრილი „ნაშა“ დგას, და მესამეც — ადამიანია პრეზიდენტიც, გრძნობს, რაც ელის და „ვა-ბანკში“ უნდა მიიღოს მონაწილეობა, თორემ „ცხოვრება მშვენიერიაში“ რაღა ესაქმებაო?!**

## მამავ, ქვირფასო!..

# გოდებანი მიხეილისანი...

ორი თვე გავიდა, რაც ჩვენს გვერდით აღარა ხარ, მამა. თვალცრემლიანი გიხსენებთ მე და მთელი ჩემი გუნდი, წახვედი და დაგვიტოვე დარდი და ტკივილი. შენს შემდეგ მოვიდა შავი და უკუნი ჩვენთვის. ველარ გავრკვეულვართ, რა გველის, არადა, როგორ გვიყვარდი, ჯორჯ... შენს გამო საკუთარი ხალხიც კი ჩავაგდე განსაცდელში. არ ვნანობ, რადგან შენ ჩემთვის მამა იყავი და ასევე დარჩები უკუნითი უკუნისამდე. **არასოდეს დამავიწყდება შენი ამაგი, მე ხომ შენით ავედი დიდების მწვერვალზე, სრულიად ახალგაზრდა...** გახსოვს, მამა? როგორ გიხაროდა ჩემი გამარჯვება. სულ მეუბნებოდი, — შენი იმედი მაქ, შვილო, მაგარი ბიჭი ხარ, აბა, ეს იუშჩენკო დონდლო გამომივიდაო... არაფერი გენანებოდა ჩემთვის, რამდენჯერაც და სადაც უნდა შემხვედროდი, იმდენჯერ ფულს და იარაღს მაჩუქებდი, მამა... მახსოვს, თბილისის ერთ-ერთ ქუჩას შენი სახელი რომ ვუწოდე, თვალები ცრემლით აგევსო და მითხარი: — აწი მე რა მომკლავსო, მამა... აჭარლები ახლაც ღიმილით იხსენებენ შენს ნაცეკვ „განდაგანას“, — ჩვენზე კარგად იცეკვაო, — ამბობენ. იმ გოგოს, შენ რომ მაშინ მოგეწონა და ლიზის ეძახდი, ბაგრატიონს, ჯერაც არ შეშრობია თვალზე ცრემლი... **შენს მიერ ჩაკბეჩილი ხინკალი მუზეუმში გვაქვს შენახული...** ერაყში რომ ჩემი ჯარები გავგზავნე, მთელი მსოფლიო ფეხდაფეხ შემოიარე მაშინ ყვირილით: — ნახეთ, რა ბიჭი მეზრდებაო... რა დამავიწყებს ამას, მამა... არასოდეს ამომივა მეხსიერებიდან 2008 წლის აგვისტო, შენგან წაქეზებულმა მეზობელს რომ ვეჩხუბე. მერე ის უფრო მეჩხუბა და კინაღამ თბილისში შემოვიდა. შენ მაშინ დაუძლურებული უკანასკნელ დღეებს ითვლიდი, მაგრამ მაინც გამოხატავდი უკიდურეს შეშფოთებებს... მადლობა ამისთვის, მამიკო... ახლა კი შენმა წასვლამ მეც შავ დღეში ჩამაგდო. შინაურები ამიჯანყდნენ, გაიგეს, შენ რომ მიბრძანე მეზობელთან წაკიდება... კი ვმალე, მაგრამ მაინც გაიგეს... ის მეზობელი მე აღარ მელაპარაკება...

**რა ვქნა, აღარ ვიცი, არც შენს მემკვიდრეს ვეხატები, მგონი, გულზე... აღარ მინდა ამ ქვეყანაში ყოფნა უშენოდ... წამიყვანე, მა...**



## მე შაირი არ მინდოდა...

ველარ უშველის „სინიაკს“
მრავალძარღვა და „ლავანდა“ —
გასკვანჩეს ბადრი ბიწაძის
ნარკომანების „კამანდა“!

ხმას როგორ უნდა იღებდე?
მეტი რა გინდა „პაზორი“ —
შენს ქმარს რომ ბადრი ჰქვია და
მამაშენს კიდევ ანზორი?

როგორც კოტემ თქვა: არასდროს
აღარ მოგივა მუზები,
თუ უკვე არ გაქვს ნაყიდი
„ჩეზე“-ები და „უზ“-ები.

„იმედსაც“ დაეპატრონენ
მულა ომარის „ბრატები“,
რომი რომ ვიყოთ, ჩვენს ბედზე
ყიყინს შეწყვეტდნენ ბატები!

ორნი ვაჭარნი შეერთდნენ,
მიწას გაჰქონდა გრიალი:
გიორგი თარგამაძე და
აკაკი ასათიანი!

კავშირი შეკრეს ურყევი,
დიდთა საქმეთა მტვირთველი,
ახლა ის გვაინტერესებს,
ვინ უღალატებს პირველი?

9 პრილს მაინც გამოვლენ
(თუმც ნერვები აქვთ აშლილი)
შატბერაშვილი სოსკა და
შლადიმერ ნათელაშვილი!

უნდა მივიღოთ ახტალის
ანდა წყალტუბოს ვანები,
თუ მართლა დაბრუნდებიან
კიტოვან-ჩიტოვანები!

რად უნდა ვენდოთ, ვინც უკვე
მისურის წყალი დალია?
გინდ გამყრელიძე იყოს და,
თუ გინდა, ალასანია!

ისევ იქნება თბილისში
ავტომატების კაკანი,
იქამდე ჩვენმა „გრეჩიხამ“
თუ არ დატოვა საკანი!

რა გახდა ერთი გვირაბი
(უკვე მჭირს გულის შეტევა!)?
აბსანძე გაეტია და
„უცნობი“ რით ვერ ეტევა?

სიკვდილსაც დავიწყებია
მერაბიშვილი ვანია,
პატრონი არ გვყავს, თორემ ეგ
ნამდვილად ასაყვანია!

წუხელ სიზმარი მესიზმრა:
შტატებს მართავდა ნიგერი,
წიკლაურს ჰქონდა მანდატი,
ბაქრაძეს ერქვა სპიკერი!

ასეთ კოშმარებს ვნახულობ
უკვე მეექვსე წელია...
გულზე ისეთი რამე მჭირს,
მჭირდება ანზორ მელია!

უნდა იფრთხილო, თუ ხმაში
უკვე გიწყდება ბასები,
თუ ნაცემი გყავს მიტინგზე
ათასები და ასები,

თუ უკვე კარზე მოგადგნენ
ფორუმებ-ალიანსები
და თუ ხარ კოხტა მასაჟისტ
დოტისთან დანაზასები!

ისეა, როგორც ამბობდა
ოდესღაც დიდი ილია:
პაპის ნაჭამმა ჰალსტუხმა
შვილიშვილს მოსჭრა კბილია!

**გეგა ბაიტიანი**

რეკლამისათვის დარეკეთ:
38 41 97

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით
გამომცემელი ტარიელ გაგნიძე
ტელ.: 38 41 97
მკითხველთა კორესპონდენცია მიიღება ელექტრონულ მისამართებზე:
info@geworld.net; geworld@mail.ru